ISSN 0134-1035

Искусство

5

1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მაძევს მაკერდს მილებული
ქნარი, როგორც მინდა,
ჩემთვის დილებული
სხივი გამოგრდინდა.“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

287
გამოცემის ოცდაშვიდმეოთხე წელი

5

მაისი
1981
თბილისი
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

3. დიადი განთიადი
6. ვასტანგ გოგოლაშვილი — ქება ფინეთისა
36 — ქარიშხლიანი დღეების ექო — 36
7. ფალავა აბიასლაშვილი — ერთ შესანიშნავ მალლობელ
10. ოთარ ფეფიტაშვილი — გუგული
16. ფაციონ მურგანიშვილი — უცნობი მეფიდარი
19. გიორგი ლანგაძე — ბარადიული ცეცხლი
პოეზია და პროზა
23. რეზო აბაშეველი — ალორკინებულ მზეარეგ. ლექსი
25. ბეჟი ჯოხაძე — სიმღერა. მოთხრობა
31. დალილა ფეფიანიძე — ლექსები
35. ბერა ალაბანაძე — სიყვარული. მოთხრობა
43. ზურაბ რაგინაძე — სტუმარი ღვთისა. მოთხრობა
45. ალექსანდრე ტაბატაძე — ლექსები
47. თეიმურაზ ლანარაკა — გადანახლება. მოთხრობა
52. ლეონ თურმანიძე — „ძმობა". მოთხრობა
62. შაბურა არაბული — ლექსები
65. ანდრო ლომიძე — ბაბიტანი. მოთხრობა
68. ფოთა ასანიშვილი — მაღაფვილობა. მოთხრობა
71. ბეჟი ბორნული — დათვმა კი დაინდო. მოთხრობა
მინიატურა
74. ვასტანგ ახალდიანი — ასე იქნება, ალბათ, მაღადის...; მე, ფილა, ბზე და ბეზოგლის ბეჟი
ახალი სახელები
75. ფადიმან შამანაძე — ლექსები
60 — ვასტანგ გორგანელი — 60
80. ვასტანგ გორგანელი — ლექსები
81. ფერმან ლეანიძე — ჯარისკაცის თავგადაბლოგით, მეერგრის ერთგულებით...
82. ოთარ ჭელიძე — ჩუნი და მგეპარე
ახალი თარგმანები
83. ფოგენს ლინაი, ალლოარ ლაპსენსი, იოანე ბორგენი, ბაი ბირდანი — მოთხრობები. გერმანულიდან თარგმნა ნელი ამაშუკელმა.
36 — ქარიშხლიანი დღეების ექო — 36
97. ეპარე შამათაგა — ქება ადამიანისა!
პირველი შთაგეჭდილება
103. იუზა ეგვანიძე — ქართული ესთეტიკური აზრის ენინგენლოგანი შენიანძი
მსოფლიო რევოლუციური პროცესის პრობლემები სკაკ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე
111. ოფარ ჭაჯანია — არაგთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე ეტაპის ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ.
ინტერნაციონალიზმის ტრადიციები
123. ანდრე აარგელაშვილი — ცვალი სიკეთისა
ლენინიანა
128. კარლო გაგუნია — ვ. ი. ლენინი საქართველოს საარქივო დოკუმენტებსა და საზოგადო მოღვაწეთა მოგონებებში
კომკავშვილი მატიანე
133. ფოთა ბადაჰკორია — საქართველოს კომკავშირის ბრძოლის ისტორიიდან (1921-1923 წწ.)
ხელოვნება
137. მანანა ბარდანაშვილი — „ყოველისა მისთვის ჯხელოვნეგდეს".
წერილები
142. რევაზ ჯაფარიძე — რაც არ იწვის, არ ანათებს
153. ეთეი მგალობლიშვილი — შემქმნირი ქართულ ლიტერატურასა და თეატრში (1900-1925 წწ.)
„დრუბა ნარიდგინს" ფურცლებზე
158. ლეონ მარგხიანი — ცხოვრობდა კაცი და უყვარდა ადამიანები

მთავარი რედაქტორი

ვორის ფოცხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი, ბეჟი ბეგბეჭაკორი, გურამ გვერდწითელი, რისმაგ გორდეზნიანი, გიორგი გუგლია, ნოდარ დუბლაძე, მერაბ ელიოზიშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე,

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ოტია ჯაჯანია,

გურამ ფანეზიკიძე, ნუგზარ შატაიძე, ჯანლულ ჩარკვიანი, ბეჟი ძნელაძე, ნუგზარ წერეთელი, თამაზ ნიბეზეკაძე, ბარიელ ჭანტურია, რევზო ჭეიშვილი.

60

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიადი განთიადი

ქართველი ხალხი, საქართველოს მშრომელი მოსახლეობა, თავის მომავე საბჭოთა ხალხებთან ერთად, მრავალმილიონიან მეგობრებთან ერთად, ჩვენი ქვეყნების ყოველ კუთხე-ქვეყანაში რომ ბუჯს, აღფრთოვანებით ეგებება თავისი უმშვენიერესი და უბრწყინვალესი დღის 60 წლისთავს, მისი ხელახლა დაბადების მე-60 გაზაფხულს, დიადი განთიადის დადგომის იუბილეს.

60 წლის წინ აფრინა სერგო ორჯონიკიძემ თბილისიდან ისტორიული დეკეში: „მოსკოვი, ლენინს, სტალინს. თბილისს ბაბუათა ხელისუფლების წოლილი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“.

60 წლის წინ მიიღო სერგო ორჯონიკიძემ რევოლუციის დიდი ხელმძღვანელ, ვლადიმერ ილიჩ ძე ლენინის ისტორიული პასუხი: „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და ხალიალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მზრუნველი სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“.

60 წელი გავიდა მას შემდეგ. მხოლოდ 60!

ხამიკი წელი ერის ცხოვრებაში ერთი გაელვებაა, თვალის ერთი დახამხამებაა მხოლოდ.

ხამას და ოთხას წლიანი გრძელი ღამეები უთენებია ჯიუტად და ვოკაციურად ქართველ ხალხს ბზიანი დღის მოლოდინში. დროდადრო ნათელსაც შეხვწრებია, მაგრამ კვლავ ბანგრძლივად დასწოლია ბნელი მის ყოფას. მაინც იმედი არ გადაუწურავს, ცდა არ დაუყლია, სოცოცხლე არ დაუშურნია თავისუფალი შრომითა და შემოქმედებით ავსხე ცხოვრების დასამკვიდრებლად. საკუთარი ბედნიერების გამოსახეედად, მარადი ნათელის მისაღწევად.

კიდევ დაამკვიდრა, კიდევ გამოსცედა, კიდევ მიაღწია!

ქართველთა ხალხმაც გაითენა ბზიანი დღე. თანაც ისეთი, ვეღარაფერი დაბინდავს მის კაშკაშა სხივებს, კომუნიზმის გზას რომ უნათებს. სამუდამოდ აღიბეჭდა ქართველი ერის მეხსიერებაში ეს ბედნერი დღე და თარიღი. ისიც სამუდამოდ აღიბეჭდა, რომ დიადმა ოქტომბერმა შვა დიადი თებერვალი, რომ დიდი რუსი ერის შემოშველებულმა მარჯვენამ და გულმა გაამარჯვებინა მას, რომ იმ გადამწყვეტ ოყმს მასთან ერთად იყვნენ მომძე ხალხები და მათი საუკეთესო შვილებიც თავგანწირვითაც მოხდა ეს. მას შემდეგ ეს ძმობა და ერთობა ურღვევია. უმტკიცესია, ულამაზესია, უნაყოფიერესია.

ისტორიის გრძელსა და დაუსრულებელ გზაზე 60 წელი თითქოს ბევრს არაფერს უნდა ნიშნავდეს. მაგრამ როცა გავიხსენებთ ამ მცირე მანძილზე მოწეული ნაყოფს, სულიერსაც და მატერიალურსაც, როცა ამ დროის მნიშვნელობას გავიაზრებთ, აშკარაა, რომ ეს ხამიკი წელი ხამიკ საუკუნეს უდრის. იხსენ აშკარაა, რომ ეს ყველაფერი, ფანტასტიკური აღორძინება, ზღაპრული გმირეიული ზრდა თავად ხალხის თავდადებით, ხალხის დაუშურველი სისხლით და ოფლით, ხალხის იმედითა და ოცნებით არის ხორცშესხმული.

ქართველ ხალხს დიდი და კანონიერი სიამაყის გრძნობით ახსენებს იმის შეგნება და ის ისტორიული ფაქტი, რომ მან დიდ რუს ხალხთან, მომძე საბჭოთა ხალხებთან ერთად ჩაუყარა საფუძველი ახალ, თავისუფალ, ჭკვ არნახულ და არსმენილ საზოგადოებას, დასაბამი მისცა ახალ ისტორიულ ეპოქას, მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნების და განახლების ეპოქას, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ეპოქას, რომ სხვებთან ერთად, ისიც პირველი შეუდგა გზას, რომელზეც ახლა ათეული ქვეყნების ასეული მილიონობით ხალხები მიაბიჯებენ.

ისიც კანონიერი სიამაყის გრძნობით ავსებს მას, რომ ამ ხამიკი წლის მანძილზე გამოვლილი გზა ძნელი, დაბადული, თავგანწირვით და გმირობით, შრომითა და ბრძოლით იყო სავსე. საქართველოს მშრომელებმა მოელ საბჭოთა ხალხთან ერთად გადალახეს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს საძირკვლის ჩაყრისა და მშენებლობის უდიდესი სიძნელეები, გმირული თავდადებით დაიცვეს თავიანთი სოციალისტური საშობლო უმძიმეს და უსასტიკეს სამამული ომში ფაშიზმის წინააღმდეგ. კვლავ გამარჯვებულნი გამოვიდნენ ომისშემდგომ წლებში ეკონომიკური და სამეურნეო აღორძინებისათვის ბრძოლაში და ახლა ყველაზე ნათელი, ყველაზე ძლიერი, ყველაზე მშვიდობისმოყვარე ქვეყნის შვილებად მიაბიჯენ მომავლისაკენ იმის ღრმა რწმენით, რომ მომავალი მათია.

„ჩვენ, კომუნისტებმა, ლენინისაგან ვისწავლეთ მეოცნებეობა, ოცნებას კი მომავალში მივყავართ. მომავალია ჩვენი ყრილობის მთავარი დელეგატი, ქება და დიდება მას!“ — ასე განაცხადა ხუკ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ და ეს არის ჩვენი ხალხის გულისთქმის, ჩვენი დროის დიდი სიმრთლის დიდებული გამოხატულება.

ა. მარტვლის სახ. საჯ.
ბიბ. საბალანსოდ

60 წელი ერთი თაობის ცხოვრებისაც ვერ სწვდება თავის საზღვრებით. დღესაც ორად ჩვენთან და ჩვენს გვერდით რევოლუციონერთა გმირული არმიის წარმომადგენლები, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში, დიდება მათ. პატივი მათ. მაგრამ ამ სამოც წელში იგულისხმება ფ... [illegible] ... ყველას შრომა და გარჯა, იმათიც, ვინც მოელი ეს მანძილი გამოიარა რევოლუციური ... [illegible] ... იმათიც, ვინც ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ათწლეულებში შეეტეოდა თავისი ხალხის ისტორიული გზას. შემდგომი თაობებისაც. ეს იმათი ზეიმიცაა, იმათი 60 წელიცაა, ვინც ახლა მსწილად პირველ ნაბიჯებს დგამს და შრომის ხანამდე ბევრი უკლია. ყოველი თაობა, დღევანდელიც და მომავალიც, თავის ბიოგრაფიად მიიჩნევს იმ ათწლეულებს, რომელსაც საბჭოთა საკართველო დაითვლის, რადგან ჩვენი ცხოვრება რევოლუციური ცხოვრების გაგრძელებაა. ახე იყო დღემდე, ახე იქნება მომავალშიც. რევოლუციური გარდაქმნები, რომელთაც დაედო სათავე იმ ისტორიულ დღეს, ჩვენი ცხოვრების მუდმივი თვისება და მოთხოვნილებაა, ჩვენი წინსვლის უმთავრესი პირობაა.

ჩვენთვის ერთნაირად ძვირფასია საბჭოთა ელექტრიფიკაციის პირველი მერცხალი ზაჰესი და თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და უნიკალური ნაგებობა ენგურჰესი. პირველი ფრთაფარფატა ფანერის სამამფლო თვითფრინავი და პირველი ულამაზესი ხომალდი, რომელიც საბჭოთა ოფლადაქმეს გაიუვანა. აქამდე ფანტაზიისთვისაც კი ანელად შესაწევე კოსმიური სამყაროში, დიახ, ერთნაირად ძვირფასია, რადგან ერთნაირად ვარ ჩვენი ბიოგრაფიის ნაწილი ეს ყველაფერი. საქართველოს შრომელებს ყველა ამ გამარჯვებაში უდევთ თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი. ქართული ფოლადი, ჩარხები, სახოფლო-სამეურნეო მანქანები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიდის, ქართული ჩაითა და ციტრუსით, ღვინითა და ხილით მრავალი მილიონი ადამიანი დამტკბარა ქალაქების ყველა კუთხეში, ქართველ მეცნიერთა წვლილი საბჭოთა მეცნიერების მრავალი დარგის განვითარებაში დიდია და მნიშვნელოვანი. თუნდაც სპორტის მრავალ სახეობაში ქართველი ახალგაზრდობის მიღწევები საყოველთაოდაა ცნობილი.

საქართველოს რესპუბლიკას მისი 60 წლის მანძილზე ერთგულად, ღვიძლ შვილად მოსდევს ქართული საბჭოთა მწერლობა, რომელიც მისი სუფთვეთ სუნთქავს, მისი სიცოცხლეთან ცოცხლობს, მის შემწეულ და მბატონელ მემატიანეად არსებობს. ქართული საბჭოთა მწერლობისათვის დღიდან ჩასაბვიჩა ერთადერთი მიზანი და დანიშნულება მისი ქვეყნისა და ხალხის, სოციალისტური ინსამდვილის და კომუნისტური იდეალების სამსახურია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ქართველი მწერლების სახელით პირველსავე დღეს გულმოსურვალედ მიესალმა საკაროდ ბალშევიკურ მიტინგზე პოალო იაშვილი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მე-60 წლისთვის ახეეე გულმოსურვალედ მიესალმა ქართველ მწერალთა ყრილობის ტრიბუნიდან და ყრილობის სახელით გრიგოლ აბაშიძე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ ქართველმა მწერლებმა მემორანდუმით მიმართეს მეწმენელიკურ მთავრობას. აი რა ეწერა ამ მემორანდუმში: „მწერლები შიშშლისაგან ქრთაფლ ეცემინან... ქართველი მწერლებისათვის არ არსებობს არც მონორარი და არც ერთი ერთდაშმბარე სალარო. ქართველ მწერლებს არ აქვთ ერთი ეურნალიც, სადაც დაბეჭდავ შეეძლოთ... — ეს უკვე ეროვნულ შეურაცხყოფაშდე მიდის და დიდხანს ახე გაგრძელება მწერლობას და საკართველოს სირცხვილ აკენებს".

თვითსთავადაც შემზარავი ოოკუმენტია, მით უფრო დღეკანდელი სიმაღლიდან, შეკამად საკართველოში 141 ხალეწოდების გაზეთი გამოდის, რომელთა საერთო წლიური ტირაჟი 600 მილიონს [illegible] ეწევეს. ამკამად საკართველოში 31 დასახელების ეურნალი იცემა, რომელთა საერთო წლიური ტირაჟი 15 მილიონამდეა. ამკამად საკართველოში ეოველწლიურად 2250 დასახელების წიგნი იბეჭდება, მათი საერთო ტირაჟი კი მილიონს სჭარბობს.

რა შეიძენა იოოს ამ ფაქტებზე უფრო მეტყველი, უფრო ლამაზი, უფრო ფანტასტიკური. დღ: წარმოიდგინეთ, მაინც გვეკოოტაევება. მეტი გვინდა, ახალ ეურნალებსა და გამომცემლობებზე ეოოცნობთ, რადგან ახეეე დღ: უფრო მეტადაც ფანტასტიკურია ქართული მწერლობის, ქართული ეურნალისტიკის, ქართული მეცნიერების ზრდისა და განვითარების ტემპები, რაც ახე შთამბეჭდავად გამოიხატა ამბანაგ ედუარდ შევარდნაძის მიერ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში: „მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნის ყოველმხრივ მასტიმულირებელი აღმოსფეროს ჩამოყალიბება საქართველოს კომპარტიის უკანასკნელი წლების ერთ-ერთი თვალსაჩინო მოსაოვარია".

სწორედ ამ ატმოსფერის წყალობით, რასაც საქართველოს კომპარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას უნდა ეუმადლოდეთ, ქართველმა მწერლებმა, კინემატოგრაფისტებმა, მუსიკოსებმა, თეატრის მოღვაწეებმა, საერთოდ შემოქმედებითმა ინტელიგენციამ შეძლეს სრულად გამოვლინთ თავიანთი შესაძლებლობები, უკეთ გამოექცთ თავიანთი დამოკიდებულება თანამედროვეობისადმი, აქტიურად ემსახურათ ხალხისა და ქვეყნისათვის, ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი ძალდატანებულად გაახსენებდა ეოველ ჩვენგანს. ერთად გავიხსენოთ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი:

ქართული ენის სიმდიდრე და სიღიადე, რომლის არსებობაც კი საფრთხის ქვეშ იდგა ადრე, ახლა მოელი ძალით და მშვენებით გამოჩნდა. მისი არამცოუ ხელშეუხებლობა, არამედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარება კონსტიტუციურად არის გარანტირებული. მეტიც, სწორედ საქართველოში დედამეს სულ მოკლე დროში მონუმენტური სულიერებრივი ძეგლი დადგინეს, დიდებული ძეგლი, რომლის აღტაცებაა ელდაჯა ამაშუელი. მსგავსი რამ არ ახსოვს კაცობრიობას.

ქართული მწერლობა დღეს მსოფლიოს ეროვნულება ვახდა. გენიალური შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-შუშაელი ისევე კვებავს სხვა ხალხების გონსა და გულს, როგორც ჟამადე ქართველი ხალხისას კვებავდა. ქართველი მწერლების, წარსულისა და თანამედროვეობის, ნაწარმოებები უუბად გამოდის მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე. ეს ამბავი დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს რუს მეგობრებსა და კოლეგებს. ახლა ის დიდი ოცნება, რომელიც ჩვენმა სულმნათმა წინაპარმა აკაკიმ ასე გამოთქვა: „ჩვენ დიდად ვოფავებთ ძმურ მეგობრობას რუს ერთან, რომელთანაც გვინდა მხარდაჭერა ვიაროთ, რათა განვაბორკიროთ ერთანი არა მარტო ეროვნული, არამედ ზოგადკაცობრიული იდეალები, რომლებსაც ძმობა, ერთობა, თანასწორობა ეწოდება".

ქართულ ფილმებს დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უჩვენებენ. ყველგან დიდი წარმატება აქვთ. ამ შესანიშნავ კინემატოგრაფულ სამეკარის ახლა კიდევ შეემატა რეზო ჩხეიძის დიდი მხატვრული ძალის ფილმი „მშობლიური ჩემი მიწავ".

ქართული ხალხური თუ პროფესიონალური მუსიკა და ქორეოგრაფია ბიბლავს მსოფლიოს მაყურებელსა და მსმენელს. ილიაო ხუციშვილისა და ნინო რაგინაშვილის სახელმწიფო ანსამბლს, ანსამბლ „რუსთავს" ალტაცებაში მოაყავს ყველა ეროვნების ხალხები.

სწორედ ახლა, როცა ქართველი ხალხი თავის დიდ იუბილეს ზეიმობს, ევროპის ქვეყნებში ტრიუმფალურად მოგზაურობს რუსთაველის თეატრის დასი, ეისმა სპექტაკლებმაც უკვე კარგ. ბანია განაცვიფრა მსოფლიოს თეატრალური ხაზოგადოებაც და მაყურებელიც.

რაჩოგ დაამშვენა ჩვენი თბილის-ქალაქი მერამ ბერძენიშვილის, ელგუჯა ამაშუკელის, გიორგი ოჩიაურის და სხვათა შთაგონებულმა ხელოვნებამ. ახლა სულერეტურაში გაცოცხლებულ ქართველ მწერლებს ჯუნა მიქაძის გალაკტიონიც შეემატა. თითქოს ბევრილუციური ეროვნულებიდან არის ნამიმართული ამ გიგანტი პოეტის გიგანტური ფიგურა. ამ რევოლუციის, რომელსაც გალაკტიონმა მარტო შუსანიშნავი ლეკნილი კი არ უძღვნა, არამედ რომელიც მართლაც მისი ფშაველი სტიკი იყო.

ან კი ქართული მწერლობის და ხელოვნების რომელი ერთი ტრიუმფი გავიხსენოთ ა ქ. ჩვენსა სამეფნიერად და საამაყოდ მრავალად გაგვაჩნია ისინი.

ქართველი ხალხი თავის დიადი განთიადის იუბილეს ეგებება იმ განუზომელი და ამაღლებულმელი შთაბეჭდილებებით, რაც ყველაზე, მთელ პროგრესულ კაცობრიობაზე მოახდინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII კრილობამ, ამბანაგ ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებამ ამ კრილობაზე, რომელიც კომუნიზმის შშენებლობის, მსოფლიოს მშვიდობიანი არსებობის და განვითარების უშშვენიერესი კარტაა.

რესპუბლიკის მშრომელებს დამსახურებული კმაყოფილების გრძნობით ავსებს იმის შეგნება, რომ ამ დიდ იუბილეს ვალმოხდილნი ეგებებიან, რომ რესპუბლიკამ ვადაზე ადრე შეასრულო მეათე ხუთწლიდის გრანდიოზული გეგმები და ზედიზედ მერვედ მოიძოება სოციალისტურ შეჯიბრებაში ვამარჯვებულის საკავშირო გრდამავალი დროშა.

ჩვენ ყველას გვახარებს ის მადალი კილდო. სოციალისტური შრომის გმირის ნოდება, რომელიც ამ იუბილეს წინ დაამახურეს რესუბლიკის მშრომელი ხალხის მოწინავე წარმომადგენლებმა. განსაკუთრებით გვახარებს ის, რომ ეს უმაღლესი კილდო გადაეცა ნკკ ეცნტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საკართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამბანაგ ედუარდ შევარდნაძეს. ეს კილდო მისი პირადად დიდი ღირსებაა, როგორც ამბანაგმა ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა უწოდა მას, ნაცადი ხელმძღვანელობის დადასტურებაცა და მთლიანად რესპუბლიკის წარმატებათა აღიარების გამოხატულებაცა.

ქართული მწერლობაც ვალმოხდილი ეგებება მათი ხალხის ყველაზე ნათელ იუბილეს. მან დიდ წარმატებებს მიაღწია ხელოვნებაც. განსაკუთრებით კი უკანასკნელ წლებში. მარტო იმის გახსენებაც საკმარისი იქნება, რომ ნოდარ დუმბაძემ ყველაზე მაღალი, სანუკვარი და საპატიო კილდო, ლენინური პრემია დაიმსახურა იმ ნაწარმოებისათვის, სადაც ჩვენი მეღელვარე დღეების ცხოვრებაა წარმოსახული. ჩვენი დღევანდელი სულისკვეთებაა გახსნილი.

პარტიისა და ხალხის შეუნელებელმა ზრუნვამ, ყურადღებამ, დამმარებამ ამრავლა ქართული მწერლობის წარმატებები. ამამაღლა მისი ავტორიტეტი. გაიფართოვა მასებზე კეთილნაყოფიერი გავლენა. წინ ახალი ხუთწლედებია, ახალი ათწლეულებია, დიდი და ნათელი გზა კომუნიზმისაკენ მიმავალი და ქართული მწერლობა მზადაა, კიდევ უფრო ნაყოფიერად ემსახუროს მადალი იდეალებისათვის მეგობრად, მშობლიურ ერს. სიბეჯითე საკართველო.

ქართველი მწერლები რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად გულმხურვალედ ეგებებიან ვერიფის სტუმრებს, რომლებიც ამ დიდი ზეიმის ალსანიშნავად, ჩამოსულნ საკართველოში, მის უბერებელ, განახლებულ და დამშვენებულ დედაკალაქში.

ვახტანგ გოგოლაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქება შენებას

ქება შენებას!
მთის კალთაზე შეფენილ ტაძრებს,
ურწმუნოთაგან მილიონჯერ
დანგრეულს,
დამწვრებს,
მაინც წამომდგარს,
ჩვენი მიწის უკვდავ მშვენებას,
ქება შენებას!

წინაპართაგან ამღერებულ,
როგორც ჩონგურებს,
მტრის შესახვედრად
აღერებულ ციხე-ქონგურებს,
მაღალ ქედებზე შეფრენილებს,
თითქო ფრთებიანს,
სათოფურიან მაღალ კოშკებს
ჩუქურთმებიანს.

კაცის მარჯვენის დაქანცვას და არ
მოსვენებას,
ქება შენებას!
ქება შენებას!

ქამანდად ნასროლ გზატკეცილებს,
შარებს და შუკებს,
მომავლისაკენ განვდილ ხიდებს და
ვიადუკებს;
ჩვენი ენგურის,
ჩვენი ხრამის მზედ მოჩვენებას,
ქება შენებას!

უშენ ტრამალზე დინჯად გაჭრილ
ბალავრებს ახლებს,
ლურჯ ღრუბლებამდე
ისრებივით
აფრენილ სახლებს.

მათი დანახვის სიხარულის ვერ
შეკავებას,
უბინაოთა დასახლებას.
დაბინავებას.

კაცის მარჯვენის დაქანცვას და არ
მოსვენებას,
ქება შენებას!
ქება შენებას!

ქარში,
სიცხეში
შრომით გაჭრილ ყამირ ნაკვეთებს,
კოსმოსისაკენ იმედებად წასულ
რაკეტებს,
უდაბნოებში
არხებს გახსნილს მიწის ვენებად,
ქება შენებას!

მკვრივსა და მტკიცეს,
რასაც კაცის გული ენდობა,
მომავლის დღეთა,
ოქროს დღეთა
ოქრომჭედლობას,
მომავლის დღეთა,
ოქროს დღეთა
ოქროფენობას,
იმედს,
სიხარულს,
კომუნიზმის ნათელ შენობას.

კაცის მარჯვენის დაქანცვას და არ
მოსვენებას,
ქება შენებას!
ქება შენებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზალვა ამისულაშვილი

ერთ უსახელო მაღლობზე

ეს მოხდა ჩერნიგოვის მახლობლად, ერთ უსახელო მაღლობზე. მარტო ვიყავი, შაშხანის დაშლილ ნაწილებს ვასუფთავებდი, ვაპრიალებდი. მართალია, საფრთხეს არსაიდან არ მოველოდი, მაგრამ ავტომატი მაინც გვერდით მედო, ბრეზენტგადაფარებულ მიწაყრილზე.

ის იყო, ნაწილების აწყობა უნდა დამეწყო, რომ თავს ჩვენი ათმეთაური ავერკიევი წამომადგა. თან ახლდა ვიღაც ბიჭუნა, ალბათ თოთხმეტიოდე წლისა თუ იქნებოდა. ასაკთან შედარებით არც ისე პატარა ტანისა იყო. ხელში შავდისკოიანი ავტომატი ეჭირა და თითები ნერვიულად უთამაშებდა რატომღაც.

— იცნობდეთ, პარტიზანული ბრძოლების მონაწილე — საშკა ლოშკარინი გახლავთ ეს ყმაწვილი! დღეიდან ჩვენს ათეულში იქნება, მიაჩვიეთ ტელეფონზე მუშაობას. იცოდეთ, კაპიტნის პირადი ბრძანებაა! — მაუწყა მაღალფარდოვანი ხმით ათმეთაურმა.

ბიჭუნას ნერვიულობისაგან თითები უფრო აუთამაშდა და გაბრაზებულმა ჩაილაპარაკა: მე საშა ვარ და არა საშკა... მომეწონა მისი ასეთი თავმოყვარეობა და გამხდარ კისერზე ხელი მოვუთათუხე, მარტო ავერკიევმა შეიკრა შუბლი და უცბად კომბოსტოს ჭიასავით გაქრა თვალთაგან...

მე ისევ ჩემს საქმეს შევუდექი. ლოშკარინი მომიახლოვდა, თავისი ავტომატიც ჩემი ავტომატის გვერდით დადო და მთხოვა, ნებას თუ დამრთავთ, შაშხანას მე ავაწყობო. იმ დღიდან ჩვენ უკვე უერთგულესი მეგობრები გავხდით.

გულს ერთი დარდი მიკლავდა მხოლოდ: სწორედ იმ დროს თოფის კონდახით ყბა მქონდა დაზიანებული და „საშას“ მაგივრად „შაშას“ ვეძახდი ხოლმე ჩემს უმცროს მეგობარს. ვატყობდი, სწყინდა, მაგრამ არ იმჩნევდა, ალბათ გრძნობდა, რა მიზეზითაც მემართებოდა ასე.

მეც ერანაკლებ ვბრაზობდი ჩემს თავზე: ერთხელ ვეღარ მოვითმინე და პირდაპირ ეუთხარი: დღეიდან ჩვენებური სახელი „ლაშა“ უნდა დაგიძახო-მეთქი. თან ისიც ავუხსენი, სიტყვა „ლაშა“ შუქს, ნათებას, ბრწყინვალებას რომ ნიშნავს. ჭკუაში დაუჯდა ჩემი ნათქვამი თუ რა იყო, მყისვე თანხმობა გამომიცხადა და განაგრძო:

„— მამა მე აღარა მყავს და დედა, ორივე ბომბარდირებაში მოჰყვა. ერთადერთი უფროსი ძმა მყავდა, ის კიდევ სახრჩობელაზე ჩამომიხრჩეს ფაშისტებმა. „საშა“ მერქმევა თუ „შაშა“, სულ ერთი არ არის ახლა. ჩემთვის!“.

შემეცოდა, ჩავფიქრდი, ცრემლიც კი მომადგა თვალზე, მაგრამ გოცებას დავრჩი, როცა მცირე დუმილის შემდეგ ამოიგმინა: არც ერთი და არც მეორე! მე მხოლოდ „შურისძიება“ მერქმევა ამიერიდანო.

სწორედ ამ დროს ძელმიწურიდან ათმეთაურ აკერკეევის გამეკვანი ხმა მოისმა: რიგოსანო ლოშკარინ, ამ წუთში ჩემთან გამოცხადდიო... ლოშკარინმა ცოტა დააყოვნა, მგონი არ ესიამოვნა უფროსის ამგვარი შეცხადება. აღა ესიამოვნებოდა, რადგან ერთხელ მის გასაგონად ეთქვა: ჭირივით მეჯავრება პატარა ჭიქა და პატარა ძაღლიო...

ათმეთაურმა კიდევ გაიმეორა მცირეწლოვანი მეომრის გვარი და ამ განმეორებაში სიტყვა „ლოშკარინმა“ ქართულ ლაშქარეთი გაიხმიანა ჩემს ცნობიერებაში და „ლაშა-ბიჭად“ მონათლული პატარა უკრაინელი პარტიზანი მე უკვე მიმავალი ლაშქრის წინამძღოლად წარმოვიდგინე.

ეს განცდა მეორე დღეს მიხდოდა მისთვის გამეზიარებინა, მაგრამ ისეთი მშვიდი და სპეტაკი სახე ჰქონდა, რომ გადავიფიქრე, ემანდ არ გავაღიზიანოთ-მეთქი...

ლაშა-ბიჭთან ერთადაც დღეც მეტად მშვიდი და სპეტაკი იყო. ნაომარი მიწა ნოემბრის პირველ თოვლს დაეფარა და რაღაც სასწაულებრივი სიჩუმე იდგა ირგვლივ...

პირველ თოვლზე პირველი კვალი ლაშა ლოშკარინმა გაიკლო იმ დღეს. უსახელო მაღლობიდან შტაბამდე გაჭიმული კაბელი მან ახსნა და კოქაკებზე ღაჭვნი, ალბათ წუხელ ამის გამო თუ გაქოიძახა ათმეთაურმა.

გავცქეროდი მის ნატერფალებს და თეთრ მდუმარებაში ჩანთქმული ჩვენი უსახელო მაღლობიც თითქოს ჩემსავით ამაყობდა იმ ნატერფალებით. გულში გავიფიქრე: ამ ბორკვემა იმდენი რამე გადაატანა ჩემთან ერთად, რომ ღმერთმა ალბათ გაიმეტებს-მეთქი მიწასთან გასასწორებლად.

შევეცდი, მიჩუმათებული მტერი სულ სხვანაირად ფიქრობდა თურმე და უცბად აკი საჰაერო განგაშიც ატყდა. მეომრები თვალი ერთ დახამხამებაში აქეთ-იქით გაიფანტნენ: ზოგი სანგარში გადაეშვა, ზოგი ძველ ნაბომბარში მოკალთდა, ზოგიც — ნაყუმბარევში, ზოგი ძელმიწურიდან არ გამოსულა, აქ უფრო სანღო ადგილიაო...

მე და შტაბიდან ახლად დაბრუნებულმა ლაშა-ბიჭმა სხვა რომ ვერაფერი მოვახერხეთ, იქვე ძელმიწურთან წამოქცეულ ვეებერთელა ხეს წამოვეფუჩქით ძმაბიჭებივით, თან წამდაუწუმ ცალი თვალით ცას შეეცქეროდით კისერმოღრეცილები. თვითმფრინავების გუგუნი თანდათან ახლოვდებოდა...

აგერ, უსახელო მაღლობს თითქმის თავზე მოეკქცნენ. მწკრივად მოსხლეტილი კიბრისოდენა ბომბები შემაძრწუნებელი წივილ-კივილით დაეშვნენ დაბლა. ცოტაც და, აფეთქების ისეთი გამაყრუებელი გრგვინვა-გრიალი ატყდა, თითქოს მთელი ცა ჩამოიქცაო. რკინის ნამსხვრევებით იცხრილებოდა ყველა კუთხე და ყველა კუნჭული.

გადარჩენაზე აღარ ეფიქრობდით, მაგრამ სიცოცხლეც სიკვდილივით შეუპოვარი ყოფილა, ღიმილმა მაინც შუბლი გაგეხსნა, განსაკუთრებით მაშინ, როცა რომელიღაც თვითმფრინავს ღეინნის ვეება კასრი მოსწყდა. ახლა მიკიოტური კიკილი და სტვენა რომ ატეხა, მე და ლაშა-ბიჭს სიცილი წაგვსკდა. ეტყობა, ის ოხერი ცარიელა იყო, თანაც განგებ დაცხრილული, რომ შიგ შეჭრილ ჰაერს ასეთი ამბავი დაეტრიალებინა.

კასრი ძელმიწურს დაეცა სახურავზე, ყუმბარასავით გასკდა და ნაფოტებად გაიფანტა აქეთ-იქით. ამ ხმაურიან სანახაობაზე ისედაც თამამი ლაშა-ბიჭი უფრო გათამამდა და აკერმატის ჯერი დაადევნა იმ თვითმფრინავს, რომელმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცარიელა კასრის ჩამოგდებით აბუჩად აგვიგდო...

ქუხდა ჩვენი საზენიტო არტილერია... სამი თუ ოთხი თვითმფრინავი ამოლდა ცაში... გახარებულმა ლაშა-ბიჭმა ჩემკენ იბრუნა პირი, ალბათ უნდოდა ეთქვა — მათ ამოლებაში მეც მიმიძღვისო წილი, მაგრამ ენა ვეღარ დაიძრაზილა, გაფაფრებულ შუბლზე სისხლი შეეწინშნე, დაჭრილიყო...

პირველი სანიტარული დახმარება მე თვითონ აღმოვუჩინე. ძელიწურიდან გამოვარდნილი ავერკიევი თავს ცოდეილანიანივით არატრატებდა, ლოშკარინის დანახვაზე მარტო იმას გაიძახოდა:

«Час терпеть, век жить, час терпеть, век жить!».

მანქანა კაპიტანმა დამითმო. ნახევარ საათში ჩვენ უკვე საველე ჰოსპიტალში ვიყავით. ოპერაციის შემდეგ მთავარმა ექიმმა მითხრა: მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ იმედი მაინც მაქვს, რომ გადაეარჩენო.

მას შემდეგ თითქმის სამი თუ ოთხი თვე გავიდა, სად არ მოგვიხდია ბრძოლა, ჰოსპიტლიდან არაფერი ისმოდა, კაპიტანმა იმედი დაკარგა. მე კი გულში ვამბობდი: ხალიჩაზე გაზრდილი ბიჭი ხომ არ იყო, ყველაფერს გაუძლებს-მეთქი...

მახსოვს, ძუგამოკვანძილი ცხენებს ხატვა უყვარდა ძალიან. როგორც კი საბმე ქაღალდს მოიხელთებდა, ბედნიერი იყო მისთვის ის წუთები, ხატავდა და ხატავდა, ცხადია, ცა თუ მშვიდობიანად დაგვეყურებდა იმ დროს... კაპიტანი ხუმრობით იტყოდა ხოლმე: ძუის გამოკვანძით ავტორს მეტი დინამიკა შეაქვსო ნახატში...

ლაშა-ბიჭი ჩვენს პორტრეტებსაც ხატავდა. სხვათა შორის, ყველა კარგად გამოუდიოდა ავერკიევის გარდა. მის პორტრეტი კარიკატურას წაგავდა ყოველთვის. ამაზე ათმეთაური გაბრაზებოდა, ეს ვის გადავეყარეო...

პორტრეტები პარტიზანებთან ერთად დროსაც ეხატნა. ერთ მათგანს „ხუმარა პარტიზანი" ეწერა და ჩვენს ათმეთაურს საოცრად ჰგავდა... შენ ავერკიევი თავიდანვე ათვალწუნებული გყოლიაო, ეუბნებოდნენ ზოგიერთები, შეიძლება ათმეთაურს ამ წუთებიდან შეეცვალა კიდევაც გული ლაშა-ბიჭის მიმართ.

შთამბეჭდავია ერთი ეპიზოდიც: ცოტა ხნით ავერკიევს საბრძოლო დროშა ჰქონდა მიბარებული შესანახად. ერთხელაც ვნახოთ და, დამდგარა მის ქვეშ და რაღაც ანეკდოტებს უყვება თავის თანამებრძოლებს. ლაშა-ბიჭიც ხომ იმის თანამებრძოლი გახლდათ და, ცხადია, ისიც იქ იმყოფებოდა მაშინ...

პატარა კი იყო, მაგრამ გონება დიდისა ჰქონდა. განსაკუთრებულად ეს ვიგრძენი მაშინ, როცა ათმეთაურს შეეპასუხა: საბრძოლო დროშის ქვეშ ლაზღანდრობა ვის გაუგიაო?!

— ბაგა-ბაღის აღსაზრდელმა ეს რა გამიბედაო! — იყვირა გაავებულმა ავერკიევმა და დროშიანად სადღაც გაუჩინარდა იმ წამში...

ეს, ადრეკე ეთქვი, ხალიჩაზე გაზრდილი ბიჭი ხომ არ იყო. ყველაფერს გაუძლებს-მეთქი, და აი, ჩეხოსლოვაკიაში ყოფნის დროს მართლაც მივიღე მისი პირადი წერილი, მატყობინებდა: გადავრჩი, უკვე კარგად ვარ, სულ რამდენიმე დღეში ჰოსპიტლიდან გამოშწერენო...

წერილში ათმეთაურ ავერკიევსაც უთხრიდა მოკითხვას. ამით უფრო მტკად ამაღლდა იგი ჩემს თვალში. გულიდან დარდი გადამეყარა, მხრებში გავიშალე, ქვეყანა ჩემი მეგონა... ლაშა-ბიჭი, პირველად ჩერნიგოვის მახლობლად მდებარე ერთ უსახელო მაღლობზე რომ გავიცანი, ცოცხალი იყო, ცოცხალი!..



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ დემეტრაშვილი

გუგული

გუგული ჩვენი კერპი იყო. უფრო მეტი. ოთხი ცინგლიანი ბიჭი გუგულის თვალით ვუყურებდით და ვხედავდით მთელს ქვეყანას.

ჩვენ გვწადდა, რადგან გუგულიმ გვითხრა, დედამიწა ნამდვილად მრგვალია, მსოფლიოში ყველაზე კარგი ფეხბურთელი რიკარდო ზამორაა, ყველაზე ცუდი მეზობელი კი ძია არშალუსა.

აი ის ჯუტალა, ნაყვავილარი ძია არშალუსა, რომელმაც გუგული არტოს ბაღში თამბაქოს წვავზე წაისწრო და დედამისთან დასასმინა.

შეგვყრიდა ხოლმე ოთხ ცინგლიან ბიჭაშვილს ჩვენი ძმიდაშვილი გუგული. აგვხედავდა-დაგვხედავდა, შეგვტრიალშემოგვატრიალებდა და წლოვანების მიხედვით ასე დაგვაყენებდა ერთმანეთის გვერდით: ბიჭიკო, მე, ნოდარი, გივი.

მოგვდგებოდა გუგული კედელთან გასუსულ ბიჭებს. მოგვდგებოდა და ხან გამრავლების ტაბულიდან დაგვაყრიდა შეკითხვებს, ხან მიმატება-გამოკლებიდან, ხან კიდევ აინშტაინის ფარდობითობის თეორიაზე, კირგილიუსის მეტამორფოზებზე და, ღმერთო, გამახსენე, მგონი, პტოლემის გეოცენტრულ სისტემაზე ჩამოგვიგდებდა სიტყვას.

— მოეშვი ამ ბიჭების წვალებას! — დაუტტანებდა შებეზრებული მამიდა ტახტზე გაშოტილ შვილს და გაცრეცილ სახელმძღვანელოს მისჩრიდა ხოლმე ხელში, — წაიკითხე. იქნებ რამე შეგვიდეს მაგ ბეყეჩა თავში.

თქვენც არ მომიკვდეთ!

ტახტზე წამომჯდარი გუგული ხელში მიჩრილ სახელმძღვანელოს ლაჯებშუა ამოიჩრიდა. გაიკრიჭებოდა. ცალ თვალს მოკუტავდა და ახლა ემანუელ კანტია, ფრიდრიხ ნიცშეს და, მგონი, ლუდვიგ ფაიერბახის ფილოსოფიიდან ისეთ ტვინისსაღრძობ შეკითხვებს დაგვაყრიდა, ბუსუსები გვებურძგნებოდა ტანზე.

თავის აბდაუბდა შეკითხვებზე გუგული არასოდეს არ მოითხოვდა სწორი პასუხების გაცემას. მთავარი ის იყო, არ უნდა დავბნეულიყავით. ჩვენთვის გაუგებარ საკითხებზე რაც შეიძლება სწრაფად და ტლიკინ-ტლიკინით გაგვეცა ახელდახელოდ მონაჩმახი პასუხები.

ეს პასუხები, როგორც გუგული ამბო-

ბდა, თურმე თანდათან გაინვითარებდა დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, გვიხვეწავდა მეტყველების კულტურას, გვიმდიდრებდა ლექსიკის მარაგს, გვაყვარებდა რიტორიკას, გვაძულებდა დადიზმს, კიდევ რაღაც ეშმაკს, კიდევ რაღაც ჯანდაბას, კიდევ რაღაც დოზანას.

კითხვა-პასუხში გამარჯვებულს გუგული საზეიმოდ გადასცემდა ხოლმე მამიდას გამომცხვარ შაქარლამას, ბოლო ადგილზე გამოსულ ბიძაშვილს კი წკიპურტებს უთაქუნებდა თავში.

წკიპურტების რაოდენობას გუგული აწესებდა. რაც უფრო უგერგილო, მოკლე და დაგვიანებული იყო პასუხი, მით უფრო მეტი და მაგარი წკიპურტები ხვდებოდა წაგებულს.

გივი წკიპურტებისაგან განთავისუფლებული იყო. ყველაზე მეტი წკიპურტი, რა დასამალია, უფროს ბიძაშვილს ბიჭიკოს ხვდებოდა ხოლმე ხოტორა და ბობბორა თავში.

— ცინგლიანო, — უთხრა ერთხელ გუგულმა ალეწილ ბიჭიკოს, რომელმაც წკიპურტების რაოდენობა გააპროტესტა, — ხომ ხედავ, შაქარლამა ცოტაა. გივი პატარაა. ხოდარის მამა არა ჰყავს. ოთარის დედა საავადმყოფოშია. გაუშვი, მაგათ ჭამონ. შენ დედაც გყავს და მამაც. წადი და იმათ გამოგიცხონ!

აბა მაშინ რა მესმოდა?! ახლა, როცა კედელზე ჩამოკიდებულ გუგულის სურათს შევცქერი, დაბინდულ მოგონებაში თანდათან ნათლად ცოცხლდება მისი ახოვანი ტანი და მარილიანი სახე. თვალწინ მიდგება მისი კეთილი ღიმილი. უყურო გასაგები, ღრმა და ახლობელი ხედება თვის დიდი სევდა.

მიკრძოლებაში ნუ ჩამომართმევთ! ყველა საფიცარს ვფიცავ, ოთხ ცინგლიან ბიძაშვილს ისეთი მამიდაშვილი გვყოლია, ისეთი ბიჭი იყო გუგული — ჭიდრებით დაჩრდილულ რუსთაველის პრესპექტს რომ დაამშვენებდა!

გუგული უკვე მერვე კლასში იყო და ჩვენთან ერთად ჩილკა-ჯოხი ეჭირა ხელში. მეცხრეში იყო და — ცალიკ-მალიკს ხტუნაობდა. როცა მეათეში გადავიდ , კითხვა-პასუხის შეჯიბრებას გვიწყობდა, ოქმობანას გვეთამაშებოდა, [illegible] ბოდა, გვაოცებდა და წკიპურტებს [illegible] თაქუნებდა თავში...

ეხ!

კარგი ბიჭი იყო გუგული, კარგი ბიჭი!.

ერთ ზაფხულიან საღამოს ოთხი ცინგლიანი ბიძაშვილიდან გუგულიმ რატომღაც მაინცდამაინც მე ამომირჩია, ოთახში შემიხმო და კარი გადარაზა.

— ვინ ვარ მე? — მკითხა გუგულიმ.

— გუგული.

მაშინვე წკიპურტი მომხვდა თავში.

— ვინ ვარ მე? — გამიმეორა შეკითხვა გუგულიმ და ცალი თვალი მოკუტა.

— დიდი ხელმწიფე.

— სწორეა! — გუგულიმ შემართული წკიპურტი ძირს დაუშვა და ჯიბიდან ორად მოკეცილი კონვერტი ამოაცალა, — ეს წერილი მეათე მეორე კლასში უნდა მიიტანო. გაიგე?

— გავიგე.

გუგული ჩაძიებით ჩამაშტერდა თვალებში.

— იცი, სად არის მეათე მეორე კლასი?

ვიცოდი, აბა არ ვიცოდი! ჩვენი სკოლა ჩამართულიანი იყო. მე და ნოდარი მეორე კლასში ვიყავით და პირველ სართულზე ვსწავლობდით; მეოთხეკლასელი ბიჭიკო მეორე სართულზე სწავლობდა; გუგულის მეათე პირველი კლასი და მეათე მეორე კლასი კი მესამე სართულის ბოლოს, ერთმანეთის გვერდით იყო მოთავსებული.

— თეა უნდა იკითხო.

— ვინ?

— თეა. საშუალო ტანის, შავგვრემანი გოგოა. გაიგე?

— გავიგე.

— ვერაფერიც ვერ გაიგე.

გუგულიმ გკერდით მოშისვა. ამიხსნა, დამპარიგა. მეჩიჩინა, მეყბედა და ბოლოს ასე დაამთავრა თავისი შეგონება:

— იცოდე, ვინმესთან რომ ერთი სიტ-

ოთარ დემეტრაშვილი
გუგული

ყვა წამოგცდეს, ხუთი ათას ხუთას ხუთ წკიპურტს გთხლიშავ მაგ ცინგლიან თავში! ვინ ვარ ამ?

— დიდი ხელმწიფე.

ის-ის იყო წერილი ჩანთაში გადავმალე და ოთახიდან უნდა გამოვსულიყავი, რომ გუგულიმ შემაჩერა.

— თუ თეამ გკითხოს, სკოლაში რატომ არ მოვიდაო, უთხარი...

გუგული ჩაფიქრდა.

— ასე უთხარი, შენი გულისთვის არ მოვიდა-თქო! გაიგე? აბა თუ გაიგე, ადექი და მისხალ-მისხალ ჩამოყაჟე ყველაფერი.

ავდექი და ყველაფერი ისე კოხტად, ისე სწორედ, ისე მისხალ-მისხალ ჩამოვყაჟე, რომ გუგულის წკიპურტი მხოლოდ ერთხელ მომხვდა ცინგლიან თავში.

— ყოჩაღ, — შემაქო კმაყოფილმა გუგულიმ და ხურდა ფული ჩამიყარა ჯიბეში, — ბუბლიკები ჭამე.

იმ დღის შემდეგ ფოსტალიონი ბევრდი. შენიღბული, ყრუ, ბრმა და ენაჩაწყვეტილი ფოსტალიონი.

წაკინკლავდებოდნენ გუგული და თეა, მოუვიდოდათ რაღაც უთანხმოება და მიდი: ძუნძულ-ძუნძულით მიმქონდა და მომქონდა, მომქონდა და მომქონდა ჩანთაში საგულდაგულოდ გადანახული წერილები.

თეა ადრევე მყავდა ნანახი. მე და ნოდარი ჯერ კიდევ პირველ კლასში ვიყავით, როცა ერთხელ, დიდ შესვენებაზე, ჩვენი სკოლის ბუფეტში გუგული და საშუალო ტანის, შავგვრემანი გოგო დავინახეთ.

იდგნენ და ლიმონათს სვამდნენ. სვამდნენ და იცინოდნენ. ჩურჩულებდნენ და იცინოდნენ. ეცინებოდათ და იცინოდნენ.

თეა ცოტა უცნაური გოგო იყო. მოულოდნელად მოიწყენდა ხოლმე. მოიმრუშხებოდა, მარტოდმარტო გადმოდგებოდა აივანზე და ფიქრებში წასული ეადმოსცქეროდა ეზოს.

გადაიდარებდა. გადაიქნევდა თავს, შეისწორებდა შუბლზე ჩამოშლილ თმას. გაიღიმებდა და ჩვენი სკოლის სამივე სართულს ეფინებოდა მისი გულღია ალაცილის საამო და კისკასა ხმა.

სასწავლო წელი უკვე მიდგებოდა, როცა თეამ თეორი კოპლეანი ცისფერი კაბა შეიკერა.

უხდებოდა. თვითონაც გრძნობდა, რომ უხდებოდა. უხდებოდა და გუგულისკენ გაურბოდა თვალი. გაიხმობდნენ ბიჭები გუგულის, გაიყვანდნენ გვერდით, გაუბამდნენ საუბარს. გუგულისკენ მიურბოდა თვალი. ჩავიდოდა გუგული ეზოში. ჩადგებოდა წრეში. დაიწყებდა ბურთის თამაშს. გუგულისკენ ჩაურბოდა თვალი.

თეას მაშინაც თეორი კოპლეანი ცისფერი კაბა ეცვა, როცა გუგული კავაცილეთ.

კარგად იყო მოდღეებული.

ჩამოთბა.

თბილისის პატარა ვაგზალი თანდათან ივსებოდა ხალხით.

ჩიხში ჩამომდგარ მატარებელთან გამცილებლები ირეოდნენ. იყო ერთი ქივილ-ხივილი და აურზაური, გაქცევა და გამოქცევა, ახლად თმაგადაპარსული ბიჭების ხვევნა-ყოცნა და გაუთავებელი დარიგებები...

ახლობლებში ჩამდგარი გუგული მალმალე იხდიდა ქუდს, ხოტორა თავზე ისვამდა ხელს, ფეხებს აპაუნებდა და წელში გაჯგიმული მხედრულად გვაძლევდა სალამს.

— ა, უყურეთ ეხლა ამას! — სევდანარევი ღიმილით ამბობდა გუგულის შემყურე მამიდა, — საშუალო დაამთავრა, ჯარში მიდის და ისევ ოფოფები უქრიან თავში.

გუგულია მამა, მეფის რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცერი ძია ვასო, ძლივ-ძლივობით იოკებდა ღიმილს, წარბებს ქუფრავდა, იღუშებოდა და დატევებით ეუბნებოდა გუგულს:

— მაიმუნობას თავი გაანებე! ბავშვი ალარა ხარ. ხომ ხედავ, როგორი დაძაბული მდგომარეობაა მსოფლიოში.

თუ ვენ ან მომიკვდეთ!

— როცა ჰიტლერი გაიგებს, რომ ჯარში გამიწვიეს, ომის დაწყებას ვეღარ

გაბედავს! — კრეჭა-კრეჭით ამბობდა გუგული და თითის დაქნევით გვიხმობდა ოთხ ბიძაშვილს, — მოდით, ცინგლიანებო, წკიპურტები ჩამარტყით ხოტორა თავში. ბარი-ბარში ვიქნებით.

წითელქუდიანმა მორიგემ სამჯერ ჩამოჭკრა სადგურში ჩამოკიდებულ ზარს.

ატყდა ერიამული. ისევ აირ-დაირია ერთმანეთში ხვეენა-კოცნა და დარიგება. ვაგონის ფანჯრებიდან რაღაც-რაღაცეების გადაწოდება და გადმოწოდება, გაქცევა-გამოქცევა და მხიარული შეძახილები.

როცა გუგულიმ ყველა გადაგვკოცნა და ვაგონში ადიოდა, წამით შეჩერდა, ლიმონათის ჯიხურის გვერდით სწრაფად მიმავალო თვალი და ვიღაცას ტკბილად გაუღიმა.

მე, მხოლოდ მე ვიცოდი, ვის გაუღიმა ტკბილად გუგულიმ. მე, მხოლოდ მე ვიცოდი, რა ფიქრი, განცდა და ხვაშიადი მიპყვებოდა თან დიდ ხელმწიფეს.

მატარებელი დაიძრა. ჯერ ნელა მიდიოდა. მერე უფრო უმატა და უმატა სვლას.

ის-ის იყო ბოლოსწინა ვაგონი თვალს უნდა მოფარებოდა, რომ ფეხის წვერებზე შევდექი, ყვინჩილასავით წავიგრძელე კისერი და ერთხელ კიდევ დავინახე გუგული.

ღია კართან იდგა. ხელს გვიქნევდა. მხედველობა დავძაბე და ისე მომეჩვენა, რომ უკანასკნელ წამს გუგულიმ პირთან მიტანილი ხელით ლიმონათის ჯიხურის გვერდით გაგზავნა თავისი უკანასკნელი კოცნა.

წამოეინყოლა.

ბაქანზე შეკრილმა ხალხმა ნელ-ნელა დაიწყო დაშლა.

— წავიდეთ, — ფიქრიანად ჩაილაპარაკა ძია ვასომ და ხელში შერჩენილი პაპიროსის ნამწვი ურნაში ჩააგდო, — ბიჭები ოთხ-ხუთ დღეში უკვე ბრესტში იქნებიან.

თვა ისევ ლიმონათის ჯიხურის გვერდით იდგა. ნიავისაგან თმააწეწილი თავი ვიღაც ქალიშვილის მიმარჯვებულ მხარზე მიეყრდნო, ორივე ხელი ბეჭებზე მოეხვია და გულამომჯდარი ქვითინებდა.

როცა ჯიხურს გავუსწორდა, [illegible] მოვიმიზეზე, ფეხი ავითარე [illegible] ჯარდი.

— ნუ ტირიხარ, — მკაფიოდ ჩამესმა ყურში თვალ მეგობარი ქალიშვილის ყრუ ხმა, — სამი წელი ისე გავა, რომ ვერ გაიგებ. ჩამოვა და ბედნიერი იქნები...

გუგული ომის დაწყების პირველ დღეს დაიღუპა.

უსაშველო, ძაძებით მოსილმა უსაშველო უბედურებამ მოულოდნელად შეაბოტა და გაიხალათა მამიდას აქამდე ტკბილ და ბედნიერ ოჯახში.

ვისხედით. ვისხედით და ვდუმდით.

კედელზე გუგულის გადიდებული სურათი ეკიდა. ელვყელა ვაზასში მიხაკები ეწყო. მოგრძო მაგიდის კუთხეში ორად მოკეცილი ქაღალდი იდო.

აი ამ ქაღალდში, შავდაუკუღმა სახსნებელ უცოდობრალო შავ ქაღალდში, გარკვევით ეწერა, რომ გუგული ბრესტის დასავლეთ მისადგომებთან დაიღუპა.

— ბიჭებს ალბათ ეძინთან, როცა ვათენებისას თვითმფრინავებიდან ყუმბარები დაუშინეს, — სამარისებურ სიჩუმეში სიმწრით ამოიგმინა ფიქრებში წასულმა დეიდა ძარომ.

— არა, — ძია ვასომ გუგულის სურათს ახედა და წამოდგა, — მოულოდნელობა გამორიცხულია! მეწინავე სასაზღვრო ნაწილებიდან ბრესტში უკვე მღებული ექნებოდათ განგაშის შეტყობინება.

ძია ვასო ყელყელა ვაზასთან მივიდა. აბურდული მიხაკები შეასწორა და ჯურგაშმოქცეულმა ჩაიდუდუნა:

— ბიჭებმა ალბათ ხეირანად ვერც [illegible] მოასწრეს ტანზე ჩაცმა და ისე შეებრძოლნენ თვითმფრინავებს.

ძია ვასო მართალს ამბობდა.

ჩვენი გუგული არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, საწოლში გაშოტილი შეგებებოდა სიკვდილს.

ოთარ დემეტრაშვილი
გუგული

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, არა და არა!

გუგული, რა თქმა უნდა, პირველი წამოიჭრა საწოლიდან. პირველი ეცა საზენიტო ქვემეხს. პირველმა ჩამოაგდო სვასტიკიანი თვითმფრინავი.

სხვანაირად არ შეიძლება ყოფილიყო!

არა, არა და არა!

მამიდა არ ტიროდა. გაზეგებული იჯდა. რომელიღაც ამოჩემებული წერტილისთვის მიეშტერებინა ამოღამებული თვალები და დუმდა.

დუმდა და დარდად ილეოდა.

ამოიგმინებდა. ახედავდა გუგულის სურათს, მკერდში გამეტებით ჩაირტყამდა მჯიღს, სამი თითით სიმწრით იჩქმეტდა ჩალურჯებულ ბარძაყებს.

ეხ!

ასე იყო და რა ვქნა!

წუთისოფელი თავისას აკეთებდა. დღე დღეს ავბა, თვე თვეს გაჰყვა. კრიალოსნის მარცვლებივით ერთმანეთის მიყოლებით ჩათავდა და მიილია წლები.

იჯდა და იჯდა შვილის გადიდებულ სურათთან ძაძებით მოსილი მამიდა. იჯდა და მკერდში გამეტებით იცემდა მჯიღს. სამი თითით სიმწრით იჩქმეტდა ჩალურჯებულ ბარძაყებს.

იჯდა და დუმდა. დუმდა და დარდად ილეოდა. ილეოდა და ნელ-ნელა თავდებოდა.

გუგულის დაღუპვის შემდეგ თეა მხოლოდ რამდენჯერმე დავინახე. ყოველთვის მარტო იყო. მოდიოდა დინჯად, შუბლზე ჩამოშლილი თმის სწორებით და მხრების ჩვეული ოდნავი რხევა-რხევით.

თეას დანახვაზე ყოველთვის რაღაც უცნაური და ენით გამოუთქმელი გრძნობა მეუფლებოდა. მიხაროდა მისი სიმარტოვე, მსიამოვნებდა მისი დაღვრემილი სახე, მახალისებდა თაფლისფერ თვალებში ჩამდგარი მისი დიდი დარდი და გაუქარვებელი სევდა.

თეა უკანასკნელად ამ მოთხრობის წერის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ვნახე.

შემოდგომა იდგა.

თბილისური თბილი და დაოქროვებული შემოდგომა.

ბინდდებოდა.

რუსთაველის პროსპექტი ხალხით იყო სავსე.

პიონერთა სასახლის წინ, სანახევროდ გაძარცვულ ხეივანში, თავისი დინჯი ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხანათურად ნასროლი ტყვია ბოლ-ოს მაინც გააკეთებდა თავის მუხანათურ საქმეს. ივლიდა, ივლიდა, ივლიდა და ვიღაცას მოხვდებოდა გულში.

ის ვიღაცა მეორე გუგული იქნებოდა. იმ მეორე გუგულის თავისი თეა ეყოლებოდა. ორივეს ექნებოდა ფიქრი და განცდა, თავთავიანთი დარდი და სიყვარული...

არა!

ტყვია, რომელიც გუგულის მოხვდა, არ უნდა გავარდნილიყო!

არ უნდა გავარდნილიყო და...

შემოდგომა უყვარდა დიდ ხელმწიფეს.

ახლა შემოდგომაა.

ჩვენებური მსუყე და დაოქროვებული შემოდგომა.

მაღალ-მაღალი, მხრებში ლაღად გაშლილი გუგული რუსთაველის პატარა ტეტზე მოაბიჯებს.

მოდის და ხუმრობს. იცინის და თეასაც გულიანად აკისკისებს.

მისეირნობენ. უსიტყვოდ შესცქერიან ერთმანეთს და იცინიან. ჩურჩულებენ და იცინიან. ეცინებათ და იცინიან.

იციანიან და წინ მიმაყალ ქალ-ვაჟს შესცქერიან.

ეს ქალ-ვაჟი გუგულის და თეას ნაშიერი, მათი მონაგარი, მათი სულთადგმა!

დაიხრება გუგული, წელზე მოხვევა ხელს, ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს ბედნიერ თეას.

ჩასჩურჩულებს და იცინიან. იცინიან და მიდიან, მიდიან და...

ეხ!

კარგი ბიჭი იყო გუგული, კარგი ბიჭი!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით მურმანიშვილი

უცნობი მხედარი

ჯარისკაცის დღიურიდან.

ის იყო მიწყდა ყუმბარების გამაყრუებელი ხმა, მაგრამ ყურებში ისევ ისმოდა ჰაერში გაფრენილი ჭურვის ზუზუნი. ისევ წინ მიიწევდნენ მებრძოლები. უკან რჩებოდა ნატყვიარი, ნახანძრალი მიდამო: უკან რჩებოდა რიდემორღვეული ბინები, მინებჩამტვრეული, ჩონჩხადქცეული კვარტალები, ცეცხლის ალით შერუჯული ხეები.

ტყეებში შეხიზნული მოსახლეობა ნელ-ნელა უბრუნდებოდა გაციებულ კერას. ლტოლვილი ადამიანები ძებნიდნენ გაპარტახებულ ეზოში მიმოფანტულ ავეჯს.

ცხენს საკვები მივეცი და გზისპირად ნაფოტივით ამოტრიალებულ არყის ხეზე ჩამოვჯექი. მოღლილი თვალებით გავხედე ცას გაკრულ თვითმფრინავებს, მტრისკენ რომ მიჰქროდნენ. მიჰქროდნენ და მიჰქონდათ ყუმბარებში მოთავსებული შურისგების რისხვა, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ ბარბაროსებს თავზე დაატყდებოდათ.

— რამ ჩაგაფიქრა? — შემეხმიანა თანამებრძოლი.

— საფიქრალი?

— მაინც რა მოხდა.

— რა აღარ მოხდა.

— მოხდა და ხდება. ომია.

— რას უზიხარ, წავიდეთ.

— სად.

— სოფელში.

— შენც მოგიფიქრებია.

— წამოდი, წამოდი. — არ მეშვებოდა ზვიადა.

— რა გაეწყობა, წავიდეთ.

ზვიადამ ფეხი გაუყარა უზანგს. ავაზასავით აიქნია ტანი, დეზი ჰკრა ლურჯას და მიწიდან მოწყდა. მეც შევუტიე ჩემს შუბლთეთრა ბედაურს.

მივქროდით.

ქარი წეწდა ცხენის ფაფარს და სახეში მაყრიდა. გარკვევით მესმოდა პირუტყვის ქლოშინი და მძლავრი სუნთქვა.

მივქროდით გაჭიმულ შარაზე.

— ცხენები შეაყენეთ, ცხენები! — ყვირილით გამორბოდა ქალი.

გავჩერდით.

ჩვენს მახლობლად იდგა სამოსელშემოფლეთილი, თმაშეტრუსული, ნამტირალევი დედაკაცი.

— თქვენ ხომ ჩვენები ხართ, ჩვენე-

ბი... მომყევით, აქვეა, სულ ახლოს უნდა წამოხვიდეთ. — ამბობდა და ნაბიჯს თანდათან უმატებდა.

სოფელში მივდევდით უცნობ ქალს.

გავიარეთ მიხვეულ-მოხვეული გზები.

— აი ჩემი სახლი... ჰო, აქ ჩემი ბინა იყო. ჩვენ აქ ვცხოვრობდით. აქ იყვნენ მოხუცი მშობლები, შვილები... ორი ვოგონა, ერთიც ბიჭუნა... მეუღლე, პარტიზანი ვიქტორ ტკაჩენკო ფაშისტებმა კოცონზე დაწვეს. მშობლები აწამეს და მერე სახლიც ცეცხლის ალში გაახვიეს. ხანძარი შთანთქმას გვიპირებდა...

მოსაუბრე წუთით დადუმდა. მერე გაზედა ეურაინის მოლუარჯო ცას და ცისფერ თვალებზე მოწოლილი ცრემლები გამურულ ღაწვებზე აგორდნენ.

უცნობი ქალი კვლავ სდუმდა. თითქოს დავიწყებოდა ის, რაც უნდა ეთქვა, ვერ გადაეწყვიტა როგორ დაეწყო. ბოლოს ცრემლიანი თვალები შემოგვანათა და ყედლებს გაყვა. ქვის კიბის საფეხურებთან დაიხარა. მაზარის ხვია გახსნა, ჩელში აიტაცა თაფლისფერთვალებიანი, თმახუჭუჭა ბიჭი და მკერდში მძლავრად, ღონივრად ჩაიკრა.

ბავშვმა ჯერ ჩვენ შეგვათვალიერა, მერე ფიდას მიებრუნდა, მაღალ მკერდზე პატრა: თითებით მოძებნა ძუძუ და უკბილო პირით დაიკრა. ნებიერად წოვდა, თან გადმოგვხედავდა ხოლმე, საკმარისი იყო თოფინან ძია მხედრებს წარბები ოდნავ შერხეოდათ, რომ ბიჭი სატირლად მომზადებულიყო.

— სამი შვილიდან ესღა შემრჩა. მთელი ოჯახიდან ჩვენ დავრჩით. უცნობი მხედარი ისომ არ გამოგვჩენოდა, ჩვენც დავიფერფლებოდით, დაგნახშირდებოდით. ვაი რომ ცოტა გვიან მოგვევლინა ის მხედარი. იჰ, ეს რა მემართება, ომმა ლმის გონებაც გამომაცალა. — წამოიყვირა. ბიჭი ისევ მაზარაში გაახვია და კიბის საფეხურების ქვეშ დაიბინავა მკერდი შეისწორა და ბეჭმბისაკენ გაიქცა. გარბოდა და მოგვძახოდა.

— მომყევით! მომყევით!

მივდევდით.

ქალი ბეჭობზე, ლოდებს შორის ხანდიანს დაემხო და აქვითინდა. ... ალის გაშლილ თმას ქარი წაუ... მოფლეთილ, შეტრუსულ კაბას უფრიალებდა და... მაინც თავისას განაგრძობდა:

— ხომ გითხარით. აი ის უცნობი მხედარი. ის მხედარი, რომელზედაც გიამბობდით. ჩვენ გადაგვარჩინა. ბიჭი ხანძარს გამოგლიჯა, ხომ ხედავთ, მივეხმაროთ ეგვე მოძმობიდეს.

სისხლიან მხედარს ნაბადი გადაეხადეთ, მწვანე სამოსი წითლად შეღებილიყო. გულღმა იწვა. თვალები ცისთვის მიეშტერებინა.. წამწამების ჩრდილში შავ ლაქად გადაკეკროდა ტკივილით მოძალებული ბინდი. ვაზნებისათვის ჩაებღოჯა გასისხლიანებული ელეპატარივით ჩამოსხმული თითები.

მხედრის გაცრეცილი ტუჩები თრთოდნენ.

ოდნავ ირხეოდნენ შავი წამწამები.

ოდნავ ფეთქავდა მკერდი.

ზვიადამ ჭრილობები მოუსინჯა. მე მათარით შუბლზე წყალი ვასხურე, ღაწვებზე თანდათან იკარგებოდა სიცოცხლის ალმური. საფეთქლები არაყით დავუზილე.

მხედარი ოდნავ შეირხა. კბილებში გაურკვეველი ბგერები გამოსცრა. ამოიხრიალა.

— სოფელში პირველი შემოიჭრა. თავი გაწირა. ხანძარს მოსტაცა ჩემი ბიჭი, ჩემი შვილი. ჩვენ თავს ვუშველეთ, მეზობლის სარდაფში დავიმალეთ, მაგრამ... მხედარი მარტო დარჩა, ვიდრე თანამებრძოლები გამოჩნდებოდნენ შედგრად იცავდა ბეჭობს. მე ძალიან კარგად ვხედავდი მას სარდაფის სარკმლიდან. და ის, ვაფაცურად იბრძოდა. თანამებრძოლები უკანდახეულ მტარვალებს მიერეკებოდნენ... ბოლოს თქვენც მოგნახეთ, თქვენც ხომ აქა ხართ.. მე მგონი მოუსწარით, ხედავთ რა უწყალოდ დაცხრილულა მტრის ტყვეებით.

ლაკინ მურგალინეშვილი
უცნობი მხედარი

ეროვნული ბიბლიოთეკა
ა. მარგანის სახ.
სსრ. საბჭოთა
რესპუბლიკა

ქალი უცრემლოდ ქვითინებდა.

ზვიადამ უცნობი მხედრის უბის ჯიბიდან თეთრი ხელმანდილი ამოიღო, როგორც ეს ... ათასსა აჯობებს, თუ გამოორჩევით მქნელია". ის დამშვენებული იყო ვაზის რტოებით და ქარვისფერი ყურძნის მტევნებით. ბოლოში ხელმანდილის ნაწიბურს კიდევ ერთი წარწერა ამშვენებდა „გოგიტა ვაშაკიძეს მანანასაგან".

სიზმარივით მოხდა ყველაფერი.

ქვემეხების გუგუნი შემოგვესმა. იწყებოდა საარტილერიო სამზადისი. სულ მალე კი იერიშით ვეკვეთებოდით მტერს.

მიგვყავდა ნაბადში გახვეული მხედარი. ჩვენთან ერთად მოდიოდა უკრაინელი ქალი. წინ იშლებოდა იმედიანი გზა, უკან რჩებოდა სისხლის, სევდის და ხანძრის ნაკვალევი.

მძიმედ სუნთქავდა მხედარი.

ვუახლოვდებოდით საველე ჰოსპიტალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლაბაძე

მარადიული ცეცხლი

იმ წელს, უცნობი ჯარისკაცის ნეშტი რომ გადმოასვენეს, ხაკი შემოვიდა მოდაში. საითაც არ უნდა გაგეხედათ — თითქოს მშვიდობას ერთსულოვან სოლიდარობას უცხადებენო, ყველგან ნახავდით მწვანე შარვალსა და ხალათში გამოწყობილ ახალგაზრდებს.

ჯარისკაცი ცხრამეტი წლისა დაეკა. მის მზერაში უკანასკნელად აირეკლა ზურმუხტის ფერი. კრიალა ცაზე რომელიღაც ფრინველი გარაკრაცდა. ატირდა ნაადრევად განედლებული კუნელის ტოტი და სულ ახლოს... ძალიან ახლოს გადატყდა ბალახის ლურტყი ღერო...

ვინ იცის, იქნებ ის გაყინული ფერი გაცოცხლდა ახლა და ხაკის ბლუზა-შარვლიანი გოგო-ბიჭების მდინარედ მოედო ნატრული სამშობლოს ქუჩებს?

მთელი ოცდაათი გრძელი წელიწადი იწვა ჯარისკაცი ცივ სამარეში და რაღაც საოცარი, ბლანტი მოგონებების უსიტყვო და უფორმო მასა აწვებოდა არყოფნაში გაქნილ მის სულს. ტკივილი ხორციელი არ იყო. დიდი ხანია, რაც ივი სრულიად განიძარცვა ხორცისგან. ბოლგავდა უცხო მიწაში განთესილი მისი ძვლები და მარადისის თვინიერი თმენით აგროვებდა იმ უცნაურ მოლოდინს, ოცდაათი წლის შემდეგ რომ უნდა აღსრულებულიყო. დროისა და სივრცის გარეშე მყოფი, უმხედველოდ, უსმენოდ და უმეტყველოდ შთენილი, არყოფნის ზოგადი და კრებითი ბინადარი გამხდარიყო, სადაც ყოველივე ამქვეყნიური, რასაც თვითონ წარმოადგენდა დაცემამდე და რაც, თავის მხრივ, მასში პოულობდა განსახიერებას, მისთვის იმაზე მეტი მნიშვნელობა რომ არასოდეს ჰქონია, რასაც თავად ანიჭებდა, მისდა გასაკვირად, ახლა დამოუკიდებელ არსებობას კი არ დაბრუნებოდა, ფორმა ეცვალა და არყოფნაში გაფანტულ მის სულს შერწყმოდა. ოღონდ აქ არც აწმყო იყო, არც წარსული და არც მომავალი. ის, რაც ამ სამი მარადიული განზომილების შიგნით ხდებოდა, მოგონებების თბილ ნისლად ეხვეოდა მის ჩონჩხადქცეულ სხეულს და ხანდახან ისეთი საბეერი იყო დაფარული ეს უჩვეულო ციალი, საცაა განედლდებოდა დროის ქარებისაგან გამხმარი და გამოფიტული ძვლები, რაღაც

აიხილებოდა მათში და გასაოცარი სიმარტივით ამოიხსნებოდა წუთისოფლის ბინდისფერი გამოცანა.

და აი, დაჰკარა ეკმბა...

მშობლიური და მზრუნველი ხელით შეგროვილი მისი ძვლები სათუთად ჩაესვენეს საცხედრე ყუთში და სამშობლოსკენ მიმავალ ნატრულ გზას გაუყენეს. აწრიალდა არაყოფნაში გაქნილი მისი სულიც, უცხო მიწისგან გამოხრულ და დაფუტურეობულ ძვლებში აფათურდა, საკუთარი თავის მაძებარი და მოზარე. ხოლო პროცესია რაც უფრო უახლოვდებოდა ადგილის დედას, მით უფრო ჭვირვალი და თბილი ხდებოდა მოგონებების სალმობანარევი ნისლი. ყოფნა-არყოფნის ბეწვის ხიდზე ბუზისტოლა წერტილივით გამოჩნდა რაღაც... წარისულო! ჯარისკაცი უკან ბრუნდებოდა! მცხუნვარება მოემატა მოგონებების უსახურ ნისლს, უსიტყვოდ ამღერდნენ მისი მოზარე სულის იადონები. საცაა გაიღებოდა ყოფნა-არყოფნის ბეწვის ხიდი და წუთისოფლის ის ავბედითი გამოცანაც ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდებოდა. მაგრამ უცებ ერთ გზაჯვარედინზე წელში მოხრილი, ხელჯოხიანი ბერიკაცი გადაუდგათ წინ:

— გიორგი, შვილო, გიორგი!..

ჯარისკაცი შეკრთა. მტკივნეულად აბორგდა მის დამზრალ არსებაში განაბული მისივე სული და ყოფნა-არყოფნის შემარიგებელი ბეწვის ხიდიც უმალ გაქრა.

ჯარისკაცი იმად იქცა, ვისაც ეს ბერიკაცი მოუხმობდა.

— გვანჯი ჯიმა!

— მათიაუ!

— გივარგილ, მიშგუ ლადეღ სი!

ჯარისკაცი ელვისებურად იცვლიდა სახეს: ხან გვანჯი იყო, ხან გივარგილა, ხან მათია და ხანაც გოდერძი. ვისი ბერისუფალიც მოატირებდა, იმად იქცეოდა უმალ და მისი მოქანცული, დაღლილი ძვლები ლამის დამსხვრეულიყო ამ უნაპირო, საყოველთაო ტკივილისა და მწუხარების ქვეშ.

მაგრამ ჩუ!.. ეს ვინღაა? საიდან მოფრატუნდა ასე დამდნარი და ჩაფენილი? ბოლომდე ჩამწვარი ... ! ბოლომ! მზოლოდ ამ დღისთვის, ამ წამისთვის რომ ინახავდა მკვდრის სინათლეს.

— ნენა, რომელი ხარ, შვილო?..

ჯარისკაცი დაიბნა. ამ ქალს ოთხი შვილი ჰყავდა ომში დაღუპული, ოთხი ერთმანეთის მჯობნი ვაჟკაცი. რომელს დამსგავსებოდა? შეეშინდა, ხელახლა არ მოეკლა შვილები უბედური დედისთვის და უმალ თავის ბუნდოვან არსებას მიუბრუნდა, არარაობაში ჩაკარგულს. მალე მშობლიური ქალაქიც გამოჩნდა და, როცა ჯარისკაცის ნეშტი მდინარის პირას საგანგებოდ გაჭრილ მიწაში ჩაუშვეს, აწყმოდ გაისინათლა არყოფნის საუფლოში და წარსულის გვერდით დაემკვიდრა.

ჯარისკაცი გათბა. მისმა ძვლებმა ნელ-ნელა გაიხსენეს, როგორ დაეცა ცხრამეტი წლის მეოცნებე ბიჭი ბრძოლის ველზე, როგორ ატირდა ნაადრევად განდლებული კუნელის ტოტი და ახლოს, სულ ახლოს როგორ გადატყდა ბალახის ლურტყი ღერი...

ჯარისკაცმა მაშინ მთელი საშინელებით იგრძნო, მარტო რომ დარჩა სიცოცხლესთან გამოთხოვების ჟამს, სრულიად მარტო... ეს მიწა ვერ იქცეოდა მისთვის დედა-მიწად, მომაკვდავი შვილი რომ უნდა ჩაეკრა მკერდში და მის მომჭრალ გულისცემაში საკუთარი სიკვდილისთვის მიეყურადებინა. ამ მიწის უცხო და ბებერი ტანი ვერასოდეს შეიგრძნობდა, რომ აქ ცხრამეტი წლის ბიჭი კი არა, მისი სისხლი და ხორცი დაეცა, მისი სიცოცხლისა და არსებობის საუკეთესო ნაწილი, რომელიც მისმავე წიაღმა აღმოაცენა, მისმა ძუძუმ გამოკვება და ტანჯვითა და ტკივილითა შობა მისმა საშომ. უცხო, უცხო იყო აქ ყოველივე...

და ახლა, როცა მშობლიურ მიწას ჩაეხუტა მისი დამზრალი ძვლები, როცა აჩუჩუნდა, ამეტყველდა, აფუთფუთდა

სამკვიდროს წიაღი, ჯარისკაცმა მონატრული გულისყური მიაპყრო ამ ნაცრად და ახლოგელ ხმებს და უმალ გადაიხსნა მოგონებების ნისლიანი რიდეც. ისევ ძველურნენ მისი მოზარე სულის იადონები. ჯარისკაცმა თავისი დაკარგული სახე მოიძია და იპოვა იგი წარსულისა და აწმყოს შესართავში. ახლა მომავალიღა აკლდა არყოფნის ბინადარ მის არსებობას, რათა საცნაური და მისაწვდომი გამხდარიყო წუთისოფლის ამოუხსნელი საიდუმლო, უხსოვარი წელია ასე რომ აფორიაქებდა ყველა მოკვდავს.

და აი, ვიღაც აღმდგარა, ვიღაც შეჭიდებია ამ მარადიულ საიდუმლოს და ქვის უდრეკ ბუნებაში მოუწადინებია მისი გაცხადება.

ხაკისფერი ხალათი ქამრამდე ჩახსნია და ჭაბუკ ოსტატს, საიდანაც ძლიერი, დაკუნთული მკერდი მოუჩანდა, საკრეთელი მახვილივით ჩაებღუჯა და ეტრიალა წარმავლობას მოუსვენარი დღისა და თვრად გათენებული ღამეების შესაყართან.

ჯარისკაცს ესმოდა ბრძოლის ეს დაუმცხარალი ხმა. იგი მისი დაფუტფუროებული ძვლებიდან იწყებოდა და მთელს ქალაქს, მთელს ქვეყანას, მთელს სამყაროს ეფინებოდა როგორც მომავლის დიდი იმედი და სასოება.

მოქანდაკეს ჯარისკაცის სახის ძიება არ დაუწყია, ახლახანს გარდაცვლილ მეგობრის გამოძერწვას მიჰყო ხელი. ჭაბუკს ახსოვდა, როგორ მოულოდნელად წავიდა იგი. გამთენიის ხანს მიიცალა და, როცა მთელი ღამის უძილარმა სიკვდილისგან გაუცხოებულ მის გვამს შეავლო თვალი, შეძრწუნებული უკუიქცა. რა იყო ეს? საით წავიდა? არავითარი კვალი არ დარჩენილა ამ ყინულადქცეულ ცხეიდარში, არავითარი ნიშანი! ნუთუ ეს არის დასასრული?

შემოქმედის გონებამ ვერაფრით ვერ დაიჯერა, ვერ ირწმუნა ადამიანის ასე უკვალოდ გაქრობა და გადაწყვიტა მოძებნა სიყრმის მეგობარი... მოეძებნა ამ ქანდაკებაში, უცნობი ჯარისკაცი რომ ერქვა, საკუთარ ტკივილში განესხეულებინა ის საყოველთაო საწუხარი, რომ დაათი გრძელი წელიწადი რომ [illegible] ბდა მის თაობას.

მაგრამ ჯარისკაცმაც იპოვა უკვე დაკარგული არსება და საოცრად მოუნდა. მავანი უცნობი ბიჭი კი არა, თვითონვე მდგარიყო ახლა თავის საფლავზე, ქვაში გაცხადებული და აღმდგარი.

და, როცა ჭაბუკმა მოქანდაკემ ხანგრძლივი ღამისტეხისა და მუშაობის შემდეგ ქანდაკება დასრულა, შემკრთალი და გაოგნებული შეაჩერდა თავის ნახელავს: არა, ეს იყო ეს მისი მეგობარი! ვიღაც, სრულიად უცნობი, უწვერულვაშო ბიჭი შემოკქეროდა მადლიერი თვალებით ოსტატს, სამკუთხა ქუდითა და მძიმე შაშხანით ხელში.

ვინ იყო? საიდან მოვიდა? არავითარი კვალი, არავითარი ნიშანი!

და კვლავ ბინდისფრად ჩამუქდა წუთისოფლის ბედითი გამოცანა....

ქანდაკება რომ დადგეს, ჯარისკაცის ფარულმა თვალმა ძვლებიდან ქვაში გადაინაცვლა და ახლა მთელს ქალაქს გადასაკქეროდა მონატრული და მოსიყვარულე მზერით. მის ფეხებთან მარადიული ცეცხლი გიზგიზებდა და ჯარისკაცს ეჩვენებოდა, რომ ეს მისი სული ანთებულიყო, საკუთარი სხეულიდან ოტებული და მიუსაფარი.

ჯარისკაცი ქალაქის ცხოვრებით ცხოვრობდა. ყოველ ცისმარე ამომავალი მზის სხივებში გახვეული, დადარაჯებული სიხარულით მიაცილებდა თანამოქალაქეებს სამუშაოზე თუ სკოლებში, ქარხნებსა თუ ბაგა-ბაღებში და მერე მთელი დღე თავს დასტრიალებდა მათ საქმიანობას ფარული გონების თვალით; ხოლო როცა მზე სამზეოსკენ მიიწურებოდა და ვარდისფერი დაისი შეღებავდა კაბადონს, ჯარისკაცი მათთან ერთად ბრუნდებოდა შინ ნაჯაფი და ნამუშაკევი, მოღლილი და მოჭანცული, მის ფეხებთან

გიორგი ლაგაძე
მარადიული ცეცხლი

კი კვლავინდებურად გიზგიზებდა მარადიული ცეცხლი, როგორც მომავლის სხივჩაუმქრალი ფანჯარა. მხოლოდ მყობადის სახე იყო ბუნდოვანი ამ ნათლისფერ ღიობში და ჯარისკაცი ელტვოდა მის ხილვას.

ერთ დღეს, ზაფხულის საცურაო ალო რომ იყო მოწეული, ჯარისკაცმა მდინარეში მობანავე ჭინკა ბიჭები შენიშნა და სუნთქვაშეგუებული ადევნებდა თვალს მათ ჭყუმპალს. მერე ბიჭები მდინარიდან ამოვიდნენ, ტანსაცმელი წამოკრიფეს და პირდაპირ მისკენ გამოემართნენ. ჯარისკაცი წინმომავალს დააცქერდა და გული გაუჩერდა... ბიჭებს თვითონ მოუძღოდა სახემცინარი და ბედნიერი! ჯარისკაცმა თვალები დახუჭა და გულისხმა მიადევნა საფეხელ, შეუფერი წარსულიდან წამოსულ ამ ორეულს. აჩქამდა ქვაში გაყინული სიცოცხლე და მარადიული ცეცხლის ენით შეესიტყვა გარემოს. რა გულისწყვეტა იყო ეს? რა გულისტკივილი? თვალი რომ გაახილა, უმალ გაეხსნა მეჭეუნვარე შუბლი: ბიჭები უკვე მოსულიყვნენ და საფლავის ირგვლივ დახტოდნენ ტიტლიკანები, თან სველ ტრუსებს წურავდნენ. შემდეგ იქვე ჩაცუცქდნენ, მის ფეხებთან. გაწურული ტრუსები გაშალეს და მარადიულ ცეცხლს მიაფიცხეს გასაშრობად...

მომავალმა დილასავით შემოიხედა ჯარისკაცის სულში.

ჯარისკაცი გაცოცხლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზო ამაშუკელი

ალორძინებულო მზვარევ

მიწა მაქვს და
მიწა მქონდა
დარი მამალ ხოხბის ფრთისა,
— მოყვრის მსასოებელი და
დამზაფვრელი მოშურნისა!
მაღლივ-ღმერთი არ მაკლებდა
შუბლზე მირონცხებულ ნიშანს,
რკინას ვჭედდი,
ვაშენებდი
საყდარსა და სანთლის ნიშას.
მე ბოლნისის ლომებს ვთლიდი,
სულს, ჩემივე ჩუქურთმისას,
ვაზის ჯვარზე სხივს ვახვევდი
კაბადუკიელის თმისას,
საწნახელში ბიჭი იდგა
ვადას ჩაფრენილი ხმლისას,
აკვნიდან რომ არ ენახა
მშვიდად დაღამება დღისა...
იქით ვეშაპს ხმალს ვუქნევდი,
აქეთ დიდოს,
ლეკს და ხიზანს,
წიგნიც დაწვეს,
ვაზიც ჩეხეს,
მაინც ვერ ეწიენ მიზანს,
— ზოგჯერ ჩემგან ჯვარწერილი
მეზობელიც ამემრიზა,
შინაურმა თუ არ დამკლა
მე მომხვდური ვერას მიზამს!
მე ჩემი მაქვს მოსავლელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი არ გამირბის სხვისას,
წვეთ-წვეთად და
მისხალ-მისხალ
მიწა მეფე — თამარისა!
ვინც შეირგებს ჩემს ზედაშეს
ჩოხას მივუბოძებ ძმისას.
ვინც არა და
ნუ მიიჩნევს
თავს ამ ცა-ფირუზის ღირსად!
ზოგიერთმა აიღო და
ჭკუაც დაამატა ქისას,
რაც ქონდა და
რაც არ ქონდა
ყველა ერთად მიითვისა,
მე კი ვფლანგე, ვხარჯე, ვწეწე
სული მზის და თიბათვისა,
— მაინც ვერვინ შეედარა
ნესტანსა და თინათინსა!
აღარც ხონთქრის მეშინია
არც შაჰის და ყაენისა,
— ხატზე ბევრჯერ გადავეცი
ვინც მამული გაასხვისა!
ჩემად ვიჩნევ
მოძმის ტკივილს,
იმის სიხარულს და ჭირსა
და მწამს ჩემი ბედისწერის,
აწმყოსი და მომავლისა!
— აღორძინებულო მზვარევ,
მხარევ გაბადრული მზისა,
— ილოცვიდე დედა-ენას
ზეპირობდე ხმალზე წერილს
სამუდამო პარაკლისად: —
— „მე ვარ ავი მუსაიფი
კახთ-ბატონის ირაკლისა!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ჯოხაძე

ჰამლეტ გონაშვილს

გაგიროტებული იყო დამპყრობელი. ამდენი ქვეყანა შემოესია, ამდენი ულელი დათალა ხალხის დასამონებლად, ტაბიეებიც ჩამოაცვა ხალხს კისერზე, მაგრამ ვერა და ვერ გადაგრიხა აპეტრები ისე, რომ ამ პატარა ხალხს სტრეოლის ნერწყვის გადაყლაპვა გასჭირვებოდა. ყოველ დღე გრძნობდა თვალებდასისხლიანებული ჯალათი, რომ იმ ტაბიეებიდან თავს დაიძვრენდნენ გაუტეხლად დამარცხებული ვაჟკაცები და მერე ვაი მათ, ვისაც ქედდაზელილ აისერსა და რქებზე საბურთაოდ მოიგდებდნენ.

ვეება ამალით, დარაბტულ ცხენზე ამხედრებული პირველი ჩალმოსანი, როცა ტყეეთა სატანჯველს ჩამოუვლიდა, თვალებს აჭეთ-იქით აცეცებდა კრთოდა, საიდანღაც ქვა არ ასხლტილიყო და მის ჩალმაში ღრმად და მკვრდრად ჩასმულ ბრილიანტს არ მოხვედროდა.

შიში აუფერულებდა ჩალმაში მოქცეულ ბრილიანტს ბრწყინვალებას.

გულღრძოს კიდევ ის აშფოთებდა, რომ ვერც თავის კარისკაცების, ვერც მიედრების და ვერც გარსშემოკრებილ დაახლოებულ დიდებულთა თვალებში სიმშვიდეს ვერ ხედავდა. გულმანით გრძნობდა, რომ მათაც რაღაც აკრთობდაო, რაღაც აღშფოთებდათ და მაშინ, როცა თავის ყველაზე ძვირფას საწადელიღწეულს მშვიდად და განცხრომით უნდა გაეტარებინა ღვთით ნაბოძები დარჩენილი წლები თუ დღეები, ღილღვიძილში იყო თუ ცხადში, ხალათში დამალული პატარა სატევარისათვის ხელი ვერ ვაეშვა.

შიშმა უფრო გაიდიდა თვალები.

დამპყრობელმა როცა თავისი ქვეყნის სამნები ოთხმხრივ გადასწია, როცა მის მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან მის ხსენებაზე ხალხი დაიბეჩავა, მაშინ გადაწყვიტა ამ პატარა ქვეყნის დაპყრობა, რომ თავის გვირგვინისათვის მეტი ბრწყინვალება შეემატებინა. მაგრამ ვაი, რომ, სწორედ ის პატარა ქვეყანა, გა-

ჩხირა ყანყარატოსთან და და ვერც გადა-
ყლაპა და ვერც უკან ამოანთხია.

გულღვარძლიანი გრძნობდა, ხელშე-
სახებად გრძნობდა, რომ, რაც დიდების
მომტანი ეგონა, ნისლავდა მის სახელს.

პატიმოყვარეს არც ძალა ყოფნიდა
და არც გამბედაობა, რომ მიეტოვებინა
ეს მთაგორიანი და ნაყოფიერველებიანი
სამოთხე და უკან გაბრუნებულიყო. მე-
რიდა ეს ხომ დამარცხება იქნებოდა.
დამარცხება არა მარტო დაპყრობილი
ხალხისაგან, არამედ თავისი თავისაგა-
ნაც.

შიშობდა მდიდრულ პალატაში, კა-
რისაკაცებით გარშემორტყმულ სამყო-
ფელში მარტოდმარტო დარჩენილი და
ზენაარის სთხოვდა რომ შეეგონებინა
მისთვის გულის დასამშვიდებლად.

ბეგრის მნახველი გუმანით გრძნობ-
და, რომ ამპერატორი ვეღარ უძლებდნენ
ხალხის ქედს და ან ისინი დაწყდებო-
დნენ ან და ტაბიკები დაილეწებოდნენ.

ამიტომ ეშინოდა, რომ მთელი თავისი
ერთგული ადამიანები მზედლებად აქ-
ცია და უბრძანათ: ხუნდები სჭედეთო!

დანაჯახ მირდა ტყეები.
აქ ტოლდნენ საბერკვლები.
გახურდა გრდემლი და კვერი.
ამოშინდა წყალი.

წყალი და ლიმონი ერთმანეთს შეე-
ბილ.

ოფლად გაიღვარნენ ტყავფეშტამლია-
ნი მჭედლები.

დახვავდა ხუნდები.

ყველგან გაისმა ხუნდების წკარუნ-
ქერქიალი. ხალხს, ამაყ და გაუტეხავ
ხალხს, ხელ-ფეხზე რკინამ მოუჭირა.

თითქოს მშვიდობას უნდა მისცემოდა
დამპყრობელი.

ვერა და ვერ ჰპოვა. მაინც შიში უკ-
რთოდა თვალებში.

— დიდო მბრძანებელო, — ქედმოხ-
რით მოახსენებდნენ მორჩილნი, —
თქვენი მზეგრძეველობა ხელშეუხებელია.
გახსენით წუბლი, რომ ყველამ გაიხა-
როს და ედემის ვარდებად იქცნენ ეკალ-
ბარდებიც.

— დიდო მბრძანებელო, — მის წინ
გართხმული შეპალაღადებდნენ მორჩილ-
ნი, — თქვენი მზეგრძელობა ხელშეუ-
ხებელია. დასტაბი სიცოცხლეზე და ვა-
ვატაბე ჩვენც შენი წყალობით.

— დიდო მბრძანებელო, — ელაქუცე-
ბოდნენ მის კალთას შეფარებული მორ-
ჩილნი, — ქვეყნის ოთხივ კუთხე შენ
შემოგაყურებს და მზია გაბრწყინებასა-
ვით ელის შენს ღიმილს. გაიხარე და
სიკეთით აგვავსე ყველა შენი ერთგული.

ირწმუნა მბრძანებელმა თავისი ძლი-
ერება და უკადავება. აღტკინდა, გაი-
ხარა და თავის ერთგულებს სალარო
გაუხსნა. ლხინს არ ეშვებოდა. ღრეობ-
და და თავდავიწყებას ეძლეოდა განცვ-
ხრომას მონატრებული. ისმოდა მუსიკა,
ხმები და მის ყურთასმენას უფრო ატკ-
ბობდა ბორკილდადებულ ხალხის აღ-
ლუმი. საზეიმო მუსიკას ხუნდების წკა-
რუნი ერთვოდა და ეს ხმაური უფრო
ატკბობდა მის გულს.

დიდება არც ისე მძიმე ასატანი ყო-
ფილაო, ირწმუნა დიდების მოყვარულ-
მა და ნეტარება მოეიალა.

იგი ძვირფასი, ვრცელი კრიალოსანის
თვლებზე ითვლიდა...

და ერთ მზიან დღეს გადასათვლელად
შემზადებული ქარვის ვეება თვალი
ხელში შეაცივდა.

სახე ეღლეწა.
ზეზე წამოიჭრა.
თვალებმა დაკვესეს.
რა მოუვიდა?

რამ ჩაჭრა მისი ჩალმის მარგალიტის
ბრწყინვალება?

და მან ოყვირა
— ეს რა ხმა ისმის?!

მისიანნი მის წინ დაემხნენ. ყველამ
შუბლი იატაკს ჰკრა. არავის სურდა
მბრძანებლისათვის თვალში შეეხედა,
რომ პირველი პასუხი მისთვის არ მოე-
თხოვა და მერე ტანსა და თავს შორის
ჯალათის ნაჯახს ვაეკლო.

— ეს რა ხმა ისმის?! — გაიმეორა
უფრო მრისხანედ და მის ახლო დამხო-
ბილს წიხლი წაჰკრა.

მონა-დიდებული ოდნავ წამოიმართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მავედრებელი თვალებით შეაჩერდა მრისხანებას.

— რა ხმა ისმის-მეთქი?! — ხმა აღარ ჰყოფნიდა და წაისისინა.

— ნუ, ჩემო მბრძანებელო, ნუ, ჩვენო ძალავ, ნუ, ჩვენო დიდებავ, ნუ დამაკლებ შენს ფერხთა მტვერს, პასუხი გაგცე...

— შენ მიპასუხებ! მე, მე, ქვეყნის მბრძანებელი, მოვითხოვ ამას! რა ხმა მოისმის?

— ეს სიმღერაა, მბრძანებელო.

— სიმღერა? უცხო ხმასა ჰგავს ჩვენს ჩანგზე მოურგებელს. მერე და ვინ მღერის, ვინ მღერის უცხო სიმღერას?

— დიდო მბრძანებელო... მე ნუ გამწირავ თუ მართალს გეტყვი... უცოდველი ვარ...

— სთქვი, გიბრძანებ! სიმართლე მითხარ და პირველ კაცად გაქცევ ჩემს შემდეგ.

— დიდო მბრძანებელო, მონა მღერის!

— მონა მღერისო?! — იღრიალა გაოგოფებულმა და მოპასუხეს თავში ასტამი დათხიოლაშა. — მერე ხუნდებო? ნუთუ ხუნდებდადებულთ შეუძლიათ სიმღერა?!.

ყველა გაიტრუნა. შორს კი ობლად მომღერალს სხვა ხმებიც შეუერთდა და ბორკილთა ყიარუნში შერწყმულ ხმებში ყველას ბატონმა რაღაც უდიდესი საშინელება იგრძნო.

— მომგვარეთ ის!!

ვიღაც უკან-უკან ფოროთხვით გაეცალა მბრძანებლის ალმოფეფლს.

ბორგავდა ქვეყნის ოთხივ მხარის დამაყრობელი. მას სურდა მზეც და მთვარეც თავის ნებისათვის დაემორჩილებია — ისღა აკლდა! და აი, უცებ შეიტყო: თურმე მიწაზედაც ვერა ჰქონია საქმე ძოგვარეტელი! მისი ძლიერება მოჩვენებითი ყოფილა. ქვეშეცნობიერად იგრძნო ეს და შეაკრთოლა.

ხელშებიანებმა მაღალი, გაძვალტყავებული, ბორკილდადებული ჭაბუკი შემოიყვანეს.

მბრძანებელმა რისხვით შეხედა.

ჭაბუკს თვალი არ დაუხრია, ჯიუტად იდგა. ყველას ბედის გამრიგემ ეფიერული რისა ჭაბუკის თვალთა უტ[illegible] როგორ ბედავს ჩემს მახვილ მზერას. თვალი გაუსწოროსო და თვით მოარიდა საშზერალი. შეტრიალდა.

— ვინ ხარ, ჭაბუკო? — თითქოს დაყვავებით ჰკითხა ბორკილასხმულს.

ჭაბუკმა, ისე რომ ქედი არ მოუხრია, არც მბრძანებელი და არც სხვა დიდება მის მიმართ არ დასაცდენია, ისე უპასუხა:

— მე ამ მთების, ამ მინდვრების, ამ ცის, ამ მდინარის, ამ ქვეყნის შვილი დაპატრონი ვარ.

შეურაცხყოფილ დიდებას სურდა ებრძანებინა, მახვილი მაგ მკერდსო. მაგრამ თავი შეიკავა.

— შენა მღეროდი? — უფრო დაყვავებით და ხმის კანკალით შეეკითხა ძალა.

— სიმღერა მღეროდა ჩემი ხმით.

მბრძანებელი აენთო და მკვირცხლად შეტრიალდა

— და შენ ხომ იცი, სხვა ხმაზე სიმღერა აკრძალული მაქვს?

— ვის შეუძლია, სიმღერას უბრძანოს, ნუ იმღერებო? — კითხვაზე კითხვა შეუბრუნა ჭაბუკმა და წელში უფრო გასწორდა.

— მე! — ამაყად უპასუხა ქვეყნის მპყრობელმა.

— ნუ იტყვით მაგას. სიმღერა თავისუფალია, ის არავის მორჩილებს.

— იცი, მე ვინ ვარ?! — ვეღარ დაფარა მრისხანება ქვეყნად მონობის მომტანმა და თვალებში ჩაეჩერდა უდიერ ჭაბუკს.

— შენ ხარ დედის შობილი... ისეთი მოკვდავი ხარ, როგორც სხვა ყველა და შენც იქცევი მიწად, როგორც სხვა ყველა და შენც, უკვდავება ჩაჭიდებულს, ისე დაგესევა ჭია-ღუა, როგორც სხვას ყველას და შენი სახსენებელი ისე

გივი ჯიოხაძე
სიმღერა

მალე გაქრება წყეულით და კრულვით. როგორც სხვისი ჯერ არავისი.

მბრძანებელი აენთო, ცის ჩამოქცევა ეგონა ჭაბუკის სიტყვები. ჯერ ასეთი რამ სხვისაგან არ გაეგონა. შეშინდა. კიდეც. ეს თვითონაც კარგად უწყოდა, მაგრამ იქ სხვებიც იყვნენ, ვინც ადიდებდნენ და მათ ეს რომ შეეტყოთ, სულაც არ სურდა. შეცდა. არ იცოდა თუ ეს გათვალტყავებული ჭაბუკი ამდენს გაბედავდა, თორემ ცალკე შეეტევდა ცალკე დაკითხავდა. სურდა, წამხდარი საქმე ჭკუით მოეგო და კვლავ შეეყითხა.

— და თუ მე ეგ ვარ, მაშ უკვდავებას ვინ იმკის?

— უკვდავი მხოლოდ ხალხი და სიმღერაა.

ძალით ძლიერს ეგონა ჭკუით ძლიერი ვარო და სურდა სიტყვით მოესპო ჭაბუკი.

— შენ რა, ჭაბუკო, უკვდავებას არ ელტვი განა?

— მე უკვდავებისაკენ ლტოლვა არ მინდა.

— მაშ უკვე უკვდავი გგონია თავი?

— ასეა სწორედ.

მრისხანება თავს ვერ იკავებდა, მაგრამ რაღაც ბორკავდა, რაღაც ჩუმი ხმა ჩასძახოდა, კიდევ ჰკითხეო და ისევ ძალად ხმას უფავებდა. ეს ვიღაც ჩამოტყავებული, არაფრის მქონე, თავს უკვდავად თვლიდა, ხოლო მას ბევრის მქონეს და ქვეყნის ოთხივე მხრის დამპყრობელს მოკვდავად. სად იყო ამ ჭაბუკის აზრი და გონება. იქნებ სიზმარეული იყო და მას თვალდასადგმელი ეგონა. მაინც სალია თავს.

— რატომ, ჭაბუკო, რატომ გგონია, რომ უკვდავი ხარ?

— იმიტომ რომ მე ხალხი ვარ და სიმღერა, ამ ქვეყნად უკვდავი მხოლოდ ხალხია და მისი გულიდან წამოსული სიმღერა.

მბრძანებელი აენთო.

— თუ ხალხი უკვდავია, მას რჩეული ჰყავს, და თუ ხალხი უკვდავია, მაშინ რჩეულიც უკვდავი იქნება.

— მართალსა ბრძანებ, ბატონო. ახლა დაიღალადეთ სიმღერაზე ბატონო ნოსანო, ხალხის რჩეული ხალხთან ერთად უკვდავია, მხოლოდ რჩეული და არა დამპყრობელი. თქვენ დამპყრობელი ხართ!

— და მოგისპობი?

— და მოისპობი! — ამაყად უპასუხა ჭაბუკმა და ნირშეუცვლელად მიაჩერდა ბრილიანტის თვალს, რომელიც აღარ ცალებდა ფეოლებურად. რადგან სისხლისფერი ღრუბელი ჩაწვეთებულიყო შიგ.

— მაგრამ ვიდრემდის მე მოვისპობი, — კბილებში გამოსცრა დამპყრობელმა, — მე შენს უკვდავ ხალხს და სიმღერას მოვაკვლინებ! და მე ამ ორ უკვდავებაზე უფრო დიდხანს ვიქნები უკვდავი.

— ეს ყველა ძალას ალემატება.

— როგორ ჭაბუკო, — თითქოს დატაცება უკვდავებას შებრძოლებული, — იქნებ ჩემგან ნაბოძები ხუნდები დაცედა და შენი ხალხი ამას ვერა გრძნობს?

— ძაგას კი ვერ დაგიდასტურებ, იმ ხუნდებს ჰაი, ჰაი, რომ მეტის-მეტად გრძნობს ჩემი ხალხი.

— და ია გამღერებს? — იქედნურად. გამარჯვებულივით გაებადრა სახე მბრძანებელს.

— ჰო, ეგ მამღერებს, ხალხი იმ ხუნდების დაცვეთას ელოდა და რომ არ ცვდება...

— და რომ არ ცვდება?... — ჩაეკითხა თვალსისხლიანი

— და რომ არ ცვდება... მიხვდა, დალეწვა ამჯობინებს.

მბრძანებელმა შეიგნო, ბრძოლას აგებდა და დაიღრიალა:

— ყველანი გადით!

ბალატი გაიკრიფა.

— ჭაბუკო, — შიშნარევად შეეკითხა მბრძანებელი. — ხუნდები რომ შეგხსნა, თავისუფლება მოგანიჭო, რა იზამ მერე?

— მე ვიცი ქვეყნად და სულ სიმღერად დავიფრქვევი.

— ჩემზე იმღერებ?

— არა, ხალხზე და თავისუფლებაზე.

— რა გქვია შენ, უტეხო ჭაბუკო?

— ხალხი გონას მეძახის.

— გონა, გინდა დაგასაჩუქრო?

— რა თავში ვიხლი შენს საჩუქრებს!..

— მაშ, მოგალავ, გონა!

— ეგ შენი ნებაა.

— ჰეი, ჯალათო! — დაიღრიალა მბრძანებელმა და დიდ ლიფაინის დანრას ეკითხნი შემოჭაკრა.

ჯალათი კისერდადრეკით შემოძუნძულდა.

— მოაკვდინეთ! — მხოლოდ ესა თქვა და ხელი გონასაკენ გაიშვირა.

გონა მიჰყავდათ. მბრძანებელი ცახცახებდა. ასე ეგონა, რომ სხვისი სიკვდილის განაჩენით, თავის თავს მიუძღვნა სიკვდილი. მუთაქებზე მოირთხა და ფიქრს მიეცა.

ეცემ მის ფანჯრებს. მიღმა გონას სიმღერა გაისმა. უფრო ახლო, ვიდრე მაშინ, პირველად რომ მოისმინა. სიმღერა ლაღი იყო და სულაც არ გავდა სიკვდილმისჯილი კაცის სიმღერას. ამაყი იყო, ვიღაცის თუ რაღაცის მომხმობი.

მბრძანებელი მუთაქებში ჩაიმალა. ტურებზე ბალიშები წაიფარა. შეეშინდა სიმღერის. მერე იმ სიმღერას სხვა ხმაც რომ ჰყვა, მთლად დაილია. ზოლო საშიშარი უფრო ის იყო, რომ სიმღერას ოკინის მტვრევისა და ტაბიკების მსხვრევის ხმა ჩაეწნა.

გონა მღეროდა და სულ არ აქცევდა ყურადღებას ჯალათის აღმართულ ნაჯახს, რომელიც მის კისერს უსწორდებოდა და ოი, საოცრებავ...

სიმღერამ დათრგუნა ჯალათი. სისხლისმოყვარეულიც პირქვე დაემხო. გონა თავმოკვეთილი იყო, მაგრამ მისი ხმა, მისი სიმღერა მაინც ისმოდა...

— რას შვრები, ჯალათო?! — გადმოეცა სარკმელში მბრძანებელი, — ვერ მოჭკალ... — უნდოდა ეთქვა გონაო, მაგრამ წამოცდა, — ვერ მოჭკალ სიმღერა?!

— ვერა, მბრძანებელო, ეს ჩემ ლას ალიმატება.

— ჩემს ძალას ხომ ვერა, რაღას უყურებ?!

— და თქვენს ძალასაც.

სიმღერა ძლიერდებოდა. ადიდებული მდინარის შეაახილს ჰგავდა, ბუხუნებდა, ტაბებოდა, იბრძოდა, ჯიბირებს არღვევდა, წალეკვით ემუქრებოდა წრე აღმდგარ ძალას, ის ძალა ვეღარ უძლებდა უფრო დიდ შემართებას და გზას უთმობდა ხალხიდან ნიაღვარივით მოხეთქილ ხმას. მაგრამ ამ ხმებში გამოიკრიტებულ მბრძანებელს რაღაც ზარივით წკრიალა ხმები უჭრიდა ყურთასმენას...

— ჰეი ვინ ხართ მანდ? — გასძახა შეშფოთებულმა მომხდურმა ტალანებს.

ცბრად მოკეცილი მსახური ამოფლატუნდა რისხვის მოლოდინით გათანგული.

— გისმენთ, მბრძანებელო!

— ეს რა ხმებია ჩართული იმ სიმღერაში, ყურს რომ მჭრის?

მსახურმა მიაყურადა, მერე უფრო მოიკაკვა, დაპატარავდა და წაილუღლუღა:

— ეს, ეს მბრძანებელო...

— სთქვი და გაათავე!

— შენი რისხვისა მეშინია, მბრძანებელო.

— სთქვი, სიკვდილზე უარეს არას მოგწევ!

— ეს... იმ თავმოკვეთილის...

— ვისი?!

— გონას, მბრძანებელო...

— რა გონას?

— გონას შვილები დარჩენია, ისინი ერთვიან ხალხის სიმღერაში.

— ჰეი, ჯალათო! მე ამ მახარობლის თავი მინდა, ტანი შენთვის მიჩუქნია!

ცაში აფრქვეული სიმღერა კი ძლიერდებოდა და ძლიერდებოდა...

ბეჟან ჯოხაძე
სიმღერა

შეშინებული მბრძანებელი ქვეყნის საცქერ სარკმელს მოსცილდა. ბრძანება გასცა. აიყარა იმ ქვეყნიდან. ან რა დაეყოვნებდა იქ, სადაც სიმღერა ვერ დაიმორჩილა. და სიმღერისაგან დამარცხებული, მოკვდავი შეიქნა — იქცა იმად, რაც ჩააგონა ჭაბუკმა გონამ.

●

სიმღერა დადის თავისუფალ ქვეყანაში. სიმღერა განახლებული, ამაყი, მაგრამ ახლაც არის ჭაბუკი გონა, რომელიც არ ივიწყებს იმ გარდასულ დღეებს და მღერის მუხაზე, [illegible] მუმლი ვერაფერს [illegible] ვისუფლებისმოყვარე კვირიაზე, წინ წყაროსთან შეხვედრილ ლამაზ ქალზე, ტელ-ხვავზე, პურის ყანაში დატრიალებულ ნამგალზე და მღერის დღევანდელ მზეზე, სიყვარულსა და ცადაზიდულ ხარაჩოებზე, რომლის დანგრევის უფლებას არავის მისცემს ხალხი და სიმღერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს

სადღეგრძელოდან სადღეგრძელომდე,
სტუმრებიდან — სტუმრებამდე
ქებით გავცვითეთ გელათი და სვეტიცხოველი,
ბაგრატი თუ — ჯვარის ლოდები.
ვეფხისტყაოსანს, მრავალჟამიერს, ოპიზარებს
რითი დავუდგეთ გვერდით, აბა,
ამდენი ხანი რას ველოდებით?

რასაც არ უნდა მივაღწიოთ
და რამდენიც არ უნდა გვაქონ,
ერთადერთსა და უწმინდეს ვალს ჩვენ ვერ ავცდებით,
რომ საქართველოს სიყვარულში ტოლნი ვართ, ხალხო!
და ვართ სამშობლოს ჯარისკაცები,

და წინაპრებით თავს როცა ვიქებთ
გადარჩენილნი მათი ხელობით,
ერთხელ იმაზეც ვიფიქროთ იქნებ,
ჩვენ რას ვაკეთებთ საქართველოსთვის!

ხუთი ნომერი ავტობუსი

ორშაბათობით, ხუთი ნომერი ავტობუსის მოლოდინში
სკოლაში მუდამ ვაგვიანებდი
ბოლოს ისიც მოქანდებოდა, მაგრამ რად გინდა, ისე იყო გადაჭედილი,
თვალითაც კი ვერ შეაღწევდი.
სკოლისაკენ გავრბოდი და ვვოცნებობდი:
აი, გავიზრდები. მეც ლონიერი ვიქნები და მეც შევეტევი იმ ავტობუსში.
ორშაბათობით, სამსახურში რომ ვაგვიანებდი,
ბოლოს ხუთი ნომერიც რომ გამოჩნდებოდა,
ისე იყო გადაჭედილი, თვალითაც კი ვერ შეაღწევდი.
სამსახურისკენ გავრბოდი და ვვოცნებობდი —
აი, ხელფასი მომემატება, მანქანას ვიყიდი, ჯანდაბას ეს ავტობუსი!..

და ერთხელ... კვირას... ის იყო მანქანა გავაჩერე და
დავინახე ხუთი ნომერი ავტობუსი ცარიელი... გაჩერებაზე...
ოო, ვიფიქრე, ჩაგიგდე ხელში! ჯანდაბას მანქანა!
ჩემო ავტობუსო! აი, თურმე როგორი ყოფილხარ!..
მონგრეული სკამები... ტალახიანი იატაკი... იატაკზე ხახვის ფოჩები...
ნუთუ სულ ეს იყო!
მიჩანჩალებდა ბებერი ცხენი, უკანასკნელ წრეს უვლიდა,
ბიჭები კი დაიბოღმნენ და ქვებს ესროდნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად არიან ისინი, ვინც აქ ეტეოდა, ვინც მე მჯობნიდა,
და ვისაც ახლა უნდა ვაჯობო?
სად არიან?
ნუთუ, სულ ეს იყო?
არა, ბატონო, ისევ ფეხით მირჩევია!

ავტობუსი წარიხინდა ხველებ-ხველებით...
მივდიოდი და ვვოცნებობდი:
ოჰ, როდის გათენდება ორშაბათი!
როდის ჩამოივლის გადაჭედილი ხუთი ნომერი, როდის? როდის?

დაგვიანებული თხოვნა მესაათეს

ძალიან გთხოვთ... თუ შეიძლება, მიშოვეთ მაღვიძარა,
ძალიან გთხოვთ:
ვიცი, რომ უკვე გვიანია, ისევ გაიყიდა... მეც ისევ გვიან გავიგე...
მაგრამ ერთხელაც იქნება, ხომ ისევ მიიღებენ!
და შემდეგისთვის... ძალიან გთხოვთ!..
მაღვიძარა რომ მქონოდა, ხომ დროზე მოვიდოდი...
მაღვიძარა რომ მქონოდა, პირველ გაკვეთილს კუთხეში არ გავატარებდი..
მაღვიძარა რომ მქონოდა, სამსახურში საყვედურს არ მივიღებდი...
მაღვიძარა რომ მქონოდა, ექვს საათზე მეტროსთან მივიდოდი
და სარტო აღარ ვირბენდი...
მაღვიძარა რომ მქონოდა, კონცერტზე გარეთ არ დავრჩებოდი და
ბილეთს არ გავაფუჭებდი....
ეეჰ... თვითონაც ხედავთ! რაღა გავაგრძელო!..
მაღვიძარა რომ მქონოდა, თქვენც ხომ აღარ შეგაწუხებდით...
ძალიან გთხოვთ, მიშოვეთ მაღვიძარა, ძალიან გთხოვთ,
და თუ შეიძლება, ორი ცალი მიშოვეთ, რომ უსაათოდ აღარ დავრჩე,
ერთი როცა მოიშლება... მეორე გამაღვიძებს და
დროზე მოვიტან შესაკეთებლად.
მეორე მოიშლება, პირველი გამაღვიძებს...
რომ მეტად აღარ დამეძინოს...
რომ მეტად აღარ შეგაწუხოთ...
რომ მე აღარსად აღარასდროს დავაგვიანო...
ძალიან გთხოვთ, მიშოვეთ მაღვიძარა, ძალიან გთხოვთ!

როგორ მინდოდა ჩემპიონი ვყოფილიყავი

როგორ მინდოდა, ჩემპიონი ვყოფილიყავი!
როგორ მინდოდა, ელრიალათ ტრიბუნებს
და როგორც გოლი, ყველა კარში გასულიყო ჩემი სახელი!
როგორ მინდოდა, ყველა სიმაღლე ამელო პირველ ცდაზევე
და ყველა ორმოზე გადამეფრინა,
ყველა აუზი გადამეცურა,
ყველა ბირთვი და ყველა ბადრო

ყველაზე შორს გადამეტყოროცნა,
ყველგან, ყველა დისტანციაზე გამესწრო ყველა მორბენლისათვის.
ყველაზე მაღლა ეფრიალა ჩემს დროშას
და სამშობლოს გამარჯვებებს ჩემი ოროროც მიმატებოდა,
როგორ მინდოდა ჩემპიონი ვყოფილიყავი
და სინქრონული ყოფილიყო ყინულზე ჩემი პარტნიორის ყოველი ჟესტი
და მის ხელებში დამვიწყებოდა,
რომ უბრალო სპორტსმენი ვარ და არა — ყვავილი, ანდა — ავაზა.
ყველა მსაჯს ათი ქულა დაეწერა.
ექუხა ტაშს და ტულპანების თუ მიხაკების ცხელ წვიმაში
გვეხარხარა და ერთმანეთს გადავხვეოდით.
როგორ მინდოდა, ჩემპიონი ვყოფილიყავი
და ფინიშთან სიხარულით ძალამიხდილი, ატირებული
გამარჯვებისგან დავცემულიყავ.
შეგშურებოდათ, რეკორდსმენებო, ყველას ჩემი სამმაგი სალტო,
მეც სამჯერ უფრო მყვარებოდა მთელი ევეყანა,
სამჯერ უფრო ლამაზი და სამჯერ უფრო ბედნიერი ვყოფილიყავი,
სამჯერ უფრო მეჯობნა ჩემი თავისთვისაც
და დაჩოქილს, ხელებაპყრობილს, სიხარულით დამარცხებულს
აღმომხდენოდა ცისკენ მადლობა,
ტრიბუნებს კი ელრიალათ ჩემი სახელი
და შენს თვალებში დამენახა, რომ მე მართლა ჩემპიონი ვარ.
როგორ მინდოდა, ჩემპიონი ვყოფილიყავი
და ყველასთვის ისე გამესწრო, რომ არავინ არ დამეჩაგრა.
როგორ მინდოდა...
მაგრამ როცა გავიგე, რომ ჩემპიონები არსებობდნენ,
ჩემპიონატები უკვე აღარ ეწყობოდა,
ნათელი იყო ყველაფერი
და წამმზომებს სუვენირებად მჩუქნიდნენ თვითონ ჩემპიონები
და ჩემს სურვილზე ელიმებოდათ...
მე კი მხოლოდ იმიტომ — გულშემატკივრებს ნიძლავი რომ არ წაეგოთ,
როგორ მინდოდა ჩემპიონი ვყოფილიყავი!..

ჟურნალისტის ინტერვიუ

გზა იყო ჩემი ნამდვილი სახლი,
მანქანის საჭე — თავსასთუმალი.
სულ შინაური ვიყავ უცხოსთან,
შინაურებთან — ვიყავ სტუმარი.

ყველას ვხვდებოდი კალმით, ბლოკნოტით,
სხვა არაფერი მე არ მებადა.
კი არ ვცხოვრობდი, მივრბი-მოვრბოდი
მივლინებიდან მივლინებამდე.

ვნახე მხატვარი, მეშახტე, მწყემსი,
მოკრივე, დედა, მუშა, პოეტი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რომ მომესწრო, მათ სიტყვებს თვითონ
ვამოკლებდი და ვაბოლოებდი.

ვიდრე ვუსმენდი, ყველა მათგანი
თვითონ ვიყავი, ასე მეგონა...
რისთვის უყვარდათ, რისთვის ომობდნენ,
ანდა — ვის თვლიდნენ ნადვილ მეგობრად.

როდის ამბობდნენ ტყუილს თუ მართალს,
ზოგს მივუხვდი და ზოგს — ვერ მივუხვდი...
მეპატიება! იქ მივალ, მათთან
ბოლოს მეც ჩემი ინტერვიუთი.

●

ყველას, ვინც ჩემთან დამნაშავეა,
მინდა ვთხოვო — ნუ მერიდებით,
სამაგიერო არ იქნება.
მაგრამ არ შეცდეთ,
არ დაიტოვოთ შვების იმედი —
მე გაპატიეთ.
რადგან თქვენთვის ყველაზე დიდი შურისძიება პატიებაა.
არც სხვაზე ნაკლებ, არც სხვაზე მეტად
ზოგს ჩემი შურდა, ზოგის — მე მშურდა
და თუმცა ბევრჯერ ვიწყევლე ბედი,
მე ბედნიერი ვიყავი მუდამ.
მე ბედნიერი ვიყავი მუდამ,
ბევრი მქონდა თუ — მაკლდა იები.
სიცოცხლეც მხოლოდ თქვენს გვერდით მსურდა,
ვისაც ყველაფერს გაპატიებდით!
ისევ და ისევ ბედნიერი ვარ,
დანაშაული ისე ხშირია,
არც სიყვარულის, არც — სიძულვილის,
არც ღალატისა არ მეშინია.

და თქვენ, ვინც ჩემთან ხართ დამნაშავე,
მინდა გთხოვოთ — ნუ მერიდებით,
სამაგიერო არ იქნება!
არ იქნება!
არ დაიტოვოთ შვების იმედი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ კაპანაძე

სიყვარული

1

ფარსმანს არ წყალობდა ბელა.

ფარსმანი, როდესაც რაიმეს ჩაიდებდა გულში, მოუსვენარი ხდებოდა. ბოლოს და ბოლოს კი აუცილებლად მიაღწევდა თავისას.

ერთი ბებია ჰყავდა, ცნობილი პროფესორი. ყველა პატივს სცემდა ამ დარბაისელ ქალს. ქიზიყიდან იყო. ამბობდნენ, დღესდღეობით ფიზიკაში ბადალი არ ჰყავს მთელ ქალაქშიო. ყოველ შემთხვევაში ამ საკაწში მისი წყალობით კლასში მოწინავე მოსწავლედ ვითვლებოდი, მაშინ ფიზიკას ერთი უცნაური მასწავლებელი გვასწავლიდა, ხარიტონი. ურთულეს ამოცანებს გვაძლევდა საშინაო დავალებად. მეორე დღეს, როდესაც პირდაღებულები და გაბითურებულები ვისხედით მერხებთან, ხარიტონის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისედაც არ ჰგავდა სხვა მასწავლებლებს. უცნაური ლაპარაკი იცოდა ზოგჯერ. გვითხრა, სოფლის სიიოლიერე იმით კი არ გამოიხატება, თურამდენი კიტრი და ბოლოკი მოჰყავს, არამედ იმით, რამდენი განათლებული მოქალაქე, რამდენი ძლიერი ხასიათის და ზრდილობიანი ადამიანი ცხოვრობს მისი ქოხების ჭერქვეშო... ძნელ ამოცანებს გვთავაზობდა და პირველ ხანებში დავიბენით. მაგრამ თავის დროზე მეც კარგი ხვითო ვიყავი. სწრაფად ავუღე ალღო ხარიტონსაც და სინამდვილესაც. ამოცანების ამოხსნაში ფარსმანის ბებიას ვიშველებდი ოღონდ ეს იყო, სანამ ტვინში არ ჩამიდებდა ყველაფერს! სახლიდან არ გამიშვებდა. მეორე დღეს კი მთელი კლასი იწერდა ჩემგან დავალებას. მაგრამ რა ბედნიერ გადაწერა, თუკი თავში ალუჩა ან ლაყე კვერცხი გიდევს. თუთიყუშები თუთიყუშებად რჩებიან. ერთი წლის განმავლობაში ისე გავიწაფე, რომ ხარიტონმაც კი მაღიარა გონებაგახსნილ ყმაწვილად. ხოლო ერთ მოწაფეს, დოროთე ალხაჩი-

შვილს, ჩემს უკან რომ იჯდა, ამ ერთი წლის განმავლობაში ისე დაუგრძელდა კისერი, რომ ერიფს დაემსგავსა. ისე მოსდის ყველას, ვისაც საკუთარი ტვინი არ გააჩნია და ვინც მის წინ მჯდომის რეკუნდიან ცდილობს ჯრების მოპარვას... თავად ფარსმანი როგორი იყო ფიზიკაში? — გულგრილი და სუსტი. მეცხრე კლასში კინაღამ საშემოდგომოც კი გამბარსყავ. მახსოვს, ხარიტონმა ულვაში დაიფიცა, იმავე კლასში ჩავტოვებო, ზიკიპინტრეს ჩაეუტეხო. მაშინ ფარსმანს უკვე უყვარდა ბელა. წარამარა მეკითხებოდა: „გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავისა?“ „ქლიავი ხარ, ფარსმან“. „თვალები ლურჯი. დალალი—ქერა, ბაგე ატმებად გადაბობილი“. ყურები მქონდა გამოჭედილი. შეყვარებული, ნიმფომანი და ფეთიანი ერთსა და იმავე ჭურში სხედან. ბელა ცუდი თვალით უყურებდა ოროსსნებს. და მაშინ პირველად მოუხდა ფარსმანს თავმოყვარეობის საკუთარი ფეხით გათელვა. თავდახრილი შეეევედრა ბებია ნინოს, ბელი გაეწოდა და ხარიტონთან შუამდგომლად დადგომოდა, გამოეტაცა სამიანი. გოროზმა ქალმა ყურად არ იღო შვილიშვილის თხოვნა. ფარსმანმა ისიც კი იცადრა რომ გარდაცვლილი ბაბუას სახელი დაეფიცა. დარჩი ბაბუა თავის დროზე შმეული და პირველი დამრტყმელი ყოფილა. ოთხიოდე წლის წინ ფარსმანმა ჩემი თანდასწრებით ჰკითხა დიდედას, იმისთანა ქარაფშუტას როგორ გაჰყეევინ ბებიამ გაგვიცინა. ერთხელ ყველიერის საღამოს ვეძიკვეო შეეჭამე, შუაღამეს კი სიზზარში დარჩი გამომეცხადაო, გვითხრა... მაინც ვერ დაიყოლია ფარსმანმა ბებია. ამის შემდეგ განწირულად ჩავთვალე მეგობარი. მხარზე ხელი დავდე და დავამშვიდე. ფარსმანს ცრემლები წამოსცვიდა. მაშინ ცირკში წავიყვანე და ფორთოხლის წვენიც დავალევე. რა ვიცოდი, რომ თვალთმაქცობდა?

მეორე დღეს ფარსმანი კლასში არ გამოცხადებულა. ფრანგულის გაკვეთილზე მე და ბელამ „ჩამოხრჩობანა“ ვითამაშეთ. ოთხჯერ გავაყოფინე ლაბანი თავი ყელფაში და ზარიც დარეკეა. ბელამ მკითხა: გწამს უსაშველო ბედნიერებანი? და რაღაც უცნაურად ეჭვიანობთა თვალები. სწრაფად მივუგე: არამეთქი და შესვენებაზე დერეფანში გავისეირნე. კიბესთან ერთ მეხუთეკლასელ ბიჭს ყური აეწია გაჩხიკინებულ მეოთხეკლასელისთვის და ილრიჭებოდა. დანარჩენები ს�rის უყურებდნენ. მაშინვე ხელი გავაშვებინე და ჭკუა დავარიგე. ისევ გაუნაგრძე გზა. სამასწავლებლისთან ბებია ნინოს მოვკარი თვალი. მის წინ გაბადრული ხარიტონი იდგა. რამდენიმე ხნის შემდეგ ხარიტონმა მდაბლად დაუკრა თავი და ცნობილ ფიზიკოსს და ხელზე აკოცა. სწორედ ამ დროს ბებიამ დამინახა და, თვალი ჩამიკრა, დავიმორცხვე და გავწითლდი... ფარსმანს ოთხიანი დაუწერეს ფიზიკაში. „როგორ მოახერხე ნინოს მოტეხა“ — ვკითხე მეგობარს. არ მიპასუხა. მხოლოდ შემდეგ, სკოლის დამთავრების მერე გამიმხილა რომ ის ბებია, საგულდაგულოდ გამოპარანგული და გაკეკლუცებული, თვითონ გახლდათ... აი, ასეთი იყო ფარსმანი. ყველაფრის მოკვარაზეობება შეეძლო, ყველა წადილის ასრულება. მხოლოდ ბელას ვერ მიუდგა ვერსაიდან. არადა ძალიან უყვარდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ფარსმანმა თეატრალურ ინსტიტუტში ამოყო თავი, ბელამ—უცხო ენებზე, მე კი ეკონომიური ფაკულტეტი ავირჩიე. დავამთავრე უნივერსიტეტს და ისე როგორ წავხდები, თავის დროზე ერთი მაღაზიანი რესტორანი არ ჩავიგდო ხელში.

2.

აი, ბელა: გრძელი, მწყაზარი კისერი, თვალების ადგილას ცისფერი ციყვები, ლამაზად ამრუბილი ცხვირი, გრძელი წამწამები, რბილი, მოკლედ შეტრილი თმა, მანეკენის სხეული — მოქნილი, ჩამოსხმული და საკუთარი შეხედულება ყველაფერზე — ცხოვრებაზე, მამაკაცებზე, მოგზაურობაზე, ფართობაზე და სიყვარულზეც. ლიფსიტებს და თავ-

კომპალუბს ვერ ამჩნევდა. პატიეს სცემდა გამარჯვებულ მამაკაცებს, ჩემპიონებს და გმირებს.

— ბელა — ვუთხარი ქალიშვილს, — მათხოვე ყური.

— სიამოვნებით, კირილე, — გამიღიმა მან.

— ბელა, უნდა იხსნა ფარსმანი... მთავარეულივით დადის.

ამ სახელის ხსენებაზე ყინვა შეიჭრა მის თვალებში.

კაფე „მეტროში“ ვისხედით და ბელა ნელ-ნელა წრუპავდა შამპანურს ჭიქიდან. მე კარ ვსვამდი.

— თუ სხვა მომწონს? — ისევ გამჭოლ შემომხედა.

ტიტი და მერცხალი იყო ერთდროულად.

— ეს შეუძლებელია, ბელა... თავს მოიკლავს.

— კირილე, პირველი ვეზირები მიზიდავენ.

— ბანქოს არ თამაშობს, ჭლექით არ ყოფილა ავად, ზამბარასავით დრეკადია და ბებიამისს ფულიც უუყავს.

— ეგ ლუთაიები მე არ მჭირდება.

— დიდი ხანია, რაც თვალი წაუგორდა შენზე.

— კირილე, გეკარებია როდისმე?

— აი, ბელა, — ვიცრუე.

სირცხვილია ცხრამეტი წლის ყმაწვილი ერთხელ მაინც რომ არ ყოფილიყოს შეყვარებული.

— მეტე, ასეთ დროს შეძლებდი სხვაზე ფიქრს?

— ვერა, ბელა.

ხელზე ხელი დამადო.

— რა უსაზღვრო სიკეთე გამოკრთის შენი თვალებიდან.

პირველად მეუბნებოდნენ ასეთ სიტყვებს და გავწითლდი.

— ბელა, ეგებ ეშველოს რამე ამ საქმეს? — ფრთხილად გამოვაცალე ხელი.

— რა მიჭვრიტინა გამიხდი... ფარსმანმა გამოგგზავნა?

— ჩემი არიფია, ბელა.

ნახევარი საათის შემდეგ ფარსმანი უნდა გამოჩენილიყო. ვითომ შემთხვევით შემოიხედავდა კაფეში ფარსმანი ჩვენ წაგვწყდებოდა, მაგრამ დაიკმეხ[illegible] ზე ოცი წუთით ადრე შემოყო თავი დარბაზში.

— ნახე, ბელა ახსენე და ხელში ჯოხი დაიჭირეო — ვთქვი მე.

ბელამ მარჯვნივ მიაბრუნა თავი. შემდეგ თქვა:

— ეგ საკენკი ერთმანეთს დაუყარეთ. ფარსმანი მოგვიახლოვდა.

— საღამო მშვიდობისა, — თქვა.

— რა საოცარი დამთხვევაა, — წამწამები ააფოფინა ბელამ. — აი, ახლა შენზე ვსაუბრობდით... ფარსმან, როგორ გაგვახარე, რომ იცოდე... კირილე, ფსალმუნი ხომ არ გეუგალობა?

— ბელა, მართლა გაგეხარდა ჩემი დანახვა?

— რა თქმა უნდა!

— გინდა მთელ კაფეს დაკბურავ?.. გინდა, ცისფერ ტროიანეს მოგგვრი?

ერთხელ ფარსმანმა მართლა მოიყვანა მომღერლები ბელას ეზოში და მთელი საათი აკიკინა. მაშინ ფარსმანი მომღერლებთან ერთად მილიციაში აღმოჩნდა. მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა. მეორე დღეს მშვენიერი ლექსი გაუგზავნა სატრფოს. ლექსი ერთ ახალგაზრდა თბილისელ პოეტს დაუწერია ორმაცდაათ მანეთად. მაგრამ ბელას გული მაინც ვერ მოიგო. მაშინ მე მთხოვა შუამდგომლობა და დახმარება...

ცოტა ხნის შემდეგ ბელამ პირდაპირ უთხრა ფარსმანს, სხვა მიყვარსო.

— ბელა, მოკლავს იმ რაყიფს შენ არ იცნობ ფარსმანს.

ფარსმანი თავჩაღუნული იჯდა.

— ჩემი გულისსწორი მხდალი როდია.

— ბელა, მიჯნურობა ხუმრობა საქმე არ არის... მიჯნური შლეგსა ჰგავს.

— ფარსმან, მიხვდი, რატომ გამეხარდა შენი დანახვა?

— მივხვდი, ბელა.

გურამ კაკანაძე
სიყვარული

— აბა, რატომ, ივარფასო?

— მწარე სინამდვილე რომ მაუწყო და საბოლოოდ რომ გადავიკარგო.

— კირილე, რა მოსაზრებული მეგობარი გყოლია...

— ოღონდ, ბელა, მეც მაქვს ერთი საბოლოო სათხოვარი.

— გისმენ, ფარსმან.

— დამდე პატივი და ერთხელ კიდევ შემხვდი საბოლოოდ ხვალ, — სევდიანი, ჩამქრალი თვალებით გახედა.

— კეთილი — თქვა ბელამ და ადგა.

ჩვენც წამოვხტით. გვთხოვა ნუ გამაცილებთო. როდესაც წავიდა, მეგობარს ვუთხარი:

— ეტყობა, შენს ოცნებას ახდენა არ უწერია.

— უმაგისოდ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია, კირილე... როდესაც მეუბნება, ვერ გიტანო, კიდევ უფრო მაგრად მხლართავს ბადეში.

— დრო ყველაფერს მკურნალობს.

— არა, კირილე.

— წავიდეთ, — ვუთხარი მე, — ზვალ ნახევარფინალები მოგველის.

— შეიძლება აღარც კი ვითამაშო, — მითხრა მან.

თვალთმაქცობდა.

— სიყვარული ამაღლებს მამაკაცს **და** არა პირიქით... აბა, გავსწიოთ.

3.

დილით ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართა „დინამოს“ კორტებზე. ჩემი მოწინააღმდეგე ოღლად დავამარცხე, შეჯიბრების შემდეგ ჩრდილში დავჯექი და ფარსმანის თამაშს ვადევნებდი თვალს.

შეჯიბრებაში გამარჯვებული საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში ხვდებოდა. ნაკრები კი ათი დღის შემდეგ საფრანგეთში ვაემგზავრებოდა „გალეის“ თასზე მონაწილეობისათვის.

ჩოგბურთი ჩვენი ლურჯი ოცნება იყო, ეერი, ჩვენი ზადენი და აინინა. ცხრა-ცხრა წლისანი ვიყავით, თამაში რომ დავიწყეთ. თანდათან დაგვატყვეცა, თანდათან ჩაგვითრია თაკის მორევში. წლის თავზე ჩემს თანატოლებს ყველა ვუგებდი, ბრალმდეგ სიცოცხლის პირველსავე წელს უნდა აეკრძალა ჩემთვრამეტი წლისა საქართველოს ჩემპიონი გავხდი. ფარსმანსაც იოლად ვუგებდი, ალიან განიკდიდა ამას. უწინ, როდესაც მოედანზე გავდიოდით სათამაშოდ, ყველაფერს კადრულობდა — ედავებოდა მსაჯს, კინკლაობდა მწვრთნელებთან, მაყურებლებთან, ცდილობდა ჩემი წონასწორობიდან გამოყვანას, უუცოდ ფეხს აიკანჭურებდა და შეჯიბრებას რამდენიმე წუთით შეწყვეტდა, მხარეების გამოცვლის დროს დიდხანს იშშრალებდა სახეს პირსახოცით, მთავარ მსაჯს იხმობდა მოედანზე, წარამარა პირში წყალს ივლებდა... ერთხელ პატარა ბიჭები მორეკა. თამაშის დროს. ლაწირაკები ჩუმ-ჩუმად სარკით მზის სხივებს მიმიზნებდნენ თვალებში, მაგრამ ჩემთან ასეთი ოინები არ გადიოდა, ყოველთვის ვუგებდი, ბოლოს და ბოლოს იგიც შეეგუა ანანკეს.

ოთხნი ვადევნებდით თვალს ფარსმანის თამაშს: მე, ახალგაზრდა პროფესორი ნიკოლოზი, ჩემი ბიძაშვილი იურა და ვარაზი, — ჩოგბურთის დიდი ტრფიალი. მაგრამ როდესაც ბელა გამოჩნდა და დასავლეთ ტრიბუნაზე მოიკალათა, წამოვდექი და მისკენ გავსწევ.

— სალამი, ბელა.

ზაფრანისფერი კაბა ეცვა, გულთან ლრმად ამოჭრილი.

— კირილე შენი მჯერა, ნუ დამიმალავ სიმართლეს... ხომ დედალ-მამაშვილის თამაშია ჩოგბურთი? ხომ ვერ შეედრება კოიკს, ჭიდაობას, კარატეს?.. ბოლოს და ბოლოს რას მოელით?

— საფრანგეთში მოხვედრას... მერე ჰავაის და ოსპირეტტუ-სანტუს კუნძულები გველოდება... ბელა, ვინც ხვალ ფამარჯვებს, პარიზში შეყოფს ცხვირს.

— ფარსმანს აქვს რაიმე შანსი?

— ალიან მკირე, — ფავუღიმე.

— ისეც ვიცოდი... კირილე, რატომ მაგონებს შენი მეგობარი ზარანაშოს?

— ბელა, შეიძლება ცდები, შეიძლება შენი საბუდოა?.. მოდი, ერთხელ ყვე-

ლეერის სალაპრო ვეძიკეერა მიირთვი და ისე დაიძინე,, თუ სიზმარში ფარსმანი გამოგეცხადა, დაემორჩილე ბედს, ტალღებს მიანდე ნავი, სიყვარულის ვალი ეცადეთ.

— შენ რომ გიხილო? — ლოყაზე ჩამოშვებული თმის კაკი გვერდზე გადაიგდო და შემომპედა.

— ბელა, ჩემი გული უკვე დაპყრობილია.

ირონიულად გამეცინა. ვერ წარმოედგინა მისი ფარდი. გაწვრთვნილი ფოცხვერი და ავაზა მიყურებდა.

ფარსმანმაც ირონიად დაამარცხა მეტოქე. შემდეგ ერთად დატოვეს სტადიონი. თვალი გაკაყალა. პირველად შემეცოდა ოდნავ ბეჭებში წახრილი მეგობარი. სანტერესოა, ცოტა ხნის შემდეგ თავს რა ქვას ახლის? თანალმობა ყმაწვილი კაცის გულსაც ეუფლება.

ზოგბერთიელები საზაფხულო კინოთეატრში ამირეკლდნენ წასვლის. ბეკ შემომთავაზეს. მე მივუგე, ლაკვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების-მეთქი. მერე ნელ-ნელა გავუყევი ჩემს გზას.

შინ ენციკლოპედია გადმოვიღე თაროდან და ის გვერდები გადავშალე, სადაც პარიზი იღიმებოდა... ბულონის ტყე, ელისეს მინდვრები, შაიოს სასახლე, მონპარნასი, სენა, ეიფელის კოშკი ღვთისაშობლის ტაძარი, სიტეს კუნძული, ლუვრი, სორბონა, პალე-როიალი, ნაპოლეონი, ვოლტერი... საბრალო ფარსმანი... ის იყო თავი ვანდომის მოედანზე ამოვყავი, რომ მამამ ტელეფონთან მიხმო. ფარსმანი მთხოვდა. სასწრაფოდ გავჩენილიყავი მასთან. შავი ოკეანი შეყოვნებას გამორიცხავსო.

ფეხი ავიფარეი.

— რომელი საათია?

— რა მნიშვნელობა აქვს, — ათრთოლებული ხმით მიპასუხა მეგობარმა.

მაშინ ჩავიცვი და ფარსმანისკენ გავსწიე. მესამე სართულზე ცხოვრობდა, ფელ სახლში. ყოველთვის რაღაცნაირ სიხარულს მგვრიდა ხის ზეუელ კიბეზე ასვლა. ხელი ვკარი კარს და ოთახში შევედი. თმაწეწილი ფარსმანი სავარძელში იჯდა, გაფითრებული, შეშლილი თავი მაღლა აიღო და გათანგული თვალები შემომანათა. მერე ხელიდან [illegible] მეორე ოთახზე, მეც არ გამიკვირ[illegible] ისე გავსწიე იქით.

საცაა ოკი წელი შემოსრულდება, რა არ მინახავს, რა არ განმიცდია, რა არ მსმენია... საცაა პარიზის ქუჩებშიც კი გავიარეინებ... შეიძლება უკვე მომბეზრდა კიდეც ყოველდიურობა. ვეღარ გამაკვირვებ—რიგებით, უკვერცხობით, უსამართლობით, გულცივობით. თვითმფრინავშიც ვმჯდარვარ, გემშიც, მატარებელშიც, „ფრესედესშიც“, ეტლშიც. ჯორზეც. უამრავი ქალაქი და სოფელი მომივლია, პოკერი მითამაშია, მიაზროვნია ოთახშიც და წყლის პირზეც. ვიცი, ინგრეუვა პირამიდები, ქრება ქალაქები, ვიცი, რაც უფრო თავჩალაა კაცი, მით უფრო გამბედავი და ყველფრის მკისრებელია, და ამიტომაც აღწევს ადგილს ცის თაღის ქვეშ, რომ ძალადობით და ადამიანთა წვალებით რაიმეს აშენება, თუნდაც ნამდვილი სამოთხისა, ისეთივე საზიზღრობაა, როგორც დამოყინება წესიერ საზოგადოებაში. მინახავს ცატყავებული დათვი, ჩვენისთანა კაცს რომ ჰგავდა, დამინახია, თუ როგორ ურტყამდნენ ოთხნი ერთ წმაკცულს, როგორ უკვრებოდა ტროლეიბუსში მძიმე წონის მოჭიდავის აღნაგობის ვაჟი მოხუცებულ ქალს პორტმონეში, ვიცნობდი ერთ ძაღლს, უზარმაზარ დოგს, რომელიც ყველა ჩემს ახლობლებზე უკეთ ცხოვრობდა, და ერთ პატიოსან მოლარეს, მაწანწალა ძაღლიც კი რომ არ ინატრებდა მის ბედს... უნახავი და გაუგონარი არაფერი დამრჩენოდა. მხოლოდ მოკლული არ მონახავს, ისიც ახლობელი.

ფარსმანის ოთახში იატაკზე უსულოდ ეგდო ბელა. ტუჩების მარჯვენა კუთხეში სისხლი შეეხმობოდა. ცალი თვალი ღიად დარჩენოდა და ჭერს მიშტერებო-

ბუბა კაკანაძე
ციყვარული

და .დაბეული პერანგი სისხლით ჰქონდა ლეყო. როდესაც ქუჩა გადაკვეთე, სტადიონზე მოეხვდი და სავსე ტრიბუნებს თვალი გადავავლე, ექიდნურად გავიღიმე — კონცერტი არ შედგება. მეგობრები, წუხელ ფარსმანმა — ამ წარმოდგენის ერთ-ერთმა მონაწილემ — სული წაიწყმინდა.

ხელვანს გავყევი და ორსართულიან შენობას მივაშურე. გასახდელში ფარსმანი დამხვდა სპორტულ ფორმაში გამოწყობილი. არ მოველოდი. მან თვალი ამარიდა და სწრაფად გავიდა ოთახიდან. გაფითრებულმა ჩანთა გრძელ სკამზე მივაგდე და პერანგის ღილებს შეხსნა დავიწყე. ფარსმანს მოედანზე აიყვანენ ან შეჯიბრების დამთავრების შემდეგ... ისევ თამაშობდა თოჯინა, სტომაქის ბაზი და მაწყწალა...

თამაში თავიდანვე ვერ ავაწყვე. არ მემორჩილებოდა პატარა, მკვრივი თეთრი ბურთი. ბელა მედგა თვალწინ. ჩაუქ კირილეს ვერ იცნობდით. გარეწარი კი გახლეულები დარბოდა, თითქოს გუშინ არაფერი მომხდარიყოს, თითქოს უცოდველი ბაღანა ყოფილიყოს. ყველა ბურთს ეწეოდა, თავს არ იზოგავდა. მომაკედავი გედის უკანასკნელი სიმღერა იყო... მაგრამ გედები ლამაზად ატარებენ სიცოცხლეს, მან კი თვალს გაპყეტაც ვერ მოასწრო, ისე გახვია სული ბურდოში... მაყურებელი, როგორც ყოველთვის, სუსტს ემხრობოდა, ეერიის, გმირის დაცემის მოლოდინში აქეთ-იქით იყურებოდა, ყვირიდა, უსტვენდა, იცინოდა, ნეიტრობდა. ბრბოს რა ჭკუა მოეკითხება.

პირველი პარტია 6:2 დავთმე. აღარც კი მახსოვს, როდის წავაგე უკანასკნელად ფარსმანთან ექვსი გემი, სამი თუ ხუთი წლის წინ?

მეორე პარტიაში პირველად მე ვაწოწდებდი. ძლიერად მოვიქნიე ჩოგი და ბადისკენ დავიძარი. ფარსმანმა მარჯვნივ დამირტყა. ნახტომში მიეწვდი ბურთს და ბადესთან „ჩავჭერი". ტრიბუნებზე კანტიკუნტად გაისმა ტაში.

კორტებზე უამრავი [illegible]

ხოლო როცა ფარსმანმა მეორე ბუერთი თავზე გადამიგდო, ბრბომ ისევ ატეხა ზიმზიმი და ერიამული...

ერთხელ, სკოლას რომ ვამთავრებდით, სახედალურჯებული მოვიდა კლასში ფარსმანი. ბიჭებს დაებეგვა, რუსთაველზე. გოგონას გამოვესარჩლე, ბელას ჰკადა ძალიანო. ხუთნი მირტყამდნენ, ბოლოს იმ გოგონამაც ჩამცხო ზვი რედიტულია... ერთხელ კი ფარსმანმა ისიც მოახერხა, რომ სახელგანთქმული ბებია შეახვედრა ბელას... და აი, რით დამთავრდა უგუნური სიყვარული თუ გატაცება... ოფლი მოვიწმინდე სახიდან.

მეორე პარტიაში ბეწვზე ვეკიდე. მაგრამ ბოლო ორი გეიმი ჩინებულად ვითამაშე და პარტიის ბედი ჩემს სასარგებლოდ გადავწყვიტე. თითქოს ავთამაშდი. ოღონდ მესამეში ისევ ვერ ვცნობდი თავს, ისევ დამბიარისპირდა ზესკნელი და სწრაფად წავაგე. უკანარს ძველი ძალა აღარ მომდევდა. ამინმაც ზურგი შემაქცია.

შესვენების დროს თავის ოთახში შეშოყვანა მწვრთნელმა.

— რატომ გაქეს თვალები ამოღებული, ხომ არ დალე გეშინ? — მკითხა მან, — ან ზიბზიბი ხომ არ გაგრ ინდა ხელზე?

— ცუდათ მეძინა.

— ყირილე, უნდა გაიმარჯვო... მართალია, ფარსმანი დღეს ისე თამაშობს, როგორც ცარაფროს, მაგრამ შენ უფრო ძლიერი ხარ და პარიზი მაინც პარიზია, არც ეშინო

წუხელის ვეძიებენ შეგჭამე და არა-ჩვეულებრივი სიზმარი ვიხილე.

— არაჩვეულებრივი?.. — გავიმეორე ყასიდად. ელისეს მინდვრები მელანდებოდა.

— მოდი, ბაღში დავსხდეთ და სკოლის წლები მოვიგონოთ, — შემომთავაზა ქალიშვილმა.

სანაპიროსთან ჩამოვედით ავტობუსიდან. ჩოგბურთის კორტებს მხარი ავუქციეთ, ბაღში ღრმად შევედით და სკამზე ჩამოვსხედით. კოტა ხნის შემდეგ ბელამ მითხრა, სიზმარში შენ გიხილეო.

— მაშინ მე ვყოფილვარ შენი სატედო, — ირონიით ვუთხარი და გადავეხვიე.

შემდეგ სადღაც ჩავიძირე, გავქანდი... რა ხდება, მეგობრებო?.. რა მემართება?.. ვაი... რატომ ქრება ბურუსში ყველაფერი — ირანიც და სენაც?..

— ოთხი წლის წინ გიხილე სიზმარში პირველად, — ჩურჩულებს ბელა.

არაფერი მესმის, ვერაფერს ვხედავ... ხომ ვერ მეტყვით, სადან ეპარება ყმაწვილ კაცს ეს საშინელი მეწყერი — უკანიდან, გვერდიდან თუ ზემოდან? და რა არის იგი — მგელი, სიზმარი თუ ჩოგბურთზე მეტი რაღაც? ან რას იკადრებს მისი გულისთვის ადამიანი?.. ჩოგბურთელებო, რა მოსდის ბედუკეთმართ კირილეს?.. ვაი... ნუთუ პარიზზე მშვენიერია?. მაპატიე, ფარსმან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმარი ღვთისაა

— როგორც იქნა ვეღირსეთ...

— როგორც იქნა... საბანი შემომიკეცე, ჰო, ესე... ცოტა ჩაიწიე, თორემ გადავვარდი...

— გახსოვს პირველად გლდანი რომ ვახსენე, როგორ იუარე, გაიცრემლე კიდეც, თხუთმეტი წელი ბინას იმისთვის კი არ ველოდე, რომ დასაკარგავში გადავსახლდეო?!

— მაშინ მეშორა.

— ეხლა?

— მივეჩვიე.

— სართულიც კარგი შეგვხვდა.

— მაინც ყველაფერი ახლიდან არის შესაკეთებელი.

— ითბება და მერე, ეხლა არა მცალია.

— შენც კიდე მუხაში ნუ ჩასვამ.

— არც ვაპირებ, მაგრამ სულ უბრალო შეკეთებაც სამ ათასზე ნაკლები არ დაჯდება.

— ამდენი?!

— აბა რა გეგონა?!

— ჩუმად, ბავშვები არ გააღვიძო, მესამე ღამეა, სტუმრიანობის გულისთვის დროზე ვერ იძინებენ...

— უსტუმრო ოჯახიც ოჯახია? რა გაცინებს?!

— ის მაცინებს. თხუთმეტი წელი რომ ბუზღუნებდი, ნეტა ცალკე ლოგინში გამომძინოო და ეხლა მაინც ერთად ვწევართ.

— როდის ვბუზღუნებდი?

— შენ თავს გეფიცები!

— მერე მართალი გეგონა?

— არა.

— რა გაცინებს?

— ის მაცინებს რომ მგონი ერთ საწოლი აი, ასე ხელუხლებელ ბანაბა ხოლმე, როგორც ძველ ბინაში.

— მართლა?

— მგონი მეთქი.

— კარგია, ლოგინის გაშლა-ალაგებაზე აღარ იწვალებ.

— ესეც ხომ შეღავათია?

— შეღავათია, მაგრამ გამოდის, რომ ახალი ბინა ტყუილად გვენატრებოდა.

— ტყუილად რატომ?! გოგიტას ცალკე ოთახი აქვს, მაკას — ლოჯი, ჩვენც ეს საძინებელი.

— მაკა დაგვეჩაგრა, ლოჯი ერგო.

— დიდები არიან. ერთ ოთახში მაგათი ყოფნა აღარ შეიძლება, მაინც ქალვაჟია... დაიზიარ...

— დაიღლებოდი, აბა არ დაიღლებოდი? ხუთი წყება ჭერის დამლოცველი გაისტუმრე... ჩვენ კი კარგად ვიძხიარულეთ.

— გიხარია?

— ძალიან!.

— რამდენი ხაჭაპური გამოაცხე?

— ხვალისთვის ყველია საშოვნელი!

— სტუმარს ჩვენთან რა გამოლეკს, თორემ ჩხუბის საყურებლად აგე, ყარსიძეებში ივლიდნენ.

— იქაც დადიან, გასაშველებლად. მართლა, რეზო რატომ არ გამოჩენილა, პირველად იმას უნდა მოელოცა... მიელინებაშია?

— არა.

— კიდე ხომ არ დაშავდა?

— არა.

— აბა რა მოხდა?

— ფული ვასესხე...

— რაღაც გაუჭირდებოდა.

— ფულიანი ვგონივარ და არ გავაწბილე. ეხლა იცის, რომ ახალ ბინას ხარჯი სჭირდება. და სანამ არ ჩამასესხებს, მოსვლა ერიდება.

— რეზოზე მეტი ფულიანი კი ხარ. რამდენი ასესხე?

— ხუთასი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხუთასი?!

— ტელევიზორის ფული მივეცი.

— მოიცა, აბა ეს ტელევიზორი რა ფულით იყიდე?

— დათოს ვესესხე, ფულიახი კაცია.

— იქნებ ჩვენც ისე გვგოხია დათო ფულიანი, როგორც რეზოს ჩვენ ვგონივართ?

— არა. თუმცა, რა იცი!

— როდემდე გასესხა?

— არაფერი უთქვამს.

— მაინც, როდის უნდა გაისტუმრო?

— უჩამ მთხოვა, მეურნეობაში აბანოს ვაშენებ და დამიპროექტეო. ფულს წინდაწინ გამოვართმევ.

— არ დაუპროექტო.

— რატომ?

— ვალის გასასტუმრებლად საქმეს ხელს ნუ მოჰკიდებ, შენ რაც გულით გინდა, ის გააკეთე. ვალს მე გავისტუმრებ, ცირა თუხარელმა ორი მოწაფე გამომგზავნა წაამეცადინეო, რეზომ კი, როცა შეძლოს, ფული მაშინ ჩაგვასესხოს.

— აკი დაიფიცე, მოწაფეებს აღარაფერს ავიყვანო.

— შენ როგორ ამბობ ხოლმე, ფიცის გამტეხი მოსაკლავიაო, არა?

— მუდამ არა!

— ხვალ რეზოს დაურეკე, უთხარი, ლატარიაში ფული მოვიგე და გეპატიჟები, ბინა დამილოცეთქო.

— რო მიმიხვდეს?

— კარგად გაითამაშე. ჩემი თანამშრომლებიც იქნებიან: მზია, ხათუნა, მანანა და...

— დღეკანდელივით ვიწროდ ვიქნებით.

— მაინც ხომ დავეტიეთ.

— თენგო და ბადრი გვერდულად ისხდნენ. ცოტა დიდი ოთახი რომ ყოფილიყო...

— საკმარისია.

— სტუმარი თუ შეწუხდა, როგორ გინდა?!

— აბა ვინ შეწუხდა?

— თენგომ არა თქვა, დაღუპულთა მოსაგონარს ფეხზე წამოდგომით ვერ ვიტყვი, გაჭედილი ვზივარო?

— მაშ ერთ ოთახში თხუთმეტი წელი როგორღა გავატარეთ?

— ჰოდა, ახალი ბინისთვის თავი ამიტომაც მოვიკალი.

— აბა, რაღა გინდა?

— სტუმარმა გაილაღოს ის მინდა.

— მეც მინდა.!

— ვითომ რა მოხდება, რომ ლოჯი და სასტუმრო გავაერთიანოთ; ერთი დიდი, მამაპაპური ოთახი გამოვა, სტუმარი თავისუფლად დაჯდება, მოილხენს, გაიხარებს.

— მაკა სადღა მიგყავს?

— ეს საძინებელი ოთახი გავტიხროთ.

— რას ამბობ, ეს პატარა ოთახი?!

— ჰო, მზიან მხარეს მაკას დავუთმობთ, აქეთ ჩვენ ვიქნებით.

— აქ ორი საწოლი ვერ დაეტევა.

— ერთი იყოს.

— თხუთმეტი წელი რომ ნატრობდი, ნეტა იმ დღეს მომასწრო, ოთახში ორი საწოლი გაიმართებოდეს და ერთი კარგად გამომაძინაო, ამას თუ გავტიხრავთ, ისევ ერთ ვიწრო საწოლზე მოგვიწევს წოლა.

— შენ რა, არ გინდა?

— შენ, შენ გინდა?

— მე ძალიან...

— მეც.

...სოფელი გლდანი რამდენიმე მაღალსართულიანმა სახლმა ჯერ მაინც ვერ გააქალაქა და როცა მამლებმა იყივლეს მასპინძლობისგან მოღლილმა დიასახლისმა სწორედ მაშინ ჩათვლიმა და ქმრის კოცნა ვერ იგრძნო. ვერ იგრძნო, რადგან ეს მხოლოდ მადლიერების კოცნა იყო და ქალიც ამიტომ ღრმა ძილისაკენ გულდინჯად წავიდა.

შენ გეკითხები

შენ რაზე ფიქრობ?

რატომ გაჟურჟოლებს,
როდესაც ვინმე
პაატას მოჭრილ თავს გაიხსენებს?
რად ოხრავ მძიმედ,
ცრემლი თვალებს რატომ გისველებს?
იმაზე ფიქრობ,
შენმა შვილმა არ მოიწყინოს,
რომელიც ახლა ზღვაზე ისვენებს
(რას ფიქრობ, ნეტა?),
თუ
ცდილობ თავი წარმოიდგინო
პაატას დედად?
რას ფიქრობ, ნეტა?

როგორ აეწყო შენი ცხოვრება?

როგორ აეწყო შენი ცხოვრება,
ჩემო კეთილო?
მინდორში მიხვალ
და გეხლება სახეზე ქარი,
თუ
ოთხ კედელში გამოკეტილი
ზიხარ და ისმენ
როგორ ამსხვრევს ბროლის ჭიქებს
შეშლილი ქმარი?
როგორ აეწყო შენი ცხოვრება?

ვინ მიმასწავლის?

ტრიალ მინდორზე
ამოსულა ლურჯთვალა ია,
ჩემი ოცნების ლურჯთვალა ია,
ისე სათუთი, ნაზი და სუსტი,
რომ სული უნდა უბერო მუდამ,
რათა არ დაჭკნეს ყინვაში, ხვატში,
არ ჩამოსცვივდეს პანია ფრთები
და არ წაიღოს აშარმა ქარმა.
...ვინ მიმასწავლის ბილიკს, რომელიც
ოდესმე მასთან მიმიყვანს დაღლილს
და მის მდუმარე ჩრდილში დამკარგავს
როგორც დილის ცვარს.
ჩამოვარდნილს იის ფოთლიდან?

რა გემართება?

„სიცოცხლე არ ღირს!"
რამ გათქმევინა,
ხელი ასე რამ ჩაგაქნევინა?
რატომ გგონია,
რომ უფსკრულში სიმშვიდე მეფობს,
ხოლო აქ, ზემოთ
მხოლოდ ცივი ქარები ყეფენ?
შეხედე ერთი,
სასწაული არის ნამდვილი —
დიდი გემიდან
შუა ზღვაში ჩამოვარდნილი
პაწია მწერი რა ჯიუტად მიემართეია
ნაპირისაკენ!
შენ კი, მითხარი,
რა გემართება?!

რაზე ფიქრობდი?

სითბოს, სიკეთეს, ზრუნვას, ალერსს
და სათნოებას
უმადურებით უპასუხე.
წერტილი დასვი.
შენც ათქმევინე:
„უნდა გერქვას არარაობა..."
და როგორც ფულმა გამოცვლილმა,
დაკარგე ფასი.
...

ადამიანი, სალამანდრა, მტვერი-მიკრობი

შენს თავთან როცა მარტო დარჩი,
რაზე ფიქრობდი?
რაზე ფირობდი?

თქვი, ხომ ყველაფერს გაიმეტებდი?

ვიცით, რომ შეცდი
ოცდაათ ვერცხლად

როდესაც სული მიჰყიდე ეშმაკს,
ვიცით, ის ვერცხლი
შეგერგო ცეცხლად
და ძღივს გადურჩი ჭკუიდან შეშლას.
უსულო კაცი ქუჩებში დახვალ
და საკუთარი.
საკუთარი თავი გებრალვის...
ო, შენი სული გაჩვენა ახლა
ეშმაკის ტანში საწყლად შემძვრალი!
ქარს გაჰყვა შენი ოცნებები
და იმედები
და მარტოსული წვალობ სასტიკად...
....
თქვი, ხომ ყველაფერს გაიმეტებდი
იმ წყეულისგან
შენი სულის გამოსასყიდად?
თქვი, ხომ ყველაფერს გაიმეტებდი?

ხომ არასოდეს დაგავიწყდება?

ალუბლის ხეო, დადგა აპრილი,
შენც შეიმოსე თეთრი ფერებით
და სიხარულით ისე ატირდი,
როგორც ტირიან ბედნიერები.
პირველად იდექ მკერდსავსე მზეში,
დიდყვავილობას პირველად შეხვდი
და ამ „პირველით" ლამაზად შეშლილს
თვითონ ბუნება გეფინა ფერხთით.
მაგრამ მოვიდა პირველი ქარიც,
პირველი წყენა, პირველი სუსხი
და დაგარბია ცივი ხარხარით
და რას გერჩოდა, არავინ უწყის.
...ხომ არასოდეს დაგავიწყდება,
ალუბლის ხეო, ნაზო და სუსტო,
პირველი ტკენა,
პირველი წყენა.
პირველი ქარი, ცივი და უღვთო?
ხომ არასოდეს დაგავიწყდება?

ვინ გახსენდება?

უფლისციხეს რომ ესტუმრები
შუა ზაფხულში
და ქვის მცხუნვარე კიბეებით
აჰყვები აღმართს,
პირველყოფილისა,
ვის იხსენებ, ფიქრში ჩაფლული?
ვინ გელანდება, როდესაც აქ ხარ?
სატრფო, რომელიც ქალაქში დაგრჩა,
თუ
შენი ტოლი უფლისციხელი,
რომელიც სისხლის
უკანასკნელ წვეთებსღა ხარჯავს
და ალყად მომდგარ
მტერს მუქარას უთვლის მჯიღებით?
პირველყოფილისა, ვინ გახსენდება?

შენ ჩემო თავო...

შენ, ჩემო თავო, რატომ აქამდე
ვერ მოგიხელთე ერთხელ მაინც
დამშვიდებული და უზრუნველი,
რომ წამეყვანე უფლისციხის
ყაყაჩოებით ცეცხლმოდებულ
მიხდვრებისაკენ
და მეთქვა შენთვის:
დაივიწყე ქვეყნად ყოველი —
რაც იყო წინათ,
რაც დღეს არის,
რაც ხვალ იქნება,
გულაღმა დაწექ,
ცას ახედე,
პეპლებითა და ფუტკრებით სავსეს
და თავი ისე წარმოიდგინე,
თითქოს და ჯერ არ დაბადებულხარ
და მხოლოდ ახლა უნდა დაიწყოს
შენი სიცოცხლე.
...ხომ ისევ იმ გზით ისურვებდი,
მითხარ, სიარულს,
რომელსაც ჰქვია ბეწვის ხიდი,
დაუდგრომლობა
და ღამეების თეთრად გატეხვა?
ხომ ისევ იმ გზით ისურვებდი,
მითხარ, სიარულს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადანაგულება

— ვითომ სხვაგან ყოფილიყავით და შემთხვევით შემოგვიარეთ, შეიარეთ თვალი თუ მოგეწონება, ჩემზე იყოს, თუ არადა... — ეპუტეხებოდა ცალთვალა ისიდორე შეფიქრიანებულ ვალიკოს.

— ვინ დაგიჯერებს. შე კაცო, მაგას, რავა, ყრუობა კი აღარაა ახლა, თქვენს იქით მამალი არ ყივის და, აბა, სად მამიჩემის მამასთან მიდიოდით, თუ აქეთ არაო, არ იფიქრებენ? — ყოყმანობდა ვალიკო.

— კაცო, მაგი მე ვიცი, მთავარია, თქვენ ჩამობრძანდეთ, ისე მოვაწყობ ყველაფერს, გაგეხარდებათ, — არ ეშვებოდა ისიდორე.

— ვეცდები, — თქვა ბევრი ფიქრის შემდეგ ვალიკომ.

— საცდელი და საჭოჭმანო რა არის აქ?! წამოიყვანე ვინც შენ გაგეხარდება. ფეხი არ დაგისველდება ახლა ისეთი გზა მოდის ჩვენამდე.

— ოღონდ, იცოდე. მხოლოდ შენს ოჯახში, — როგორც იქნა, დაყაბულდა ვალიკო, — „ისე შემომიჩნდა, ნამდვილად დამღუპავს ეს ოჯახშენებულიო“, — გაიფიქრა და წასასვლელად შემზადებული ქმაყოფილი ისიდორე ერთხელ კიდევ გაიფრთხილა: — თუ ძმა ხარ, არავინ ეკითხოს, თავი მომეჭრება, რაღაროს ჩემი ქალის თხოვაო.

— ნუ გეფიქრება შენთქვა. გითხარი წელან, მაგისთანები მეშლება მე. შაბათს გელით. — ხელი ჩამოართვა გორჭოფებულ ვალიკოს. მერე, ვითომ თვალს ჩავუკრაეო, ის მეორეც მოხუჭა და ფეხზე ძძინარს დაემსგავსა.

— წავუქეიფოთ ერთი შაბათს სოფელში, — გადაუბრიალა პროფკავშირების კრებაზე ვალიკომ მეგობარს.

— შაბათს ვანიჩქას მამის დაკრძალვაზე უნდა ვიყო მე,. — ცივი უარი სტკიცა შაქრომ.

— არ მეუდროება. იქიდან გავიაროთ, ქეიფი საღამოსაა. კარგი, — შეაგულიანა ვალიკომ.

— კვირას რომ წავსულიყავით, ვითომ რა იქნებოდა? — გაიკვირა შაქროიამ.

— კვირას რა გვინდა. შე კაცო.

— დაპატიჟებული ხარ?

— არა, ისე... ნათესავები მყავს, გეხარდებათ.

— ვითომ მაინცდამაინც შაბათს გეხარდებათ და კვირას ეწყინებათ? თქვა შაქრომ. მერე პროფკავშირების თავმჯდომარის გადმოძახილი, — ემანდ რა ხმაურიაო, — ერთი ყურიდან მეორეში გაატარა და ჩუჩჩულითვე დაეთანხმა: — კაი, მაშინ, რაღაც შენ გინდა...

— ეკლის ბარდზე ატტიტებული თხა მანქანის სიგნალმა დააფრთხო. იშვირა ფეხი, იკუბა, გადაეკლო ბარდს და პეტელით აიკლო შეკა.

ისიდორე ღიმილით შემოეგებაო ჭიშკართან. მანქანიდან გადმოლაგებულ ტანსაცმელ-დაჭმეტნილ სტუმრებს სათითაოდ მიესალმა და აქეთ, აქეთ მობრძანდითო, მწვანე მოლით ახასხასებულ ეზოში შეიპატიჟა.

— თუ კაცი ხარ, არ დაგვალალატო, თორმეტ საათზე უეჭველად ძოგვაკითხე, — ურიგდებოდა შაქროია „პობედის“ მძღოლს, ჯიბეში ხელი ჩაეყო და ყოყმანობდა, ბე რომ მიეცე. შეიძლება კი დაეზაროს ამ დასაკარგავში ამობრუნება და უყარე მერე კაკალი.

მძღოლი — ჩაკუტატებული, ლოყებდაყოფილი იაში არ ჩქარობდა. მანქანიდან გადმოსულიყო, ირგვლივ უეცლიდა, სა-

ბურავებს ფეხის მირტყმით ამოწმებდა და იპურჭყებოდა.

— დარჩეს მაგ კაი დედამიშვილი ჩვენთან, რა უნდა იშოვოს ახლა იმდენი რომ... — ჩაერთოთ საუბარში ისიდორე.

მძიმილი ერთგულად განაგრძობდა თავის საქმეს.

— თუ გვიკადრებ, ბატონო, სხვისას არაფერზე გევიქცევი, — მიეხალისა ისიდორე.

— სიმართლე გითხრათ, კი მეზარება ყიამეთში იქედან მარტო სიარული, — განაცხადა მოულოდნელად იაშმა და ოქროს კბილებით ნთელი მოჰფინა იქაურობას.

— აგაშენა ღმერთმა, — გაუხარდა ყველას.

— აბა, ნუღა ვცდებით ახლა, დანარჩენზე იქ ვისაუბროთ, — წაუძღვა სტუმრებს ისიდორე.

— რავა გადასხვაფერებულა ყველაფერი, ისიდორე ბიძია, შენ ხის აივნიანი სახლი არ გედგა? — გაიკვირვა ვალიკომ, როცა ვეება, თეთრი ქვით ნაშენებ, ვერანდებით დამშვენებულ სასახლეს შეავლო მზერა.

ისიდორემ ვითომ ვერ გავიგონეო, წაუყურა, კისერი წაიგრძელა და რიხით გასცინა ვიღაცას: — გამოგვხედეთ, ბატონო, თუ შეიძლებოდეს, მოიცალეთ ჩვენთვისო.

რკინის აივანზე პიქამოიანი ჭარმაგი მამაკაცი გადმოდგა. შუბლი მოიჩრდილა, — მობრძანდით, სტუმარი ღვთისაო, — დასჭექა და თავქვე დაეშვა.

ჟალეიუპე, ნამდვილად სხვაგან მიდიოდა ამ შეჩვენებულმა, — გაიფიქრა ვალიკომ, ფერი ეცვალა. დაბნეული, მორცხვად მიესალმა აქლოშინებულ ჭარმაგ კაცს.

— დიმიტრი, ბატონო! — ხელი მაგრად ჩამოართვა მასპინძელმა.

ეცად გამოეფინა ჯალაბი, მოიკითხეს ერმანვეთი, აივანზე მიიწვია დიმიტრიმ სტუმრები. საიდანღაც ნარიც გამოახრიგინა მეზობლის თავხოტორა ბიჭმა, ცოტა ხანს თავი შეიქციეთ და ძალე ყველაფერი იქნებაო, — დაიმედა სტუმრები თავსაყარწყალოშვილმა და ასახლისმა და გაუჩინარდა.

კმაყოფილი იყო შაქრარაბანდელი, თუ ხარ, ასე უნდა იცხოვრ[illegible] ხარ? სოფელში იყავი და კაცურად. ქალაქი გნებავს? ფხა გამოიჩინე.

— გაჩერდი ერთი, თუ კაცი ხარ, გლახა არსად არ ვარგა, — ქირქილებდა ისიდორე.

— იმ საწნახელს შეხედე შენ და დანარჩენზე მერე მელაპარაკე, ახლა იქით მიიხედე, ხედავ, კაცო? სკებიც ჰყოლიათ და მერე რამდენი, — აღტაცებას ვეღარ მალავდა იაშა, თან ცალი თვალი პობედისკენ ეჭირა, ბავშვებმა რაიმე არ გამიფუჭონო.

— ეგ ჩემი თანაკურსელია, ერთად ვმუშაობთ, ესენი მეზობლებია, — კარგი ხალხია, — გააცნო ვალიკომ უკვე მოშინაურებული სტუმრები ჯოხზე დაყრდნობილ ოჯახის პაპას.

— კაია, შვილო, კაი, რომ გაგვახარეთ, გეიღვიძა კედელყურემ, ასე უნდა, აბა, — აჩიფრიფდა მოხუცი. თან აკანკალებულ ხელებით ჩიბუხს დაუწყო გაწყობა.

როგორც იქნა, დაიხელთა ვალიკომ ისიდორე, იქვე, მოფარებულში გაიყვანა და — მეც შენისთანა ვარ, რომ დაგიჯერეო, — ებუზღუნებოდა.

— კარგი, ახლა, კაცო, კარგი, თუარა... — გაბრაზდა ამდენი საყვედურების შემდეგ ისიდორე.

— თუარა, რაი, ვითომ; — შეაგება წამოჭარხალებულმა ვალიკომ.

— რაი და, გადადგიყვან შენ ნესტ სტუმრებიანად ჩემსას და ჰრასის მწნილზე და ორი წლის გადაუღებელ ღვინოზე გამღერებ ვარიკვარალეს.

— ასე არ ჯობდა, მერე? რა ვქნა ახლა მე, მარტოხელა კაცი ვარო, ვიტყოდი, მოხმარებას ვინ დაგამადლიდა, დოუძახებდი იმ გოგოს და... — ჭუჭყუნებდა ვალიკო. ისიდორე ღუმდა.

— ჩვენ შორის სასიძო რომელია, იმას მაინც ნუ გაამხელ, — შეეხვეწა ბოლოს ვალიკო.

— კარგი, ბატონო, თუ ეგრე გსურს...

— ჩაიღურღულა ნირწამხდარმა ისიდორემ.

— მეექვსე ხელ ნარდს იგებდა იაშა, — კარები მაინც აიღეო, — ასწავლიდა ყურებგაბმაყინილ შაქროიას და დანარჩენებს თვალით ანიშნებდა, ამასაც მალე მოგისვამთ გვერდითო.

— ფულზე ვითამაშოთ და მაშინ ვნახოთ, — წიაღრაბახა ვალიკომ, ჯიბიდან ხუთმანეთიანების დასტა ამოიღო და თვალებგაბრწყინებულ იაშას ცხვირწინ აუფრიალა.

— ნაძლევზე და ფულზე ყოველთვის ვაგებ, — გაინაზა იაშა. მერე, ვითომ იხტიბარი არ გაიტეხა, რაც არის, არისო, თავის დაშმუშნილი ხუთმანეთიანი ვალიკოსას ამოუდო და გაახურეს..

— აღარ შეიწვა ამდენხანს ის გოჯი? — გადაუჩურჩულა ნირწამხდარმა ვალიკომ შაქროიას, როცა იაშამ მისი უკანასკნელი გროშები მიითვალა, თან თვალით ისიდორეს დაუწყო ძებნა, სად დამეკარგაო.

ისიდორე ოთახში, მასპინძლებს შორის ჩამდგარიყო, ტუჩზე თითი მიედო და ჩურჩულებდა:

— ვითომ არაფერი იცოდით და ისე, შემთხვევით მოხდა ყველაფერი, გაშლილი სუფრა რომ დგგეხვედრებია, მიგვიხვდებოდნენ, ასე სჯობია, რომ სულ სხვაფრივ იფიქრებენ, ის გალოგვებული გოჭიც გაზის დუზონკაში შეაცხელეთ, დანარჩენი მე ვიცი.

— კი, ბატონო, გეთანხმები, — უმოწმებდა მასპინძელი.

— მაგი შემეშლება ამ დროულ კაცს? ვინცობისაა რამე მოხდეს, ვერ შევეწყოთ, ან აქედან, ან იქიდან... რატომ უნდა გავაგებიოთ სხვას, მე შენ გეტყვი და...

— უკვე წამოშლილიყვნენ სტუმრები. მასპინძლის ქალიშვილი წყლიანი თუნგით ეზოში იდგა და იაშას ხელებს აბანინებდა. იაშა რაღაცას ეჩურჩულებოდა გოგოს. ისიც თავჩაღუნული, მორცხვად იღიმებოდა. მერე იაშამ ხელსახოცი ჩამოართვა და თავი დაუკრა.

ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას, ცოტა წაიხემსეს, თამადა ავირჩიოთ — ერთმანეთს ნაცადად მოხუცმა.

— ოჯახის უფროსი, ბატონო, მაგას ძებნა უნდა?, — დაეკარეს აქეთ-იქიდან.

— ჩემი თავი შემოგვეწალოთ, მაგრამ წნევა მიწევს, — მოუბოდიშა დიმიტრომ, სავსე ჭიქა აიღო, ბესარიონს მიუბრუნდა, — შენ უნდა გვცე პატივი, — ჩაუღიმილა.

— გადაირია ჩემი მტერი? — გაცხარდა ბესარიონი. — ქვეყანა ჩალითაა დახურული თუ რაი, სტუმრებმა თქვან და ჩვენ გევიგონებთ.

შაქროიამ ქვა ააგდო და თავი შეუმვერა, ერთი შვიდი ჭიქა იქაც გადავხუნე, გასვენებაში, ბოლოს მიწევსო. დანარჩენებმა, — ოჯახში პირველად ვართ და რავა ვიკადრებთო. ვალიო ბეკებში აიწურა, რა ექნა, აღარ იცოდა. ისევ იაშამ იხსნა ყველა, ჯანდაბას ჩემი თავიო, განაცხადა და პირდაპირ შეუდგა საქმეს.

— აა, ბატონო, კაცი! — შეთამამა იაშა მოხუცმა.

— მთლად უცხვირპირო არ ყოფილა ეს ოჯახდაქცეული? — ჩურჩულებდნენ სტუმრები.

ტანდაბალი გოგო იყო სპატარძლო, ლოყებწითელი, აბრიალებდა შავ თვალებს, შემოქონდა ცხელი ხაჭაპურები და — უკაცრავად, ცოტა უნდა შეგაწუხოთო, — ხან ერთს მოუხდიდა ბოდიშს, ხან მეორეს.

— შეგვაწუხე, გენაცვალე, შეგვაწუხე", — თვალებით ესიყვარულებოდა იაშა.

„სიდაბლე ჯანდაბას, არც მე ვარ ყარამან ყანთელი, მაგრამ ერთწლიანი საბუღალტრო მაინც კონდეს დამთავრებული", — წონიდა თავის საქმეს ვალიკო.

— ბედნიერი ფეხი მაქვს მე და ბედნიერება შემომეტანოს ამ გადახურულ-

---

თეიმურაზ ლანჩავა
გადაკეთებული

ში, — თაფლად იღვრებოდა ეშხში შეხული თამადა, თან თვალი კარისკენ გაურბოდა, „ის“ როდის შემოკერიალდებაო.

— დაგრჩენილაართ ამაღამ წაუსვლელი და ისაა, — ვეღარ მოითმინა მეტი ვალიკოს მეზობელმა — უშვილძიროდ დაბერებულმა მინაგომ, როცა იაშამ განსხვავებული სასმისი მოითხოვა.

— ცხენი გაჭენდება ჩვენს დარბაზებში, რავა კადრულობ, ბატონო, მაგას, — დაანამუსა ოჯახის დიასახლისმა.

— ბერჭულაძეები ვართ, ბატონო, ჩვენ! — ფეხზე წამოდგა მოხუცი, — ვვარრთ მაინცდამაინც კი ვერ დავიტრაბახებთ, მაგრამ გემახსოვრებათ ალბათ იპოლიტე ბერჭულაძე, ექვსი კაცი რომ გაადგრა წყალუბოში.

სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს, ასეთი არავინ გაგვიგონიაო.

— ვინ იყო, ბიძიკო, ამნაირი დევგმირი? — მიუბრუნდა იაშა მოხუცს, თან თავისთვის გაიფიქრა, კამეჩი არ ყოფილა ის უპატრონო?

— ძმაშვილი იყო ჩემი, ეგერაა მაგის სურათი.

ხის ჩარჩოში ჩაკირულ, ვაკვიათლებულ სურათიდან ერთი ჩვეულებრივი, ღიღაუტა ბიჭი ეღიმოდათ. — ეს ყველაფერი მკლავით მოაბერხა? — დაინტერესდა ვალიკო.

— ქვაშის კარიერებზე მუშაობდა, თვითმცლელზე იჯდა, იმ დღეს ცოტა გადაუკრავს და...

— მაშასადამე, მანქანით... დაღუპულ... — შეიცოდა შაქროიამ.

— ძნელი პროფესია გვაქვს, ამავე დროს ვაკაცური, — თავი მოიწონა იაშამ.

— ეშმაკის მოგონილია მაგ ოხერი, მაგრამ რო ჩაჯდები, სხვანაირი სიამაყით გიცემს გული. მე რომ მე ვარ, ხომ ამხნის მოვიყარე, მაგრამ სულ სხვა გრძნობა მეუფლება შიგ რომ ჩამასკუპებენ, — თავი გაამეღავნა მოხუცმა.

— კი, ზიხარ შენთვის, თუ მოინდომებ, მგონი ერთ დღეს სტამბოლში ჩახვალ, — წამოეხმარა შაქროია.

— ამაღამ თუ წავალთ, სტამბოლის რა მოგახსენო და, საიქით განეფენებული გვაქვს, — გადიხარხარა ეროტომ, თან საათზე დაიხედა, მთქნარებით ეფერობა დაამოწმა და ინდაურის ბარკალი დაითარია.

თამადამ სიმღერა წამოიწყო, აჰყვნენ სხვებიც, მარტო ვალიკო იკავებდა თავს, რა ვქნაო, ფიქრობდა. ვერ გადაეწყვიტა „ჰო“ ენიშნებინა თუ „არა“ თვალებში მოციცინებული ისიდორესათვის. ამასობაში თამადამ ცეკვა გააჩაღა, თავისი კოტიტა ხელები ჭერისკენ შემართა, ამაღლდი ჭეროო, — იქუხა და საპატარძლო გამოიცეკვა.

„ცეკვა გვარიანი ცოდნია, თვალ-წარბიც მიმზიდველი აქვს, წოგნისათვისაც რომ მოეცალა ცოტა და რაიმე პროფესია ჰქონოდა... — ფიქრობდა ვალიკო. აცეკვებულ ეროს მუშტრის თვალით ათვალიერებდა, თან იბოღმებოდა, ეს შარახვეტია მძღოლი რას გადაეკიდა, რა ცეკვა-თამაშა აუტყდაო.

— ლბინისთვის ეროუჩენიხარ უფალს, — შეაქო იაშა მოხუცმა, როცა აქლოშინებულმა ყანწი მოითხოვა.

— ამით ჩვენს ოჯახში პირველად სამშობლოს სადღეგრძელო ისმევა, — გაანაცხადა ოჯახის უფროსმა და ჯიხვის წყვილი რქა თამადას ჩააბარა.

— შევეწირებით, ბატონო, — იყვირა ყანწის სიდიდით შეშინებულმა შაქროიამ.

— უნდა შევეწიროთ სამშობლოს, აბა, რავა გინდათ თქვენ? — გაიბერა იაშა. კართან ატუზული საპატარძლოს გამარჯვებული კაცის იერით გახედა და მეორე ყანწი ვალიკოს გაუგზავნა, ამას მიმიხედეო.

ცოტა ხნის შემდეგ ბრძოლის ველს დაემსგავსა იქაურობა. ოჯახის უფროსმა დიასახლისი იხმო. სველი პირსახოცი მოიტანეს და საცივიან თეფშში ცხვირპირ ჩამხობილ ვალიკოს სახე მოუშშრალეს. შაქროიას ჩიჩმაში ჩასძინებოდა. მინაგომ და მის ძმას თავები ძიეტყუპებინათ და გემრიელად ფშვინავდნენ.

მარტო იაშა აკვროდა კედელს უჯაროდ დარჩენილი გენერალივით, — რა დროს მიღალატესო, — ქირქილებდა და მაგიდაზე ჩამოძინებულ ისიდორეს უჯლიკვებდა.

შაქროიაც რომ ჯახირით წაიყვანეს და მიაძინეს, იაშამ ოჯახის უფროსი დაიმარტოხელა და გვერდით ოთახში გაიხმო. — დედასაც ვკითხოთო, ბოლოს რაღაცაზე დაეთანხმა დიმიტრი. — ბაბუცა, მოდი. ცოტახანს აგერო, — დაუძახა ცოლს და ახლა იმათმა იპუტუნეს თავისთვის დიდხანს.

●

„შეიძლება ერთი შეხედვით კი მოტყეილდე კაცი, კიდევ გადავხედავ, შორიდან გვეკითხავ, დავუკვირდები, თუ გადავწყვიტე, დედაჩემსაც შევუთვლი, იმ თვეში შვებულებას ავიღებ დ...“ ფიქრობდა მანქანაში ჩაყვინთული ვალიკო.

შაქროიას კისერი მოეღრიცა. ... ულამს ანეგდოტს მონდომებით ყვებოდა და სიცილით იგუდებოდნენ დანარჩენები. მარტო იაშა გამოთიშოდა ყველაფერს, რაც შეეძლო, გაზის პედალს აწვებოდა, ერთი სული ჰქონდა, როდის ჩააღწევდა ქალაქამდე.

●

კვირა დილით ლურჯი პობედა მიადგა ბურჭულაძეების ჭიშკარს. კრეპის კოსტუმში გამოწკეპილმა იაშამ კიდევ ერთხელ მოისინჯა ჯიბეები, სანიშნედ წამოღებული ბეჭდები ხომ არ ამომცვენიაო და თავისი მოკლე ფეხებით მარდად შეაბიჯა მწვანედ ახასხასებულ ეზოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან თურმანიძე

„ძ ე ო ბ ა“

პირდაპირ საავადმყოფოში მივდიოდი, მაგრამ ვაჟამ არ მირჩია: სულ ერთია, ახლა არც ერთს არ ვანახებენ, თუ ასე გინდოდა, თავიდან იქ უნდა ყოფილიყავიო. მე ავუხსენი, ეს მოულოდნელად მოხდა, ამას თავისი მიზეზები აქვს. ძალიან მწყინს, მათთან რომ არა ვარ და ახლავე იქ მივდივარ-მეთქი. ვაჟამ: იქ ყველაფერი კარგად არის, დასვენების მეტი არაფერი სჭირდებათ. ახლახან დავრეკე, შეგიძლია ამაში ეჭვი არ შეგეპაროს. ვშიშობ, შენი მშიერი და დაბნეული სახით ბედნიერი მამის შთაბეჭდილება მოახდინო ვინმეზეო.

მე მართლა ძალიან დაბნეული ვიყავი და საკუთარ თავზე ვბრაზდებოდი. ვაჟას დასკვნები დამაჯერებელი, მაგრამ ჩემთვის ნაკლებად სანუგეშო იყო და ესეც მაღიზიანებდა. ან შეიძლება იმიტომ ვიყავი ასე, რომ მეორე გოგონა შემეძინა...

მინდოდა პასუხი გამეცა, უამრავი გესლიანი სიტყვა და აზრი დატრიალდა თავში, მაგრამ ვერც ერთს ვერ მოვაბი თავი, ვერ გამოვთქვი სათქმელი. ვაჟა კი მშვიდი, საქმიანი ჩანდა. მანქანაში ჩავსხედით და მძღოლს რესტორანი დაუსახელა. მე კიდევ ვერაფერი მოვახერხე, მხოლოდ სიბრაზისაგან ვიბერებოდი და ვფიქრობდი, რომ მე და ჩემმა ცოლმა უკეთ ვიცით, რაც ვიცით, ვაჟამ კი არაფერი იცის და ტელეფონის შესახებაც უეჭველად მოჩმახა-მეთქი.

მანქანიდან გადმოვედით და ვაჟამ თქვა, რომ ორი გოგონა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს სრულიად [illegible] და მამისთვის, შემდეგში [illegible] ტყუპი ვაჟი შეგეძინოს, ასე რომ ახლა ტყუილად იბერები, მაინც გამხდარი და მშიერი კაცის სახე გაქვსო.

რესტორანი თითქმის ცარიელი იყო. მხოლოდ რამდენიმე მაგიდას ემსახურებოდნენ. ესტრადასთან, საბანკეტო მაგიდას ტუხრელები უსხდნენ.

შერაბი უკვე აქ იყო. ძია მოსეს შეკვეთას აძლევდა.

— იქ დასხედით, — მიგვითითა და ლაპარაკი განაგრძო.

— დებილი, არც მომრეოცა, ეგ ოღონდ საჭმელზე ალაპარაკე!

— არა, — თქვა ვაჟამ, — შენთვის ცდილობს, აცალე.

მერე ვისხედით და მერაბს ველოდებოდით. ვაჟა რაღაცას ყვებოდა ბავშვებზე. მე ვუყურებდი და არ ვუსმენდი.

ჩვენ მეგობრები ვიყავით. სამივე ცოლიანი. ცოლებიც მეგობრობდნენ ერთმანეთთან და თვლიდნენ, რომ არც ერთი ჩვენთაგანი მათი ღირსი არ იყო. განსაკუთრებით ქსოვის დროს ჩანან ერთსულოვანნი. ეს მოდაში შემოსული თითებისა და ნერვების სპორტი სიშინლად აერთიანებს და აგრესიულად ვანაწყობს ჩვენ ცოლებს. ერთობლივი, უსასრულო ქსოვის დროს მათთან დალაპარაკება შეუძლებელია. ჩემიცა და ვაჟას მეუღლეც არქიტექტორები არიან, მაგრამ, ჩვენი აზრით, ქსოვა უფრო ეხერხებათ. მერაბის ცოლი კონსერვატორიას ამთავრებს და ამიტომ მე და ვაჟა ბოლო დროს იშვიათად დავდივართ მათ ოჯახში. ცოლი მუდამ ვარჯიშობს, მერაბი ბამბით ყურებგამოტენილი ნოტებს უფურცლავს და თვალსუფალი ხელით თავის რახატიან ძაღლს ეთამაშება. ამაცრემლებელი ოჯახური იდილიაა.

ვაჟა ნიჭიერი არქიტექტორია, რამდენიმე განხორციელებული პროექტის ავტორი და კარგი მონადირე, კიდევ

არის კარგი რაღაც, მაგრამ ამაზე არ ლაპარაკობს და ჩვენ ვიცით, როცა ვაჟა იკარგება, მაშინ ამ „რაღაცაზე“ მუშაობს. მერე გამოჩნდება საშინლად სერიოზული, მოყვება საინტერესო ამბავს და ავტორს ვერ იხსენებს. ჩვენ არც გვაინტერესებს ავტორის ვინაობა, რადგან მწერალი, რომელსაც ის დაგვისახელებს, არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ გამოქვეყნებულა. ეს ვიცით და არ ვეკითხებით, უბრალოდ ვუსმენთ და მოგვწონს.

ერთხელ მერაბი კინოფილმში გადაიღეს და იმ დღიდან კინოხელოვნებას უძღვნა სიმპათიური თავი. სურათი ვერ გამოვიდა ისეთი, როგორიც საჭირო იყო და მერაბი დროებით თავის პროფესიას დაუბრუნდა. ასე ამბობს თვითონ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დროებითი არ არის, რადგან ყველა ცუდ და საშუალო რეჟისორს წაეჩხუბა, კარგები ჯერჯერობით არ იწვევენ ფილმებში.

ვაჟას ჰგონია, რომ მერაბი გრეგორი პეკი თუ არა, უფროსი გამაშუქებელი აუცილებლად გახდება. ამ საქმეში ელექტროინჟინრის დიპლომი დიდად შეუწყობს ხელს.

მე კი ახლა ყველაფერზე მეტად მამა ვარ და სხვა არაფერი მაინტერესებს.

ვაჟა აღარ ყვებოდა ბავშვებზე. მერაბი ორ ქალს ელაპარაკებოდა. ვაჟამ თქვა, ისინი ინტერვიუერის თარჯიმნები არიანო.

ქალები ლაპარაკის დროს ჩვენკენ იყურებოდნენ. ჩვენ მერაბს ვლანძღავდით, მერე ქალები უცხოელების მაგიდასთან მივიდნენ.

ასე ჯდომა არ შემეძლო, ვერ ვისვენებდი.

— არ გჯერა? — მკითხა ვაჟამ.

—რა? ვერ გავიგე, რა უნდა მჯეროდეს, ქალების თარჯიმნობა თუ მერაბი რომ პირველი მოლაქაქეა?

— იქ რომ დავრეკე და, ყველაფერი რომ რიგზეა.

— რომ არ მჯეროდეს, იქ არ დავრეკ. დებოდი.

— ტელეფონი ადმინისტრატორ ... ოთახშია, — თქვა ვაჟამ ... ულშიც, შემოსასვლელთან.

მე ადმინისტრატორია ტელეფონით დავრეკე საავადმყოფოში. მითხრეს, რომ პატარა უკვე ჰყავდათ დედასთან. ახლა კი ყინოვა, შეგიძლიათ დამშვიდებული იყოთო, ნახვა დღეს არ შეიძლებაო, მართლაც დავშშვიდდი, ოღონდ თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, რომ თავიდან მათთან არ ვიყავი. ვიჯექი და ვფიქრობდი იმაზე, რომ ჩვენ ამას ცოტა გვიან ველოდით, ახლა ყველაფერი კარგადაა. ეს უკვე მოხდა და ჩვენი შიში უსაფუძვლო გამოდგა. ბავშვი ბოლო წუთში თვითონ შეტრიალდა მუცელში ისე, როგორც საჭიროა და თავის დედიკოს ტანჯვა შეუმცირა. შეუმცირა როგორც შეეძლო და ამიტომ ის უკვე ძალიან შემიყვარდა. მინდოდა მასთან ყოფილიყავი.

ვაჟამ თვალებთან ხელი ამიქნია და მითხრა, იდიოტივით ნუ გამტერებულხარ, მადლობა გადაუხადე ადამიანს, რომელმაც ნახევარსაათიანი მისალოცი სადეგრძელო მიგიძღვნაო. სადეგრძელოს არც ერთი სიტყვა არ გამიგონია, მერაბი ნაწყენი ჩანდა.

— ფიქრობდი? — ისეთი ხმით მკითხა მერაბმა, მგონია, მზად იყო, გაემეორებინა სადღეგრძელო.

— არა, ვლაპარაკობდი.

— ვისთან?

— შვილთან.

— რაო?

— ისაო!

— გასაგებია. ახლა ღვინო დალიე, მოგიხდება.

ჯერ კიდევ არ ვიყავი გუნებაზე და ეს მწყინდა. მაინც საავადმყოფოში წასვლა მინდოდა. ჭიქა გამოვცალე და მივხედი, რომ ღვინოც მინდოდა. წასვლაც მინდოდა და ღვინოც... მერე

ლევან თუშმანიძე

„ძმობა“

გამახსენდა, რომ ჩემი შვილი დედის რძით იყო გატიკნილი და ძილის მეტი არაფერი სჭირდებოდა.

— მერაბ, შენ გგირდება ღვინო?..

— ძალიან! — თქვა მერაბმა და დიდი ჭიქა გამოსცალა.

ყველას ჭირდება ღვინო. ამისათვის უვლიან ვენახს, მოაყავთ ყურძენი და აყენებენ ღვინოს. ღვინით ჭიქა გავავსე და ჩემი შვილის სადღეგრძელო დავლიე ჩუმად, ჩემთვის. მერე კიდევ იმის სადღეგრძელო შევსვი, რომ ჩემს შვილს მუდამ ჰქონდა რძე. ამიტომ ჩემი ცოლის სადღეგრძელო დავლიე და ვუსურვე, ყოველთვის ბევრი რძე ჰქონოდა მკერდში. მერე, საერთოდ, დედების, ბავშვების, დედის მკერდის და რძის სადღეგრძელი დავლიე და გადავწყვიტე, ვთხოვო ვაჟას, თავი დაანებოს არქიტექტურას და გააკეთოს დიდი ქანდაკება დედისა, რომელიც ბავშვს მკერდით რძეს აჭმევს. იმიტომ, რომ ეს ყველაზე ყველაფერზე კარგი საქმეა. ეს უნდა იყოს უზარმაზარი, გრანდიოზული ქანდაკება, წინ აუზი რძით სავსე, გარშემო ბავშვები, იქვე უნდა იყვნენ დედები და სულ პატარებს მკერდით რძეს აჭმევდნენ. დედის ქანდაკების სადღეგრძელოც დავლიე და მერაბმა თქვა, შენისთანა თვითმარქვია და მუნჯი თამადა ჯერ არ შემხვედრიაო, ვაჟამ მირჩია, რამე შეჭამე, თორემ ცარიელი ღვინო ისიც შავი, კისერს მოგიგრეხსო.

კისერი მართლა მეგრიხებოდა. კიდევ უნდა დავრეკო, ვთქვი და ადმინისტრატორის ოთახისკენ წავედი, მაგრამ საპირფარეშოში შევედი და ცივი წყლით სახე და კისერი დავიბანე.

— ცუდად ხომ არა ბარ, შვილო? — მკითხა თეთრხალათიანმა მოხუცმა და პირსახოცი მომაწოდა.

— არა, გმადლობთ.

— თამბაქოს ბრალია ეგ თამბაქოსი, თქვა მოხუცმა, — არ შეიძლება ერთად ღვინო და თამბაქო.

მე მაინც მგონია, რომ ცარიელმა ღვინომ იცის ასე... თამბაქოს არ ვეწევი.

ეს მოხუცისათვის არ მიუთქვამს, მაგრამ ალბათ გადავუხადე და დავბრუნდი ბრუნდი.

მაგიდიდან ცხელი კერძის ოხშივარი ადიოდა.

— გაეთამაშე, მოგიხდება, — თქვა ვაჟამ და შავი წიწაკის ფხვნილი მომაწოდა.

წვნიანი ცხელი კერძი, მართლაც გემრიელი გამოდგა და ძალიან მესიამოვნა.

მერე დიდი ჭიქებით ვსვამდით შავ ღვინოს და ძია მოსე ცარიელი ბოთლების წაღებას ძლივს ასწრებდა. მერაბმა ჩვენი ყურადღება ითხოვა და განაცხადა, ახლა უნგრული ქათმების კუჭმაჭს მოგართმევენ, ეს კულინარიის სიახლეა და აუცილებლად თეთრი ღვინით უნდა მივაღებინოთ ჩვენს უღირს სხეულებსო.

ღვინის არევა არ მიყვარს, მაგრამ უნგრული ქათმების ხათრით დავთანხმდი. მოსე ითამ თეთრი ღვინო მოგვიტანა — „წინანდალი“, ბოთლებს იარლიყზე რამდენიმე მედალი ეხატა და ვიკამათეთ იმაზე, თუ რომელი მედალი სად და როდის დაიმსახურა ცნობილმა ღვინომ.

უნგრული ქათმების კუჭმაჭი გემრიელი გამოდგა... მაგრამ მაინც ჩვეულებრივ სამამულო ქათმებით კუჭმაჭს გვაგონებდა...

ერთმანეთი ვადღეგრძელეთ. მერე ისევ ახალშობილი, და ვაჟამ და მერაბმა დაიწყეს მტაიცება, ყველაფერს გოგონები გვირჩევნია, ვაჟები ნერვებს უშლიან მშობლებს და თუ ვინმე ვაჟს აძლევს უპირატესობას, იმიტომ რომ მასში თავის თვიისებებს ამჩნევს, რაც შემდეგ ძვირად უჯდება. მაგრამ პრინციპში თითო ვაჟიშვილი ყოველ მამაკაცს უნდა ჰყავდეს, მხოლოდ იმისთვის, რომ გოგონების უპირატესობა მათთვის უფრო ნათელი გახდესო.

მე ვუსმენდი და ჩემ გოგონებზე ვფიქრობდი. მერე ჩემი ძმისწული გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსენდა, მშვენიერი ბიჭია და სულაც არ აბრაზებს მშობლებს ხმამაღლა კი ვთქვი, სისულელეებს ბოდავთ-მეთქი.

ძია მოსემ გასაცხელებლად წაღებული კუჭმაჭი ისევ შემოგვიტანა. თეფშები გამოგვიცალა და მერაბმა ჭაბა თავიდან დაიწყო. ვაჟა ერთხანს მერაბს აკვირდებოდა, მერე თქვა, გამჩენს ადამიანისათვის ორი პირი უნდა მიეცა, თუკი ორი ყური, ორი თვალი და ორი ტუჩი მისცაო, თუმცა მე ერთი პირითაც იოლად გავდივარო — გაიცინა.

— ორი საყლაპავი მილიც არ იქნებოდა ურიგო, — თქვა, სული რომ მოიოქვა, — და საერთოდ, გამჩენს ბევრი რამე შეეშალა.

დარბაზში სინათლე აანთეს. ორკესტრმა შესავალი მელოდია აკაკერა. უცხოელებმა „მუსიკოსები“ ტაშით დააჯილდოვეს.

ჩვენი წასვლის დრო დადგა, მაგრამ მერაბი გაჯიქდა, დაიჩემა, უცხოელებს სიტყვით უნდა მიემართოო. ვთხოვე მერაბს, ამოეგდო თავიდან ეს აზრი.

— არა, — თქვა მერაბმა, — ვერ დამიშლით, ეს ჩემი უფლებაა.

— უბედური უცხოელები, რა იციან, რა ელით, — თქვა ვაჟამ.

— ნორმალური ქალები მაინც იყვნენ.

— რა შუაშია ქალები, ხალხთა მეგობრობისა და სოლიდარობის გრძნობა უნდა გაგაჩნდეთ.

— გაგვაჩნია და ამიტომ დავიცავთ შენი გამოხტომებისაგან, ეს ჩვენი მოვალეობაა, — ვთქვი მე, — არა, ვაჟა?

— ჰი, — თქვა ვაჟამ, — რა საინტერესოა მაგათთან ლაპარაკი, ყეყეჩი სახეები აქვთ.

— რომელს აქვს ყეყეჩი სახე?

— ყველას, — წამოიძახა ვაჟამ.

— ჭხოლოდ ერთს, — თქვა მერაბმა.

— ყველას! — გაიმეორა ვაჟამ.

დაეთვალეთ და გამოვიდა, რომ ყველას ყეყეჩის სახე ქონდა, ოთხის გამოკლებით, აქედან ორი მერაბის ნაცნობი თარჯიმანი ქალი იყო.

— უმეტესობა ყეყეჩია, — თქვა ვაჟამ, — არა ღირს.

— ჰო, — დაეთანხმა მერაბი, ყეჩებთან საქმე არა მაქვს.

— სწორია, ყოჩაღ მერაბ!

— თარჯიმნებს არა აქვთ ყეყეჩი სახეები...

ფული ვაჟამ და მერაბმა გადაიხადეს! მითხრეს, აქედანვე უნდა იფიქრო ქალიშვილების გათხოვებაზე, ფული დაგჭირდებაო!

სუფთა ჰაერზე ღვინო უფრო მოგვეკიდა. მანქანას ველოდებოდით.

— ყავა მინდა, — თქვა მერაბმა, — ყავისფერი ყავა.

— მე არა, — თქვა ვაჟამ. — სხვა რამე მინდა...

— მაინც, რა? — ვკითხე მე.

— ერთ ადგილას წასვლა, თქვენც წაგიყვანთ, თუ კარგად მოიქცევით.

— ჩვენ კარგი ბიჭები ვართ, — თქვა მერაბმა. — არა?

— არა გვშავს, — გავიცინე მე. —

— სად წაგიყვანთ? — ვკითხე ვაჟას

— ოსი სოსოს სასოსისეში.

— სად?

— ხიდთან, ოსი სოსოს სასოსისეში, ათი წუთის გზაა მანქანით.

— ოსურ ხაჭაპურებზე ამბობს, — ახსნა მერაბმა.

— არა, — გაჯიუტდა ვაჟა, — ოსი ხოსოს სასოსისე ვთქვი.

— ჰო, — თქვა მერაბმა, — ოღონდ იქ ოსური ხაჭაპური აქვთ და სოსო კი არა, სანდროა მებუფეტე, სანდრო.

— აბრე იყოს, ოღონდ ის სანდრო ოსიო.

— არა, რაკეელი კაცია.

— არაფერიც, — თქვა ვაჟამ.

— მე საავადმყოფოში მივდივარ, — განვაცხადე, — ყვავილები მჭირდება.

— ყვავილები გვიანაა, ვერ ვიშოვით.

— არც გინდა, შენ თვითონ ხარ ყვავილი, გრძელი ყვავილი, — მითხრა მერაბმა.

ლევან თურმანიძე

„ძმობა“

— ერთადერთი ყვავილი და ისიც ღვინის სუნად ყარს, — ჩაიქირქილა ვაჟამ.

— სად ვიშოვნით ყვავილებს? — ვკითხე მძღოლს, მანქანაში რომ ჩავსხედით.

— ოსი სოსოს სასოსისეში, — თქვა ვაჟამ, — მხოლოდ იქ.

— ვერსად. ეხლა გვიანაა, — განმარტა მძღოლმა.

— ჩვენ გოგონა შეგვეძინა, ამას შეეძინა, — თქვა მერაბმა, — ამის ცოლს და ეხლა ყვავილი გვინდა.

—რას იზამ, გვიანაა. მომილოცავს, — თქვა მძღოლმა. — გოგონა სჯობია, მამის მოყვარული იქნება.

— გმადლობთ.

— პირველი გოგონა კარგია, ბიჭი რომ გაგჩენოდათ, ალბათ ერთზე გაჩერდებოდით. ახლა არ გაჩერდებით. ასეა ხოლმე.

— ეს, მგონი, გაჩერდა, მეორეც გოგონაა, — ამოიოხრა ვაჟამ.

— გაჩერდები? — მკითხა მერაბმა.

— ჰო, — ვთქვი მე. — აღარ ვიზამ.

მძღოლი მხიარული, ენაწყლიანი ჩანდა, ასეთები არ ბუზღუნებენ და შეუძლიათ დიდხანს გელოდონ.

— ბიჭი წვალებაა, — თქვა მან, — ომამდე რუსეთში ვცხოვრობდი, ზემო სართულზე მეზობელს ბიჭი ჰყავდა, სიცოცხლე გაგვიმწარა.

— რატომ? — ვკითხეთ ჩვენ.

— მავნე გაზებს ბოთლში აგროვებდა ის მამაძაღი.

— ნიჭიერი ყოფილა, — თქვა ვაჟამ.

— მააშ! — განაგრძო მძღოლმა. — მესამე სართულიდან ბოთლს ძირს ისროდა და ამტვრევდა.

— საძაგელი. ვიგინდარა, — თქვა მერაბმა. — მერე?

— მერე აირწინაღს იკეთებდა და ეზოში ჩამოდიოდა სეირის საყურებლად.

— თქვენ რაღას შერეგობდით, გეონდათ აირწინაღები?

— მოგვებეზრდა და უბნის რწმუნებულს შევატყობინეთ.

— რწმუნებულმა, რაო?

— სულდო ჰქონდა, ვერაფერი გაიგო, როცა ავუხსენით, ძალიან გაბრაზდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიჭირა?

— არა. — გაიცინა მძღოლმა. — აირწინაღი წაართვა.

საავადმყოფოსთან მძღოლს ვთხოვეთ მოეცადა და მანქანიდან გადმოვედით.

— ეგებ არა ღირს, ნასვამები ვართ, გვიანაა, — შეყოყმანდა ვაჟა.

— ხედავ ამ შენობას? — ვთქვი მე.

— აქ ჩემი ოჯახია — ცოლი და შვილი.

— ხვალ ნახე ცოლი და შვილი, — მითხრა მერაბმა, — ყვავილებსაც ვიშოვით.

— აქ ჩემი ცოლი და შვილია, — გაკჯიუტდი.

„ხვალ კი არა, დღეს, ახლავე ვნახავ ჩემს შვილს, რომელიც ჯერ არ მინახია და მაინც უკვე ძალიან მიყვარს“. — ვფიქრობდი.

საავადმყოფოს კარი დაკეტილი დაგვხვდა და დავაბრახუნეთ. თეთრხალათიანი კაცი გამოჩნდა. თვალების ფშვნეტით მოვიდა კართან, შეგვათვალიერა, ვიფიქრეთ, ნამძინარებმა შეიძლება ექიმებად მიგვიღოს და კარი გაგვიღოსო. კაცმა თვალების ფშვნეტა გათავა, თავის საათზე მიგვითითა და თავი გაიქნია, — გვიანაა.

— მორიგე ექიმს სთხოვეთ, — იყვირა მერაბმა, — ეხლავე!

კაცმა რაღაც თქვა, ვერ გავიგეთ და ისევ დავაბრახუნეთ. კარი ოდნავ გამოაღო და გვითხრა, მორიგე ექიმი დაკავებულიაო.

— მაშინ მთავარ ექიმს თხოვეთ, — თქვა ვაჟამ, — თუ შეიძლება!

— ჰო, მთავარს, უმთავრესს, ძალიან მთავარსა და უმთავრესების მთავარს— ყველი დაუყარა მერაბმა.

— დაწუნარდი, — ვთხოვე მერაბს.

— რა გვარია მთავარი ექიმი? — იკითხა ვაჟამ.

— შაწშიაშვილი. — გვითხრა კარისკაცმა და კარი მოხურა.

— ჩემ კლასში იყო ერთი შაწშიაშ-

ვილი, — თქვა მერაბმა. — და რუსულის მასწავლებელი სტეენით ამბობდა მის გვარს, იმიტომ რომ კბილების მთლიანი პროთეზი ჰქონდა და შ-ს სტეენით გამოთქვამდა. კიდევ შოშიტაშვილი, შაიშმელაშვილი და შიწმიაშვილი გვყავდა კლასში, შეიძლება შანშიაშვილის ბიძაა მთავარი ექიმი ან მამა, ბიძაშვილი, ან ბიძაშვილის ქმარი.

მერაბი ძალიან მთვრალი იყო.

— ბიძაშვილის ქმარი ოყროშიძე იქნებოდა, — უთხრა ვაჟამ.

ვაჟაც მთვრალი იყო და მეც.

— ერთი წუთით გააღეთ კარი, — ვთხოვე თეთრხალათიანს.

— გვიანაა.

— ვინ არის ეს ტიპი? — იკითხა მერაბმა.

— შანდორ შოოში, — სტეენით ვთქვი მე. წარმოვიდგინე, როგორ იტყოდა მერაბის მასწავლებელი.

— არა, ეგ ყორაა, კარისკაცი ყორა, — წამოიძახა ვაჟამ. — ვიცნობ.

— ყორა, გახსენ კარები...

— არ შეიძლება.

— არაო, — შეწუხდა მერაბი.

— როგორ თუ არა, — ვაჟაც აყვირდა. — შენი სახლია?! გააღე! — კარი შეანჯღრია.

— ამხელა კაცი ხარ, თმა არა გაქვს თავზე, რასა შვრები, არა გრცხვენია? — გაბრაზდა კარისკაცი.

— აუჰ, — შეიცხადა მერაბმა. — ეს რა თქვა, ვაჟას არა აქვს თავზე თმა? მაგის გულისთვის სმი კაცი ჰყავს მოკლული, იცი შენ, ყორა?

— და ექვსი გადაკარგული, — დაუმატე, — ნაწილი ტელეფონით უბდის ბოდიშს, ნაწილი წერილებით და ელვა დეპეშებით, არა ვაჟა?

— ეგ მე არ მიცნობს? — იკითხა ვაჟამ და თვალები დაამბრიალა.

— არაფერი გამოდის, — ვთქვი.

კარისკაცი სიგარეტს არეზინად აბოლებდა.

— თავი დაანებე, სხვა სამშობიაროში წავიდეთ, — შემოგვთავაზა მერაბმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სახანძრო კიბით უნდა ავიდეთ, — ვიფიქრე მე. — როგორც პიროველად“.

— ვაჟა, რაღაც უნდა გითხრა...

— რამე სერიოზულია?

— ძალიან.

— მერაბ, წადი ყორას ელაპარაკე, — თქვა ვაჟამ.

— როგორ წადი, მე რა, მოგზავნილი ვარ? — გაკვირვებულმა ჯერ მე შემომხედა, მერე ვაჟას.

— არასერიოზული ხარ, — უთხრა ვაჟამ.

— Пашел к чорту! — მერაბი მანქანისკენ წავიდა.

— მერაბ, — დავუძახე. — ნუ მიძატოვებ, მე ვთვლი, რომ სერიოზული ხარ და..

— და დიდად განათლებული, — დაუმატა ვაჟამ.

— რატომაც არა, — ვთქვი მე.

— ზეპირად იცის მე, ბებიკო, ილიკო და თეოფილე.

— ილარიონი, — გაუსწორა მერაბმა.

— აკი ვთქვი, დედანში აქვს წაკითხული. მერე კინო ნახა და სპექტაკლიც. მგონი რადიოინსტიტუტშიც მოუსმინა.

— უნდა გავუფრთხილდეთ ამ ადამიანს!

— ხელის გულზე უნდა ვატაროთ.

— მერაბ, მანქანაში ჩაჯექი, არ გაცივდე.

— ყორამ ვერ იცნო, თორემ გაგვიღებდა.

ყორას ხსენებამ ხასიათი გაგვიფუჭა. ბავშვის უნახავად აქედან მაინც არ წავალ, რას იფიქრებს ცოლი, ბავშვი ექვსი საათისაა და ჯერაც არ უნახავსო.

— მერაბ, შენც გყავს ცოლი, მოიფიქრე რამე, — ვთხოვე მერაბს.

ლევან თუთაბანიძე

„ძმობა“

— ცოლები! — თქვა ვაჟამ.

— რატომ ცოლები, მერაბს კარგი ცოლი ჰყავს.

— მერაბს ყოველთვის კარგი ცოლები ჰყავდა, — თქვა ვაჟამ, — უკანასკნელ სპარსელ თურქს არ ჰყოლია იმდენი ცოლი. ერკვევა ცოლების საკითხში.

— ნუ სულელობ, ხემინგუეი! — თქვა მერაბმა. — პირველი გათხოვილია, ქმარი ჰყავს, არაა ლამაზი. ამგვარი ლაპარაკი.

— მერაბს კარგი ცოლი ჰყავს, — ვთქვი მე. — ერთადერთი.

— საწყალი მერაბი, თურმე ერთი ცოლი ჰყოლია.

— სამივეს კარგი ცოლები გვყავს, — თქვა მერაბმა.

— ჩემი ცოლი ჩაკეტილი ჰყავს ეორას, — ამოვიოხრე მე, — და ბავშვი, რომელიც ჯერ არ მინახია.

— ეორა გაიღე! —

— არ შემიძლია, გვიანაა.

— მაშ ჩვენ გავალებთ.

— გაიღეთ და ერთ ადგილას დავრეკავ.

— ეორა საშინელი მრეკავია.

— მაგან ოღონდ დარეკოს და...

— თვალდახუჭული რეკავს.

— ეორა პირველი მრეკავია.

— ეორა, შე შმაგო!

კარისკაცმა დარაბები მოხურა და სინათლე ჩაქრო. არაფერი გამოდიოდა.

— ერთსაც ვცდი, — თქვა მერაბმა და ისევ დაამარახუნა.

— წერილი მაინც გადაეცი, — თხოვა მერაბმა, როცა კარისკაცმა კარი ოდნავ გამოაღო.

— წერილი შეიძლება, თუ არ სძინავს.

— დაწერე წერილი, — იყვირა ვაჟამ.

— დავწერე წერილი.

— აჰა, ეორა წერილი...

— ეგენი უკან დადგნენ, თორემ არ გავალებ, იცოდე, — გაიფრთხილა მერაბი.

— ნუ იტყვი, ეორა, ნუ, — გაიმეორა ვაჟა.

ჩვენ უკან დავიხიეთ. მერაბმა კარისკაცს წერილი გაუწოდა. იმან კარი ოდნავ გამოაღო — ხელი გამოჰყო... მერე ჩვენ დავინახეთ, რომ კარში არავინ იდგა.

— წინ! — იყვირა ვაჟამ.

ოთახში მომვლელი ქალი შემოვიდა. ხელში თეთრი ხალათი ეჭირა, უსახელო, ყელთან თასმით შესაბმელი. მომვლელი ქალი დაბალი იყო, მაგრამ კოხტა. მე ავდექი, მუხლებში მოვიხარე და იმან ბეჭებზე ხალათი მომასხა. მერე გაიცინა და მითხრა:

— მშვენიერი გოგონა გყავთ, მომილოცავს.

— გმადლობთ, თქვენ გყავთ შვილები?

— ბიჭი მყავს ოთხი წლის, — თქვა კოხტა მომვლელმა. ცოტა უფრო ამაყად, ვიდრე საჭირო იყო ან შეიძლება მომეჩვენა.

— არა უშავს, გოგონაც გეყოლებათ.

— მე თქვენი პირველი გოგონაც მახსოვს, — მითხრა.

— ნუთუ? — გავიკვირვე და ცოლს გადავხედე.

— ჯანმრთელი გოგონები გყავთ, — გაიმეორა ქალმა.

— მე გოგონების მშარმოებელი ფირმა ვარ.

— რა ბრძანეთ? — იკითხა ქალმა.

— ხალათი თქვენვე დავიბრუნოთ?

— დიახ, პირველ სართულზე, გასასვლელთან.

— გმადლობთ.

— ძალიან კარგი ქალია, ყურადღებიანი, — მითხრა ცოლმა.

— ეჭვი არ მეპარება.

— მართლა ახსოვს ჩვენი პირველი ბავშვი? ცუდი ხომ არაფერი მითქვია?

— სიტყვა გაუქილიკე.

— ხალათს რომ ჩავუტან, ბოდიშს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეუხდი და ეასწავლი გოგონა ოგორ გაიჩინოს. მას ხომ არა ჰყავს გოგონა.

— არ ვიცი.

— მე ვიცი, რომ ჯანმრთელი გოგონას გაჩენა უნდა.

— არ ვიცი, — შუბლი შეიკრა ცოლმა, — შენ თუ ასე გჭირდება...

— მე შენ მჭირდები.

— ნუ ფარისევლობ. — გაიცინა.

— მესმის, ამბანაგო! — გამოვეჭიმე.

— ამბანაგო კი არა, მე შენი ცოლი ვარ.

— ლამაზი, ჭკვიანი ცოლი ხარ.

ცოლმა ისევე გაიღიმა და გვერდზე გაიხედა. გვერდით საწოლზე სულ ახალგაზრდა დედა იწვა და პატარა საოჯახოში თვალიერებდა თავს.

მას ყველაფერი ესმოდა, ჩვენ ვიცოდით, რომ ესმოდა და იცოდა, რომ ჩვენც ვიცით, რომ ყველაფერი ესმოდა.

— პირველი ბავშვი ყავს, გოგონა, — მითხრა ცოლმა.

— პატარა დედა, — ვთქვი მე.

— დილას ნახვის დღეა, უნდა, ლამაზი ჩანდეს.

— შენ ყველაზე ლამაზი ხარ.

— ჰმ, — ჩაიცინა ჩემმა ცოლმა, — კიდევ ამ აზრის ხარ?

— შენ ყველა ცოლებზე ლამაზი ხარ, — ვთქვი მე, — ყველა მეუბნება, ლამაზი ცოლი გყავსო.

— მერე შენ რას ამბობ?

— ვამბობ, რომ მეც ძალიან მომწონხარ.

— ახლა აღარ მოგეწონები. მეორე ბავშვის შემდეგ ქალები იცლებიან. მკერდი ალბათ საშინლად გამეტეტება.

— შენ ყველაზე კოხტა მკერდი გაქვს. და ყველაზე კარგად იცი ბავშვების გაჩენა.

— ორი შვილი გვყავს, შენ კი ისევ ბიჭივითა ხარ.

— მე შენი ბიჭი ვარ.

— ჩემი ქმარი ხარ.

— ჩვენ ისევ ვივარჯიშებთ დილაობით, — ვთქვი მე. — ვიარეთ და შვედურ კედელზე ვივარჯიშებდეთ.

— და სკამზე, — მითხრა ცოლმა, — ლონგურ ეურნალშია სკამზე ვარჯიმები ქალებისათვის.

— კარგი ვარჯიჯებია, — ვთქვი მე.

— სწორედ ის, რაც საჭიროა.

— ჰო, — დამეთანხმა ცოლი. ფერმკრთალი იყო და დაღლილი ჩანდა. შემამჩნია რომ შეეშფოთდი.

— შენ არ იცი, რა ინელია, — თქვა, — მაინც გამაწვალა პატარამ.

— ვიცი, — ვეთხარი, — ძალიან ძნელია.

მეტისმეტად ფერმკრთალი იყო, თითქმის თეთრი და წარბები და თმა მუქად ჩანდა, ძალიან მუქად. ყელზე პულსის ფეთქვა შევამჩნიე და ძალიან შემეცოდა. მინდოდა ყელზე მოკოცნოდი და რამე კარგი მეთქვა, ჩუმად, ისე რომ მარტო მას გაეგონა. მაგრამ ცადაეფიქრე.

— თუ გინდა, წავალ, — ვთქვი მე.

— დაისვენე. ხვალ მოვალ — დავიხარე, ვაკოცე და კარისკენ წავედი.

— მართლა, რა დავარქვათ პატარას? — კართან ვიდექი. არც ერთ საწოლზე არ ეძინათ და ყველა მე მიყურებდა. გამეცინა.

— ეკა მინდოდა, მაგრამ თუ შენ...

— მოკითხვა ეკას, — ვთქვი მე.

— ხვალ რომ მოხვალ, განსხვავ.

— კარგი, წავედი!

მან თვალები მოხუჭა. ძალიან დასუსტებული და ფერმკრთალი ჩანდა.

დერეფანში, რეზინის გორგოლაჭებიან ურიკაზე ათიოდე ახალშობილი იწვა. სადღაც მიჰყავდათ. ბავშვები ერთნაირ სახვევებში გამოეკრათ და გვერდიგვერდ იწუნენ. ერთმანეთისაგან ვერ გამოჯარჩევდი. ათი უსუსური არსება. ათი დედა, ათი მამა, ათი ადამიანი, მერე ოცი, ოთხმოცი, ათასი...

— სალამი მომავალს! — ვიყვირე. მომვლელმა ქალებმა გაიცინეს.

ლევან თურმანიძე

„ქმობა"

— ეჭვი არ მეპარება, რომ ყველა გოგონაა, — ვთქვი ისევ, — ეკა, ეკა, რომელი ხარ, შეხედე მამიკოს! — ქალები იცინოდნენ. ახალშობილები ხმას არ იღებდნენ. იწვნენ უშფოთველები და სერიოზულები.

კიბეზე დავრწმუნდი, რომ მთვრალი ვიყავი. სამჯერ დამიცდა ფეხი.

ქვემოთ, გასასვლელთან ვაკა ორ ზორბა მილიციელს ელაპარაკებოდა. კარისკაცი კარდა, ან ფდა და მტრულად შემომცქეროდა.

— ეს ვაკაბატონი გახლავთ, — თქვა და მილიციელებს ჩემზე მიუთითა.

— ქორა, შე შმაგო, — ვუთხარი.

ვაკამ გაიცინა და სიგარეტს მოუკიდა. ის სულ უკიდებს სიგარეტს. როდის ეწევა, ერთხელაც ვერ შევამჩნიე. სულ სიგარეტის მოკიდებაშია.

— წამობრძანდით ჩვენთან! — მითხრა ერთმა მილიციელმა.

— მე წავალ, მაგრამ ჩემი ცოლის ფეხი აღარ იქნება აქ. არც შენი ცოლის, ვაკა, თორემ უეჭველად გოგო გეყოლება, არა, ორა?

— ხედავთ, რა ამბავშია? — უთხრა მილიციელებს კარისკაცმა.

— წამო, — მითხრა ვაკამ, — მორჩი!

— თქვენც არ გირჩევთ, პატივცემულო მილიციელებო, თუ უკვე ექესი ვაკი არა გყავთ, არ გაბედოთ აქ ცოლების მოყვანა, ვიცი, სადაც იბადებიან ბიჭები. მარტო შენ გეტყვი, ვაკა, სხვას არავის, მარტო შენ!

მილიციელები იდგნენ და გულკეთილად იღიმებოდნენ.

— კარგი, წავიდეთ, — თქვა ვაკამ.

— ბედნიერი მამა ხართ, — გამიღიმა კოხტა მომვლელმა ქალმა და ხალათი მკლავზე გადაიკიდა, — კარგი გოგონები გყავთ.

ხელკავით გვერდზე გავიყვანე.

— ჩემი ცოლი თქვენით ძალიან კმაყოფილია. გმადლობთ, — ვუთხარი.

— კარგი ცოლი გყავთ. აქ ყველას მოსწონს.

— მეც ძალიან მომწონს, — გმადლობთ, რომ არაფერი თქვით მასთან. იქ, ზემოთ.

— ცუდი არაფერი ჩაგიდენია, ალბ. რალოდ, გვიანაა და... — [illegible] თავრა.

— და მთვრალები ვართ, — ვთქვი მე.

— ნასვამები, — გაიცინა.

გამოვემშვიდობე და მოკოლადი შეუმჩნეველად ჯიბეში ჩავუდეე.

— ნახვამდის, ყველაფერი კარგად იქნება, — დამიმიდა. მერე კარისკაცთან მივედი. შოკოლადი თითქმის ძალით ჩავუტენე ჯიბეში და ვუთხარი ხალხნი ვართ და ალბათ გამიგებთ-მეთქი. ხელი ჩამოვართვი.

— შალვა მქვია, — მითხრა და გაიცინა. — ზეგ ისევ ვმორიგეობ.

— ნახვამდის, — ვუთხარი და ისევ ჩამოვართვი ხელი.

ყველანი გარეთ გამოვედით. მილიციის დიდ მანქანასთან მიმიყვანეს. წინ, მძღოლთან, ჯაღარა ოფიცერი იჯდა და მითხრა, ნასვამი მოსვლა კარგი არ არის. ნასვამებისათვის ყველაზე შესაფერი ადგილი ლოგინიაო. — ერთი წუთით მოვედი, რომ გოგონების მწარმოებელი დაწესებულება მენახა, — ვუთხარი.

ნათქვამი ვერ გამიგო და ვაკამ აუხსნა, რომ გოგონა შემეძინა და ბედნიერი ვარ. ოფიცერმა თქვა, მეტი სერიოზულობა გმართებს, ვინაიდან უკვე მამა ხარო. მე ვუთხარი, მამა 1979 წლიდან ვარ-მეთქი.

მით უმეტეს, მეტი მოგეთხოვება, თუ წინაადმდეგი არა ხარ სახლში მიგიყვან, რადგან ნასვამი ხარ და ქუჩაში ვერ დგებოვებო.

შემეშინდა, სახლის მაგივრად სხვაგან არ მიმიყვანონ-მეთქი და უარი ვუთხარი. მაშინ ტაქსს გაგიჩერებთო. ტაქსი დიდი ხანია გაჩერებულია-მეთქი. რაკი ასეა, ძილი ნებისაო. მადლობა მოვუხადე. მილიციელებს ტაქსამდე მიცილება უნდოდათ. მე მილიციის მანქანაში ავდიოდი და მერაბსა და ვაკას ხმამაღლა ვემშვიდობებოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ არა, — თქვა მილიციელმა, — ტაქსში დაბრძანდით.

მაინც მილიციის მანქანაში ვცდილობდი ასვლას. ისინი არ მიშვებდნენ. მე ვუთხარი, რომ ძალიან ბევრს კარგავენ და მათთვის სჯობს განყოფილებაში წამიყვანონ. მათთვის ვცდილობდი, ამათ კი არ ესმოდათ. მილიციელებმა მადლობა გადამიხადეს — მთხოვეს ჩემი გზით წავსულიყავი. თუ ასეა, ზემდეგებად დაბერდებით, ხელიდან უშვებთ დაწინაურების რეალურ შანსებს, მე რომ არ მაპატიმრებთ-მეთქი. გაიცინეს, ბედნიერი მამების დაჭერისათვის ოფიცრობას არ ანიჭებენო. მე ავუხსენი, ცდები ჩემს შეფასებაში, სულ სხვა ჩიტი ვარ-მეთქი.

ბოლოს მილიციელები წავიდნენ, მე ტაქსში ჩავჯექი. ახი იქნებოდა, მართლა წაეყვანე მილიციაში, მაშინ ნახავდი სეირს, შენგან კაცი არ გამოვა, ტყუილი იმედებიაო, — დამგესლა ვაჟამ. მინდოდა გამეგო კაცად გამოსვლის რა შანსები მქონდა და ვის იმედებს ვამტყუნებდი. მაგრამ დამეზარა

— ეხლა საით? — გვკითხა ტაქსის მძღოლმა.

— ეს კაცი დავტანჯეთ, — ამოიოხრა მერაბმა.

— რესტორანში! — წამოვიყვირე.

— გვიან არის, არ მოგვემასპინძლებიან.

— მე ვიცი, სადაც შეიძლება, — თქვა ვაჟამ.

— სად?

— იპოდრომზე!

— სწორია, იპოდრომზე წავალთ და ავიცებს შევახარამუნებთ, — ვთქვი მე.

— ჰა-ჰა! — გადაიხარხარა მერაბმა, — კვიცებს იქ რა უნდა!

— იქ მხოლოდ ცხენებია, ბებერი ცხენები, — დაემოწმა ვაჟა.

— არა უშავს, — ვთქვი მე. — მაშინ ბებერი ცხენები შეეჭამოთ.

— არა ღირს, იუარა მერაბმა.

— ღირს, — დავიჟინე მე.

— საით? — იკითხა მძღოლმა.

— იპოდრომზე, — უთხრა ვაჟამ.

— სწორია, — დავეთანხმე, — ჩვენ წავალთ იპოდრომზე და იქ ვჭამთ ბებერ, ბეხრეწ, გაჭუტულ ცხენებს. თქვენ გაგისინჯავთ ბებერი ცხენის ხორცი? — კითხე მძღოლს.

— ჰო, გადმომხედა მძღოლმა, — მიჭამია, ლენინგრადში, ბლოკადის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრაგმენტი

ხნავენ, თიბავენ... ცხოვრობენ ასე,
პიტალო კლდეებს ჰკიდიან კბილით.
უსმენენ შაშვებს, ფიქრობენ ცაზე
და აქვთ ცხოვრება მწარე და
ტკბილი.

ხედნიან რაშებს — ცეცხლისფერ
ცხენებს
და ოქრო დღეებს წურავენ მჯილში.
იტანენ ყინვას, იტანენ სიცხეს,
ხვალინდელ დღეთა არა აქვთ შიში!

ძველი ამბები

სხვებს თუ არ გავხარ, ვინ
გაპატიებს,
ვის აპატიეს?
იესო ქრისტეს,
მედეას
თუ ჯორდანო ბრუნოს?
და თუ შენც წყალი უქციე ღვინოდ,
და თუკი ქვა შენც უქციე პურად,
და თუ კიდევ ბოლოს და ბოლოს
წამალს მიაგენ უკვდავებისას,
გეშინოდეს, მაშინ მოგკლავენ!..

●

ზღვა ძლიერ ჰგავდა ვიღაცა
ბავშვის
უდარდელ ნახატს უფერულ
ფანქრით.
მზე ჩადიოდა საღამოს ზღვაში
და საღამოზე ზღვა იყო კარგი.

ზღვა მზეს ხვდებოდა ტალღების
ტაშით,
დაჰკრავდა ფერი უმწიფარ შვინდის.
მზე ჩადიოდა საღამოს ზღვაში
და საღამოზე ზღვა იყო მშვიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოსახლებულ მთიელებს

აქ ყველაფერი სადაა —
მდინარეები, მინდვრები...
სადაა, მაგრამ სადაა
მთები ჯიხვებით მდიდრები?

და როგორ გინდა რომ ლექსში
მცირე სევდა არ გარიო:
„შირაქის ველზე მივდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო!..“

სიცოცხლე

უსიერ ტყეში ცენწეროების
მინდორზე
ფრთხილად დადის ფოცხვერი...
და აყვავებულ ალუჩის ძირას,
გვირილების ფერად ლოგინში
ყოველ ღამე შველი იძინებს...

და ჯერ არ იცის, რომ მისი მშვიდი
სიზმრების სხვენზე მტერი
დასასლდა,
რომ დათვლილი აქვს მისი ნაბიჯი
და შეუძლია დიდხანს მოთმენა.

დილა

კვლავ აღმოცენდა მნათი მაშრიყით,
ვდგავარ მინდორში ცელს
დაყრდნობილი..

სამყურას თვალზე წვიმის ცვარი
ნათობს ცრემლივით,
ჰგავს ბრძოლის შემდეგ დაკეცილ
დროშას
მინდორი კაცის ნაფეხარი და
აცელილი!..

❦

და ჩვენ სხვადასხვა მხარეს მარენი
წავედით და თვალს მივეფარენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფურცლეთ და ვფურცლეთ ცის
კამარანი,
დავაჭაშნიკეთ სადღაც მარანი.

ქვეყნად ათასი რაღაცა ვნახეთ,
მოვვლეთ მამულის არემარენი...
ბოლოს და ბოლოს შენს ლამაზ
სახელს
ხომ მოვუნახე რითმა, მარინე!..

ვადლობა

თ. უ-ს

შენ შემეკითხე, რა მიხაროდა —
ამომიყვანა კაცმა ხაროდან.

მაღალმა კაცმა მზე დამანახა...

ტაში დამიკრა და გამიღიმა
ყველა ქრისტემ და ყველა ალაჰმა.

მე იმ ურწმუნოს ხელთათმანს
ვესვრი,
ვინც თევა მოკვდაო
ქველმოქმედება...
აჰა, მეც თქვენი კოცონით ვინვი,
მეც თქვენი თივის ცეცხლი მედება!..

●

...და მიჩხრიალებს შენს ქუჩებში, ჩემო ქალაქო,
მანქანების ფერადი ფარა....
(მე კი ყანები მაგონდება ყვავილიანი,
ქერი ქალივით რომ წვებოდა ქარის მკლავებზე).
საით ჩქარობენ? ბოლოს და ბოლოს
ხომ ყველას ერთი ფინიში გველის?!

რად ათამაშებს ღამე რეკლამებს,
თითქოს ვიღაცას ჭრელ თვალს უკრავდეს?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციურს, ხერ არნახულს, ხერ არგაგონილს!

შჩა ჯაფარიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით კაკაბაძე



ელგუჯა ამაშუკელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელენე ახვლედიანი

ლადო გუდიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულდა კალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ლომაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამეჩანი

„მტანჯველი არის ზეცის სიძაღლე!“

ტ. ტაბიძე

სატვირთო გემი „აჭარა“ ლამპიონების შუქზე ჩაფლულ ფოთის ნავსადგურს უახლოვდებოდა.

საკაპიტნო ბოგიდან კაპიტანი რევაზ ბარამიძე ვარსკვლავებს მისჩერებოდა.

„ძალუმად გეძახის ურიცხვი ვარსკვლავით აციმციმებული ზეცა, საიდუმლოების ცისფერ ბურუსში გახვეული ეს უსასრულო სამყარო!“ — ფიქრობდა კაპიტანი. ეწადა სხვა პლანეტებისკენ გაფრენა, მათი ახლოს ნახვა, შესწავლა, განცდა იმ იდუმალი სიხარულისა, რომელსაც ბადებს რაღაც ახლის, უცნობის ხილვა და შეცნობა. იცოდა — გულის წადილი არ აუხდებოდა და იტანჯებოდა.

გემი ნავსადგურში რომ შევიდა, გათენდა. ცა იყო ლილისფერი, ლილისფერი იყო ზღვაც. ეს ფერი წყნარი ზღვის ზედაპირზე ხან მუქდებოდა, ხან ბაცდებოდა.

კაპიტანმა ორ ჩემოდანში ჩაალაგა ცოლისა და ვაჟიშვილისათვის საჩუქრები: ცოლისათვის მაჯის ოქროს საათი, ქურქი, ქაშანურისა და ფაიფურის ჭურჭელი; ვაჟიშვილისათვის კი წიგნები ნადირობაზე, ორი წყვილი ხუთკილოგრამიანი ჰანტელი და ახალი ორლულიანი თოფი. ჩემოდნები აიტაცა და ტრაპისკენ გაემართა.

— კაპიტანს მიეხმარეთ! — ნაოსნებს მიმართა ტანაყრილმა შეჭაღარავებულმა ბოცმანმა მიყოლა კასტენკომ.

ორმა ახალგაზრდა ნაოსანმა ჩემოდნები ჩამოართვა კაპიტანს, ემძიმათ და ერთმანეთს შეხედეს.

— ღონიერია ჩვენი კაპიტანი! — ჩაილაპარაკა ბოცმანმა.

— ლამაზიც არის! — თქვა კაპიტნის უმცროსმა თანაშემწემ, მხარბეჭიანმა, შავქოჩრიანმა ვარლამ ბუკიამ, მწვანე, მოჭუტული თვალები გააყოლა კაპიტანს და დაუმატა: — მიკვირს, პირველმა ცოლმა რატომ უღალატა დაოცდაათი წლის ქალი ყმაწვილ ექიმს მისთხოვდა. უცნაურია ბედი ადამიანისა!

— ჩვენ ხშირად ზღვებსა და ოკეანეებში ვართ, ქალი მარტოა, შეუჩნდება ვიღაც და თავს შეაყვარებს, ოჯახს დაუნგრევს. ხდება ასეთი რამ.

— საკვირველი ის არის, რომ ათი წლის ბიჭი მიატოვა დედამ. მერე რა კარგი ბიჭია!

— შვილის წაყვანას ფიქრობდა, მაგრამ ბიჭმა მამასთან არჩია ყოფნა.

— კაპიტნის ახლანდელი ცოლი ქმარზე ბევრად უმცროსია, არ უნდა ეთხოვა.

— სიყვარულის გამო ქალი ერთხელ ადიდებულ რიონში თავს იხრჩობდა,

მერე ოდი დალია. როგორ უნდა მოქცეულიყო კაპიტანი? ჯერ შეეცოდა, მერე შეუყვარდა თვალებბრიალა ხათუნა კახიძე და ცოლად მოიყვანა.

●

კაპიტანი ჯერ გაოცდა, მერე შიშმა შეიპყრო: ნაცნობები, მეგობრები თვალს ვერ უსწორებდნენ, ცივად ესალმებოდნენ, ცდილობდნენ ჩქარა გასცლოდნენ მას: „ცუდი რამ ხომ არ შეემთხვა ჩემს ცოლს ან შვილს?“

შინ თექვსმეტი წლის ნოდარი დაბნეულად, გაუბედავად შეხვდა მამას.

— რა მოხდა? ცუდ საქმეში ხომ არა ხარ გარეული?

— არა.

— მაშ თვალს რატომ მარიდებენ ნაცნობ-მეგობრები? შენ რაღაც დაგაბნია?

— წავიდა...

— ვინ წავიდა?

— ხათუნა.

— სად წავიდა? მშობლებთან?

— ნავსადგურის უფროსის შოფერთან... — შვილი აიწურა.

— ნავსადგურის უფროსის შოფერთან? — ძლივს ამოთქვა თავზარდაცემულმა.

კაპიტანმა თავი დამცირებულად იგრძნო, თითქოს ვიღაც უბორრტესმა და უბინძურესმა სულში ჩაფურთხა. მუხლმა უმტყუნა, ტახტზე ჩამოჯდა, საგონებელს მიეცა: „ექვსი წელი ვიცხოვრეთ ერთად, ჩემს ბიჭს ზრუნვას არ აკლებდა, ეჭვიანი იყო, მხოლოდ ეს ჰქონდა ნაკლი. ეთქვა, შოფერი შემიყვარდაო, გზას დავულოცავდი. რად გინდა ცოლი, რომელსაც არ უყვარხარ?

— შვილო, იმ ჩემოდანში სანადირო თოფია.

დაშლილი ორლულიანი თოფი ნოდარმა ჩემოდნიდან ამოიღო, ააწყო, ჯერ მამას აკოცა, მერე თოფს და თოფიანად გარეთ გავარდა — ამხანაგებს გაჩვენებო.

კაპიტანმა ნავსადგურის უფროსის შოფრის ტელეფონის ნომერი მოიძინა, აკრიფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გისმენ! — გაიგონა ფაცნიანი, გულის შემძვრელი, ოდნავ ბოხი, ხავერდოვანი ხმა.

— შენთვის ჩამოვიტანე მაჯის ოქროს საათი, ქურქი, მოკლედ, რაც დამავალე, — კაპიტანს უჭირდა ლაპარაკი, ცდილობდა არ გაემჟღავნებინა მღელვარება, რომელიც ახრჩობდა. გარკვევით ესმოდა ხათუნას გახშირებული სუნთქვა.

„ისიც ღელავს...“ — გაიფიქრა კაპიტანმა.

— გმადლობ რევაზ, არ მინდა.

— შენ ხომ მთხოვე?

რამდენსამე წამს ხათუნა დუმდა, გახშირებული სუნთქვა კი კვლავ ისმოდა.

— მაპატიე, სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო, ჩემს გულს ვერ ვაჯობე.

— მიპატიებია, ძალით სიყვარული არ შეიძლება, არც წინათ გიყვარდი.

— მიყვარდი როგორც ადამიანი, როგორც მამაკაცი, არ მეგონა თუ ჩემს გულს სხვა დაიპყრობდა, სხვა თუ შემიყვარდებოდა. კიდევ გთხოვ — მაპატიე. ვგრძნობ, გული ძალიან გატკინე, შენი თავმოყვარეობა შევლახე. შენ ისეთი ამაყი ხარ... ეცდილობ მოვიგონო ჩემი შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი თუნდაც ერთი სიტყვა. ვერ ვიგონებ და ეს მტანჯავს. როგორი უმადური და ფინთი ვყოფილვარ, რევაზ. გადადგმულ ნაბიჯს არ ვნანობ, სხვანაირად მე არ შემეძლო.

— ახსნა-განმარტებას არ გთხოვ, რაც მოხდა, აღრე თუ გვიან მოხდებოდა. ვერ გავითვალისწინე ის, რომ შენზე თექვსმეტი წლით უფროსი ვიყავი.

— ცდები. მე შენი თმის ვერცხლიც მიყვარდა. წლები აქ არაფერ შუაშია.

— მე მინდა შენთვის ნაყიდი ნივთები წაიღო.

— ვერ წაიღებ, აღარ ვარ ღირსი.

— ზღვაში ჩაგყარო?

— ზღვაში რატომ უნდა ჩაჯარო? ვინმეს მიეცი.

— სხვას ვერ მივცემ. ხვალ დილით, ჩემი ბიჭი სკოლაში რომ იქნება, მეზობელთან დგიტოვებ ბინის გასაღებს. რაც შენთვის შევიძინე. შენ გეკუთვნის.

კაპიტანმა პოლიკლინიკისკენ გასწია, ნაცნობ კარდიოლოგს შუა ხნის ქალს ეჩვენა.

— არ მომწონს თქვენი გული, კარდიოგრამა გადავიღოთ.

გადაუღეს. ექიმმა კარდიოგრამას რომ დახედა, სახე შეფერფლილიანდა.

— აშკარად გამოხატული უმარისობაა. ისევ ულიფტო სახლის მეხუთე სართულზე ცხოვრობთ?

— დიახ!

— მე ხომ გაგაფრთხილეთ, რომ მაღალი კიბე ძალიან ტკივრთავს ინფარქტგადატანილ გულს. თქვენ უნდა იცხოვროთ მესამე ან მეორე სართულზე. საავადმყოფოში რომ დაწვებოდეთ, კარგი იქნება. „შეგარემონტებენ“.

— ათი წელიწადია მას შემდეგ, რაც ტალღამ ღამით ჩემი გემთდამ ორი მატროსი გადარეცხა და დაახრჩო. მაშინ დამემართა ინფარქტი. ვიმეორებ, ათი წელიწადია მას შემდეგ. აღარ უნდა გათავდეს უკმარისობა... იშემია...

— საავადმყოფოში არ დაწვებით? გირჩევთ.

— ვიფიქრებ.

●

დილადრიან წამოდგა: „დღეს ალათ მოვა ხათუნა. ჯერ გეშს მიეხედავ, მერე სასაფლაოსკენ გავუყვები გზას. შშობლების საფლავებთან ყვავილებს მივიტან..“

მამა არ ახსოვდა, დედა კი შვიდ წლის წინათ მიაბარა მიწას.

დილადანვე აჰყვა გულის ტკივილი.

სასაფლაოზე დაინახა სამარეზე დამხობილი თალხკაბიანი მოხუცი ქალი, თვალწინ დედა გამოესახა, გული შეუტოკდა და ცრემლი ყელში მოეჭირნა

სასაფლაოსთან, მინდორზე ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ. მეტოქის კარში ბურთს რომ გაიტანდნენ, ერთმანეთს გამარჯვებულთა ყიჟინა: გოლ...

„გაფრინდებიან წლები, ბიჭები დაეკაკცდებიან, დაბერდებიან, ყველანი საძოვამოდ აქ მოიყრიან თავს. რა სასტიკი, უსამართლო განაჩენია ბუნებისა!“ — ფიქრობდა კაპიტანი.

ხასხასა ბალახით, თეთრი და მარჯნისფერი ყვავილებით გარშემობურვილ შშობლების საფლავებზე ყვავილები დაწყო. საფლავების ლოდებზე ღრმად ამოჭრილი ეპიტაფიები მტკივრს ამოვესო.

„ხვალ მოვალ, მტკივრს ცოცხით გადავწმენდ“, — გადაწყვიტა.

შუადღემდე სასაფლაოზე დაჰყო. მოდიოდა შინისკენ, ერთი ფიქრი არ ასვენებდა: „ხათუნა მოვიდა საჩუქრების წასაღებად?“ ხან უნდოდა მოსულიყო, ხანაც მის გულში ვიღაც ხმას იმაღლებდა ხათუნას წინააღმდეგ.

სახლის კიბეს სვენებ-სვენებით აჰყვა. მეზობელს გასაღები რომ გამოართვა და კარი გააღო, ნოდარი მოვიდა, წიგნები მაგიდაზე დაჰყარა და თოფს ეცა. კაპიტანმა ჩემოდანი გახსნა, რომელშიც ხათუნასთვის შეძენილი საჩუქრები ეგულებოდა. ჩემოდანი ცარიელი იყო... ხათუნა რომ არ მოსულიყო, ალბათ ეწყინებოდა. ახლა კი ცარიელმა ჩემოდანმა რატომღაც საოცრად ააღელვა. ტელევიზორი ჩართო, მიუჯდა. ნიტროგლიცერინის აბი პირში ჩაიდო. ტელევიზორის ეკრანს უყურებდა და ვერაფერს ხედავდა: „ნეთუ ეს იყადრა? ყველაფერი წაიღო...“

— მამა! ისადილებ? გაგიცხელებ.

— არ მინდა, შვილო. მაცივარში რომ ლუდია, იმაზე არ ვიტყვი უარს.

შვილმა სამზარეულოდან გამოიტანა ტოლჩა, ლუდით აავსო და მიართვა.

მამა არ განძრეულა. დაუბამბახმებლად, უაზროდ მზერილი თვალები არ მოეშორებია ტელევიზორისათვის...

ᲛᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲝᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲮᲠᲘᲒᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲛᲐ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲖᲚᲐᲮᲕᲘᲗ ᲐᲘᲗᲠᲘᲐ. ᲘᲡᲘ ᲜᲔᲚᲐ ᲛᲘᲒᲠᲐᲕᲐᲓᲐ ᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘ. ᲗᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲑᲣᲥᲕᲜᲘᲡ ᲮᲛᲐᲪ ᲙᲘ ᲫᲚᲘᲕᲘᲡ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ. ᲓᲘᲓᲣᲑᲘᲗᲓᲔᲓ ᲐᲡᲔ ᲘᲖᲝᲖᲘᲜᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲒᲐᲘᲧᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲮᲐ:

— ᲓᲐᲓᲐᲒ-ᲓᲣᲒ, ᲓᲐᲒ... ᲓᲐᲓᲐᲒ-ᲓᲣᲒ, ᲓᲐᲒ...

ᲡᲐᲠᲗᲝᲡ ᲕᲐᲒᲝᲜᲘ ᲛᲖᲮᲐᲕᲠᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲢᲔᲜᲘᲚᲘᲧᲝ. ᲪᲮᲔᲚᲝᲓᲐ. ᲗᲕᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲔᲕᲓᲐ-ᲩᲐᲛᲓᲒᲐᲠᲛᲐ ᲨᲣᲐᲮᲜᲘᲡ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲖᲔᲓᲐ ᲗᲐᲠᲛ ᲒᲐᲓᲛᲝᲨᲐᲚᲐ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲘᲗ ᲒᲣᲚᲓᲐᲒᲣᲚ ᲓᲐᲐᲤᲘᲜᲐ.

— ᲠᲝᲚᲐᲜᲓ! — ᲒᲐᲡᲘᲫᲐᲮᲐ ᲛᲔᲖᲮᲝᲑᲔᲚ ᲙᲣᲨᲐᲔᲨᲘ.

— ᲠᲐ, ᲛᲐᲛᲐ? — ᲒᲐᲐᲒᲝᲜᲐ ᲩᲐᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘᲗᲛᲘᲐᲜᲘᲗᲐ, ᲪᲮᲘᲠᲘᲓᲐᲭᲝᲠᲤᲚᲘᲚᲛᲐ ᲑᲘᲭᲛᲐ.

— ᲨᲔᲮᲢᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲘᲜᲔᲗ ᲐᲤᲠ.

— ᲐᲮᲚᲐᲕᲐ.

ᲑᲘᲭᲛᲐ ᲤᲔᲮᲚᲐᲪᲘᲛᲔᲚᲘ ᲒᲐᲘᲫᲠᲝ. ᲗᲐᲠᲝᲜᲖᲔ ᲐᲫᲠᲐ. ᲙᲐᲪᲛᲐ ᲑᲘᲭᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲖᲔᲨᲘ ᲨᲣᲠᲒᲰᲐᲜᲗᲐ ᲐᲛᲝᲧᲣᲓᲔ. ᲦᲘᲐ ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲐᲛᲝ ᲜᲘᲐᲒᲘᲡ ᲣᲑᲘᲠᲐᲕᲓᲐ. ᲑᲘᲭᲘ ᲗᲐᲕ-ᲞᲘᲠᲖᲔ ᲔᲚᲐᲛᲣᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲗᲛᲐᲨᲘ ᲣᲫᲘᲠᲒᲔᲑᲝᲓᲐ. ᲑᲘᲭᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲑᲘᲯᲐᲕᲓᲐ, ᲡᲘᲛᲝᲛᲐᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲦᲘᲛᲘᲚᲘ ᲔᲠᲔᲝᲓᲐ. ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲪ ᲒᲐᲘᲔᲠᲘᲛᲐ. ᲒᲠᲔᲯᲔᲚ ᲛᲔᲠᲮᲔᲖᲔ ᲩᲐᲛᲯᲓᲐ, ᲒᲐᲖᲗᲘᲗ ᲒᲐᲨᲚᲐ. ᲙᲘᲗᲮᲘᲗᲘᲡᲐᲜ ᲑᲘᲭᲘᲡᲐᲜ ᲔᲩᲘᲠᲐ ᲗᲕᲐᲚᲘ.

ᲑᲘᲭᲘ ᲤᲐᲜᲯᲠᲐᲨᲘ ᲘᲪᲥᲘᲠᲘᲗᲑᲝᲓᲐ. ᲒᲐᲐᲭᲣᲠᲔᲑᲓᲐ ᲫᲕᲘᲡᲘ ᲑᲣᲩᲩᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲬᲘᲜᲬᲙᲚᲣᲚ ᲮᲠᲘᲝᲛᲯ ᲒᲠᲩᲐᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲫᲘᲚᲘᲐ ᲔᲠᲔᲝᲓᲐ.

ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲡᲘᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘ ᲣᲛᲐᲢᲐ. ᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘ ᲠᲘᲢᲛᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲠᲬᲣᲝᲓᲐ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲪ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲠᲘᲢᲛᲘᲗ ᲛᲘᲐᲙᲐᲜᲢᲣᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐᲚᲔᲚᲘᲚ ᲗᲐᲕᲘᲗᲔᲑᲡ, ᲖᲝᲒᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲗᲕᲚᲔᲛᲓᲐ.

ᲑᲘᲭᲡ ᲩᲐᲣᲫᲘᲜᲐ. ᲛᲐᲛᲐ ᲐᲓᲒᲐ, ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲘ ᲓᲐᲩᲐᲯᲣᲠᲔᲑᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲡ, ᲛᲔᲠᲔ ᲡᲐᲙᲘᲗᲠᲐᲓᲐᲠᲓᲐ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲪᲘᲚᲘᲡ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲡᲮᲚᲜᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲭᲘ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲓᲐᲐᲤᲐᲠᲐ.

ᲡᲘᲪᲘᲮᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲑᲠᲔᲖᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲘᲧᲣᲩᲠᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ. ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ ᲓᲐᲛᲭᲝᲚᲘ ᲭᲐᲠᲘ ᲬᲐᲛᲝᲣᲗᲔᲑᲠᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲖᲮᲐᲕᲠᲔᲑᲘ ᲝᲤᲚᲘᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲡᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ. ᲛᲔᲠᲔ ᲒᲐᲘᲧᲝᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲮᲐ:

— ᲠᲝᲚᲐᲜᲓ, ᲠᲐᲡ ᲕᲨᲠᲘᲒᲑᲘ?!

ᲑᲘᲭᲡ ᲮᲛᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲪᲘᲐ.

— ᲐᲠ ᲒᲔᲡᲛᲘᲡ, ᲠᲝᲚᲐᲜᲓ! — ᲙᲐᲪᲛᲐ ᲮᲛᲐᲡ ᲐᲣᲬᲧᲝ.

— ᲠᲐ, ᲛᲐᲛᲐ? — ᲰᲙᲘᲗᲮᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲛᲝᲠᲔᲪᲘᲗ ᲒᲐᲓᲛᲝᲗᲮᲔᲓᲐ ᲑᲘᲭᲛᲐ.

— ᲗᲐᲕᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲮᲣᲠ, ᲘᲡᲘ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ? — ᲓᲐᲣᲧᲕᲐᲕᲐ ᲛᲐᲛᲐᲛ.

ᲑᲘᲭᲛᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲨᲔᲛᲝᲧᲝ ᲗᲐᲕᲘ.

— ᲜᲣ ᲒᲐᲓᲐᲛᲠᲔᲕ, ᲠᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ, ᲨᲕᲘᲚᲝ. — ᲨᲔᲔᲮᲕᲔᲬᲐ ᲛᲐᲛᲐ.

— ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲛᲐᲛᲐ, ᲛᲔᲢᲡ ᲐᲠᲐᲠ ᲕᲘᲗᲠᲐᲛ.

ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲘᲓᲐ, ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲔᲠᲮᲖᲔ ᲩᲐᲛᲯᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲗᲘᲗᲘ ᲒᲐᲨᲚᲐ. ᲒᲐᲖᲗᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲭᲝᲠᲤᲚᲘᲚᲘ ᲪᲮᲘᲠᲘᲡ-ᲞᲘᲠᲘᲡ, ᲗᲐᲛᲤᲚᲝᲡᲘᲤᲔᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲜᲘᲐᲒᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲩᲔᲩᲘᲚᲘ ᲗᲛᲘᲡ ᲛᲔᲢᲡ ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲐ.

ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲡᲯᲔᲚᲐᲡ ᲣᲙᲚᲝ. ᲒᲐᲩᲘᲠᲓᲐ. ᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘ ᲝᲠᲘᲝᲜᲯᲘ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲘᲐᲢᲐ. ᲙᲘᲓᲔ ᲣᲤᲠᲐ ᲩᲐᲛᲝᲪᲧᲝ.

ᲝᲠᲘᲝᲜᲯᲘ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲛᲐ ᲡᲢᲕᲔᲜᲘᲗ ᲒᲐᲘᲧᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲩᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲗᲐᲜ ᲒᲐᲘᲧᲝᲚᲐ. ᲑᲝᲠᲑᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲜᲐᲪᲘᲜᲝᲑᲐ ᲛᲔᲚᲔᲚᲘᲐ ᲬᲛᲝᲠᲬᲣᲚᲘ: ᲓᲐᲓᲐᲒ-ᲓᲣᲒ, ᲓᲐᲒ... ᲓᲐᲓᲐᲒ-ᲓᲣᲒ, ᲓᲐᲒ...

ᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲡ ᲨᲣᲐᲓᲦᲘᲡ ᲛᲖᲔ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲖᲔ ᲛᲝᲥᲪᲔᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲓ ᲑᲠᲘᲐᲚᲘ ᲒᲐᲩᲥᲝᲜᲓᲐ. ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ ᲗᲐᲙᲐᲠᲐᲚ ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲔ ᲒᲐᲫᲪᲔᲝᲓᲐ. ᲐᲛᲐᲛᲔ ᲒᲐᲠᲒᲝᲓᲐ, ᲯᲘᲑᲠᲨᲘ ᲩᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲛᲖᲔ ᲤᲘᲯᲓᲐᲒᲘᲤᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲓᲔᲓᲔᲓᲐ.

ᲑᲘᲭᲛᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲬᲐᲛᲝᲡᲬᲘᲐ. ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲫᲐᲠᲘᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲐᲛᲐᲛ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲨᲔᲗᲮᲔᲓᲐ, ᲨᲔᲔᲮᲛᲘᲜᲐ:

— ᲮᲛᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲚᲐᲜᲓ?

— ᲐᲠᲐ, ᲛᲐᲛᲐ.

— არა გშია?

— ნწუ!

— გეჭამა, შვილო, რამე. — შეეხვეწა მამა.

— აჰ, არა. ჩავალ და ვჭამ.

— კაი, რაკი არ გინდა...

ვაგონში კალათით ხელში თეთრ ხალათიანმა კაცმა ჩამოიარა.

— ნუგა, ვაფლი, ხაჭაპური, კანფეტები! — ყვიროდა მონოტონურად.

მთვლემარე მგზავრები გამოფხიზლდნენ. ზოგმა რა იყიდა, ზოგმა რა...

— როლანდ, რა გიყიდო, შვილო?

— არაფერი, მამა.

— რა დაგემართა, რა კრიჭა შეგეკრა?!

— რა ვქნა, არ მინდა და...

— კაი, ჰო...

მატარებელი გავარვარებულ სიცრცეში მიჰქროდა. რომელიღაც ბაქანზე სამი პატარა გოგო ამოვიდა. ადრე დაქალებულებივით იპრანჭებოდნენ. ერთ მათგანს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელიც კი ეცვა. რაღაცაზე კეკლუცად ლაპარაკობდნენ. თოთხმეტი წლისანი ძლივს იქნებოდნენ. კაცი გოგონებს აკვირდებოდა, სახეზე სევდადარეული ღიმილი დაეფინა. გოგონები მალე ჩავიდნენ.

ბიჭი ზედა ნარიდან ძირს ჩამოვიდა. კაცმა ფეხსაცმელი მიუმარჯვა. თეთრი ტილოს შარვალი ერთიანად დაჭშეჭნოდა, ცისფერი ჩითის პერანგი უკეთ გამოიყურებოდა. ბიჭი მამის გვერდით დაჯდა, მამამ თმა შეუსწორა.

— რას დამსგავსებია შარვალი, — გულისტკივილით თქვა.

— რა ვიცი...

— არაფერი იფიქროს, ხომ იცი...

— კარგი რა, მამა.

— როლანდ, აბა, როგორც გითხარი.

— რა მითხარი?

— ოცში უეჭველად შინ იყავი, სადგურზე დაგხვდები.

— ოცში? ორი კვირაც არ გამოდის,

— ბუზღუნით ჩაილაპარაკა ბიჭმა.

— დაიწყე ახლა თავიდან.

— მაშინ ჯობდა სულ არ წამოგამყოლიყავი!

— კაი ახლა, ნუ გაწყრები — ალერსიანად ჰკბა მამა.

— რა მოხდება, თვის ბოლომდე რომ დავრჩე?!

— ჩემი როლანდია, ნუ გადამრევ, ხომ იცი, გამიძნელდება უშენოდ.

— რომ არ გამომიშვას?

— გამოგიშვებს.

— ვთქვათ, არ გამომიშვა?

— ეტყვი რომ ოცში გელოდები და...

— მაინც რომ არ გამომიშვას?

— რას აიჩემე, ეს არ გამომიშვას და არ გამომიშვას!

— სიტყვაზე ვამბობ.

— როგორც გითხარი, ოცში ვაგზალზე გელოდები!

— ცოდვაა, მამა.

— ყოფილიყო სახლში და არც ერთი არ ვიქნებოდით ცოდეა.

— სამი დღე კიდევ, მამა.

— არ შეძინილია, მამა შემოგვევლოს.

— ჰო, კაი, ჩამოვალ.

ბიჭმა მოიწყინა.

ფანჯარასთან კაცი რომ იჯდა, იკითხა:

— ხარაგაული მალე იქნება?

— არა ბატონო, ჯერ ხაშურში ჩავალთ და მერე. — უპასუხა როლანდის მამამ.

— ხარაგაული ხაშურიდან შორსაა?

— დააზუსტა ახალგაზრდა კაცმა.

— არა, ხაშურთან ახლოსაა.

სიცხისაგან მატარებელში გაძლება ჭირდა.

კაცმა ჯიბიდან დაკუჭული ხუთმანეთიანი ამოიღო და შვილს გაუწოდა.

— რა არის? — ჰკითხა ბიჭმა.

— აიღე.

— აკი მომეცი.

— გქონდეს, იქნებ რა მოგეწონოს.

— არ მინდა.

— რომ გეუბნები, გამომართვი.

ზოთა ასანიშვილი
მამაშვილობა

როლანდმ ფული გამოართვა და ჯიბეში ჩაიდო.

მატარებელი ნაცნობი ტაქტით მიარაკუნებდა რკინის გრძელ გზაზე.

ცოტა ხნის მერე კაცმა სამმანეთიანი გაუწოდა შვილს.

— კაი რა, მამა!

— გამომართვი, ფოტოზა დაგჭირდება.

— მაგისთვის აკი მომეცი?!

— გქონდეს, სურათებს გადაიღებ...

ბიჭმა ფული გამოართვა და პერანგის გულისჯიბეში ჩაიდო.

— შარვლის ჯიბეში აჯობებდა.

ბიჭმა მამას დაუჯერა. ვაგონში სიცხე მატულობდა. მგზავრები ოფლის წმენდას ვერ აუდიოდნენ. კაცმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, დიდხანს იჩხრიკებოდა, ბოლოს პენვიით ხურდა ამოიღო და ბიჭს გაუწოდა.

— მამა! — იყვირა როლანდმ.

— რა გაყვირებს?

— უხერხულია, მამა..

— გამომართვი, დაგჭირდება რამეში.

— უცხოსთან ხომ არ მივდგები, დედაა...

— მერე რა, გქონდეს, ჩქენგ ...
გამოვადგეს.

ბიჭმა უხალისოდ გამოართვა ხურდა და ჯიბეში ჩაიყარა.

კაცს გულზე მოეშვა, გაიღიმა.

— აბა, ახლა მოვემზადოთ, შენი ჩასვლის დროა!

ბიჭი წამოდგა. მამამ გაბერილი ბადურა კაუჭიდან ჩამოხსნა, შვილს მისცა ხელში.

— კარგად იყავი — თქვა ბიჭმა.

— მშვიდობით... მე არ გამოვჩნდები,

— უთხრა მამამ და შვილს ქოჩორი აუჩეჩა.

კაცი ნერვიულობდა.

ბიჭი მგზავრებით გაჭედილი ვაგონის დერეფანს გაუყვა.

მამა იდგა და სევდიანად გაჰყურებდა შვილის გზას.

ბიჭმა უკანმოუხედავად გალია დერეფანი.

მატარებელმა სელას უკლო. გაჩერდა.

ბიჭი ბაქანზე ჩავიდა.

დათვია კი დაბინდო

იმ წელს საშუალო სკოლა დავამთავრე და უნივერსიტეტში გამოცდების ჩასაბარებლად ვემზადებოდი. ბარისახოს სკოლა-ინტერნატიდან დავბრუნდი ჩემს სოფელში და, აღარც ჰამა მახსოვდა და აღარც ძილი, ისეთი გამწარებით ჩავაფრინდი სახელმძღვანელოებს. ერთი თვეღა მრჩებოდა გამოცდებამდე, გამოცდა კი შვიდი მქონდა ჩასაბარები: მაშინ ცოტა მეტი იყო გამოცდები. ერთ თვეში უნდა მომესწრო შვიდი საგანი, ეხლა კი ოთხი გამოცდაა და იმასაც ვერ ასწრებენ ერთი წლის მანძილზე აყვანილი მასწავლებლებისა და მშობლების ერთობლივი ჩიჩინის მიუხედავად. ამ მზრუნველთ გამოცდების დროს კიდევ ემატებიან სხვადასხვა ხელის წამკვრელნი და კუდის ამწევნი, მაგრამ ბევრს არც ესენი შველის. ერთ თვეში თავისუფლად მოვასწარი მომზადება, რადგან იგივე საგნები ის-ის იყო ჩაბარებული მქონდა სკოლის გამოცდებზე. ფაქტიურად გადამორება, თვალის გადავლებაღა მჭირდებოდა. სკოლაში ურიგოდ არა ვსწავლობდი, მასწავლებლები კი, მართლაც რომ ძალიან კარგები გვყავდნენ. ეს სოფლელი ტყაპუჭიანი ბავშვები ისე ეუცქეროდნი თბილისიდან მოსულ მასწავლებლებს, როგორც ღვთაებებს და ისეთსავე მოწიწებას ვგრძნობდით მათ მიმართ. ალბათ იმიტომაც, რომ ისინიც ღმერთებივით გვფარველობდნენ მშობლებიან, მაგრამ მაინც ობლებივით მშიერ-ტიტველ ბავშვებს. შედეგიც კარგი იყო. თერთმეტი მოსწავლიდან რვამ თითქმის ხუთეგზე დავამთავრეთ, უმაღლესში კი იმავე წელს შვიდნი ჩავირიცხენით. ამიტომ არის დღეკვანდელი ამბავი რომ ეგრე ძალიან მოაცებს — სკოლას თითქოს ხუთებზე ამთავრებენ, უმაღლესში კი პირველივე გამოცდაზევე იჭრებიან. ამის გამო არც მოსწავლეს რცხვენია, ეროვნული ბიბლიოთეკა მასწავლებელს...

ერთადერთი რისი დახმარებაც აღმითქვა მამაჩემმა, ეს იყო საქმისაგან შეღავათი, თან მოქარაც მოაყოლა: თუ გამოცდებს ვერ ჩაბარებ, იცოდე განაცდენს ისევ შენი კისრიდან ამოვიღებო — ე. ი. ეს შეღავათი წყალში არ ჩაჰყაროო; შეღავათიო, განა ათასებიო!

შეღავათი ასეთი იყო: მთიბელებს უნდა გავყოლოდი სათიბზე ჩემი ცელით და შიგდაშიგ მეცადინეობისაგან დაღლილს, მეც მეთიბა, წყალი მომეტანა.

სხვაც ათასი საქმეა სოფელში, ათასი ხელია საჭირო. რომც არაკინ დაგსაქმოს, თუკი გული საგულესა გაქეს, საქმეს მიწვდები და მერე მუშში ჩაგუბებულ წყალივით გაგეპარება დრო. ამიტომაც ეცდილობდი დილიდანვე შორს სადმე გავსულიყავი სახლიდან. ადრიანად წამოვდგებოდი, ზურგჩანთაში წიგნებს ჩავიწყობდი, საგზლად ხმელა პურს შევახვევდი იმ იმედით, რომ შესაყოლებელს ტყე-ველთ ვიშოვიდი. გადავიკიდებდი ჩემს ასეევ განუყოფელ ბერდენკას და შევუყვებოდი მთის ტყიან ფერდობებს, გორებს. სადმე ლამაზ ადგილას ჩამოვჯდებოდი, წყაროს სიახლოვეს, კარგ ჩრდილში და რიგრიგობით ჩავკირკიტებდი ხან ერთ წიგნს, ხან — მეორეს. უფრო კი ისეთი ადგილები მჭონდა ამოჩემებული, სადაც ნადირი შეიძლებოდა წამომწყდომოდა ან წყალზე მოსული, ან გეზზე მომავალი.

იმ დღეს გიჟხევისაკენ წავედი. უდაბური მთაა, ძნელად მისადგომი, ამიტომ დათვი იქ ყოველთვის არის. მთისკენ მიმავალი ბილიკი ტყიან ფერდობებს მიუყვება და ერთ ადგილას მაღალ კლდეს უვლის თავზე. ამ ადგილს კლდეთავს ეძახიან. კარგი დასასვენებელი ადგილია, კალოსოდენა მინდორია უღრანი ტყით შემოჯარული. იმ ადგილას ისვენებენ ჯერ ერთი იმიტომ, რომ გიჟხევის მხრიდანაც დიდი აღმართია ამო-

საკელელი და სოფლის მხრიდანაც, მეორეც, კარგი მოსახედი ადგილია. საპირდაპირო ტყიანი ფერდობი — კილდოვანა, წითელაკლდია, სადუცია — დათვების ბუდეა, ყოველ ნაბიჯზე დენგარია, ამიტომ გაზაფხულზე და ზაფხულში ხვეებში ხშირად გამოდიან ხოლმე ლილა-საღამოს ბუერას ძირის სათხრელადა თუ შუპყის საპშელად. მონადირეებმა ამ კლდეთავიდან იციან ხოლმე თვალთვალი. ნადირის თვალთვალს კი ბევრი ვერაფერი სანახაობა შეეძლება ინტერესით. თვითონ ეს კლდეთავის ბილიკიც ერთ-ერთი გეზია ნადირისა, რადგან კლდე ზევითაც გრძელდება და სხვანაირად ვერ გადავ-გადმოვა დათვი თუ ამ ბილიკით არა. ბევრჯერ შეფეთებია აქ პირისპირ მგზავრს მგზავრად მიმავალი მე თვითონაც შემეფეთა ერთხელ და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ იმან მე გამიხეთქა გული, მე იმას.

სანამ კლდეთავამდე მივიდოდი, ჩემ სასოკოვე ხეს გავუარე, კალმახა სოკო მოვკრიფე, ადგილზე მისულმა პატარა ცეცხლი მივანთე და ნაკვერჩხალზე შევწვი.

გაღმა უკვე აღარსად რა ჩანდა და თუ რამე გამოჩნდებოდა, ისევ საღამოზე გადაგრილებისას.

ვკითხულობდი ხან ერთ გვერდზე წამოწოლილი, ხან მეორეზე, ხან გულაღმა და ხან გულჩაღმა. სმენა და მხედველობა კი ერთი წუთითაც არა დუნდებოდა. შინ რომ ვყოფილიყავი, ეზოში, ალბათ ჩამეძინებოდა კიდეც, აქ კი რა ჩაგაძინებს. ყოველ წუთს რაღაცა შრიალი და ფაჩიფუჩი ისმის ტყეში. რა იცი რომ დათვი არ მოდის. ერთიც არის და ნაძინებულს წამოგადგეს ხომ მოგკარ- თათი და გადაგიშვა კლდეზე. ამ მუდმივი გამახვილებული სიფხიზლისაგან იყო, ალბათ, რომ ერთხელ წაკითხულიც კი გონებაში იბეჭდებოდა.

სამხრობაც გადავიდა. უკვე მზებრძანების ხანს, როცა ნაგრილები მთაწვერთ მისჯარდა, უკვე შინ წასვლასა ვფიქრობდი. ამ დროს იცის ნადირმაც აჩენგაჩენა, საწოლებიდან გამოსვლა.

უცებ წითელაკლდიას ბოლოებიდან დაგრრებული ქვის ჩახაჩუხი, ბოლოსაკ გავიხედე და... როდის გამოვიდა, ეს დაყიანში თვირთვილა დათვი დაბობღავდა. ივნისში შუპყას ჯერ კიდევ ქორფა ღერო აქვს და დათვიც ამიტომ ეტანება ხვეის პირა შალდაყიანებს.

ვწვდი თოფს, კლდის თავიდან გადავეედე, ვუშიზნებდი მაგრამ არ ემიზნებოდა. სინათლეც აღარ იყო იმდენი, მეორეც, შორი იყო და სამიზნე თითქმის მთლიანად ფარავდა დათვს.

— ტყუილად დავაფრთხობ, სჯობია გავიდე! გამიელვა აზრმა და ფეხზე წამოვხტი. — მოვასწრებ კი? თვალი შეავაკე ჩამავალ მზის სხივებით შეწითლებულ კლდოვნისწვერს.

ამასობაში დათვმა გიეხვევასაკენ ქნა პირი. იქითკენ მოდიოდა, სიიდანაც მე უნდა მივპარებოდი. ეხლა მხოლოდ გზის მოკრა იყო საჭირო, თვითონ დათვი მიწყობდა ხელს, დროსა და მანძილს მომცირებდა. უცებ გადამავიწყდა ყველაფერი და მთელი სისწრაფით დავეშვი ჩაღმა ჩამავალ ბილიკზე. ერთ ადგილას, წყაროს თვალისაგან ბილიკი ყოველთვის შეტალახებულია. იქ როგორც დავკარი ფეხი, ავსხლტი, ჰაერში გავაკეთე ბრუნი და მარჯვენა ხელზე დავეცი. თოფი მარცხენაში მეჭირა. მაჯამ დაიკუკატუნა. საშინელი წვა ვიგრძენი. ტალახიან ხელისგულზე სისხლმაც გადმოხეთქა, მაგრამ მე ამისთვის არ მეცალა. ისევ ისეთი სირბილითი გავნაგრძე გზა. ჩავვარდი ხევში და იქედან როცა მეორე ფერდობს შევუყევი ფათხაფუთხით, ბუერას წატანებული ხელი აღარ დამემორჩილა, ვერ მოვკიდე. დავხედე, ხელი მთლად გამსიებოდა, თითებსაც ძლივსღა ვამოძრავებდი. ჩემს ადგილას სხვა ალბათ უცებ მოიფიქრებდა, რომ ასეთი ხელით დათვთან ომი არ შეიძლებოდა, მე კი ჭენების ჟინით ატაცებული დოღის ცხენივით მხოლოდ წინ მივიწევდი და თავშიც მხოლოდ ერთი ფიქრი მიტრიალებდა — დათვისთვის ამესწრო გეზში. ოფლში გახვიეთქულმა, აქოშინებულმა როგორც იქნა

ავაღწიე გეზამდე. ჯერ დათვის მხარეს გავხედე, არა ჩანდა. გავლით კი ის ჯერ არ გაივლიდა. ნადირის ბილიკიდან ოდნავ ზემოთ ავედი და ერთი წიფლის ძირში მივჯექი. კვლავ დათვის გზას გავხედე და ყური მივუგდე. და თოფის საკეტს წკვეტანე, მაგრამ სანქმეში ხარ! ხელი აღარ დამემორჩილა. სიმსივნისაგან დაბერილ თითებს მთლად საძრაობა ჰქონდა დაკარგული.

ტყეში ყოველთვის რაღაცა იდუმალებაა დასადგურებული. ბინდბუნდი კიდევ უფრო ამუქებს ამ იდუმალებას, გულს აკრთობს ყოველი ფაჩუნი, ხოლო დათვის მოახლოებული ფეხის ხმა მთლად თავზარდამცემია. მითუმეტეს მაშინ, როცა გრძნობ თავს ვეღარსაით შველი.

დათვი კლდეთავიდან არც ისე დიდი მომეჩვენა. ეხლა კი ვეებერთელა გამოჩნდა. ნელა მოუყვებოდა ბილიკს, ჩერდებოდა, სუნავდა. მე მაინც არ მიხდოდა დაჯერება, რომ თოფს ვერ შევაყენებდი ფეხზე, მაინც ვუცაცუნებდი საკეტს, ვწვალობდი, ჭირის ოფლში ვიწურებოდი, თან ცალი თვალი მოახლოებულ დათვისაკენ მეჭირა.

რამდენჯერ მინატრია ასე შემხვედროდა სადმე დათვი, ასეთ ტანაყრილ წიფლიანში, ასე დინჯად მომავალი. იმდიც მჭირდა ერთი გასროლით ადგილზე გავაცალებდი. აი, შემხვდა კიდეც, მაგრამ ისეთ დროს, როცა აღარაფრის მაქნისი ვიყავ. დავრწმუნდი არაფერი გამომივიდოდა და გავისუსე, იქნება ისე გაიაროს ვერ შემნიშნოს-მეთქი. რა იცი რას მოიმოქმედებს ასე ახლოს მოსული დათვი. ხშირია შემთხვევა, როცა ასე ზედ შეჩეხებული დათვი სწორედ შიშისაგან ეცემა ხოლმე ადამიანს თავდაცვის ინსტინქტით და არა თავდასხმის წყურვილით. ზურგის შექცევის ეშინია ზურგიდან თავდასხმის შიშით. მას მერე კი, როცა მსხვერპლს ჩაბეგვავს, ჩაამკვდარებს, ჩამარხავს, ისეთი თავქუდმოგლეჯილი გარბის, ტყვეს კაცი ცხრაკთას იქით უნდა გადაიკარგოსო. ვიმედობდი იქნება ვერ შემნიშნოსო, მაგრამ ისეთ ადგილზე ვიჯექი, შეუძლებელი იყო არ შევეწონშნე. ხის უკან რომ მაინც დავ[illegible] ჯდარიყავი თავიდანვე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლად ახლოს მოვიდა [illegible] დავდი როგორ აუდიოდიდა ბზრები, როგორ უფამფარებდა გრძელი ბალანი. ჭირის ოფლისმწურავ სუნთქვასაც კი ვიკავებდი, მაგრამ, როგორც კი გამისწორდა, უცებ ასწია ვეება თავი და ცეცხლივით წითელი თვალები მომაკვესა. ვეპო! — შეიმუთუნა, ორი ნახტომი გაკეთა თავქვეცერად. მერე კვლავ შემომაცქერდა აჯაგრული, ბალანაშლილი, თითქოს უნდოდა გაეგო, მართლა ადამიანი ვიყავი, თუ არა. ჭი ისევ ისე ვაუნძრევლად ვიჯექი. დათვს ეტყობოდა ჩემზე არანაკლებ თავზარდაცემული იყო, მთლად დაძაბული, ცქერად ქცეული მომჩერებოდა და იმ წუთებში მგონი არც ისა სუნთქავდა. ეტყობა კარგად გამისაჩინა. დარწმუნდა ჩემს ადამიანობაში, ერთი კიდევ შეიმუთუნა და კვლავ თავქვეცერად გადავშვა. გადასაფართან რომ მივიდა, კვლავ შემობრუნდა. ეხლა ალბათ იმან შეაეშვა, თუ ადამიანი ვიყავი, რატომ თოფი არ ესროლე, რატომ არ ვიშუალე, რატომ არ ვუსტვინე. იქ უფრო დიდხანს იდგა. ცმუკავდა, მიბრუნვას დააპირებდა ისევ შემობრუნდებოდა.

„ამოვისუნთქე“ ეს ის სიტყვა არ არის. თითქო მკვდრეთით ავმდგარიყავი. თითქო დათვს ეპატიჟებინოს ჩემთვის მისწილი სიკვდილი და ეხლა ისეთი მადლიერებით, ისეთი სიყვარულით გავცქეროდი დათვს, როგორც ჩემს მხსნელს. მეღიმებოდა მის ქცევაზე და ძალზე საყვარელი მეჩვენებოდა. არც მინდოდა რომ გაცქეულიყო. რაღაცნაირად მასთან სიახლოვეს კი მინდოდა. ღიმილით გავცქეროდი და მხოლოდ იმიტომღა არ ვიძრაოდი ადგილიდან, რომ მინდოდა კიდევ მექცირა მისთვის, აღარც ხელის ტკივილი მახსოვდა, აღარც ის ღამე ხეტიბა რომ მომიწევდა მთლად უჩინ ტყეზე. სინდისიც კი მქეჯნიდა, დათვმა რომ დამინდო, გამეცალა, მე კი სულაც არ ვაპირებდი დანდობას, მარჯვენას რომ არ ეღალატა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვახტანგ ახვლედიანი

ასე იქნება, ალბათ, მარადის...

აყვავებული ატმის სურნელება იფრქვევა ღია ფანჯარაში.
რძის ჩხრიალი ისმის ბოსლიდან ბუნდოვნად.
მერე — მამის გულმოსული ხმა ეზოში:
— ადექით, ჭო, ადექით, გეყოფათ ძილი, ქვეყანა საქმეა!..
წამით წყდება რძის ჩხრიალი.
— ცოტა კიდევ იძინონ ბავშვებმა, — მორიდებული პასუხი დედის.
თვალებს ვიფშვნეტ...
დიდი ხანია აღარ არიან დედაც და მამაც.
გულს ტკივილი მიჭეჭყავს.
— გათენდა, გათენდა, ადგომის დროა! — ვამბობ ახლა მე.
— ცოტა კიდევ იძინონ ბავშვებმა, — მორიდებით მპასუხობს ცოლი.
ასე იქნება, ალბათ, მარადის...

მე, დილა, მზე და მეზობლის ბიჭი

თენდება.
ომბალურის მთას გვირგვინივით ადგება სინათლე.
ამომავალი მზის სხივი ჩვენს სოფელში ჩვენი ბლის კენწეროს დაეცემა ყველაზე პირველად.
მინდა დავასწრო.
— ჰე-ჰე-ჰეი! — ვიძახი უკვე კენწეროში მოქცეული.
— ჰე-ჰე-ჰეი! — მპასუხობს ნისლჩამდგარი ხევ-ხუვი.
მზე მთის უნაგირიდან იჭყიტება. ათასი მარგალიტი იბნევა ფოთლებზე.
— დილა მშვიდობისა, ბიჭუნი! — მეუბნება მზე და ლოყებზე მეფერება თავისი უსაზღვროდ გრძელი და თბილი თითებით.
— დილა მშვიდობისა, მზევ! — ვპასუხობ მე უნაგირზე დაგორებულ მოელვარე დისკოს, ათას პატარა მზეს მარგალიტებად მობნეულს...
— ჰი-ჰი-ჰი! — ქოქილებს ეზოში გამოტანტალებული მეზობლის მუცელტიტველა ბიჭი, — ბალი ჯერ ყვავილიდან არ გამოსულა, ეს ღორმუცელა კი... ჰი-ჰი-ჰი!.. — და აქეთ-იქით ასხურებს ჭავლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სახელები

შადიმან შამანაძე

1

თვალლიბრიანი შემოდგა მთვარე
ცის ტატნობზე და ხორცით ივსება.
მაისის ლორთქო სურნელით
მთვრალი
დავბორიალებ ტყეში ნისლივით.
სოველი ურჟოლა ნამავს პირიმზეს,
მე კი თავჩარგულს მაწვიმს ბალახში;
და მელანდება სახე — ყირმიზი,
ყელი — ბროლი და ღაწვი —
ბადახში.
ვილაცა ფრთხილად მაცლის კაეშანს,
ავიხედავ და — გაზაფხულია.
მართლა ასე რო იყოს, კაი, შენ!
მაგრამ ეს გული რიღას გულია;
რიღას გულია, თუ არ იალა,
არ ამირია ბედშავს ნაბიჯი,
მომაშორებდეს ნაღველს ტიალი,
ან შენს ხატებას, — მაშინ რა მიჭირს!

2

ტირიფო, მომე თმალბილი ფუნჯი!
ტყეო, ჭრელ-ჭრელა მომე ფერები!
ცა არის ისე ჩვილი და ლურჯი
კაცი ბავშვივით მოეფერები.

ცა არის ისე წმინდა, ცინცხალი,
ცა არის ისე, ისე უძირო:
არ მოგწყინდება მთელი სიცოცხლე
იდგე — უმზირო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუპური მექანიკა

ახლა მე დედამიწის მიმართ
რემდენიმენაირ მოძრაობას ვასრულებ:
1. მატარებელში ვზივარ და სოლიდური სისწრაფით
მივექანები თბილისი-ბათუმის მიმართულებით;
2. ვაგონი ირწევა და მეც მარწევს, —
ხან ზევიდან ქვევით,
ხან მარჯვნიდან მარცხნივ;
(გინდაც პირიქით იყოს)!
3. ვოცნებობ.

ჩემს ქვემოთ, მოპირდაპირე მხარეს
ნაბლისფერთმიანი, ჩვეულებრივად ლამაზი
ქალიშვილი წევს.
იგივე სისტემაში,
დროის იგივე მონაკვეთში
აბსოლიტურად იგივურ გადაადგილებებს ასრულებს ისიც.
მანძილი ჩვენს შორის, წესით,
არ უნდა იცვლებოდეს.
მაშ, რატომ გვეჩვენება, რომ ვუახლოვდებით
ერთმანეთს?

ღიმილის ყვავილი

...გამოგეღვიძა და გაგახსენდა,
რა საოცნებო იყო ყოველი:
ტყე — სიზმარეულ სილამაზეთა,
მთა — თოლიისფერ თოვლის
მთოველი.

გამოგეღვიძა და მსუბუქ მხრებზე
შემოგეხვია აისის სურო,
როგორც ყრმობაში დაწერილ
ლექსებს,
მხრებს ასდიოდათ ალბათ რძის სუნი.

ალბათ რიჟრაჟის სურნელიც იდგა,
მაგ ოხშივართა შენანივთები,
და საბნის პირის ქათქათა მიტკალს
ძლივს ემჩნეოდა შენი თითები.

„რა ვქნისა“ ციხეს შეეხსენ კარები,
ჩემს საუფლოში მოგიპატიჟე.
ზღაპრულ ფერებით ნასიზმარევი
შენ არც კი მიცნობ ღამის
მასპინძელს.

ანდა საიდან გეცოდინება,
ვინ გიფერადებს სიზმრებს
ლილისფრად;
ვისია — მზის და თოვლის მდინარე,
ვისია — თეთრი მთების თილისმა;

ველი — ბრჭყვიალა ცრემლით
სოველი,
მრუმე ლანდებით ნაქარგი ღამე..
რა საოცნებო იყო ყოველი!
გამოგეღვიძა და გაგეღიმა.

და გაგეღიმა...
მაგრამ იცოდე,
როცა ქუჩაში გვერდით ჩამივლი, —
უბრალოდ მაინც გამომიწოდე
ემაგ ღიმილის ერთი ყვავილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა

წამოხტება ვიღაც მთვრალი
და მჯიღს იბაგუნებს გულში:
— გზისპირ შველს მოვკარი თვალი,
გააჩერეთ ავტობუსი!

გადაჭრელებულა მდელო,
ტყე მწვანე ფერს უჯერს არი.
— გაიხადე, საყვარელო, —
ხეებს ახუჭუჭებს ქარი.

ინდი-მინდი, ფერად შინდი...
მოკლედ, — ბოლო სიტყვა მოდის.
გზებზე „იკაროსი“ მიდის,
ტყე-ტყე შემოდგომა მოდის.

უკან დაგვრჩა ჭა და ღობე,
ნახნავი და ყველაფერი,
და ხბორები ბალახობენ,
და ვიშვიშებს დედაბერი:

— გამოვმცდარვარ იელგავას,
გამიჩერეთ ავტობუსი!

ეგ ნომერი ველარ გავა,
ბევრიც აბაკუნოს ქუსლი.

გზა შუაზე ინაწილებს,
იქით ტყეს და აქეთ ბექობს.
გავცდი სკოლას, სიყმაწვილეს,
რუსთაველს და ათარბეგოვს.

გზისპირ გოგოს ვკიდე თვალი,
თმებგაშლილი იდგა ხნულში...
— შენ ხომ არ იყავი, მარი? —
გააჩერეთ ავტობუსი!

მერე შავი ფერიც გაკრთა
გრანიტში და ფაიფურში...
ბაბუ, სულ შენ საფლავს ჰგავდა! —
გააჩერეთ ავტობუსი!

ვალებ — შოფერს აღარ ვაცლი,
ვხტები — აღარაფერს ვუცდი....
მგონი სიყვარულსაც გავცდი, —
გააჩერეთ ავტობუსი!

ჩემი ბავშვობის ძმაკაცი

ვაქრობ სინათლეს.
წუთი რაა, წუთიც არ უნდა, —
უკვე აქ არის.
ვერ შეამჩნიე, არა, როგორ შემოიძურწა?
არ შეგეშინდეს! — ჩემი ძველი მეგობარია,
ჩემი ბავშვობის ძმაკაცი — შიში.

უკვე აქ არის
გესმის? — კარმა გაიწრიპინა...
მერე პარკეტიც აჭრიალდა...
მოდის, მოდის, მოიპარება.
ეგ ჩუმჩუმელა, ეგა —
ჩემი ბავშვობის ძმაკაცი — შიში.

ონკანი დედას მგონი ცუდად დაუკეტია.
აპა, მიაგნო! — აწი დილამდე არ მოეშვება:
ჯერ წვეთები ააკაკუნოს!
მერე ტუჩზე მიიდებს და ქშუტუნს ასტეხავს...
აი, ეგეთი ოინბაზია
ჩემი ბავშვობის ძმაკაცი — შიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩაში, ქვემოთ, ტროლეიბუსმა ჩაიქოშინა.
მერე კედელზე გაკრთა ლანდივით;
ვითომ მანქანის ჩრდილი იყო?

აივანზე ქარმა გობი გააძაგძაგა;
მერე გაზეთს დაადგა ფეხი;
მერე ფარდებს გაეხახუნა;
ქარია ვითომ?
არც უკითხავს, უჯრა ისე გამოალო:
ხელნაწერებში იქექება, თან ელექტრომრიცხველივით
უშნოდ ზუზუნებს.

მერე მაცივარს მიეპარა, იღლიებში შეუღიტინა,
შეახტუნა, აათახთახა...
ეგ ვინღა არის?
ვინ იქნება? —
ჩემი ძველი მეგობარია,
ჩემი ბავშვობის ძმაკაცი — შიში.

რაღაც ცივი, ხაოიანი ფეხისგულზე რომ გამკრავს უცებ,
დამდუღრულივით რომ წამოვხტები,
გაბეცილ თვალებს აქეთ-იქით რომ ავაცეცებ,
კუთხეში დგას და ფხაკუნებს ხოლმე,
კვდება სიცილით
ჩემი ბავშვობის ძმაკაცი — შიში.

გეწყინოს მერე, — აი, დარდი!
თავს მოიკლავს ახლა, შენ თუ გაებუტები.
არაფრის მაგას არ ერიდება,
როგორც თავად სურს, ისე უსტვენს,
რასაც უნდა, იმას აკეთებს
ჩემი ბავშვობის ძმაკაცი — შიში.

ერთგული კია!
სხვები რომ წავლენ, მიმატოვებენ,
ალარავის რომ ალარ ვახსოვარ,
სწორედ მაშინ მომისაკლისებს,
მოვა, მხარში ამომიდგება
ჩემი ძველი მეგობარი,
ჩემი ბავშვობის ძმაკაცი — შიში.

●

ჩავლილ წლებსა და ქორონიკონებს,
ალმა ამოჭრის ეჭვი მხარულით:
ისევ მე თუ არ გამოვიგონე,
არ მეღირსება სხვა სიხარული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როდემდე ვიყო იღბლის იმედით,
სანამ ვუცქირო უფალს ხელებში?
თავად ვუშველი თავს რაიმეთი,
არ მინდა, ძმაო, არა — შემეშვი!

ჩემსავით წყალი — ბევრი ჩავლილა,
ღვინოც მრავალი წაუქცევიათ, —
ვერ მოევლება ეგრე ადვილად
სადაც ზვავი და უგზოებია.

ამ ქვებს უფსკრულის ძრომდე
ჩაიტანს
ყველა მეწყერის ერთად მომრევი.
ისევ თუ ჩემით, თორემ საიდან —
ან ცა, ან მიწა, ან მეგობრები?

ყვავილებს, გაშლილ კოკრების
კონებს,
სიცხიან ლოყის შვენით ალმური.
ისევ მე თუ არ გამოვიგონე,
არ მეღირსება სხვა სიყვარული!

60

ვახტანგ გორგანელი

60

ეგრე ჩამოჰკარი ლარებს

ეგრე ჩამოჰკარი ოქროს ლარებს,
ეგრე აგუგუნე ქნარი.
ისე მე ვერავინ გამახარებს,
როგორც ამ მინდვრების ქარი.
რა ვუყოთ გავუძლებ ბედის ლახვარს,
ტკბილს კი არ დავუხშობ კარებს.
ჩემს ნატვრას ვერავინ შეინახავს,
როგორც ეს თბილისის მთვარე.
ილბალო თუ აღარ გამიღიმებ
მაინც ნუ შემასმევ ბალღამს.

რომ მოვკვდე ვერავინ დამიტირებს,
როგორც ეს იორის ტალღა.
ვერ დამიმორჩილებს დარდი მრუმე,
არა მწამს უაზრო ფიქრიც.
გულს ისე ვერავინ გამიხურებს,
როგორც ეს მყინვარის ფიფქი.
თუ ხარ მეგობარი ვარდი მტყორცნე,
სული აბურბურდეს ცეცხლად
და ისევ მეორედ გამაცოცხლებს
მტკვარი და თბილისის ზეცა.

დატყვევებული გულბულის ხმები

ჰამლეტ გონაშვილს

გზა ვინ მოუჭრა ტალღებს შფოთიანს,
ვინ დაუბრუნა ქარქაშებს ხმლები?..
იხსნება კიბე და ჩამოდიან
დატყვევებული ბულბულის ხმები.

ეს ბედის წამი, მე აღარ ვიცი,
იდუმალებას სანამდის მამცნობს.
შეჩერებულა ძარღვებში სისხლი,
რომ ერთად მოსკდეს და გამიტაცოს.

ლამის გადიმსხვრეს გულის ლერწამი
ლამის დაემხოს სულის კარავი...
ერთხელ კი არა, ვიცი, ეს წამი
ათასჯერ მომკლავს კუბოს კარამდის.

დე მომკლას ტრფობამ ავთანდილისამ
ოღონდ ბოლომდის აქროლე ეტლი,
რომ კვლავაც იგრძნოს დედა
თბილისმა
თუ რა სიყვარულს იტევს ეს მკერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ შმაგი თვალები

ისევ შმაგი თვალები,
ისევ წვა და ცეცხლი,
მაგრამ რაც ვთქვი გათავდა
სიკვდილიც ვერ შესცვლის,

რა გინდ შორს გააქროლო
შენი ოქროს ეტლი,
უფრო, უფრო ახლოს ხარ,
უფრო, უფრო გეტრფი.

ჯარისკაცის თავმდაბლობით, მეომრის ერთგულებით...

ჩვენი თაობაც მიადგა მეექვსე უღელტეხილს. პირველმა შენ შეისრულე სამოცი ჩვენს ჭირგამოვლილ თაობაში. გრძლად ვიცხოვრეთ, ძმაო ვახტანგ. შეგეძლო გეოცნება ამაზე?! იფიქრებდით შენ ამას სტალინგრადის ცეცხლში, როცა ყოველ წამს სიკვდილს ელოდ?! ბედმა გაგვიღიმა და ნაჩუქარ წელებს ვცხოვრობთ. სამოცის ხარ და ვითომც არაფერი — მხნე ხარ და მკვრივად ნაგები, ხალისიანი და მოსიყვარულე, კვლავ სამეგობროდ გულგახსნილი, კვლავ ობახიანი ლექსის სათქმელად შემართული.

ლექსს ჩვენ სიყმაწვილიდანვე ერთად ვეზიარეთ, მაგრამ პოეტად შენ სტალინგრადიდან დაგვიბრუნდი. დენთის სურნელი ჩამოჰყვა შენს ლექსს და დაჭრილ-დაჩეხილი მეომრის ღირსება. ბრძოლის ველიდან ჩამოიტანე შენ შენი პირველი მწიფე ლექსები: „ფერფლი“ და „დაჭრილი არწივი“. „ბრძოლის შემდეგ“ და „ეაჟიკა ფხოველს“. ჩვენი ძმობა გარეშე კაცისათვის ბოლომდე გასაგები ვერ იქნება, თუ ომამდელი ჩვენი სიყმაწვილის ლიტერატურულ წრეებს, ომში ჩვენს წასვლას და მერე იმ ომიდან დაბრუნების სიხარულს არ გავიხსენებთ. გრძელი ორმოცდაოთხი წელიწადი და ძნელი საერთო ხვედრი გვაკავშირებს ჩვენ, როგორც ომგადაგადილი თაობის პოეტებს.

> გუშინ ამ დროს იყო ბრძოლა, მტერთა ძლევა, —
> ვერაგები ჩვენი შიშით დღესაც სწუხან, —
> მაგრამ ახლა ნატყვიარი ველზე ვწევარ
> და იმედად თავს ნადგია ერთი მუხა.
>
> იქნებ ფიქრობთ, გორგანელი მტრების ტყვეა,
> მე კი ახლა სისხლში ვცურავ
> და ვიტოვებ უკანასკნელ თოფის ტყვიას,
> რომ მტერს დავეხედე ვაჟკაცურად....

საველე ფოსტით საქართველოში გამოზაფხული თუ უბის წიგნით ფრონტიდან ჩამოტანილ შენს ობახიან ლექსებს სატრფიალო ლირიკა და დედფულეთის ციკლი მოჰყვა — თიანეთის ფერადებით, შმობლიური ბუნების შშვენიერებითა და შმობელი ხალხის სიყვარულით შთაგონებული. წლები გადიოდა და ფართოვდებოდა მხედველობის არე. მშვიდობისათვის ბრძოლა თუ ომის შემდგომი მშენებლობა, ხალხთა ძმობის იდეა თუ შრომისა და ქმედების ჰეროიკა— ყველაფერი, რითაც საქართველომ იცხოვრა ამ ორმოცი წლის მანძილზე — უკლებლივ აისახა შენს წრფელსა და გულმართალ პოეზიაში.

და, მაინც, დღეთა მსელელობაში შენ არ გტოვებდა ომის მოგონება. ომიდან მოსული კაცია შენი წიგნის თავარი გმირი. დროდადრო, გინუწყვეტლივ, ჭრილობა გტეხდა და გაწერინებდა მტკივნეულ ლექსს გამოველ ომზე, ომში დაღუპულ მეგობრებზე, ხოროცელსა და სულიერ გმირობაზე, რაც უცხო არ ყოფილა პირადად შენთვის. იმავე ომის თემაზე შენ ომის შემდეგაც შეჰქმენი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. ამის მაგალითია, აგერ სულ რამდენიმე წლის წინ დაწერილი, შენი ლირიკული პოემა „ქართველ მამულიშვილსა და იტალიის ეროვნულ გმირზე. ფორე მოსულიშვილზე. „ჩემი გადაშლილი წიგნი, დედი, ეარსკვლავებმა წაიკითხონ, დედი!“ — წერ შენ ფორეს სახელით და ყოველი შინშოუსელელის შშობელს თანაბრად გულსა ხვდება შენი სტრიქონები.

იცოცხლე, ძმაო ვახტანგ!

შენ უპრეტენზიოდ, ჯარისკაცის თავმდაბლობით და მეომრის ერთგულებით ემსახურე შენს აწმყო საქართველოს.

შენ უკოფმანად, უღალატოდ ერთგული დარჩი შენი გზისა და შენი მრწამსის, იმ, ამბედელ, რომ ყოველივე ეს — სწორია და მართებული.

შენთვის უცხოა ამბიციები და შურის გრძნობა. სამაგალითოა შენი მოკრძალებული [illegible] ცხოვრება. წესი ჩვენი მწერლობის დიდ ოჯახში.

ჩემო ვახტანგ, სულითა და გულით გილოცავ დაბადების მესამოცე წლისთავს. გისურვებ ახალ წარმატებას, ახალ შემოქმედებით სიხარულს.

მურმან ლებანიძე

ჩუმი და მჭეძარე

არა მგონია ვახტანგ გორგანელს ხმამაღალი სიტყვა დასცდენოდეს მოყვასთან, უცხოსთან, მეგობართან თუ საკუთარ კერაზე (კარგად ვიცნობ მის მშვენიერ ოჯახს). მას წყნარი, დინჯი საუბარი სჩვევია. მასთან მოუბარსაც სიმშვიდით მუხტავს ყოველთვის შემთხვევით შეხვედრისას თუ რიმე მწვავე საკითხზე კამათისას.

სულ ასეთი ფიქრიანი და მშვიდი იყო ჩვენი ვახტანგი ყმაწვილობის ჟამსაც, როცა მისი ტოლები ხშირად ხმამაღლა გამოვთქვამდით ჩვენს სიხარულსა თუ წუხილს.

ასეთ წყნარ და მშვიდ ქაბუკურად წავიდა იგი ომში და, მკერა, სტალინგრადის ფრონტზეც ფიქრიანად და ნიჯად მალავდა ძნელად დასაკუმებელ მღელვარებას, ხვალ დასაწერი ლექსებისათვის რომ ინახავდა. მისი ფრონტელი მეგობრებიდან ერთი ჯარისკაციც რომ გადარჩენილიყო, მეტყოდა: ვახტანგ გორგანელი სიკვდილის პირისპირიც მშვიდი და აუღელვებელი იყოო.

ჰოსპიტალებში ნახეგრად განკურნებული ვახტანგის დაბრუნების ამბავი ჯერ არ ვიცოდი, როცა თიანეთის გზაზე, ხევსური სოფელთან სატვირთო მანქანის ძარაზე ახორხლილ ხალხში ვიღაცამ ჩემი სახელი დაიყვირა. შორიდან დავლანდე და ვიცან — ვახტანგ გორგანელი იყო. ალბათ, დედოფლეთიდან ბრუნდებოდა თბილისში. პირველად მესმა მაშინ მისი ხმამაღალი ძახილი. მანქანა სოფელ ღუღუღანისაკენ გაქანდა და მე ტკრის ბუღნი გაეჩინანდა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე მოვინახულე ჩემი მეგობარი, ისევ იმ სიმშვიდითა და სულიერი წონასწორობით რომ იყო მოცული, თითქოს არა მომხდარა რაო. მისი პატარა, ყუჩი ოთახი პატრონივით მყუდრო მეჩვენა.

ვახტანგი მარჯვენას ძლივს ამოძრავებდა, საუბრისას ნეკნები სტკიოდა, მაგრამ წყნარად. აუღელვებლად მიყვებოდა ჯერ არნახულ, ჯერ არგამოცდილი ჯოჯოხეთური ბრძოლების ამბებს, წყნარად, დინჯად, აუღელვებლად... მერე მან ფრონტელი ლექსების კითხვა წამოიწყო. გაოგნებული ვუსმენდი. ასეთი სახეცვლილება ადამიანისა ჯერ არ მენახა. წუთისწინანდელი ვახტანგი კი არა, ჩემს წინაშე იჯდა თვალებში ღრმანადვლეჩაკირული, გატანჯული ჯარისკაცი. წამოდგომამ რომ უკმირა და მაინც წამოხტებოდა ხალმე ყოველი ახალი ლექსის წაკითხვისას. ყველ მისი ლექსის ბოლოს „1942 წ. სტალინგრადი" იყო მიწერილი.

ის მიდიოდა, მიიკვლევდა ბილიკებს ფერფლში,
არ ეშორებდა დღით და ღამით ღიმილს ბაგეთა,
მკერდში დიდი ხნის დაგროვილი გრძნობა და ცეცხლი
მკერდს, მოგნებული მახვილივით წინ მიიგებდა...

„ის მიდიოდა..." „ის" თვითონ ვახტანგ გორგანელია, ტრიბუნაზე მიკროფონი რომ არ სჭირდება. ომახიანად და მჭეხარედ რომ გაიძახის ომიდან გამოყოლილ სათქმელს. თითქოსდა მის ახლო დაბაზში, მშვიდობის დროის მსმენელი კი არა, სმენადაზშობილი, ბომბების გრუხუნიაგან გაბრუებული მებრძოლები ისხდნენ ძელმიწურში.

უტრიბუნოდაც ძალუმად ჰქუხან მისი წიგნები, სადაც უამრავი ცოტ ტკივილი, გმინვა ღა გამარჯვების ექო-აღფრთოვანებაა ჩაგებებული მკითხველთა სულში ჩასაფრებელად.

სხვას ვის უნდა დაეწერა, თუ არა ვახტანგ გორგანელს, საამრო წიგნი ფორე მოსულიშვილზე!

ომგადახდილმა პოეტმა გაითავისა სიცოცხლე უცხოეთში დაღუპული ქართველი ჯარისკაცისაა, რომლის ლეკენდარული ხვედრი, აღვილი შესაძლებელი იყო, თავად მას — ავტორს რგებოდა წილად.

ბედისწერავ, დამაკადე. სიკვდილი რად მოგაყავს ყეფით, —
ვერა ხედავ, ალაზანზე ყურძენი მაქვს მოსაკრეფი...

ბრძოლებში გამობრძმედილ ჩემს კეთილ ძმას და მეგობარს, სამოცი წლის ვახტანგ გორგანელ კიდევ ბევრი ლექსი მოეკრიფოს ქართული პოეზიის ძირმძლავრი ხიდად.

ოთარ ჭელიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრანგული თეკგმანები

მოგენს ლინკი

მოგენს ლინკი — დანიელი მწერალი, დაიბადა 1912 წ. იგი ნოველისტი და დრამატურგია. 1951 წ. დაიბეჭდა მისი პირველი პიესა „მიეცა კეისარს კეისრისა". ეს ნაწარმოები მიმართულია ომისა და გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ.

ა რ ა ფ ო ბ ი ი

ეს არის პატარა მოთხრობა პატარა, ხასაკილო კაცუნაზე. იგი წევს ასაბდელ, გალაკულასხურავიან ბავშვის ეტლში, რომლის რეზინის ბორბლები სოფლის ქუჩის ქვაფენილზე ხრაშუნით მიგორავს. ბავშვს მრგვალი ცხვირპირი, მრგვალი თვალები აქვს და პირის კუთხეებში ზპიარული ბუშტულები უგროვდება. ჩვილი ხელებით ბაირს ეხლაუბენ, პატარა, ზიშველი, გაფარჩხული, თითებდაკრუნჩხული ფეხები ეტლიდან ისეა გამოჩრილი, როგორც ორი ცნობისმოუყვარე პატარა ნადირი. პაწაწინა ფეხისგულებზე, ჯერ ერთი ნაბიჯიც რომ არ გადაუდგამთ, ამრეზუმივით ნაზი კანი აქვს გადაკრული. ერთი სიტყვით, იგი გახლავთ მზიან დღეს სასეირნოდ გამოძრძანებული ლეიფი.

ეტლს ჩვილის უფროსი ძმა ბიორნი მიაგორებს, და, უნდა ითქვას, რომ საკმაოდ სწრაფადაც. იგი ცდილობს, რაც შეიძლება მალე გასცდეს ტბორს, რომ ნაკლები შეურაცხმყოფელი სიტყვები მოისმინოს, რა მისი ბრალია, პაწიას რომ მის მეტი გამსეირნებელი არავინ ჰყავს.

უნანურად გამოიუურებოდა ცამეტი წლის ჯაფუნ ბიენ, რომელიც მზემოყიდებული თითებით ეტლის სახელურს დაბოდშილი ჩაბღაუჭებოდა და „წეიფულ ჩვილს" ჯაყჯაყით მიაგორებდა პატარა, ჩამწკრივებული სახლების გასწვრივ, სადაც ყოველი ფანჯრის წინ ღამორასხავით ეკიდა სარეკ*. მას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მრავალი კვადრატულად გამოკუუსული თვალი ტროლის მზაკვრული სიცილით უყურებდა. სიცილი არ გესმის, მაგრამ აშკარად გრძნობ, რომ დაგცინიან. შენ კი მთელი ქუჩა გაკვს გასავლელი. ბიენ სულ უფრო მეტად ირეკვნა ეტლისკენ და ხანიკს ეჩქარებდა. ამავე დროს ცდილობდა ფეხის წვერებზე ევლო, რომ მის ხის ფეხსაცმელებს ნაკლებად ეგრახუნა, თვალებს ღია ფერის წაწეწამეტეებზე მალავდა. ლეიფი ძმას უღიმოდა, მაგრამ ბიორნი მის ღიმილს ვერ ამჩნევდა. იგი მზოლოდ ხის ფეხსაცმელებში წაყოფილ ხაკუთარ შიშველ ფეხებს და იმ რიყის ქვებს დაჰყურებდა, ფეხქვეშ რომ ეყრებოდა.

ბიორნი ბგავდა დასაკოქ სათამაშოს, რომელიც ბზოლოდ იმიტომ მოძრაობს, რომ დაკოქეს, მაგრამ ქშინვა ნამდვილი, ცოცხალი ბიენა ჰქონდა. დიდი გაკირვებით დაოკებული რისხვისაგან სახე ბზეზე დამწკარ, ჩალისფერი თმის ქვეშოდან ფრთებივით გამორჩილ უყრებამდე განსწოლილებოდა. გამხდარი ხელები დაძაბულობისაგან ვაბეკვებოდა. ბოსტეიტის ბოკლე, ლურჯი ზარვლის ტოტები დაკაწრულ ფეხებზე ხალვათად ეკიდა, ჯამარზე ბანჯალი დაეშაგრებინა. ცალ ხელზე, იდაყვს ქვეშოთ მეელის ხვრანგი უჩანდა. ბიორნი ღონიერი, ჯანსალი ბიენი იყო. მის დამნახავს ისეთი გრძნობა ეკმნებოდა, რომ ამ ბიენს თბილი, ნეხტიანი მიწის, ძაღლის ბეწვის, იაფფასიანი პაპიროსის სუნი უდიოდა და დაეანგული რკინისა და ძარტელას გემო ჰქონდა. ეტეკობოდა, რომ ძლიერი, ჭირთამთმენი ჭაბუკი დადგებოდა, — იგი ახლაც მზად იყო შებრძოლებოდა ბედისწერას, უახლოეს კუთხესთან რომ ჩასაფრებოდა.

---

* ასეთი სარკის მეშვეობით სახლში მყოფს შეუძლია დაინახოს, რა ხდება ქუჩაში.

— ჭეციანი, — თქვა მან და ამავე დროს ცდილობდა ლეიფის ვარსკვლავებივით მბრწყინავი თვალებისათვის მზერა მოერიდებინა.

ბიორნს კარგად ახსოვდა, რომ მას შემდეგ, რაც ლეიფი დაიბადა, ჭეციანა გადახხვეფილდა. მაგ სახლში შემოსული ყოველი სტუმარი, ბიორნს ზედაც არ უყურებდა და ლეიფის აკვანზე იხრებოდა. ბიორნი კი საფენებს რეცხდა, ბაბმის საუიდლად აფთიაქში გარბოდა და მზოლოდ ერთი კითხვა ესმოდა: „როგორაა შენი ძმიკო?" ყველას, ვინც სტუმრად მოდიოდა, ლეიფისათვის რაღაც მოჰკონდა საჩუქრად, მხოლოდ ლეიფისათვის!

როცა მის მშობლებს მხოლოდ ერთი სამაეური ბურთის საყიდელი ფული ჰქონდათ, იგი, რა თქმა უნდა, ლეიფისა იყო. ბურთს ბავშვის ეტლზე მიაბამდნენ და თვალდადაჭეკეტილი ლეიფი ხალისიანად იღიმებოდა. ამავე დროს, მშობლები ბიორნს იმასაც ავალებდნენ, ბურთი რომ არ გამსკდარიყო, მარჯვედ ედევნებინა თვალყური მისთვის.

— თვითონ ადევნოს ლეიფმა თვალყური.

— ლეიფს რა შეუძლია, იგი ხომ ჯერ სულ პაწაწინაა.

დიდი ამბავი, ყოველთვის პატარა ხომ არ უნდა იყოს. ბიორნს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ეს ლაწირაკი მის ჯინაზე არ იზრდებოდა.

— მიეცი წყლის პისტოლეტი, ხომ ხედავ, როგორ ეკოტინება.

— იცის კი ამ ბენტერამ, რა არის წყლის პისტოლეტი!

მაგრამ რაკი იგი „უფროსი" იყო, ყველაფერი უნდა დაეთმო პაწაწისათვის.

— ნუ ბმაურობთ!

„ნუ ბმაურობთ, — აი, ამას გაიძახიან უფროსები ნამდვილ ბუნებ. ამის გამო მან საგრძნობლად მოიწყინა. მოსაწყენია, რა თქმა უნდა, ელოდიავო ჩვილს, რომელიც მთელი დღე წევს, არაფერს არ აკეთებს, მხოლოდ ბრძანებებს იძლევა და, მიუხედავად ამისა, ყველა „მომბიზლავს" უწოდებს.

— ზვალო, შემოდგომა კარზე მოგვადგა, ბინდორზე უნდა გავიდე სამუშაოდ, ხომ ასეირნებ მზეზე ლეიფს დღეში ორ-ორ საათს?

— რა თქმა უნდა, დედა.

ბიჭს უარი არ უთქვამს, შეგნებული ჰქონდა, რომ მოვალე იყო. მაგრამ ასეთ გასეირნებაში სასიამოვნოს ვერაფერს ხედავდა.

რა სიამოვნებაზე შეიძლება ლაპარაკი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეგზელის ვაჟიშვილი უკნიდან მოგაძახის: „გოგო!" მეზობელთა ჩასუქებულმა ოლემ კი პირდაპირ უთხრა: რაკი ძიძა გახდი, იქნები ქვედანაცვალ ჩაიცვამ, ეს კიდევ არაფერი, ახლახან ბიჭებმა ტყის პირას გამოქვაბული გამოთხარეს, რომელსაც ორი შესახვლელი აქვს, კერა გამართეს, ცეცხლი დაანთეს და როგორც ოდესღაც ამას ვიკონგები აკეთებდნენ, ხორცს ბანდფურბერ წვავენ.

სანამ მოსახვევში შეუხვევდა, ეირგამშრალი ბიორნი მეცრე ხნით შეყოვნდა.

რა მოხდება, ეტლი რომ მიატოვოს და ტყეში გაიქცეს.

არა, ამის გაკეთება არაფრით არ შეიძლება. ჩვენი ამდაგვლდება, დედაკაცები ყვავილების ქოთნებს იქედან თავებს გამოუფენენ, შემდეგ ქუჩაში გამოცვივდებიან და მოპყვებიან ენის ბარტალს.

ბიორნმა თავი დახარა, უფრო მარჯვედ ჩაეჭიდა ეტლის სახელურს და გააგორა. შემდეგ მოსახვევში შეუხვია და ტბორის გასწვრივ თავქვე დაეშვა. ტბორი მზეზე ისეთი ბოროტი თვალივით ლამპაპებდა, თითქოს ოდესღაც უზარმაზარ ტროლს დაჰკარგოდა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქვეყანაზე ადამიანი არც კი არსებობდა. დაღმართი სულ უფრო და უფრო ცეცადო ხდებოდა და ბიჭმა გაიფიქრა: „რა მოხდება, ეტლს რომ ხელი გავუშვა, ეს ქვეკანი ტბორში დაიხრჩობა და მე ბოლოს და ბოლოს გადაურჩები ამდენ ჯახირს".

ამაზე ფიქრი მოსაენებას არ აძლევდა. მსჯელობდა სრულიად გუულგრილად. მზე კეფაზე ალარ აჭერდა და ხის ფეხსაცმელებს მოერიდებლად მიაბრახუნებდა. საგბირთა აჩქარება, ნეტავ მალე მიაღწიოს წისქვილის უკან ამოთხრილ თიხის ორმოს, მოსახდენი იქ უნდა მოხდეს. აქ ხახიფათოა, საკმარისია ვინმემ დაგანახოს და მაშინვე ვირის ანანწონი გიკრავენ თავს.

ტბორი თანდათან ახლოვდებოდა, ბიორნის თვალწინ ნელ-ნელი ამოიზარდა, ბრწყინვადა, ისე უკრავდა თვალს, თითქოს უკვე იცოდა, რა გადაწყვეტა ბიჭმა. ისეთი შეთბეგდილება იქმნებოდა, თითქოს ტბორი ცნობისმოყვარეობით იწყოდა, ბიორნს თვალებში უყურებდა და გარდუვალ უბედურებას ელოდა.

უეცრად ბიორნმა ორი ბიჭი დაინახა. ისინი მუცელზე გაწოლილიყვნენ და ცდილობდნენ თვითნაკეთი ნავი ჯოხით წყალში შეეცურებინათ. ბიორნმა მაშინვე იცნო იენსი და ოლე. როგორც კი მათ ბიორნი დაინახეს, ფეხზე წამოხტნენ და ახითხითდნენ.

— ჰეი, პატარა ბიორნ, — დაუძახა ოლემ, — ხომ არ დაგავიწყდა, გამოსეირნებამდე ჩვილი დაგეპურებინა?

ბიორნი არ შეჩერებულა, ეტლის სახელურს კიდევ უფრო მაგრად ჩახსნია ხელი და ნაბიჯს აუჩქარა. თიხის ორმო შორს ალარ იყო. იქ დასრულდება ყველაფერი. სხვა გაშოსავალი მას არა აქვს.

ბიორნს ესმოდა, როგორ იცინოდნენ ბიჭები და ეს სიცილი ციებ-ცხელებას ჰგვრიდა.

ლეიფიც იცინოდა. ბიორნმა თვალები მო-

ბუტა და ნაბიჯს უმატა. „ამიერიდან ალარ შემიწუხებს სულს, შე ქეციანო, შენა“! — გაიფიქრა მან.

„ქეციანი“ ალტაკეცებით ბერავდა ლოყებს და ბუშტულებს უშვებდა. ხოლო როცა გზა ისევ ალმართს ამჯობ. ოდნავ წამოიწია და მოზრდილი ადამიანივით წამოკეკლა. ბიჭუნა ისე აპყეტდა თვალებს უფრო ძმას, თითქოს უნდოდა რაღაც ეთქვა მისთვის.

ბიორნი ბორაცვის თხემზე შეჩერდა. ქვედა ტუჩი წინ გამოშვეროდა. შუბლზე ჩამოშლილ თმას სული შეუბერა და უკან გადაიყარა. შემდეგ ირგვლივ მიმოხედა. არსად კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. მის ქვეშოთ გადაშლილი მინდვრები ყვითლად და მწვანედ ლივლივებდა, გვერდით ფერდობი იწკეცებოდა, რომლის ძირში თიხის ორმოს შავი ხვრელივით დიდჩინა ხახა.

— შინ რომ დავბრუნდები, რა ვთქვა? — გაიფიქრა ბიორნმა.

უეცრად ჩიტი დაინახა. იგი ნავარდით აფრინდა მაღლა, მზისკენ და სანამ ბიორნი გადაუვლეტდა, კიდევ ერთხელ შეეხედა პატარა, მრგვალი პირსახეხისათვის საკმაო დრო გავიდა.

ლეიფმა ძმას გაუღიმა. ახლა ბიორნს კიდევ უფრო შეშინებდა იგი, ვიდრე ოდესმე. ნუთუ შეიძლება ოდნავ მაინც არ უყვარდეს ეს პაწაწინა, ეტლში რომ ზის და ისე უყურებს, თითქოს მასაც ესმის რაღაც ამქვეყნად.

ბიორნი მაგრად ჩაეხლართა ბავშვის ეტლის სახელურს. აუ... თავისთ რომ დაგორებულიყო ქვეყითო?

მარტო ამის გაფიქრებზე ბიჭი ერუანტელმა აიტანა, შარვლის ტოტები სუნდებივით უბორკავდა ფეხებს, ხის ფეხსაცმელი კი ბეტონივით მძიმე ეჩვენებოდა, რომ ადგილიდან ვერ ეძვრიდა. ახლა მხოლოდ ერთი სურვილიღა ჰქონდა, რაც შეიძლებოდა სწრაფად გასცლოდა აქაურობას. ფერდობის ბოლოში ამოთხრილმა თიხის ორმომ თითქოს მოაჯადოვა, თვალს ვერ აშორებდა. რა ღრმაა? ორმოში თუ ჩავარდება, იმწამსვე ფსკერზე აღმოჩნდება და იქიდან უკვე ვერაფერთ ველარ ამოძვრება.

ბიჭმა ნელ-ნელა უკან დაიხია და ეტლი ფერდობს განაშორა. ლოყებზე ჩამოგორებულ ცრემლებს მაშინვე უშრობდა მცხუნვარე მზის სხივები. ეტლი შემოაბრუნა და სახლისაკენ დაიძრა. თუმცა ფიდან გაავფრთხილა, მინდვრისაგან მოშორებით ისეირნე, როცა იქ ძნების შესაკონავი მანქანა მუშაობსო, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და მაინც იმ მიმართულებით დაიძრა, თუმცა სანამ იქამდე მიაღწევდა, მთელი ერთი საათი გავიდა.

— დედა! — დაუძახა ბიორნმა. — ლეიფი ცოცხალია!

დედა შემოტრიალდა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და გაკვირვებით მიაჩერდა შვილს.

— რა თქვი, შვილო?

ბიორნი ეტლს არწევდა და ხის ფეხსაცმლით მიწას ჩიჩქნიდა.

— რა თქვი? — გაუმეორა დედამ კითხვა. ბიორნმა თავი ასწია და დედას შეხედა.

— არაფერი! — უპასუხა ბიორნმა, სამუურას მინდორს გაუყვა, კაშხალისაკენ წავიდა და ეტლი წინ გაიგდო.

ჰალდორ ლაქსნესი

ჰალდორ ლაქსნესი — ისლანდიელი მწერალი, დაიბადა 1902 წ. იგი არის მშვიდობის საერთაშორისო პრემიისა და ნობელის პრემიის ლაურეატი. თანამედროვეთა შორის ითვლება უდიდეს ისლანდიელ მწერლად. დაწერილი აქვს ნოველები, პიესები, რომანები და ლიტერატურული წერილები.

ლ ი ლ ი ა

ნებუკადნესარ ნებუკადნესარსონის,
სიცოცხლისა და სიკვდილის ამბავი

ამ კაცს ამგვარი სახელი იმიტომ შეეარქვა, რომ მკითხველმა ჩემს მოთხრობას უურადღება მიაქციოს და გაიფიქროს: „ო, ეს კი უსათუოდ იქნება დიდად თავშესაქცევი ამბავი“. წინაადმდეგ შემთხვევაში მას მხოლოდ ნ. ნ. ინიციალებით მოვიხსენიებდი, რადგან გულწრფელად რომ გითხრათ, მისი სახელი ლამაზიწუდა, უფრო სწორად, არც ვიცოდი ალაოდენ. თუმცა რას გვმატებს მისი სახელი? როგორც მკითხველმა დაინახა, ამ მოთხრობაში სხვა სახელიც გვხვდება და სწორედ იგია მთავარი.

ამბავი, რომელიც უნდა გიამბოთ, ძალზე გრძელი, მეტისმეტად გრძელია, იმდენად გრძელი, რომ შაბიც კი მიაყოლიხ. მიხი დასაწყისი დაკავშირებულია ერთ-ერთ უყველაზე მოალე მელოდიასთან, როგორიც კი ოდესმე მოსმენიხმენია. ეს მელოდია კი არა, უფრო ნაწყვეტი იყო, რომელიღაც მელოდიის ბოლო აკორდი, თუმცა აკორდისათვის, მგონი, ცოტათი გაკიანურებული. სალი გონების ადამიანს შეეძლო წარმოედგინა, რომ ეს რომელიღაც ცნობილი კომპოზიტორის დიდი სიმფონიის დასასრულია. მელოდია მოვასმენინე ერთ ჩემს მეგობარს, რომელსაც სურდა კომპოზიტორი გამხდარიყო. მან გადაწყვიტა, როგორც კი შთაგონება ეწვევა, ეს მელოდია საფუძვლად დაუდოს საკუთარ სიმფონიას და მსოფლიო დაიპატიჟოს ის თემით, სნეფელსონის ერთ-ერთი მკვიდრის სულში რომ იშვა.

ახლა კი უკვე დამიგდეთ.

ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა მე ჯერ კიდევ მოწაფე ვიყავი და რეიკიავიკში ერთ პატარა კოხში ვცხოვრობდი. კოხის გვერდით მეზობელი სახლის საკვები იდგა, რომლისაგანაც თხელი ტიხარი გვყოფდა. ზამთარში ზშირად მესმოდა, როგორ ღიღინებდა საკვებაში ვიღაც მოკლე მელოდიას და ეს ჩვეულებრივ სალამობით ხდებოდა, როცა ქვაბს ღამისათვის წყლით ავსებდნენ. ვიღაც დაუსრულებლად იმეორებდა ერთსა და იმავე მელოდიას უბალისო, გულის გამაწყრალებელი ხმით, დაძეძილ. ბანჯგვლიან ბაგრის რომ მგავდა. უკანასკნელ ნოტებზე მომღერალს თითქოს ავიწყდებოდა ბერის შესუნთქვა, ბგერა წყდებოდა და კრეხდა; ამის შემდეგ ისეთი სიჩუმე ჩამოწვებოდა, გეგონებოდა, კაცი სიღელვისაგან ერთად მოკვდა. მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ კვლავ იწყებოდა ღმეული და, მიუხეკავად იმისა, რომ ჭამდაუუმ წყდებოდა, ნელ-ნელა მაინც მელოდიად გადაიქცეოდა ხოლმე და ისეთი გრძნობა გეუფლებოდა, თითქოს მელოდია მომღერელის ბერიდან განაგრძობდა არსებობას. ამ გრძნობას ვერ აჭარწყლებდა ის, რომ უცნობს ხრინწიანი, გაბზარული ხმა ჰქონდა და ბგერები ლაბის ულაში ეჩხერებოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ეს კაცი მთელ თავის სულს ამ მელოდიაში აჭსოდა, რომელიც, როგორც უკვე ვთქვეთ, დიდ სიმფონიას დაედებოდა საფუძვლად.

ახე გამუდმებით მიმდეროდა ვიღაც საღამოობით მთელი ზამთრის განმავლობაში. შეეძიდე გიშეგო, ვინ მღეროდა ამ მწუხრის სიმღერას. მომღერალი აცეცხლფარეში ადმოჩნდა. შუადამეზე იგი საკვებიდან მიდიოდა.

ერთ საღამოს საკვებეში შეეფდი. ღია საცეცხლეში გავარვარებული ქვანახშირი გიზგიზებდა, საცეცხლეს წინ კი — სიბნელეში თითქმის არც კი ჩანდა — ნიბუკადნეზარი ნიბუკადნეზარსონი იჯდა და მღეროდა.

— საღამო მშვიდობისა, — მივესალმე მე.

— საღამო მშვიდობისა, — მიპასუხა ლიდან ბებრული, ხრიწიანი ხმა.

— რა თქმიდა, რა კარგია აქ, — ვთქვი მე.

— ჩემი წასვლის დრო მოვიდა.

— განა შენ აქ არ ცხოვრობ?

— არა, — მიპასუხა ცეცხლფარეშმა.

— მართლა? მე რომ ყოველ საღამოს შენი სიმღერა მესმის.

— მე არ ვმღერი, — ჩაილუღლუღა მან.

— მიუხედავად ამისა, მე ზშირად ვისმენ შენს სიმღერას, — გავეკრავდი მე.

— ტუუილია, სიმღერა არასოდეს არ ვიცოდი.

— მე მელოდიაც კი დავიმახსოვრე. — შეეკვეასუხე მე.

ცეცხლფარეშმა თავისთვის რაღაც ჩაიდუდუნა ცხეირში და აშკარად შეეკუნეე, ჩემი თავიდან მოშორება სურდა.

— რა გაეწყობა, ადარ შეგაწუხებ, — ვუთხარი მე.

— წადალ, დაეძინეს — თქვა მან და წავიდა.

ერთხელ დამანახეს პიანინოს ყუთი, რომელიც ქვეშს შორის ნაპირზე იდგა. თუმცა იმნანად სასტიკი ენინები დაიჭირა და ჭარბუქი მძვინვარებდა, ნიბუკადნეზარ ნიბუკადნეზარსონი ამ ყუთში ადმოჩნდა შეეუუფული. „ეს ბერიკაცი იმტარმაა ასეთი მუსიკალური, რომ მუსიკალური ინსტრუმენტის ყუთშია ცხოვრობს“, — გაეფიქრე მე.

რამდენიმე საღამოს განმავლობაში საკვებედან არაფერი ისმოდა. მაგრამ გარკვეული დრო რომ გავიდა, ბერიკაცს, ეტყობა, გადაეკიწყდა ჩემი ხატუმრობა და წინანდებურად, ამავე დაბალი, მიკნაგებული ხმით დაიწყო სიმღერა. კვლავ ვეტაუმრე.

— საღამო მშვიდობისა, — მივესალმე მე.

— საღამო მშვიდობისა.

— შენი სიმღერა მომეწონა.

— ტუუილია, — მიპასუხა მან.

— სად ისწავლე ეს მელოდია?

— მელოდია? რა უგაჯს მელოდიას?

— შენ ყოველთვის ერთსა და იმავეს მღერი.

— ნუთუ ვმღერი? — მკითხა მან. — არასოდეს არ ვიცოდი და ახლა ვიცი სიმღერა. ოდესაც ძალიან მინდოდა მესწავლა, მაგრამ ის დრო დიდი ხანია წავიდა. ახლა ამაზე ადარაც კი ვფიქრობ. უბრალოდ, სასიამოვნოა ცეცხლის გაჩაღება და საცეცხლესთან ჯდომა.

— საიდან ხარ? — ვკითხე მე.

— დასავლეთიდან.

— კერძოდ საიდან?

— ულადუსეიკიდან.

— კარგი ადგილია.

— უღელფხვიერში ძლიერი მოკცეცა იცის, თუმცა ასევეა სხვა ადგილებშიც, — თქვა მან.

— დასავლეთში ნათესავები თუ გყავს?

— დაბოლოვნენ.

— რეკიავიკაში რისთვისღა ჩამობედან?

ცეცხლფარეში დიდხანს დუმდა, მერე კი მიპასუხა.

— იქ, დასავლეთში ალარაფერი დამრჩა, ალარაფერი...

— სწორად მოკცეულხარ, რეკიავიკში რომ ჩამოსულხარ, — ვუთხარი მე.

— რეკიავიკი ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ქალაქად მიმაჩნდა.

იგი დდუმარედ იჯდა საცეცხლეს წინ ყუთზე. ამჯერად საკვამურში სინათლე ენთო და მას გაუჭირვებლად შეეძლო ეთვალიერებინა თავისი დახეული ჩექმები.

— პირველი ღამე აქ, სამხრეთში, სასაფლაოზე გავათენე. — დასცდა მას ბოლოს.

— ნუთუ? — გავიკვირვე მე და რომ მეწუხვებინა დავსძინე: — ახლა ბევრი ათევს ღამეს სასაფლაოზე და არა ერთს.

— მართალია, — დამეთანხმა იგი.

ბერიაკეს სახეზე ეუბეკიანი ნაფონი შეეხმობოდა, წვერი ამბერძგნოდა.

— ჩექმები დაგბერვია, — ვუთხარი მე.

— არც ისე გაცვეთილია, შარშანწინ ვიპოვე ვიტნემიაში. ეტყობა, ვიღაცას დარჩა ტორფიან ჭაობში.

ბერიაკეი წამოდგა და ღუმელს უკან კაუტზე დაკიდებული ქუდი ჩამოიღო. ეს იყო ქვაბქუდი, სწორედ ისეთი, ვიპრანს რომ ახურავთ. ასეთ ქუდებს ხალხი, ჩვეულებრივ, სანაგვე ყუთში ყრის, როცა ფარფლები გაუცვედება ან ბავშვი მანამდე არ მოეწვება, სანამ მის ზედან ნაწილს არ გახვრეტს.

— არ მაჩვენებ ქუდს? — კვლინე მე.

ქუდი იმდენნე იყო გახვრეტილი, რომ მასში ბავშვის მუშტი გაეტეოდა.

— მეტისმეტად ძველი ქუდია, — ვუთხარი მე და გახვრეტილი ადგილიდან სინათლეს გავხედე. ერთ დროს ეს ქუდი კარგი უნდა ყოფილიყო. ქუდი უკანვე დავუბრუნე ბერიაკეს. მან გამოშართა და ჩემსავით გახედა გახვრეტილი ადგილიდან სინათლეს.

— ყველას როდი ძალუძს მამაზეციერის საკუთარი ქუდიდან უმზიროს, — თქვა მან და ჩაიცინა. მზოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ ერთი კბილიც შერჩენოდა.

როგორც იქნა, გაზაფხული დადგა. სწორედ გაზაფხულზე, როცა ნინა უნდა იჯდეს და გამოცდებისათვის ემზადებოდე, ბეწვივე მაცდუნებელი სურვილი ფანჯარაში თავი გაგეო და თვალუყური ადევნო იმას, რაც ქუჩაში ხდება. ამ დროს უმნიშვნელო ამბავიც კი საინტერესო და დიდი ფილოსოფიური მნიშვნელობით გამხსენებლად გეჩვენება.

მეორე ხართულის ერთ-ერთ ბინაში ასეული მდგმურები შესახლდნენ. მე არ ეშინოდა ბინათვისგან, განსაკუთრებული აფორიაქებელი ის შეეშინნენ, რომ რაკი წელის ბოლოა, ლიზეთი ჩამოვიდეთ, რომელსაც ლილიას ეძახდნენ. გოგონას გარეგნობის ეიბეფდენი დაეკარგენი, რომ მდგმურები ჩამოვიდნენ. ამ ლია ფერის ნაწნავები ჰქონდა და ზინ მოკნეოული ზალის წინდებით დასეირნობდა. გოგონა ხშირად თამაშობდა თავის ტოლ გოგობიჭებთან ჩემს კართან. დედას მაბრე ეზე და მთვარე ამოსდიოდა. მთელი დღე ფანჯრიდან იყურებოდა და გოგონას ისე ანძღვავდა ბრძანებებს, თითქოს ჯარისკაცებს მთელი პოლკი ებარა. ბრძანებას ბრძანება მოსდევდა: „ანა, — ყვიროდა იგი, — ფრთხილად იყავე! ერიდე ძალას, ერიდე მთვრალს, ერიდე მანჭანას! ლილია, ფრთხილად!“

იმ დროს ჯერ კიდევ არსებობდა რიყის ქვისგან ნაგები ყორეები. ყორეები ჩვენს ქუჩას ორივე მხრიდან გასდევდნენ. სიტუაციმ მოიტანა და მოგახსენებთ, რომ ჩვენი ქუჩა ძალზე ეწყნარი იყო, ისევითად თუ გაივლები რაგე.

ერთხელ თვალი მოვკარი ნენუკადნესარ ნენუკადნესარსონს. იგი ყორეზე იჯდა, გაზაფხულის მზის ოქროს სხივებს ეფიცებოდა და ეინეკართან მოთამაშე ბავშვებს უყურებდა. გამფორულ სახეზე სიხარული უბრწყინავდა. ამ სიხარულის ანარეკლი მის ამბერძგნულ წვერსაც კი ეცემოდა.

როცა ბინები ჩამოწყა, ბავშვები დაიღალნენ და სახლებში წვავდ-წამოვდნენ, ეზოში მარტო ლილია დარჩა. გოგონა ხალისიანად ტატუავდა ცალ ფეხზე. ნენუკადნესარ ნენუკადნესარსონმა დაუძახა:

— ლილია!

გოგონამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ძახილი ვერ გაიგონა. ამავე დროს ფანჯრისაკენ გაიხედა — დედა ხომ არ მიეურებსო. დედაშინ ეს არ ჩანდა. ხაბზარეულლონ გამოულიაო ვიბშ მოსიმწაფდებელად.

— დღეს არ სურს პატარა ლილიას ბებერ ნენუკადნესარ ნენუკადნესარსონთან საუბარი? — ჩკითხა ბერიაკეცმა და ჯიბიდან ქაღალდის პარკი ამოიღო.

გოგონამ გაუბედავად გადაკარა ეზო, ხელები ზურგს უკან დიფუო და ხან პარკს შეხედავდა, ხანაც ფანჯარას. პარკში ჯიშშინი ეკარა, ცხადია, ჯიშშინი. ლილია მთელი თავისი გამოშეტკეველებით ცდილობდა დამეტკიცებინა, რომ ჯიშშინით ვერავინ გაკვეროვებდა და, საერთოდ, აბეგვარი სასუნავი არ იზიდავდა. ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ორივენი ყორეზე ისხდნენ და ჯიშშინს შეეკცეოდნენ. სანამ ბერიაკეი ჯიშშინის ერთ მარცვალს გადაელაპარაკა, გოგონა ათის გადასან-

ამოცანა ოთხ დღე-ღამეში შეკასრულეთ, მაგრამ 460 მეტრი სიგრძის ხიდის ნაწილი მოწინააღმდეგის არტილერიისა თუ ავიაციის ცეცხლმა დაგვიწყო და ჩვენ განმეორებით მოგვიხდა მისი დაუოვნებლივ აღდგენა. ეს ისევ მოკახსენეთ სარდლთას დავალების შესრულების შესახებ, ხოლო საიმედოს შემოწმებისთანავე, მასზე 70-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის ტანკი, 1,500 ავტომანქანა საარტილერიო მისაბმელებით, საჭურვლით, ტექნიკურ და ათასობით მეომრით დატვირთული მანქანები მშვიდობით გადავიდა მეორე ნაპირზე. ეს სიინჟინრო ბატალიონის და მისი მამაცი, უნარიანი პირადი შემადგენლობის დიდი საბრძოლო წარმატება იყო. ამასთან, ეს უთუოდ ეფექტური საშუალება იყო დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ეგზომ საჭირო, საშუალი ალიცდარის განთავსებისა და ინფანტერიისა, კიევის მმართველებით გადამწყვეტი შტიტეის განსავითარებლად, მისი გამარჯვებით დასაგარიგებელად. აქ ჩვენმა სასარგებლო საბრძოლო გამოცდილებამაც შეიძინეს, ახლა უკვე საშუალება გაეძლოდათ დაუოვნებლივ შევდგომოდით ამჯერად 550 მეტრი სიგრძის ხიდის აშენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლოა, ოთხ დღე-ღამეში, ასეთ ძნელ ვითარებაში, ამნაირი სამუშაოს შესრულება დიდ მდინარეზე დღეს, ცოტა არ იყოს, უნაკლული, ფანტასტიკური ჩანდეს, მაგრამ ამ საბრძოლო ამოცანის შესრულებაში არაფერი ვეფერებენ უჩვეულო, შეუძლებელი. რადგან ამ ხაქმეს ვახმარდით მთელს ჩვენს ცოდნას, ბრძოლაში შეძენილ საბრძოლო გამოცდილებას, უნარსა და მოხერხებას და ამასთან გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბატალიონის პირადი შემადგენლობის მორალურ-პოლიტიკურ განწყობას, მის შეტევით სულისკვეთებას, მის პატრიოტულ მისწრაფებას, რაც საშუალებას გვაძლევდა სწრაფად, მარჯვედ გულოვანად გვემოქმედა და მხნედ დაგვეძლია ყოველგვარი სიძნელე და გაეკრავა. შეუძლებელი შესაძლებლად გვექცია.

ასეთი იყო საფრონტო ცხოვრების წესი და პირნათლად ვასრულებდით მას. ჩვენ ვხედავდით მომძეფია გასაჯირს, ცეცხლის ალში გახვეულ საბჭოთა უკრაინის დედაქალაქს — კიევს. ვგრძნობდით მის ტკივილს, განვიცდიდით მარჯვენა ნაპირზე მეხოვრებთა ტირეკვან და ზვალებას... სამი წელი იარაღით ვიცავდით საბჭოთა მიწა-წყალს, მის თავისუფლებასა და ღირსებას. პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა დევ-ვმრული ძალას გვაძლევდა ბატალიონის მებრძოლებს, მეთაურებს, პოლიტმუშაკებს, კომუნისტებსა და კომკავშირელებს. რუსებს და უკრაინელებს, ქართველებსა და უზბეკებს, ყველა ერის შვილებს, გადამწყვეტი შეტევისათვის.

ამ დიდმნიშვნელოვან საბრძოლო ამოცანის შესრულებას ცოტამ რიდი შესწრო თავი; ჩვენი ბატალიონის საბრძოლო დამსახურებას ძალადი შეფასება მისცა უმაღლესმა მთავარსარდლობამ, საპატიო წოდებები მიენიჭა ბატალიონს, საბრძოლო ორდენები და მედლები გადაეცა მის ათასობით მამაც, უნარიან მეომარს.

ისტორიული დოკუმენტი. საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლის 1943 წლის 6 ნოემბრის № 37 ბრძანება იუწყებოდა: 1-ლი უკრაინის ფრონტის ჯარებმა გადამწყვეტი ოპერაციის შედეგად, განაბორცეელეს რა უნარიანი მანევრი, დღეს, 6 ნოემბერს, გამთენიისას, იერიშით დაეუფლენ საბჭოთა უკრაინის დედაქალაქს — კიევს. უდიდეს ხარმეწველი ცენტრსა და გერმანელთა უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ კვანძს დნეპრის მარჯვენა ნაპირას.

პეტრე შამათავა
ქება ალამიანისა!

კიევის აღებით ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი დასაყრდენი დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს დნეპრის მარჯვენა ნაპირიდან გერმანელთა გასარეკად.

ქალაქ კიევის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში თავი გამოჩინა მთელმა რიგმა არმიამ და შენაერთმა. განსაკუთრებით თავგამოჩენილთა შორის უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებაში აღნიშნულია 268-ე ცალკე საინჟინრო ბატალიონი და მისი მამაცი მეთაური, ინჟინერ-კაპიტანი ირაკლი ციცინაული, ჩვენი ნარკვევის მთავარი პერსონაჟი.

კიევის განთავისუფლების ოპერაციაში მოწაწილეთა დიდი საბრძოლო გმირობა, მათი მხეცრული დამსახურება 24 საარტილერიო ქვეშეგის 320 სალუტით აღნიშნა მადლიერმა საბშოსლიმ და წარჩინებული შენაერთები და მათი პირადი შემადგენლობა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდა, ბევრსაც „კიევის" სახატიო წოდება მიენიჭა.

უმაღლესი მთავარსარდლის მორიგ, 1943 წლის 17 ნოემბრის № 41 ბრძანებაში 268-ე „კიევის" საინჟინრო ბატალიონს დნეპრზე ახალი 550 მეტრი სიგრძის ხიდის აგებისთვის, მდინარე დნეპრის გადალახვაში გამორჩეული უნარიანი მოქმედებისათვის, მიეკუთვნა — „დნეპროს" სპეციალური წოდება, ხოლო მის მეთაურს ინჟინერ-კაპიტანს ირაკლი ციცინაველს — საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

საბჭოთა არმიის შეტევითი ბრძოლები წარმატებით გრძელდებოდა. მას შემდეგ არა ერთ დიდ საბრძოლო ოპერაციაში მონაწილეობდა 268-ე ცალკე „კიევის", „დნეპრის" სახელობის საინჟინრო ბატალიონი, მისი გმირი მეთაური ირაკლი ციცინაველი. გმირი ქალაქების — მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის, ყურსკის შეერილზე ბრძოლების აქტიური მონაწილე, დნეპრის გადალახვის გმირი, იბრძოდა აღმოსავლეთ ევროპის ხალხების და ჩეკოსლოვაკიის და მისი დედაქალაქის პრაღის — ჰიტლერელებისაგან გაწმენდაში, ბრძოლა დიპ.

ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ გმირი ეფარჯნით დაუბრუნდა მშობლიურ თბილისს. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლა განაგრძო ასპირანტურაში არქიტექტურის სპეციალობით, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ლექციების კითხვა დაიწყო სპეციალობის მიხედვით, აქტიურად მიეცა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. „ადამიანური ნაშრომი მომაზადა ხელოვნებისა და ტექნიკურ ნაშრომი — ადამიანური ხელოვნების დარგში — თემაზე — „ქართული ხელოვნების საწყისები", მიენიჭა დოკტორის სამეცნიერო წოდება და არჩეულ იქნა პროფესორად. დღემდე ხელმძღვანელობს არქიტექტურის კათედრას. იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სკოლების განყოფილების გამგე, „სახმშენის" კომიტეტის თავმჯდომარე...

სწორედ ასეთი მამაცი, სპეტაკი კომუნისტი — ადამიანები იბრძოდნენ ფრონტზე, სასახელოდ იცავდნენ საბჭოთა სამშობლოს დიდ სამამულო ომში, სისხლსა ღვრიდნენ მისი თავისუფლებისა და ღირსებისათვის, ფაშისტური მონობისაგან ანთავისუფლებდნენ ევროპის ხალხებს, ბარბაროსების ხელყოფისაგან იცავდნენ მსოფლიო ცივილიზაციას.

იგი კვლავ მოწინავე ბაზზეა, კომუნისტური მშენებლობის ფრონტზე, ჩვენი ეროვნული საუნჯის დაცვისა და პოპულარობის საქმეს ემსახურება ცოდნით და რწმენით, რითაც მიმდინარე ხუთწლედის მიზანდასახულებათა შესრულების აქტიური მონაწილეა, მათ საბრძოლო მწყობრში დგას დაუღალელად და ღირსეულად.

დიდი პატივი და ღირსებაა ადამიანისათვის იყო საბჭოთა კავშირის გმირი, თადარიგის ინჟინერ-მაიორი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, ხელოვნებათ-მცოდნეობის დოქტორი, საქართველოს სსრ კულტურის ძეგლების დაცვის სამეცნიერო-საწარმოოს მთავარი სამმართველოს უფროსი და მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრი.

ყოველ მათგანში ჩანს, ისაბება ირაკლი ციცინაველის მებრძოლური ბუნება, ადამიანური ხასიათი, მორალური სისპეტაკე, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, მოვალეობის მაღალი გრძნობა.

ამ მაღალი მოვალეობების ცხოვრებაში განხორციელება, პარტიის აქტიური მებრძოლის მოღვაწეობა, ცალკე თუ ერთობლივად შესწავლილი და განზოგადებული, მიმზიდველად წარმოგვიდგენს შემოქმედ ადამიანს, მის მდიდარ მორალურ-სულიერ სამყაროს, ჩვენს თანამედროვეს.

იუზა ევგენიძე

ქართული ესთეტიკური აზრის მნიშვნელოვანი შენაძენი

ესთეტიკური აზრის განვითარებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ყოველი ეპოქა სიახლის მოტანის წყურვილით იყო აღსავსე. გამოჩენილი ქართველი მოაზროვნეებიც დროის მოთხოვნილებათა კვალობაზედ ცდილობდნენ და წარმატებითაც ახერხებდნენ მსოფლიო ესთეტიკური აზროვნების მიმოკცევის პროცესში ჩაერთოთ ჩვენი კულტურა. თუმცა საკუთრივ ესთეტიკის, როგორც მეცნიერების გარკვეული სფეროს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში მსოფლიო სტანდარტების დონეზე მდგომი ნაწარმოები ესთეტიკაში იშვიათი გამონაკლისის გარდა არ შექმნილა. ჩვენი ერის ავბედითი ისტორიის გამო, თეორიული თვალსაზრისით ადრეულ ეპოქებში შეუძლებელი გახდა ისეთი ტიპის თხზულებათა შექმნა, რომელიც მთელი სისრულით წარმოარსებდა ქართველი კაცის თეორიულ პოტენციალს ესთეტიკაში. როცა საამისო პირობები არსებობდა (XI-XII სს), მაშინ გაჩნდა კიდეც ისეთი მოაზროვნეთა წყება, რომლებმაც მაღალ აზიდეს ესთეტიკური განსჯის კულტურა ჩვენში და მას საკაცობრიო ღირებულება მიანიჭებს, შემდეგ კი უკვე მე-19 საუკუნემდე გამოჩენილ ქართველ პოეტთა ნაწერებში თუ შეგაჭრნივთ ესთეტიკური აზრის ნითამამის მაუწყებელ და ორიგინალობის ნიშნით აღბეჭდილ შეხედულებებს. საჭირო იყო დრო, პირობები, რათა ჩვენი ერის ცხოვრებაში მე-19 საუკუნის კორიფეებს თავიანთი სიტყვა ეთქვათ და ესთეტიკაში განსწავლითი საფეხურებიდან, დამოუკიდებელი ესთეტიკური კოზიციის შექმნის აუცილებლობამდე მისულიყვნენ. როცა ქართველი კაცისათვის, რუსეთზე გავლით ევროპასაკენ გაიკრა ერთგვარი ჭიშკარი, აბკარა გახდა, რომ მაღალინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე ქართველ კაცს, რომელიც მონატრებული იყო აზრის უმაღლეს მონაპოვართა წვდომას, სახიცოცხლო მოთხოვნილებად ექცა საკუთარ მამულში გადმოსვლა და დაემკვიდრებინა ყოველივე ის, რაც საკაცობრიო გენიამ შექმნა აზროვნებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროში. მაგრამ ამ დიდი და საპატიო მისიის შესრულებას დრო სჭირდებოდა, დრო და სიტუაცია, რომელიც არის ყველაზედ კარგი რეგულატორი და მომამზადებელი ყოველგვარი აზრის, განსაკუთრებით კი ესთეტიკური აზროვნებისა.

და, აი, ჩვენი საუკუნის ოცაანი წლებიდან, უკვე ევროპულ სკოლაგამოვლილ ქართველ ინტელიგენციაში გაჩნდა დამოუკიდებელი, ორიგინალური შეხედულებების, თეორიული გამოკვლევების შექმნის მოთხოვნილება, რამაც თავისი ბრწყინვალე გამოხატულება ჰპოვა დ. უზნაძის, შ. ნუცუბიძის, ხ. დანელიას, მ. გოგიბერიძის ნააზრევში. ამ დიდ მეცნიერთა კვლევის შედეგები, პირველაუოელისა, იქითკენ იყო მიმართული, რომ ესთეტიკაში ხერხოზული, მყარი მუშაობის კულტურა და ტრადიცია შეექმნათ ჩვენში, რამაც შესაფერისი ნაყოფიც გამოიღო გარკვეული დროის შემდეგ. ა. ბოგორიშვილის, ნ. ჭავჭავაძის, ზ. კა-

კაბაძის და სხვა თანამეზროვე ქართველ ფილოსოფოსთა შრომები იმის თვალნათლივი დადასტურებაა, თუ როგორ გამოიკვეთა, ამაღლდა და სისტემური სახე მიიღო საქართველოში ესთეტიკამ, როგორც მეცნიერების მეტად მნიშვნელოვანი დარგის განვითარებამ. ჩვენში უკვე არა მარტო მონოგრაფიულად სწავლობენ ამა თუ იმ ცნობილი ევროპელი, რუსი და ქართველი მოაზროვნეების ესთეტიკას, არამედ იკვლევენ ესთეტიკის საკვანძო საკითხებს მთელი თაობის, ეპოქის ან ცალკეული ქვეყნის წარმომადგენელ მოაზროვნეთა სისტემების მიხედვით. როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, ამ მკვლევართა ნაშრომები ტოლს არ უდგებენ საბჭოთა ესთეტიკური აზრის არც ერთ შედეგს და ბევრ შემთხვევაში საზღვარგარეთის სპეციალისტთა აღიარებითაც სარგებლობენ.

ამჟამად საქართველოში, ისევე როგორც მთელი კავშირის მასშტაბით, ესთეტიკაში მუშაობა წარმართულია ძირითადად ორი მიმართულებით: ერთია წარსულის კულტურულ-ესთეტიკური ნააზრევის ისტორიულ ასპექტში დახასიათება, ე. ი. ამა თუ იმ მოაზროვნისა და მთელი სისტემის ადგილის ასახვა და მისი მნიშვნელობის შეფასება — დახასიათება, და მეორე, თანამედროვე ესთეტიკური თეორიების დალაგება და კრიტიკული ანალიზი. კვლევა-ძიების ამდაგვარ გზას ბუნებრივად ერთვის და მეთოდოლოგიურად იმავე პრინციპს ექვემდებარება ესთეტიკის, როგორც მეცნიერების წმინდა პედაგოგიური მიზანდასახულებით დაპირობებულ სახელმძღვანელოთა შედგენაც, სადაც ტრადიციულად განხილულია ესთეტიკის საგნის, მოსაზღვრე დისციპლინებთან მისი მიმართების ესთეტიკური კატეგორიების, ფორმებისა და შინაარსის, ტიპისა და ტიპიურობის, ხალხურობისა და პარტიულობის და ა. შ. საკითხები.

ამ ტრადიციის ფონზე, ახლახან, ქართულ სინამდვილეში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა ვახტანგ გოგუაძის წიგნი: საყურადღებო სათაურით: „ადამიანი, როგორც ესთეტიკური ფენომენი".

ვახტანგ გოგუაძის სახელი სპეციალისტებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის უცნობი სახელი არაა. იგი არის ავტორი მრავალი მეცნიერული, პუბლიცისტური წერილის და წიგნისა — „ერი გულდაფ, პუოადი" (1978 წ); ამ ნაწერებში, აშკარად ჩანს ვახტანგ გოგუაძის გონებრივი სიმკვირცხლე, სიღრმე, მოვლენათა ფართო პლანში დანახვის უნარი, დასმული საკითხებისადმი ორიგინალური მიდგომა და მაღალმოკალაკეკეობრივი პოზიცია.

ცხადია, ზემოაღნიშნული თვისებების მატარებელი ავტორისაგან მკითხველი ყოველთვის ინტერესით ელოდება არათუ ისეთ სიღრმიერ ნაშრომს, როგორც სარეცენზიო წიგნია, ეროვნული ბიბლიოთეკა მოიცავს 278 გვერდს), არამედ ყოველ ხელ-ზეთო წერილსაც კი.

შრომის შესავალში ავტორს ნავსებით ნათლად აქვს გამოკვეთილი კვლევის მიზანი და ფარგალი. ვ. გოგუაძის თქმით „ადამიანი როგორც ესთეტიკური ფენომენი" — წიგნის ამგვარი სათაურისაგან არ უნდა მოველოდეთ, თუ შეიძლება ითქვას, ნატურალისტურ გაგებას, — ადამიანის რეალურ-ონტოლოგიურად წარმოდგენა თითქოს იმითვითვე გულისხმობს ესთეტიკურობას. ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორ გადაიქცევა ადამიანი ესთეტიკურ ფენომენად"..ო (გვ. 6).

ადამიანის ესთეტიკურ ფენომენად გადაქცევა კი ხდება მხოლოდ შემოქმედების პროცესში, ადამიანს ესთეტიკურ ფენომენად აქცევს მისივე შემოქმედი ხელოვნების მშვენიერების სახით. ადამიანის მიერ შექმნილი ახალი სინამდვილე — ხელოვნების სინამდვილე, არის მშვენიერების ეპოქმარტი სამეფო. ამოდის რა ჰეგელის ცნობილი თვალსაზრისიდან — მშვენიერების სამეფოა ხელოვნება, ვ. გოგუაძე მარჯვედ ავითარებს უაღრესად ღირებულ აზრს, რომელიც ერთგვარად შლის ესთეტიკურ კატეგორიათა შორის არსებულ ჯერარებს და მათ აქცევს მშვენიერების წრეში — განა მშვენიერი არაა კომიკური ან ტრაგიკული? ახე ისმება კითხვა (მაგ. ბარტ-მანთან) და ამ შეხედულებათა ავალთანაზედ სარეცენზიო წიგნის ავტორი ძალზედ გაბედულად იჭრება ესთეტიკური ღირებულების შემცველ მოვლენათა სიღრმეში, რაც, პირველყოფილია, ხელოვნების მშვენიერებას თვლის ესთეტიკურის გამოვლენის უმაღლეს ფორმად. ამ პოზიციიდან გამომდინარე, ხელოვნების მარადიული ქმნილებანი უნდა იქცეს მშვენიერებაზე მსჯელობის ამოსავალად და არა სერიოზული ოპერაციების წარმოება იმაზედ, რატომ არ არის კატის ჩნავილი ესთეტიკური და რამდენად ესთეტიკურია ბულბულის ხტენა ან ვარდის ფერი. ვ. გოგუაძემ კარგად იცის, რომ „ადამიანი მუდამ გამოცანას წარმოადგენდა ადამიანისათვის" (გვ. 3), მაგრამ მან ისიც იცის, რომ „ბუნების მშვენიერების გვარგვინი ადამიანია" (გვ. 266), რადგან ხელოვნების სინამდვილეს, მშვენიერების უმაღლეს სამყაროს ჰქმნის იგი. ხელოვნების სფერო კი ადამიანობის ერთი უმნიშვნელოვანესი და უპირველესი თვისების მნიშვნელები სფეროა, რაიც სწორედ მის უსასრულო ქმნადობასთან დაკავშირებულ ამოუწურობაზე მიუთითებს. ამიტომაც ესთეტიკოსისთვის, ამოუწურავია ადამიანიდან მომდინარე შუქს — ხელოვნების ქმნილებათა განმაზოგადებელი, დამარწმუნებელი ანალიზი. ადამიანი, როგორც ესთეტიკური ფენომე-

ნიდან იღება სათავეს „ილიადა“, „ოდისეა“, ძველი ბერძნული ქანდაკებები, რენესანსის მხატვრობა, „ფაუსტი“, „გველის მჭამელი“, „დონ-ჟუანი“, „განდეგილი“ და ჯერიცხეი მხატვრული შედევრი, რომელიც ესთეტიკურ ორიენტირებად შეიძლება იქცეს და შეცვალოს ესთეტიკურ კატეგორიათა შესახებ მშრალი მსჯელობა, მხატვრულ ფაქტებზე დაურწმუნებლმა და მით გალონიერებულმა დაკვირვებებმა. თვით დღემდე შეკმნილნეს კი ძნელია რაღაც საზღვრების დადება და მით უფრო ვინ იცის, რა შეიქმნება მომავალში, რას შექმნის ესთეტიკურად მომართული ადამიანის შემოქმედებითი ალმაფრენა? ვ. გოგუაძეს მშვენივრად აქვს გათვალისწინებული ეს სინანული, სიძნელე, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის მიერ შექმნილი „ფერუთვალავი მშვენენის“ წვდომასთან, როცა ფილოსოფოსთათვის დამახასიათებელი სიღიზნით განიხილავს იმ საკითხებს, რაც თვალსაჩინოს ხდის ავტორის პოზიციას, ამოწურვის პრეტენზიით კი არა, ანალიზის ზზით დაგვაახლოვოს ადამიანის მიერ შექმნილი იმ სამეაოროსთან, რაც ადამიანის ესთეტიკურ ფენომენად ქცევას გვაუწყებს. ამ დიდი ამოცანის ღირებულების გათვალისწინებლად ვ. გოგუაძემ ხელოვნების ფაქტებიდან ისეთი მასალა მოიხმო, ისეთი პუნქტები შეირჩია და ისეთნაირი ცნებები მოიმარჯვა, რითაც თვალსაჩინოდ განერიდა ესთეტიკურ მოვლენათა განხილვას ტრაფარეტულ ხერხებს... ეს რომ ახეა, ამაში აღნიშნული წიგნის სტრუქტურისა და შინაარსის გაცნობაც გვარწმუნებს...

ნაშრომის პირველ თავში ავტორი განიხილავს ესთეტიკურის რაობასა და მისი გამოვლენის ხფეროებს. იგი არ იზიარებს იმ ფაროდ გავრცელებულ თვალსაზრისს ესთეტიკაში, რომლის მიხედვითაც მშვენიერება და ესთეტიკური განსხვავებული ცნებებია, რომ ესთეტიკური მოიცავს, როგორც მშვენიერებას, ასევე კიდევ სხვა მოვლენებსაც. ვ. გოგუაძის მტკიცებით ესთეტიკური და მშვენიერება იდენტური ცნებებია. ესთეტიკა არაგმ და არამგ არ სწავლობდა არამშვენიერს, იმას, რაც მშვენიერების ხფეროს სცილდება. ესთეტიკა შეისწავლის იმ პროცესს, ეთქვათ, როგორ ხდება სიმახინჯე ესთეტიკური, ე. ი. სიმახინჯე თავისთავად მოიხსნება და იქცევა მხატვრულ ფენომენად. მაგრამ ესთეტიკას სრულებით არ აინტერესებს სიმახინჯე როგორც ასეთი.

ნაშრომის მეორე თავს ეწოდება: ადამიანის ბუნება ესთეტიკურ კატეგორიებში.

ავტორი საგანგებო ყურადღებას უთმობს „ადალბუნების პრობლემას ჰეგელის ესთეტიკის მიხედვით. ჰეგელისეული ამაღლებულის კატეგორიის თავისებურება ისაა, რომ იგი არ არის ყოველი დროის ხელოვნების თვისება. იგი ისტორიული კატეგორიაა ხელოვნებისა, რომელიც მან გაიარა იუდეველთა ელლიგიის, პოეზიის სიმბოლური ... ეტაპზე, აქ კი სანინტერესოდ ... ფასეულობის საკითხი: რას წარმოადგენს ადამიანი, რით შეიძლება მან „ამაყობ? როგორია დმრთისა და ადამიანს ურთის მიმართება? ამ კითხვებზე ჰეგელისეულ ახსნას სანინტერესოდ გადმოგვცემს ავტორი. ტრაგიკულისა და კომიკურის სწორთ ძირის პოვნას ცდილობს ვ. გოგუაძე პარაგრაფში: სიცილისა და ტირილის საერთო საფუძველი.

ნაშრომის III თავი — ფილოსოფიური ანთროპოლოგია და ეკოფეტია.

ფილოსოფიური ანთროპოლოგია, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, თავის თავს ახალგაზრდა, XX საუკუნის მეცნიერებად თვლის. მაგრამ ვ. გოგუაძის თქმით ფილოსოფიური მიმდინარეობა ადამიანის ბუნების შესახებ არ შეიძლება ახალი იყოს. არსებითად იგი იმ დროიდან იწყება, როცა ფილოსოფია მითოლოგიას გამოეყოფა და ნამდვილი აზრით იწყება ფილოსოფია.

თუმცა, ავტორის აზრით, ადამიანის ცნების კონკრეტული ნიშნები, ადამიანის ადამიანად დადგენის მეცნიერული ახსნა მარქსმა მოგვცა. მარქსიზმმა შექმნა იმის მეთოდოლოგიური საფუძველები, თუ როგორ არ უნდა დავინახოთ ადამიანის არსებაში ადამიანზე მეტი ან ნაკლები. გულისხმობს რა დასავლეთის ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას, მკვლევარი აცხადებს, რომ არც ერთი ნაშრომი, რომელიც „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის“ სახელითაა ცნობილი, ისე არ უპასუხებს თავის სათაურს, როგორც ეს ჰეგელის „გონის ფილოსოფიაშია“ მოცემული. ესაა სწორედ ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის წყალობა.

ვ. გოგუაძე ამ არა ფილოსოფიური დისციპლინის ერთიანობაში განხილვის საჭიროებას კიდევ ერთი, ასეთი მეთოდოლოგიური ხასიათის არგუმენტით ასაბუთებს: რიგი საკითხებისა ესთეტიკის მონოპოლიადაა გამოცხადებული; ისინი იწყება ესთეტიკაში, მაგრამ კვლევის პროცესში ხულ მაღე გადის ესთეტიკის ფფეროდან. მაგალითად, გემოვნების პრობლემა გულისხმობს ადამიანის მიერ მშვენიერების შეფასების უნარის საკითხს. ამ უნარის განვითარების საკითხს ესთეტიკური აღზრდის თეორია სწავლობს. ამ საკითხის კვლევისას ორი მომენტის ერთიანობა გვაინტერესებს. ვიკვლევთ მშვენიერებას და ვიკვლევთ ადამიანს. რა მოსდის ადამიანს მშვენიერების წყალობით; ეს არ არის მხოლოდ ესთეტიკის საკითხი. ამავე თავში ავტორი ესთე-

იუზა ეგნანიძე
ქართული ესთეტიკური აზრის
მნიშვნელოვანი შენაძენი

ტიკური სუბიექტის, ესთეტიკური მიმართების საკითხებიან დაკავშირებით განიხილავს შოპენჰაუერის ფილოსოფიის თეორიასაც. შოპენჰაუერის ფილოსოფიური ფაქტი, შენიშნავს ავტორი, შოპენჰაუერის თეორიამდეც არ დარჩენილა შეუნიშნავი. ეს კიდევ არიტატელესთან საკმაო მინიშნებებს ვპოულობთ შოპენჰაუერის შესახებ. 3. გოგუაძის შოპენჰაუერის ფაქტის განხილვა სჭირდება „დამოანის სინამდვილისადმი ესთეტიკური მიმართების ახალი პლანით ჩვენებისათვის. „ჭეშ საინტერესოდაა განხილული საკითხი გენიოსის შესახებ; ფილოსოფიური ანთროპოლოგიისა და ესთეტიკის. საერთო ამოცანა აქ იმაში მდგომარეობს, რომ გაარკვიოს: როგორ შეეფარდება ერთმანეთს გენიალობა და მისი მფლობელი. პლატონამდეც, პლატონის შემდეგაც, მხატვრული გენია „დამოანისაგან დამოუკიდებელ უნარად იყო მიჩნეული, — ესაა ღვთიმბრძანი და არა ადამიანური ენერგია, რომელიც, ზზნრად, საკმაოდ დამამცირებლადაც ეფარდებოდა მის მფლობელს. სოკრატეს დემონი ისე ჩასჩურჩულებს, ისე კარნახობს და ამოკმენდს, რომ თითქოს მას არავითარი ნების თავისუფლება არა აქვს; იგი არის ციური ნების მორჩილად აღმსრულებელი.

წიგნის მეოთხე თავი ესთეტიკური იდეალის ცნების, ესთეტიკური იდეალის ისტორიული განვითარების საფეხურებს შეეხება. აქ განსაკუთრებით საყურადღებოა პარაგრაფი — იდეალიდან კრიზისისაკენ. ძველი ბერძნული კლასიკური იდეალი, ზორაკმნილი ქანდაკებაში, შეეჯახა ქრისტიანობას. აქ 3. გოგუაძე არკვევს ქრისტიანობისა და ხელოვნების არსებობრივ მიმართებას. ე. ი. რამდენად შეიცავდა ქრისტეს მოძღვრება ხელოვნების აუცილებლობას. ავტორი ეხება პირველ ქრისტიან აპოლოგეტთა დანდუელობის მიზეზებს. მისი აზრით, ძველი ეკლესია, უარისპირდებოდა რა ოლიმპოს ღმერთების სკულპტურულ სილამაზეს, თვითვე იბრძოდა ქრისტეს გარეგნული სრულქმნილების წინააღმდეგ.

ქრისტეს პირველი აპოლოგეტები მტრულ მხარეებად სახავენ სულისა და ხორცის საწყისს. ეს იყო სწორედ ფუსასეუულნებრივი პირქუში ასკეტიზმის სათავე, ვიდრე ნეოპლატონიზმმა არ შეარიგა ეს მხარეები ერთმანეთთან და სათავე არ დაუფო რენესანსულ მოძღვრებას. წიგნში ცალკე პარაგრაფებია მიმოხილული არქიტექტურისა და მუსიკისადმი ქრისტიანობის დამოკიდებულების საკითხები.

3. გოგუაძე ხელოვნების ფუსასეუულებრივ კრიზისს დიალექტიკურად განიხილავს; კერძოდ, ეს იყო ხელოვნების თავისებური კრიზისი: ხელოვნება თითქოს სიკვდილის პირას მივიდა, მაგრამ ამ უკანდახევაში მაინც ფზადდებოდა მომავლის მარცვალი. ფრესკის მიხეწრაფებამ გამოხატა სული, მომავალ მხატვრობას მოუმზადა რაღაც ისეთი ხერხები, ჯეზები, რაც ადამიანის სულიერი სილრმის ჩვენებათა საუნის იყო აუცილებელი. ძველ ბერძნულ ხელოვნების არსი არ გახსნილი მის მხატვრობაში. მხატვრობა რენესანსის ეპოქის სტიქიაა. მას გაცილებით მეტი ზრნაგანი სილრმე აქვს, ვიდრე ძველ ბერძნულ მხატვრობას. ეს ჯზა კი სწორედ ამ კრიზისული ფრესკული მხატვრობით იყო გაშუალებული. ახალივე აზრია გატარებული მუსიკის მიმართ. მართალია, ყოველგვარი ნოვატორობა, სიცოცხლისმიერობა, ადამიანურობა ერთიმეორე მუსიკას, მაგრამ საგალობლები ცდილობს ბგერების მაქსიმალურ განსულიერებას, გარეგნული ხმაურის წორმებვას. ამდენად საეკლესიო, რელიგიური მუსიკის წიალი მომავალ მუსიკას უმზადებდა სულიერი სილრმის წვდომის ტექნიკას. ავტორი დიალექტიკურად გვაჩვენებს ხელოვნების ახეთ რიულ ჯზას პარაგრაფში — კლასიკურიდან რომანტიკულისაკენ. აქ გატარებული აზრის მიხედვით კლასიკური ესთეტიკური იდეალი ძველი ბერძნული ქანდაკებისა, ჩვენი სულიერი კულტურის ანსოლუტურ სილრმედ კი არ უნდა მივიჩნიოთ, რომლის იქეთ სიმაღლე მოავრდება... „ბერძნობადი სილამაზის", ჰარმონიული წონასწორობის ნაცვლად ჩნდება „სულიერი სილამაზის", რომანტიკული სილამაზის ახალი სამყარო ხელოვნებისა.

განსაკუთრებით საყურადღებოა 3. გოგუაძის თვალსაზრისი, რომელიც გაშუქებულია პარაგრაფში — „ეგეული და რენესანსის პრობლემა". სარეცენზიო წიგნის ავტორმა, პიროველმა ხაბგოურ სინამდვილეში წარმოაჩინა მეგელის ორიგინალური მიდგომა ალნიშნული საკითხისადმი. მისი ინტერპრეტაციით, მეგელი არ ცნობს ალორძინებას ხელოვნებაში, როგორც ასეთს. ყოველ ეპოქას თავისი შინაარსი აქვს და არ წარმოადგენს წინარეს გამეორებას. რეტაფრაცია, ალდგენა შეიძლება ხდებოდეს, როგორც ფორმის მასალა, რომელსაც არა აქვს სიახლის მნიშვნელობა ესთეტიკური იდეალის გამოყენების შინაარსობალივი თვალსაზრისით. ეს, ცხადია, ხელოვნადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მეგელი ჩრდილს ჩფენდეს ახალი ეპოქის ტატანებს. მაგრამ ის ამ კულტურას თვლის, არა როგორც ალორძინების, არამედ თავისთავადი ხიახლის მატარებელ კულტურად.

მოშოგრაფიის ავტორი მოაგალი პლანით უტრიალებს ადამიანის ბუნების ხელოვნებისეულ ინტერპრეტაციებს. ამასთან დაკავშრებით ყურადღებას იპყრობს ნაწრიმანი V და VI თავები. V თავი ეძღვნება დონ ჟუანის, ხოლო VI განდეგილის პრობლემას. ეს არის ერთი ღერძის ორი დაბოლოება. მართლაც, 3. გოგუაძემ ორივე ეს საკითხი განიხილა როგორც ერთიანი პრობლემის ორი უკიდურესი ფორმა.

დონ ჟუანის პრობლემა ამგვარი დიფერენციირებული ჭვეშთაურებითაა წარმოდგენი-

ლი: დონ ჟუანის პორტრეტი, დონ ჟუანი ფილოსოფიურ სამართალში, დონ ჟუანი და ფაუსტი, ეკრკეგორის დონ ჟუანი, ჯერძალელი ხილი, ფროიდი და დონ ჟუანი, „ოიდიპოსის კომპლექსი", ნარცისული კომპლექსი, დონ ჟუანკაზანოვას ეროტიკა და სუბლიმაცია.

დონ ჟუანი და განდეგილი ერთი და იმავე ღერძის დამოლიტებია. განდეგილი ებრძვის დონ ჟუანურს, დონ ჟუანი კი ყოველგვარ განდეგილურ ბორკილს — მოთმინებას.

განდეგილის თემას ორგვარი ავტორები ჰყავს: ასკეტურ ლიტერატურაში ასკეტი გამარჯვებულია, მწერი აქ აღწევს სულიერ სრულქმნას. ბორიკილი ვნებებისაგან თავისუფლებას, მაგრამ სრულიად სხვანაირად შეხედა ადამიანის ბუნებას თავისუფალმა ხელოვნებამ. მხატვრული ლიტერატურის საერთო პოზიცია ასეთია: ადამიანი ბუნების შვილია, ბუნების დამარცხება მას არ შეუძლია. ამიტომაცაა, რომ ყოველი მწერლის შემოქმედებაში განდეგილი ვერ აღწევს სრულ განრიდებასა და მარცხდება ბორიკილ სამყაროსთან დაპირისპირებაში.

წიგნის VII თავია — რენესანსის ეპოქის ადამიანი. ავტორი მიმოიხილავს იტალიური რენესანსის სოციალურ-ისტორიულ წანამძღვრებს, ეპოქის რიფულ ხასიათს. სახელდობრ, ტირანიის ხრწნის ეპოქა როგორ ქმნის აზრის და გრძნობის თავისუფლების პირობებს. ეს თავი შემდეგ პარაგრაფებადაა წარმოდგენილი: ქალი და ჰუმანიზმი, ფუფუნება, მადონა ჩენილი, ბავშვი და კაცობრიობა, „ტანჯული ღმერთები", „საიდუმლო სერობა", ანდროგინი, ჰუმანიზმი და ინდივიდუალიზმი...

რაოდენ მრავალფეროვანი ასეეეტები და ზერხები არ უნდა მოვიძარჯვოთ ადამიანის, როგორც ესთეტიკური ფენომენის გასააზრებლად, გვეერდს ვერ ავუვლიეთ სიკეთისა და ბოროტების პრობლემას, რა არის ბოროტება და როგორ ვლინდება იგი ისტორიაში, ხელოვნებაში, — ამ საკითხის განხილვას მხოლოდ დიალეკტიკის ენაზე აქვს ღირებულება. ბოროტების დიალეკტიკურ გაგებას რომ უფრო თვალსაჩინო სახე ჰქონოდა, ვ. გოგუაძე ხელოვნერადაც მიიჩნევს დიალოგის ასეთ ფორმას: ფილოსოფიური ახსნის უნივერსალურ მეთოდად ჰეგელი დიალექტიკას თვლის. გოეთე კი მტრობას არ ფარავს ამ მეთოდისადმი. მაგრამ გოეთისეული გაგება დემონურისა არის დიალექტიკური და გარკვეულად ჰეგელისეული ბოროტების გაგებას თანხვდება. ეს საკითხი განხილულია წიგნის VIII თავში, სათაურით — „ბოროტების ჰეგელისეული ცნება და გოეთეს შეხედულებები დემონურის შესახებ".

ნაშრომის IX თავი ეძღვნება ესთეტიკური აღრჩის პრობლემას. ამ თავის პირველ პარაგრაფში — ესთეტიკური გემოვნების სოციალიზაცია — ავტორი მიუთითებს ესთეტიკური გემოვნების კვლევის ხფერიზე. მისი გადაწყვეტილებათაგან ხხვა მეცნიერებებან ესთეტიკურ გემოვნების კვლევის ხფერიზე. ეს პარაგრაფი ესთეტიკურ ლოგიურ პლანში განიხილავს ესთეტიკურ გემოვნების პრობლემას; ავტორი თავის მსჯელობას ახეთნარი ჭვეესათაურებით გვთავაზობს: ესთეტიკური გემოვნება და პირადი სტატუსი, ესთეტიკური აღზრდა როგორც ეკეტიკურ პრობლემა, ესთეტიკური აღზრდის პროცესი, როგორც აღზრდის მთლიანი სისტემის დიალეკტიკური ნაწილი, მიოოოლოგიის მნიშვნელობა ესთეტიკური აღზრდის პროცესში.

3. გოგუაძის დასკვნით, ადამიანის მშვენიერ ფენომენად წარმოდგენა და განხილვა ისეთივე უსახერეო რამ არის, როგორც სამყაროს მშვენიერება. სიტყვები — „გადაჭრა", „გადაწყვეტა" ზოგჯერ შეტანმეტ თვალსაზიერვნას ითხოვს, თითქოს აქ რაღაცის ამოხსნა შეიძლებოდეს იმგვარად, ძიების წუფარეოლს რომ დაიცხრობდა. მაგრამ ფილოსოფია მოალებულია ამგვარ „ბედნიერებას". მაინც ვინ არის ადამიანი, როგორია მისი ესთეტიკურობის საფუძველი, — ამგვარი კითხვები მუდამაც შეინარჩუნებენ მნიშვნელობას, მაგრამ არც პასუხები კარგავენ ინტერესს, რაოდენი უმპრისობის გრძნობაც არ უნდა ახლდეს მას.

ვახტანგ გოგუაძის წიგნში აღძრული საკითხები პრობლემერია და უალრესად აქტუალური შინაარსის შემცველი იმიტომაც, რომ ისინი ემყარებიან კონკრეტული ხელოვნების ფაქტების ღრმა ცოდნას. ჩვეულებრივად, მოიტებულ შემოხვევებში ესთეტიკოსები ხელოვნების მოვლენებთან შეხებისას ამ ფაქტთა ილუსტრატორის ან ინფორმატორის როლში გამოდიან. ვ. გოგუაძე, მართალია, რამდენჯერმე აცსადებს, რომ იგი არ იჭრება ხელოვნებათმცოდნის ან ლიტერატურათმცოდნის კომპეტენციაში და არ კისრულობს ამ დარგის სპეციალისტთა მოვალეობას, მაგრამ მისი კვლევის პრაქტიკა კი იმაზედ მიუთითებს, თუ რანაირად უნდა უდგეზოდეს ესთეტიკოსი განსახილველ მოვლენებს. ცხადია, ავტორის მიზანი ეალეეულ ჭეელის ან ნაწარმოების ახალიზი არაა, მაგრამ რამდენადაც მას ადამიანის მიერ შექმნილ ხელოვნების ქმნილებათა შორის არსებული კავშირების პოვნა აინტერესებს, რამდენადაც იგი დაინტერესებული სხვადასხვა ეპოქაა, ჭვეესენსა და პირობებში შექმნილ ხელოვნების ფაქტებში გამოვლენილი მშვენიერების ანუ ესთეტიკურის ანსს სწვდეს, ამ დენად სავსებით ჯერნბობიერია, როცა ვ. გოგუაძე კონკრეტულ მასალას ზოგადი თვალსაზრისის ჭეეაუთხედად აქცევს. რითაც სა-

ოუზა ამაღლიძე
ქართული ესთეტიკური აზრის
ძნიშვნელოვანი შენაძენი

რწმენის ხდის საკუთარი კონცეფციის საფუძვლიანობას. ამიტომაცაა, რომ წიგნი იხეი ავებული, თითოეული თავი, პარაგრაფი მკაცრად შეკრული. სისტემურ ხასიათს ატარებს და ადამიანის მხატვრული ხედვის განსხვავებული წერტილების დახასიათების ისახავს მიზნად (მაგ. დონ ფუანი და განდეგილი), აქ მკვლევარის მიერ მომმობილი ფაქტების გააზრებასა ორიგინალური; ავტორის ფილოსოფიური ხედვის პრობლემაშია გატარებული და ამდენად გარკვეული მიზანსაა დაქვემდებარებული.

ხარეცენზიო წიგნში ბევრი ისეთი საკითხია აღძრული, რომელთა ერთობლიობაში დახასიათება ამეამად შეუძლებელია, მაგრამ ნიმუშისათვის თუ როგორ მიდის საანალიზო ობიექტთან ავტორი, რანაირად უქვემდებარებს ცალკეული ხელოვანის და მოაზროვნის არა მხოლოდ აზროვნულ მემკვიდრეობას, არამედ თვით ბიოგრაფიულ მონაცემებსაც კი თავის ძირითად მიზნადასახულებას, რა შედეგს აღწევს ამ მიმართებით, მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს.

წიგნის VIII თავის სათაურია, როგორც აღნიშნეთ, „ბოროტების ბეგელისეული ცნება და გოეთეს შეხედულებები დემონურის შესახებ". აქ მკვლევარის მიზანდასახულებაა ორი დიდი პიროვნების — ჰეგელისა და გოეთეს, გენიოსი ფილოსოფოსისა და გენიოსი ხელოვანის შემოქმედებით სამყაროთა შორის ბიოგოს შემხები, თანმხვედრი წერტილები და ამ ნიადაგზედ ავგოს მსჯელთა იმის შესახებ, თუ რა ხასიათის შეიძლება იყოს შემოქმედებითი კავშირები ფილოსოფოსსა და პოეტს შორის იმ შემთხვევაშიც კი, გარეგნულად თითქოს დაპირისპირების ფაქტთანაც რომ გვაქვს საქმე.

როგორც ამ წიგნში კეთხულობთ „გოეთესა და ჰეგელს შორის სულიერი ურთიერთობის გაარჩევა გულისხმობს, პირველყოფილია, რაღაც საერთო ნაკადის გამოშუერებას" და მკვლევარის აზოცანაც „ამ საერთოობის მსგავსება განსხვავებულობის დიალექტიკურად წაკითხვაა"; ავტორი იჩენს მეთოდურ სიფაზლეს და მიჰნავს ურთიერთისაგან იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს ხელოვანის მხატვრულ მსოფლმხედველობასა და ფილოსოფოსის მეცნიერულ, სისტემად აგებულ მსოფლმხედველობას შორის. პოეტისა და ფილოსოფოსის მსოფლმხედველობათა გაიგივების ფაქტს, როგორც ცნობილია, ზშირად მოყვება ხოლმე სავალალო შედეგები: იშლება ზღვარი ხელოვნისა და ფილოსოფოსს შორის, ანუ ხელოვნების ფაქტსა და ფილოსოფიურ ცნებათა შორის.

3. გოგუთაქვ გათვალისწინებული აქვს ის გარემოება, რომ ხელოვნების ახალი აზრითი სამყაროს შექმნა არ მოეთხოვებათ, მათ აზრითი სამყაროს ისეთნაირი მოწოდება ევალებათ, რომელიც უფრო შთამბეჭდავი აღმოჩნდება თავისი ხელოვნების წყალობით.

ყოველი დიდი ხელოვანის შემოქმედებიერ პროცესზე გვაქვსან ახდენს თავისი დროის ფილოსოფიური საანალიზო, ისეთნაირად, რომ ... ფილოსოფოსთა ნააზრევს ეკალს ამჩნევენ გენიალური მხატვრული ქმნილებანი. ბუნებრივია, რომ აზროვნების ისეთი მონაპოვარი, როგორიც დიალექტიკა, მხატვრულ ნაირსახეობათაა ფორმით მრავალი დიდი შემოქმედის სამყაროში პოულობს გამოვლენას და ამით კიდევ უფრო ძალმოსაგებულს ხდის ფილოსოფოსის სისტემურ მსჯელობას და მეორე მხრივ ანაფიფორებს და აღრმავებს ხელოვანის პოეტური ხედვის არესაგ.

მოცემულ შემთხვევაში ირკვევა, რომ ჰეგელის ფილოსოფიაში წარმოდგენილი ბოროტების ცნება გარკვეულ მეტამორფოზას განიცდის და გოეთეს ნააზრევსა და შემოქმედებაში დემონიურის სახე-ხატად აირეკლება. აქ, დემონური არის „ბოროტების დიალექტიკურად გადატრიალების მხატვრული ფაქტი".

გოეთეს ძლიერმა ინტელექტმა მიაღწია და შეაქმნა პოეტურად აგებული სისტემა და თავისი პოეტური მსოფლმხედველობის ორგანულ ნაწილად აქცია დემონური, როგორც დიალექტიკის გარკვეული გამოვლინება.

ჰეგელისთვის ბოროტება დიალექტიკური ცნებაა და, მაშასადამე, იგი განვითარების პირობაა. ავითარებს რა თვალსაზრისს, „ადამიანის მიერ ჩადენილი ბოროტება რომ არა, ადამიანი არ იქნებოდა ის, რაც წარმოადგენს ადამიანის შინაარსს" — ავტორი ფაქტიური მასალის გათვალისწინების საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ „გოეთეს დემონიურის გაგება არსებითად ემთხვევა ჰეგელისეული ბოროტების ცნებას, რაშიც ავტორი ხედავს გოეთეს დიალექტიკური თვალსაზრისის დადასტურებას. რასაკვირველია, ჰეგელისა და გოეთეს სულიერი ურთიერთობის ზედაპირზე თვალნათლივ არაა ამოზიდული დიალექტიკის გამოყენებით დაკანონებული საბალღვე. როგორც ვ. გოგუაძე წერს: „გოეთე და ჰეგელი მძლავრად განიცდიდნენ ერთმანეთის არსებობას". აქ, ურთიერთის განცდა იმაშიც დასტურდება, რომ „გოეთეს რომ კეთხოთ, მას არ მოსწონს დიალექტიკა" და ეკრძო საუბრისას ეს ორი გენიოსი კიდეც კენწლავენ ერთმანეთს..." მაგრამ დიდ ადამიანთა ეკრძო საუბრის შინაარსი არ შეიძლება ყოველთვის პირდაპირი აზრით იქნას გაგებული... შესაძლებელია ხელოვანს მეორე მოაზროვნის შემოქმედებაში მოსწონდეს ბევრი რამ. მოცემულს შემთხვევაში გოეთესაც იზიდავს ჰეგელის დიალექტიკა, მაგრამ სწორედ ამ განსაკუთრებული მიზეზებს გამო იწყვეს იგი მასში მწვავე რეაქციას. ესაა უკვე შორის ფორმაში გაგებული დემონიურის ძალუმად

ამოკმედება გენიოსში, იმგვარი შურისა და ეგოიზმისა, რომლის გარეშე, ერთი მოაზროვნის თქმისა არ იყოს ყველაზე კეთილი ადამიანში გველეწინება უძალოდ და ცივად" [იხ. ვ. ხოლოვიოვი, კაცობრიობის რელიგიური საფუძვლები. (რუს. ენაზე)], გვ. 95].

მაგრამ რას ნიშნავს დემონი და დემონური ხაზოგადად? აი, კითხვა რომლის ახსნას დახტრიალებს თავს ავტორი. მოიეხდაგად იმისა, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე მეტად გავრცელებულია სიტყვა „დემონური", როგორც გარკვეული ზესაბუნებრივ ძალთა ეკვივალენტი, ძალზედ ძნელი აღმოჩნდა ამ სიტყვის ფარგლების განსაზღვრა, მისი საკუთრივი შინაარსის შემოფარგვლა; თუმცა ამ გარემოებას სრულიადაც არ გამოუწვევია უარის თქმა ამ სიტყვის გამოყენებაზე. პირიქით, რაც დრო გადიდა, მით უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭა მას, მით უფრო გაიზარდა ცნება „დემონურისა" ოპერირების შემთხვევები. ერთი სიტყვით, დემონიურის საკითხი სხვადასხვა დისციპლინის უკეტუალურეს საკითხთა წრეშია მოქცეული. რელიგიის ისტორია, ფილელორნი, ფსიქოლოგია, ესთეტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა ცდილობს შეისწავლოს იგი, მაგრამ როგორც ვ. გოგუაძე აღნიშნავს, „დემონის თითქმის ყოველი განმარტება იწვევს ფილოსოფიური გულმოდგინებით და მთავრდება ლიტერატურული დასკვნებით" (გვ. 208). მიუხედავად ამისა, რომ დემონურის გამოვლენის სათავე უძველეს წარსულშია საძიებელი, ვ. გოგუაძე ფიქრობს, რომ „დემონი არის რელიგიური ცოდვა-სიცეთის დაფძლეველი პრობლემის გადაჭრა ხელოვნებაში". როგორც ცნობილია, სიკეთესთან დაპირისპირებული „ჩვენი უმაღლესი ბუნების ორი შეურიგებელი მტერი ცოდვა და სიკეთილი მჭიდროდ გვეკვრის თავის ძალაუფლებაში". ამ მოვლენათა გვერდით კი ორი ურთიერთთან დაახლოებული სერვეილი, როგორც ორი უხილავი ფრთა ეწევა ადამიანს ულის დანარჩენზე მაღლა. სურვილი უკადაებისა და სურვილი სიმართლისა ანუ ზნეობრივი სრულყოფისა" — წერს ერთგან ვ. ხოლოვიოვი. ესაა უკვე ქრისტიანობის ნიადაგზედ ამოზრდილი დემონიზმის შინაარსიც ანუ ის დიალექტიკა, რაც გოეთესეულ დემონიურში პოულობს გამოვლენას. აქ უკვე დემონი, როგორც ავტორი წერს, ადამიანებს „ბოროტების ჭვის შუქზე გზას უნათებს მშვენიერების სამეფოსაკენ" (გვ. 205). რადგან როგორც ნ. ბერდიაევი ამბობს: „ადამიანური ბუნების დემონიური ბოროტება შემოქმედებით ენერგიაში იწვება"-ო (იხ. ნ. ბერდიაევი, შემოქმედების აზრი, რუს. ენაზე. 1916, გვ. 158). ამიტომაც მიიჩნევს ვ. გოგუაძე გოეთის ინტერესს დემონიურისადმი დიალექტიკისადმი ინტერესის მხატვრულ ფორმად.

რამდენადაც პირველქმნილი ეროვნული ... მოსეს მითშია წარმოქმნილი, რაც ... მა დემონურისა, ვ. გოგუაძე თანამიმდევრულად განიხილავს მოსეს მითის ახსნას და მის შემოქრას გოეთედან ბეგელის ნაწერებში. საკირო თვლის შეჩერდეს სტეფან ცვაიგის შეხედულებებზე ეროვნულ დემონურის შესახებ და შემდეგ, ბუნებრივად გადავიდეს ქვეთავზე — „ძლეური ინდივიდუალობა". ავტორის აზრით, დემონიზმი ... ღვთაებრივთან მიმართებაში ვლინდება, ღვთაებრივი ყველაზედ მეტად ძლეური ინდივიდები ანუ გენიოსი ხელოვნია მოხილი და, ცხადია, ამ უკანასკნელზე მსჯელობას ტესთოდ მიმყავს მკვლევარი იმის აუცილებლობამდე, რომ მეთოლოგიური სიფრთხილით იმსჯელოს მისტიკაზმთან დემონურის დაკავშირების რაგვარობაზე. დემონიური, როგორც მისტიკურის კუთვნილება, თანაბარ ღირებულოვანია, როგორც ფილოსოფოსისთვის (აქ იგი ბოროტების ცნებად წარმოსდგება), ასევე ხელოვანისთვის. დემონი, ავტორის დასკვნით, „ხელოვნებაში არის დიალექტიკის ის ნაწილი, რომელიც მიიმუსლირებელ ძალად იქცევა შემოქმედიხათვის და ესთეტიკური ნაყოფიერების პირობა, რადგან კულტურის ფენომენს ჭკვნის". ეს უკვე შემოქმედებითი პროცესის განმაზღვრელ ფაქტორადაც იქცევა, რასაც თან ახლავს შემოქმედებითი ძიების დამახასიათებელი მომენტი — მუფოთვარებისა და მღელვარებისა...

ქართული ნინამდელიში ძალზედ აქტუალური პრობლემათა რიგს განეკუთვნება „ქართული ქრისტიანობისა" და მასთან დაკავშირებული კულტურის სპეციფიკის კვლევა, აკად. კ. კეკელიძის, აკად. ნ. ბერძენიშვილის და სხვა მკვლევართა ნაშრომებში ბევრი რამაა გამოვლენილი ამ მხრივ. ვ. გოგუაძის წიგნში მხატვრული ფაქტის, ქერძოდ, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის" წმინდა ესთეტიკური ანალიზის საფუძველზე, მკაფიოდაა ნაჩვენები „ქრისტიანობის ქართული თვისება, მისი ქართული ფორმა" (გვ. 154-155). და ეს ბუნებრივია, რადგან ყოველი ცნობილი ხელოვანის და მათ შორის დიდებული აკაკის ხედვის არე უფრო ფაქიზი და ღრმაა, ვიდრე რომელიც ვნებავთ, დიდი მეცნიერისა. ეს ფაქტი ზოგადად სოციალურ ფსიქოლოგიაშიცაა შენიშნული, როცა მიუთითებენ: ლიტერატორები იძლევიან ადამიანური ცხოვრების უფრო დაბარწმუნებელ აღწერას, ვიდრე სოციალური ფსიქოლოგები. მეცნიერები ხშირად უძლურნი არიან ბაგიგონ ის, თუ რა

იუზა ეგნენიძე
ქართული ესთეტიკური აზრის
მნიშვნელოვანი შენაძენი

ქმნის ადამიანებში ადამიანურს" (იხ. შიმუ-ტანი, სოციალური ფსიქოლოგია, 1969 წ., რუს. გვ. 264). მოცემულ შემთხვევაში აკაკი წერეთელს უფრო მშვენივრად აქვს ნაგრძნობი და დანახული ჩვენი ხალხის ქარაქტეროლოგიური თავისებურება, მისი რელიგიური მრწამსის სპეციფიკა, ვიდრე რომელიმე ფამთაალმწერელს.

3. გოგუაძემ ესთეტიკური ფაქტის ანალიზის პროცესში უურადღება მიაქცია ამ გარემოებას, რითაც ჩვენი კულტურის ფილოსოფიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დაკვირვება წარმოადგინა.

საერთოდ, ამ წიგნის ერთი დიდი ღირსება ისიცაა, რომ მასში უხვადაა ჩართული, მსჯელობის ობიექტად ქცეული ქართული სინამდვილიდან აღებული მხატვრული მასალა. ვინც ვ. გოგუაძის კვლევა-ძიებით ინტერესებს ახე თუ ისე იცნობს, მას არ გაუკვირდება იმის მიხვედრაც, რომ ავტორის კვლევის პერსპექტივები ქართული ეროვნული სულის დახასიათებისკენაა მიმართული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება მოცემულ შემთხვევაში, იხილე როგორც ადრე გამოქვეყნებულ წიგნში „ერი გულადი, პუოადი", ვ. გოგუაძე ნიადაგს ამზადებს, რათა მომავალში წარმატებით იკვლიოს ქართული კულტურის ფილოსოფია და ესთეტიკური აზროვნება.

უნაკლო წიგნი არ არსებობს, მაგრამ რაც წიგნი სიახლით, გაბედულებით და ... თავ გამორჩეული, ყოველგვარი შენიშვნის სურვილი ჩრეა. ჩვენი მიზანიც ვ. გოგუაძის ამ ნაშრომის ღირსებათა გაცნობიერება იყო, რადგან ღირსებაზე ლაპარაკი რატომღაც უფრო ჯირს, ვიდრე ნაკლზე...

ერთი რამ ცხადია, სარეცენზიო წიგნი მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ესთეტიკურ ლიტერატურაში იმ მხრივაც, რომ ეხაა მდიდარი მხატვრული კულტურის ანალიზის ნიადაგზე აგებული ნაშრომი და მიზანიც აქტუალური აქვს: სადღეისო შინაარსით დაკვირთოს, თანამედროვე ინტერესებით აამეტყველოს ადამიანის მიერ შექმნილი, ხელოვნებაში გამოვლენილი ფასეულობანი, მოვლენათა არსს სწვდეს, მის სიღრმეში ჩაგვაზედოს და დაგვაფიქროს ბევრ რამეზე... ადამიანის როგორც ესთეტიკური ფენომენის არსებობამ უნდა იხსნას კაცობრიობის მომავალი — აი, ეხაა ამ წიგნის ლაიტმოტივი.

ომარ ჟაჯაია

არაბთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე ეტაპის ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ

ახლო და შუა აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობას ჰქ, მიმდინარე პროცესების თვალსაზრისით, ორი გარემოება განსაზღვრავს — იმპერიალიზმს, თავის ძირითად ამოცანასთან ერთად — მტკიცედ ფლობდეს ამ რეგიონში თავმოყრილი ნავთობის რესურსებს, თანამედროვეთა ეტაპზე უფრო მეტად აინტერესებს მეორე სტრატეგიული ამოცანა — გადამწყვეტი გავლენა მოიპოდნოს დასახელებულ რეგიონში მცხოვრები ხალხების სულიერ ცხოვრებაზე, ესე იგი, თავისი ინტერესების შესაბამისად გამოიყენოს ამ ხალხების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე სოციალური ძვრები, ისეთი ანგარიშით, რომ არ დაუშვას აღნიშნული ქვეყნების პროგრესული გზით განვითარება.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ხალხების პოლიტიკურ ცხოვრებაში სრული ეროვნული თვითგამორკვევისათვის მებრძოლი ძალების გაჯერიკვება შეინიშნება. ზშირად ეს გაჯერკვება ნაციონალიზმის ფორმით, და უფრო მეტად კი, რელიგიის ლოზუნგით გამოიხატება, აღნიშნულ რეგიონში კი — მუსლიმანური რელიგიის ისლამის სახით.

საქმე იმაშია, რომ თუკი XX საუკუნის დასაწყისში გამანთავისუფლებელი და ანტიიმპერიალისტური მოძრაობანი ბურჟუაზიულ ლიბერალიზმთან შეწყვმეული ეროვნული ლოზუნგებით მიმდინარეობდნენ და მათთვის რელიგია არ იყო პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალება, ჩვენს დროში აზია და აფრიკის განვითარებად ქვეყნებში მასობრივი მოძრაობანი ფართოდ იყენებენ რელიგიურ ლოზუნგებს. ეს იმიტომ, რომ ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობაში დაეცა ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მნიშვნელობა.

XX საუკუნის დასაწყისის ეროვნული რევოლუციებისაგან განსხვავებით დღევანდელ რევოლუციურ-განმთავისუფლებელ მოძრაობაში ჩაერთვნენ სახალხო მასების ფართო ფენები. იქ, სადაც პროლეტარიატი სუსტი იყო და მასობრივი მარქსისტულ-ლენინური პარტიები არ ჩამოყალიბდნენ, მასების პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმას შედეგად მოჰყვა ეროვნულ-განმთავისუფლებელ მოძრაობაში რელიგიური ელემენტის გაძლიერება. ამან კი ისლამი ისეთ ფაქტორად აქცია, რომელსაც შეუძლია წარმართოს მასების უკმაყოფილების სტიქიური აფეთქება.

სწორედ ამ გარემოებაზე იქნა გამახვილებული ყურადღება სკკპ XXVI ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში უკანასკნელი წლების მანძილზე აქტიურად აყენებენ ისლამურ ლოზუნგებს". ამასთან დაკავშირებით ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი მიუთითებდა, რომ „მთავარია ის, თუ რა მიზნებს. ისახავენ ძალები, რომლებიც ამა თუ იმ ლოზუნგებს აცხადებენ. ისლამის დროშით შეიძლება გაიშალოს განმთავისუფლებელი მოძრაობა. ამას მოწმობს ისტორიის გამოცდილება... მაგრამ იგივე მოწმობს, რომ ისლამის ლოზუნგებს იყენებს რეაქციაც, რომელიც კონტრრევოლუციურ ამბოხებებს აწყობს. მაშასადამე, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია ამა თუ იმ მოძრაობის რეალური შინაარსი".

რელიგიის ასეთ პოზიციას ისიც განაპირობებს, რომ რელიგიური მსოფლმხედველობის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ

სოციალური ხასიათის ფაქტორები, ვინაიდან რელიგია ყველგან და ყოველთვის არა მარტო და არაიმდენად ეიერნნობიდან ბუნების ძალებზე ადამიანების დამოკიდებულებას, რამდენადაც დამოკიდებულებას სოციალურ ძალებზე. ამასთან ერთად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის წინააღმდეგობების გამწვავებაა რამდენადმე ხელს უწყობს „რევოლუციური თეოლოგიის", „განთავისუფლების თეოლოგიის" სხვადასხვა ვარიანტების წარმოქმნას, რომლებიც მხარდაჭერას პოულობენ სახალხო მასების მხრიდან, ვინაიდან ბრძოლა ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ გადახლართულია იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან და ეს კი განაპირობებს მორწმუნე მშრომელთა სოციალ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას. ასეთმა პირობებმა წარმოქმნეს რელიგიის რწმენის გარკვეული „გარეკლოლუციონერება", რაც თავისთავად იმის ცდაში გამოიხატება, რომ ღმერთი (ალაჰი) წარმოდგენილი იქნეს როგორც მშრომელთა მიერ თავიანთი ინტერესებისათვის ბრძოლის წარმმართველი და ამ ბრძოლაში მონაწილე ძალა.

როგორც არგენტინელი მარქსისტი ხუან როსალესი აღნიშნავს: „განთავისუფლების თეოლოგია გამოხატავს მორწმუნეთა და დემოკრატიული წრეების არამარტო გარკვეულ პოლიტიკურ აქტივობას, არამედ, ამასთან ერთად, ის მიუთითებს მათ პოლიტიკურსა და იდეოლოგიურ განსაზღვრულობაზე. „განთავისუფლების თეოლოგია" იმაში გამოიხატება, რომ განვითარებად ქვეყნებში მშრომელთა მიერ რელიგია გაგებულია როგორც რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძღვრება. ეს კი საშუალებას აძლევს „განთავისუფლების თეოლოგიის" მესეჯიერ ათეიზმი წარმოდგენილ როგორც კონტრრევოლუციური მოძღვრება, უარყოფ შუშათა კლასისა და მისი პარტიის ხელმძღვანელი როლი; დაამბიზნჯონ მარქსიზმ-ლენინიზმი, გამოაცალონ მას კლასობრივი და მეცნიერული ნაწილი (X. Росалес. «Революция, социализм и теология», «ПМС», № 6, 1975 г. стр. 58).

ისლამი, როგორც იდეოლოგია, ძალზედ წინააღმდეგობრივია, სინკრეტულია, ის მრავალსაუკუნოვანი დანაშრეკებისაგან შედგება. დაბალი ფენების იმედებმა და ილუზიებმა აპოვეს თავიანთი გამოსახულება ისლამში, სწორედ ამიტომ მას ჯერ კიდევ ძალუძს შემოკრიბოს მიმდევართა საკმაო რაოდენობა, ყოველივე ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ არ შეიძლება ეუარადღება არ მიექცეს ისლამს როგორც იდეოლოგიისა და მის როლს პოლიტიკაში.

თანამედროვე პირობებში ძალზე გაიზარდა მუსლიმანური ქვეყნების საზოგადოებრივ განვითარებაზე ისლამის ფაქტორის გავლენა. ამავამად მუსლიმანური ხასიათის მოძრაობებში რელიგიურ მოტივებთან შედარებით წინა პლანზეა წამოწეული ამ მოძრაობის სოციალ-პოლიტიკური ასპექტი. ეს ELIBRARY.GE იმ, რომ ისლამის პოლიტიზაციის შეგვალეთნა წარმოშობილი პრობლემების გასაგებად საკმარისი არ არის მარტო რელიგიური ხაზობი. ისლამის საერთო პოლიტიზაცია ამ რელიგიური მოძღვრების კლასობრივი ბრძოლის თანამედროვე მდგომარეობისადმი შეგუებას, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და ჯგუფების მიერ მასების მობილიზაციის მიზნით ისლამის გამოყენებას ნიშნავს.

საგულისხმოა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ძალიერია რელიგიის გავლენა ამ უკანასკნელის წინააღმდეგ გამოსვლა მოსახლეობის ფართო ფენებისაგან აზოლირებასა და, საერთო კაშში, ერთიანი დემოკრატიული ფრონტის შესუსტებას ნიშნავს. ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე ეტაპზე რელიგიის წინააღმდეგ გამოსვლა მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როდესაც რელიგიური დოგმები გამოყენებულნი არიან ექსპლოატაციისა და დამონების პრაქტიკის დაცვის მიზნით. სულ სხვა შინაარსი აქვს მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების ეროვნული დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის სახალხო მასების ჩაბმის მიზნით გამოყენებას.

ამ მხრივ საინტერესოა ხალიდ მოხი ედ-დინის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ისლამი გამოყენებული უნდა იქნეს საზოგადოების კეთილდღეობის მისაღწევად და რომ მხოლოდ „რელიგიის მცდარი ან რეაქციული გაგება განსაზღვრულ პერიოდში შეიძლება ხალხისათვის ოპიუმად გადაიქცეს" („ალ-ტალია" I, 1970). ხ.მ. ედ-დინის ამ მოსაზრებას ადასტურებს ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის მოღვაწეობა. გ. ა. ნასერისათვის ისლამის რელიგია ეგვიპტის რეალობასთან მისი კონტაქტების მოხერხებული ფორმა იყო. მან ისლამი თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენება. ისლამის საშუალებით ის ალარებდა ანტიიმპერიალისტური არაბული ერთიანობის პოლიტიკას, მან მთლიანად დაიმორჩილა რელიგიური ინსტანციები (ვაყფების სამინისტრო, მუსლიმანური რელიგიის უმაღლესი საბჭო), იწვევდა ისლამმცოდნეობის აკადემიურ კონფერენციებს „ალ-აზჰარში" (ისლამის რელიგიის უნივერსიტეტი ქალაქ კაირში, ერთადერთია მსოფლიოში). ასეთი გზით გ. ა. ნასერმა მოახერხა ისლამის თეორეტიკოსთა და ღვთისმეტყველთა სრული დამორჩილება.

ცნობილია, რომ ისლამს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს „ალეიერული სოციალიზმის" მოძღვრებაში. ეს იმით აიხსნება, რომ ალეირნი ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის რელიგიურ ასპექტს უფრო დიდი მნიშვნელობა

ჰქონდა, ვინემ სხვა არაბულ ქვეყანაში. ამან განაპირობა ის, რომ მმართველი პარტიის — ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მეთაურები ზზრად მიმართავდნენ ხალხის რელიგიურ გრძნობებს დეკეზით: „ისლამი ჩემი რელიგიაა, არაბული ჩემი მშობლიური ენაა, ალეირი ჩემი სამშობლოა". ცნობილია, რომ ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ბრძოლა პოლიტიკური და არა რელიგიური ბრძოლა იყო. ისლამი ამ შემთხვევაში მიზერზებულად ყოფა გამოყენებული კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკული მიზნებისათვის.

ალეირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ხელმძღვანელობა მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ერთგულებას ისლამის პრინციპების მიმართ და ხალხების ეროვნულ განთავისუფლებისათვის ბრძოლაში რელიგიური ასპექტის მნიშვნელობას იყენებდა იმისათვის, რათა შეეთანხმებინა ეს ყოველივე სოციალისტური ორიენტაციით განვითარების პროგრამის მოთხოვნებისათვის და ამდაგვარად ცდილობდა ზოგიერთი რელიგიური ასპექტი შეწყობოდა პოლიტიკურ მიზნებს. ალეირის კულტურისა და ინფორმაციის ყოფილი მინისტრი ახმედ ტალები ამბობდა: „მე ვისურვებდი მუსლიმანობა ჩართულიყო თანამედროვე სამყაროში და დაცულ იყოს მისი ცოცხალი თესლი, ხოლო მისი პრინციპები მიეთანხლოვნენენ იმ პრობლემების დონეს, რომელსაც ტექნიკური ცივილიზაცია აყენებს".

ალეირში ისლამის პოლიტიზაციის ერთგვარი გამოცდილება დაგროვდა. „ეგზულისმობთ რა ისლამის შესაძლებლობას ადაპტაციის მიმართ და სოციალიზმის მრავალი ვარიანტების არსებობას, ჩვენი აზრით, მათ შორის არავითარი წინააღმდეგობები არ არსებობენ", — ამტკიცებენ ალეირში. ბენ ბელა გრძნობდა, რომ ისლამის მისწრაფება სოციალიზმისაკენ ყოველთვის როდი შეეხამებოდა ლოღიკასა და ეკუმბრიტებას, ცდილობდა მოეცა ისლამის კლასიკური განსაზღვრა. ის წერდა: „ჩვენ ერთდროულად სოციალისტები და მუსლიმანებიც ვართ. ჩვენი ისლამი — ეს არის მებრძოლი და არა ბურეუაზიული ისლამი... მებრძოლი ისლამი პრივილეგიების წინააღმდეგ იბრძვის და სამართლიანობისათვის ბრძოლას ეწევა".

ისლამის ასეთმა პოლიტიკურმა გამოყენებამ ის განაპირობა, რომ ამჟამად არაბულ მუსლიმანურ სამყაროში რელიგიური მოძღვრების გაკქტიურება საკმარისად ხაშიშ მოყალენად იქცა თვით რეაქციული რეჟიმებისათვის, ვინაიდან ,,ელიგიის (ისლამის) თანამედროვე პოლიტიკური სიტუაციის ასეკეტით გაგება საშუალებას იძლევა ის გამოყენებული იქნეს რეფორმეზის გაგარების არგუმენტარებისათვის და ეს კი განაპირობებს მის გარშემო შემოკრიბონ ნოვატორულად და პროტესტულად განწყობილი ფართო ფენები, რომელთაც ასევე შეუძლიათ შეიჭრან პოლიტიკურ ველზე. შეზნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაბული ქვეყნების კომუნისტები ,,ხალხების ეროვნული და სოციალური განთავისუფლების, სათვის ბრძოლაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე დგანან. ამასთან დაკავშირებით კომუნისტები თავიანთ იდეოლოგიურ ამოცანად იმას თვლიან, რომ ყოველი ეროვნულ-გამანთავისუფლებელი. მოძრაობა განსხლილი იქნეს როგორც მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემადგენელი ნაწილი და ეს კი იმ ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის იწვევს, რომლებიც არაბული გამანთავისუფლებელი მოძრაობის მსოფლიო რევოლუციური პროცესიდან ჩამოშორებისკენ არიან მიმართულნი.

არაბულ სამყაროში უკანასკნელ ხანში შეიქმნა რამდენიმე თეორია, რომლებიც, ერთის მხრივ, ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი გაღრმავებისა და, მეორე მხრივ, ამ მოძრაობის მსოფლიო რევოლუციური პროცესისაგან ჩამოშორებისკენ არიან მიმართულნი, ესენია: ,,ბრძოლის ნაციონალიზმი", ,,საკუთარ ძალებზე დაყრდნობა", ,,იდეების ექსპორტის წინააღმდეგ ბრძოლა" და ა. შ. მათ შორის ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნაციონალიზმის თეორია, განსაკუთრებით კი არაბული ნაციონალიზმის თეორია.

არაბული ნაციონალიზმის ძალზე მნიშვნელოვანი ამოცანა არის არაბთა ერთიანობის იდეა, რომელიც ამ ნაციონალიზმის ლეიტმოტივი გახდა ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში. დღეისათვის არაბთა ერთიანობის პრობლემა არაბული ნაციონალიზმის ძირითად შინაარსს წარმოადგენს. ეს ერთიანობა არაბული ნაციონალიზმის გამოვლინების ძირითადი ფორმაა. აქედან გამომდინარე, სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ დღეს ტერმინი ,,არაბული ნაციონალიზმი" შეიძლება თამამად შეიცვალოს ტერმინით ,,არაბთა ერთიანობა". ამავე აზრს იზიარებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერი ჰერტ კიუკი. თავის სტატიაში — ,,არაბთა ერთიანობის იდეის ზოგიერთი პრობლემა" ის სწერს: „ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო პროცესი, რომელმაც განაპირობა არაბთა ერთიანობის ცნებისა და არაბული ნაციონალიზმის იდეების ტაბუირება" («История и экономика стран Арабского востока», М., 1973, стр. 152).

არაბული ნაციონალიზმის ახლებური გაგება გამოწვეულია იმით, რომ არაბთა ერთობ-

ოთარ ჟაჯაია
არაბთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე ეტაპის ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ

ლივი მოქმედების პრაქტიკულად განხორციელების დროს დგება საკითხი, როგორ შეერწყას არაბთა ერთიანობის პრობლემა იმ ცვლილებებს, რომელთაც ადგილი აქვთ არაბულ ქვეყნებში, კერძოდ კი, როგორ იქნეს მიღწეული ერთიანობა მონარქიულ სახელმწიფოებსა და რესპუბლიკებს შორის, სადაც ადგილი ჰქონდა ან აქვს მნიშვნელოვან სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს.

ასეთი განსხვავებები ორთოდოქს არაბთა ძალების კონსოლიდაციას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, დამატებით სიძნელეებს ქმნიან და ხელს უშლიან ერთიანობის იდეის პოპულარიზაციას სახალხო მასებს შორის. არაბების ანტიიმპერიალისტურ საფუძველზე დარაზმვის მომხრეები ეძებენ ახალ ფორმებსა და გზებს, რომელთა მეოხებითაც მოხერხდება შენარჩუნებულ იქნეს თუნდაც ამჟამად არსებული არცთუ ისე მტკიცე და თანმიმდევრული ერთიანობა რამდენიმე არაბულ ქვეყანას შორის.

ასეთი ამოცანის არსებობა განაპირობებს იმას, რომ არაბთა გმანთავისუფლებელი მოძრაობა ამჟამად არ აუცებს საკითხს არაბული ქვეყნების კონსტიტუციური ერთიანობის ან მათი ერთ სახელმწიფოში გაერთიანების შესახებ.

არაბთა აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, ისრაელის აგრესია, კემპ-დეივიდის საზავო ხელშეკრულება და სხვა იმპერიალისტური შეთქმულებანი დღეს რთულ ტაქტიკურ ამოცანას აუენებს არაბების წინაშე. საქმე იმაშია, რომ შექმნილი ვითარება მოითხოვს არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის მხარეზე დადგნენ ის ქვეყნებიც, რომელთა ხელმძღვანელები რამდენადმე დაკავშირებულნი არიან დასავლეთთან. ასეთი ტაქტიკა მოითხოვს, რომ შეტანილი იქნეს ახალი მომენტები არაბული ნაციონალიზმის ძირითადი საკითხის — არაბთა ერთიანობის პრობლემის გადაწყვეტაში.

არაბულ აღმოსავლეთში შექმნილმა რთულმა ვითარებამ განაპირობა ორი მიმართულება არაბთა ერთიანობისათვის ბრძოლაში: რევოლუციურ-დემოკრატიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური.

არაბთა ერთიანობის იდეის პრაქტიკული განხორციელების ძნელ, მაგრამ რეალურ გზას ირჩევს რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულება, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებას იმპერიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ და ფეოდალურ-ბუჟუაზიულეობრივი გადმონაშთების ლიკვიდაციისათვის თანმიმდევრულ ბრძოლაში ხედავს. არაკაპიტალისტური განვითარება, ხოლო პერსპექტივაში სოციალისტური მშენებლობა, ყველა არაბული ქვეყნის გაერთიანება დემოკრატიულ საწყისებზე, ასევე აუცილებელი პირობაა არაბთა ერთიანობის მისაღწევად, განმარტავენ. რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების მომხრენი, ეს მიმართულება მუშაობენ, ძალებსა ბისა და მოსამსახურეების ფართო ფენების ინტერესებს გამოხატავს. იგი ერთიანობისათვის ბრძოლაში უარყოფს ძალდატანების მეთოდებს, შეთქმულებებისა და სახელმწიფო გადატრიალებების მოწუოობას. ამ მიმართულების მომხრენი სამართლიანად თვლიან, რომ არაბთა ერთიანობის პრობლემა არ შეიძლება გამოეყოს სოციალური პროგრესისათვის ბრძოლისა და სოციალისტურ ქვეყნებთან კავშირის განმტკიცების საქმეს.

უკანასკნელ ხანებში არაბული აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ მხარდაჭერას პოულობს თეზისი იმის თაობაზე, რომ თანამედროვე პირობებში, როდესაც შეუძლებელია ცალკეული არაბული ქვეყნების სახელმწიფოებრივი გაერთიანება იმის გამო, რომ ამ ქვეყნების განვითარების დონე სხვადასხვაგვარია, ასევე სხვადასხვაგვარია არაბული ქვეყნების დამოკიდებულება იმპერიალიზმთან და ბოლოს, იმის გამო, რომ იმპერიალისტური დაწოლა არაბულ ქვეყნებზე საგრძნობია, შეხედულებისა და აზრების ერთიანობა ეკონომიკისა და კულტურის ამა თუ იმ საკითხზე, არაბებს შორის თანამშრომლობის შენარჩუნებისა და მისი შემდგომი განმტკიცების შედეგები ხელშისაწყობი ფორმაა, რომელიც ასევე ხელს უწყობს ერთიანობის მიღწევას.

არაბთა ერთიანობისათვის ბრძოლა პირველი რიგის საკითხია არაბულ აღმოსავლეთში. ის რეალურია. ასეთი ერთიანობის მიღწევა შესაძლებელია არაბული ქვეყნების პროგრესული ძალების ერთიანი ფრონტის შექმნით. ჯერ კიდევ კონფერენს VII კონგრესი აუენებდა ლოზუნგს მთელ არაბულ აღმოსავლეთში ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის, ყველა არაბულ სახელმწიფოთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ძალებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარების შესახებ. აუცილებელია არაბული ქვეყნების გაერთიანება იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ეს ის პირობაა, რომელის გარეშეც შეუძლებელია იმპერიალიზმზე გამარჯვება, აღნიშნული იყო ამ კონგრესზე. არაბული ქვეყნების კომუნისტური პარტიების წარმომადგენელთა თათბირმა, რომელიც 1966 წლის აპრილში გაიმართა, აღნიშნა, რომ „არაბი ხალხების ბრძოლა დღეს, ისე როგორც არასოდეს, მიუხედავად მათ შორის არსებული წინააღმდეგობებისა, მოითხოვს მთელი პროგრესული, პატრიოტული ძალების დარაზმულობას და არაბების ერთობლივ მოქმედებას იმ მიზნით, რომ იმპერიალისტებს საკადრისი პასუხი მიეზღოთ".

არაბთა ერთიანობა სრულიადაც არ ნიშ-

ნავს ყველა არაბული ქვეყნის ერთ სახელმწიფოში გაერთიანებას, რასაც ახე თავგამოდებით ქადაგებენ დასავლეთის პროპაგანდისტული ორგანოები და აღმოსავლეთის რეაქციული წრეები. ერთიანობის ასეთი ვერსია მათ ესაჭიროებათ არაბული ქვეყნების ხალხების დასაშინებლად პროვოკაციული დებულებით — უფრო განვითარებული არაბული ქვეყანა შთანთქავს შედარებით სუსტს. მოვლენათა ასეთი მსვლელობა მათთვის მეტად ხელსაყრელია, ვინაიდან იმპერიალიზმისა და მისი აგენტურის გეგმები აგებულია არაბულ ქვეყნებსა და მათ ხალხებს შორის განხეთქილების შეტანის პრინციპებზე.

ცალკეული არაბული ქვეყნების პროგრესული ძალების მოქმედების ერთიანობა მნიშვნელოვანი ნაბიჯია წინ არაბთა საყოველთაო ერთიანობისათვის ბრძოლის გზაზე, ანტიიმპერიალისტური ბრძოლის წარმატებების ერთ-ერთ საწინდარია. რეალური პირობები არსებობენ ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში პროგრესული ძალების მობილიზაციისათვის. ამ ძალების მობილიზება და ერთიანლივი მოქმედება ბევრადაა დამოკიდებული პოზიციებზე იმ პოლიტიკური ძალებისა, რომლებიც ერთის მხრივ, ცალკეულ არაბულ ქვეყნებსა და, მეორე მხრივ კი არაბული აღმოსავლეთის მასშტაბით მოქმედებენ. მათი პოზიციები ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავდება.

სწორ პოლიტიკურ პოზიციებზე დგანან ის ეროვნული ძალები, რომლებიც რევოლუციური ძალების ფრონტის შექმნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენენ. ისინი, ობიექტურად აფასებენ რა მოვლენებს, განუმარტავენ მასებს, რომ შეცდომითან და პოლიტიკურ საშუალებებს, რომელთაც ძალუძთ ახლო აღმოსავლეთის კრიზის გადაჭრა ომის გარეშე. არ ამოუწურავი თავიანთი შესაძლებლობანი. მათ კარგად აქვთ შეგნებული, რომ იმპერიალისტურმა წრეებმა ახალი სამხედრო შეტაკება არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის შეიძლება გამოიყენონ ახალი მსოფლიო ომის გასაჩაღებლად. ისინი, ანსხვავებენ რა ისრაელის ებრაელ ხალხსა და ისრაელის მმართველ წრეებს, სამართლიანად აღნიშნავენ, რომ არა ებრაელი ხალხი და ისრაელის სახელმწიფო, როგორც ასეთი, არამედ ამ ქვეყნის შოვინისტური და სოსნისტური წრეები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული უცხოეთის მსხვილ მონოპოლიებთან, წარმოადგენენ ახლო აღმოსავლეთში არსებული დაძაბულობის მთავარ მიზეზს.

მტკიცე და თანმიმდევრულ პოლიტიკას ატარებენ არაბული აღმოსავლეთის ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის მიზნით არაბი კომუნისტები. არაბული აღმოსავლეთის ქვეყნების კომუნისტური პარტიების თათბირზე (1968 წ. ივლისი) ასე აღინიშნა: „...1967 წლის ივნისის აგრესიის შემდგომმა პერიოდმა დადასტურა, რომ პოლიტიკური ბრძოლის ფორმებმა და მეთოდებმა კი არ ამოწურეს ყველა თავიანთი შესაძლებლობანი, არამედ [illegible] მოიტანეს და კიდევ შეუძლიათ მოიტანონ დიდი სარგებლობა არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას".

არაბი კომუნისტები ამ თათბირზე სასტიკად აკრიტიკებდნენ მემარცხენე ავანტიურისტულ ტენდენციებს. ისინი აღნიშნავდნენ — გარკვეულმა ძალებმა არაბულ ქვეყნებში დაკარგეს უნარი სწორად განჭვრიტონ მომავალი, რადგან მათ აკლიათ საზოგადოებრივი განვითარების მეცნიერული ცოდნა. ამიტომ, — აღნიშნული იყო თათბირზე, — ზშირად ადგილი ჰქონდა ისეთი ლოზუნგების წამოყენებას, რომლებიც უარყოფდნენ ორგანიზებული მასობრივი ბრძოლის მნიშვნელობას, ფართო პოლიტიკური მოღვაწეობისა და ბრძოლის ყველა შესაძლებელი ფორმებისა და მეთოდების გამოყენების აღტერნატივად აცხადებდნენ მხოლოდ ერთ მეთოდს — სამხედრო ძალის გამოყენების მეთოდს. ასეთ პოზიციებზე დგანან მემარცხენე და ავანტიურისტული ელემენტები.

ამრიგად, არაბული ნაციონალიზმი, როგორც წინათ დამონებული ხალხების ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული არაბთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის საერთო დემოკრატიულ შინაარსს შეიცავს და ვ. ი. ლენინის განმარტებით, ამ საერთო დემოკრატიულ შინაარსს კომუნისტები მხარს უჭერენ. არაბული ნაციონალიზმი არ არის შოვინისტური ნაციონალიზმი, მის არსში ინტერნაციონალიზმი ჩარბობს იმ გაგებით, რომ არაბული ნაციონალიზმის ძირითადი მიზანი არის მთელი არაბული სამყაროს მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება და ყოველივე ეს კი ძირს უთხრის იმპერიალისტთა ბატონობას მსოფლიო მასშტაბით, ამიტომ ის ინტერნაციონალურიც არის.

არაბული ქვეყნების კომუნისტებს ფართო სახალხო მასების პროგრესისათვის ბრძოლაში ჩამბის მიზნით მუშამიბისას დაპირისპირება უხდებათ ნაციონალიზმის სხვადასხვა ისტორიულ-კონკრეტულ მიმდინარეობებთან, რომლებიც არაპროლეტარული კლასების იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილები არიან, ცნობილია ნაციონალიზმის შემდეგი ნაირსახეობანი არაბულ აღმოსავლეთში: ანარქიზმი, ანარაბიზმი, ისლამური ბურჟუაზიული ნაციონალიზმი,

---

ომარ ძაჯაია

პოლიტიკურიგიური ნაციონალიზმი, შუამავალი ბურჟუაზიის კომპრადორული ნაციონალიზმი, სამხედრო და ბიუროკრატიული ბურჟუაზიის ნაციონალიზმი, აშკარა შოვინისტური ანტიკომუნისტური და ანტისამეფოთა ნაციონალიზმი, ფეოდალური და ნახევრად ფეოდალური ელემენტების, რომლებიც პოლიტიკური დამოუკიდებლობის დროშით გამოდიან, ნაციონალიზმი. ყველა ზემოჩამოთვლილი ნაირსახეობანი დაკავშირებულნი არიან გარკვეულ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიურ და რელიგიურ კონცეფციებთან — „ისლამური სოციალიზმების" სხვადასხვა დოქტრინებთან, ფეოდალურ, ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ კონცეფციებთან. ახეთ დაკავშირებას თავის საფუძველად არაბული ქვეყნებში სოციალური ცვლილებების ობიექტური დიალექტიკა უდევს, ვინაიდან არაბულ ალმოსავლეთში ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლა თანდათან გადაიზარდა როგორც ფეოდალური, ისე კაპიტალისტური ექსპლოატატორული ურთიერთობების წინააღმდეგ ბრძოლაში.

როდესაც ლაპარაკია წინათ დამონებულთა ხალხების ნაციონალიზმზე, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ კომუნისტები მხარს უჭერენ ნაციონალიზმს მთლიანად, არამედ იმაზე მიუთითებს, რომ მხარი უნდა დაეჭიროს ნაციონალიზმის ანტიიმპერიალისტურ, ანტიკოლონიურ, ანტირასობრივ მხარეს, ეხე იგი, ნაციონალიზმის საერთო დემოკრატიულ პროგრამას.

„3. ი. ლენინი ასწავლიდა კომუნისტებს, „სოციალიზმს რომ არ ვუღალატო, ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ყოველგვარ აჯანყებას ჩვენი უმთავრესი მტრის, დიდ სახელმწიფოთა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, თუ ეს რეაქციული კლასის აჯანყება არ არის" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 428). აქედან გამომდინარე, განვიხილოთ ზემოჩამოთვლილი ნაციონალიზმების არსი.

პანისლამიზმი ეს თავისებური „რელიგიური კოსმოპოლიტიზმია", რომელიც უარყოფს ცალკეული ეროვნებების არსებობას და იხეთი რელიგიურ-პოლიტიკური დოქტრინა არის, რომელიც ყველა ისლამის მიმდევარ ხალხთა ერთიანობას ქადაგებს. თავისი შინაარსით ეს ნაციონალისტური იდეოლოგიაა, ვინაიდან მისი საბოლოო მიზანია ერთი სოციალ-ეთნიკური ჯგუფის დაპრიასპირება მეორესთან გარკვეულ რელიგიაზე მიკუთვნების ნიშნით. ყოველივე ეს კი გამიზნულია რევოლუციური მოძრაობის სხვადასხვა რაზმების ერთიობის დაკსაკსესაკენ.

3. ი. ლენინმა 1920 წელს დაახასიათა პანისლამიზმი როგორც წინააღმდეგობები აღსავსე მიმდინარეობა, რომელიც ცდილობდა „ევროპისა და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მომპრალი განმათავისუფლებელი მოძრაობა შეაერთონ ხანების, მემამფლეების, მოლებისა და სხვ. პოზიციის განმტკიცებისთვის" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 169-170).

პანისლამიზმმა თავისი არსებობის ახალ წლის მანძილზე ზოგიერთი ცვლილებანი განიცადა. მაგრამ საბოლოოდ პოლიტიკურ ... ...

ზემოთ აღვნიშნეთ, „ძმები — მუსლიმანების" ორგანიზაცია ყველაზე აქტიური ძალა არის. „ძმები — მუსლიმანების" ძირითადი დებულებანი რეაქციულნი არიან, ისინი ასე ქადაგებენ: მთელი სამყაროა ორ ნაწილად არის გაყოფილი: „ისლამისა და „ახალი ბარბაროსობის" სამყაროებად. „ბარბაროსობა" არის ყველაფერი, რაც ისლამს არ წარმოადგენს"; ისლამის რელიგიის მიბაძვით, სამყაროს ასეთნაირი დაყოფა გამიზნულია იქითაც, რათა მიიჩქმალოს თანამედროვე ეპოქის ძირითადი წინააღმდეგობანი; „ახალ ბარბაროსობაში" ჩაორეული კაპიტალისტის ხსნის მიზნით აუცილებელია თეორიკების დამყარება; „სოციალური სამართლიანობა" „ძმები — მუსლიმანების" მიბაძვით ეკრძალა საკუთრების შენარჩუნებასა და იმ დროს დაარბევნებში გამოიხატება, რაც ხალიფატში იყო ისლამის წარმოშობის პირველ წლებში. და ბოლოს, „ძმები — მუსლიმანების" იდეოლოგია ხასიათდება რეაქციული რადიკალიზმით: ადამიანის ხსნა „ღმერთთან დაპრუნებაში" მდგომარეობს.

სუდანის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ამბელ ხალეკ მახჯუბმა პანისლამიზმის იდეოლოგიის კრიტიკული ანალიზი გააკეთა. იგი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ კაცობრობის დაყოფას რელიგიური ნიშნით და მტკიცებას, რომ თანამედროვე სამყაროში ბრძოლა მხოლოდ რელიგიურ ხასიათს ატარებს, მიზნად აქვს „შშრომელი მასების შეგნებაში დანერგოს დებულება — თუკი ყველა მუსლიმანია, მაშინ აზრი არა აქვს კლასობრივ ბრძოლას, არ არსებობს განსხვავება მდიდარსა და ღარიბს შორის, არ არსებობს განვითარების სოციალისტური გზის აუცილებლობა".

არაბულ ქვეყნებში გავრცელებულ საციოსალიზმებს შორის აგრეთვე გამოირჩევა პანარაბიზმი. დღეისთვის პანარაბიზმმა ნაბიჯი უკან გადადგა, მან თავისი სეკულარული ხასიათი, რომელიც 70-იან წლებში მიიღო, ისევ შეცვალა რელიგიური შინაარსით. 1913 წლის 18 ივლისს პარიზში გახსნილი პირველი არაბული კონფერენციის დადგენილებაში ასეა ჩაწერილი პანარაბიზმის პრინციპები შესახებ: „არაბები ერთ ერს წარმოადგენენ, ისინი ერთი ხალხია, იმიტომ რომ მათ ერთი საერთო ენა აქვთ, ისინი ერთნაირი ეთნიკური წარმოშობისა არიან, მათ საერთო ისტორია, საერთო ტრადიციები და საერთო პოლიტიკური მისწრაფება აქვთ". „არაბთა ერთიანობის კანონზომიერება", ბაკვი, 1968, 3. 8). ინგლისურ ენაზე. პანარაბიზმის თეორეტიკოსი სატი ზუსარი კი, აკინკრეტებს რა ამ დებულებას, ასე წერს: „ყველნი, ვინც კი ნათესაური ურთიერთობითაა დაკავშირებული რომელიმე არაბულ ქვეყანასთან და ლაპარაკობს არაბულ ენაზე, არაბია, მიუხედავად იმისა, როგორია სახელწოდება იმ არაბული ქვეყნისა, სადაც ის დაბადა, როგორია მისი ოფიციალური ქვეშევრდომობა, არაბია, მიუხედავად იმისა, თუ რა რელიგია სწამს მას" (სატი ზუსარი „ეროვნული ბრძოლა", ალაბუკი ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ეს ციტატები მიუთითებენ, პირველ ხანებში პანარაბიზმი არ იზღუდებოდა ისლამის რელიგიით და ეს კი საშუალებას იძლეოდა ასეთ დასკვნამდე მისულიყო ს. ზუსარი: „ერთი არაბული ქვეყნის განთავისუფლებით დაინტერესებულია ყველა არაბული ქვეყანა, ვინაიდან არაბები ერთ ერს წარმოადგენენ. ეგვიპტელები, ერაყელები, მაღრიბელები ხალხებია, რომლებიც არაბული ერის ცალკეულ ნაწილებს წარმოადგენენ". ს. ზუსარი პირდაპირ მიუთითებდა „არაბიზმი მარტო მუსლიმანებისა და არაბეთის ნახევარკუნძულის მკვიდრთა დამახასიათებელი თავისებურება რიდია, ის მოიცავს ყველას... ვინც ლაპარაკობს არაბულ ენაზე, ხელ ერთია, მუსლიმანია თუ კრისტიანი, სუნიტი თუ დრუზი, კათოლიკე, მართლმადიდებელი თუ პროტესტანტი".

ჩვენი საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს პანარაბიზმის თეორია ისლამის რელიგიის მოთხოვნებს საფუძველზე გარდაქმნნა, დღეს ამ თეორიის თანახმად, ისლამი ის ფაკტორია, რომელიც არაბებს ერთიანებენ. ეს ტრანსფორმაცია იმით აიხსნება, რომ არაბული ქვეყნების ბურჟუაზს დღეს ხელს აძლევთ, მათთვის ეკონომიკურად ხელსაყრელია იყენებენ ისლამური ნაციონალისტებები, რომლებიც უფრო პანისლამიზმს უახლოვდებიან, ვინაიდან ასეთ პოზიციას შეუძლია უზრუნველყოს მათთვის მეტი სხსებები, და ისიც უნაკვალგებიდ, მიღება პანისლამისტური საუფის არაბეთიდან.

ამრიგად, დღეს არაბთან აღმოსავლეთში შეინიშნება ისლამის პოლიტიკური ძალად ფორმირების პროცესი. ამაზე მიუთითებს ისლამის საერთაშორისო აქტივობის ამაღლება და მისი ცდა, ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ პოლიტიკური ძალად. ასეთი სიტუაციის შექმნას იმანაც შეუწყო ხელი, რომ საუფის არაბეთი გადაიქცა მნიშვნელოვან მუსლიმანურ სახელმწიფოდ იმის გამო, რომ გაიზარდა ნავთობის პროდუქტებზე ფასი და საუფის არაბეთი კი ნავთობით უკეთესზე მდიდარი ქვეყანაა; ეგვიპტემ დათმო თავისი პროგრესული პოზიციები; მოხდა ანტიკოლონიური, ანტიიმპერიალისტური რევოლუციები ახლო აღმოსავლეთში და სხვა.

მუსლიმანური ქვეყნების გარკვეული წრეები ძალას არ იშურებენ, რომ ისლამი საერთა-

ომარ ქაჯაია
არაბთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე ეტაპის ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ

შორისო ხარბიელ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად მოეკლინის. ამ მიზნით ეწეოდა ორმხრივი და მრავალმხრივი საფინანსო-ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა მუსლიმანურ სახელმწიფოებს შორის. შექმნილია სახელმწიფოთაშორისო (მათ შორის ისლამური კონფედერაციის ორგანიზაცია ეკონომიკური, საინფორმაციო და სხვა ხასიათის სამსახურებით) და არასახელმწიფოებრივი მუსლიმანური ორგანიზაციების დიდი რაოდენობა, რომელთაც ავიანსებს საუდის არაბეთი. მოგვარებულია ისლამის რელიგიური ორგანიზაციების კოორდინაცია და თავისებური საეკლესიაცია, ბევრი რამ კეთდება ისლამის პოზიციების განსამტკიცებლად როგორც მუსლიმანურ, ასევე „მუსლიმანური უმცირესობის" განსახლების რაიონებში (ისლამური კანონების შემოღება ეგვიპტეში, ისლამის ცენტრების, მეჩეთებისა და მუსლიმანური სასწავლებლების მშენებლობა აფრიკასა და აზიაში, ევროპასა და ამერიკაში, ისლამის კონფერენციების ჩატარება და ა. შ.).

როდესაც ლაპარაკია მუსლიმანური წრეების ასეთი ხასიათის მოღვაწეობაზე, არ იქნებოდა სწორი გაჩვიდება ისლამის შესაძლებლობისა --- ითამაშოს დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალის როლი. ისტორია გვასწავლის, რომ მთავარ პოლიტიკურ ძალებად საზოგადოებრივი ძალების დაყოფა ხდება არა ეროვნული (მით უმეტეს, რელიგიური) პრინციპით, არამედ კლასობრივი ნიშნის მიხედვით. მუსლიმანური სახელმწიფოები კი სხვადასხვაგვარი სოციალური მონაცემებით ხასიათდებიან და თანამედროვეობის სოციალ-ეკონომიკური პრობლემებისადმი მათი მიდგომაც ერთნაირი პოზიციით არ გამოიხატება. ერთ პოზიციაზე დგანან პროგრესული სახელმწიფოები, ხოლო სულ სხვა, ზოგჯერ არსებითად საწინააღმდეგო, რეაქციული რეჟიმების პოზიციები. კაპიტალისტური ორიენტაციის მუსლიმანური არაბული ქვეყნების პოზიცია განპირობებულია მათი მისწრაფებით ახლოს იდგნენ დასავლეთის ქვეყნებთან, მაშინ, როდესაც სოციალისტური ორიენტაციის სახელმწიფოების ბირთად სოციალ-ეკონომიკურ ინტერესებს შეესაბამება მათი ყოველმხრივი კავშირების გაფართოება სოციალისტურ ქვეყნებთან.

ობიექტურად ისლამის აღზევებას საერთაშორისო სარბიელზე ხელს არ უწყობს ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ ძლიერია ცალკეულ მუსლიმანურ ქვეყნებს შორის ქიშპობა ისლამური სამყაროს ლიდერის თაობაზე. თუკი ადრე ეგვიპტე ეწეოდა მძაფრ ბრძოლას იმისათვის, რომ მუსლიმანური სამყაროს ლიდერი გამხდარიყო და ამ ბრძოლაში მას ჩამორჩებოდა ინდონეზია და პაკისტანი, აფეთქდა ამ როლის უფრო მეტად გამბედავ პრეტენდენტებად საუდის არაბეთი და ირანი ვეკვლინებიან ამასთან ერთად, მუსლიმანურ სახელმწიფოებს შორის ჯერ კიდევ ბევრია ძნელად გადასაჭრელი პრობლემა, რომელი წარმოშობილია სუნიტებსა და შიიტებს შორის, რაც ადვილად ხელს არ უწყობს მუსლიმანური ქვეყნების კონსოლიდაციას და ისლამის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად გადაქცევას.

თვით მუსლიმანურ რეაქციას არცთუ ისე მტკიცედ სჯერა, რომ შესაძლებელია ისლამის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად გარდაქმნა და ამტკიცებ იგი გაურნის ნაკლებად სამიდო სამოსლიმამთაშორისო ორგანიზაციებში კაპიტალის დაბანდებას.

შემოაღნიშნული განაპირობებს იმას, რომ მუსლიმანური კონფერენციის ან მუსლიმანური ფედერაციის შექმნა უფრო ეფემერულია, ვიდრე მაქმანი. ეს დებულება უფრო დამაჯერებელი იქნება, თუკი მოვიგონებთ, რომ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მარცხით დამთავრდა არაბული ჟვეკუნების ფედერაციების შექმნის მრავალი ვარიანტი (ეგვიპტე-სირია, ეგვიპტე-ჩრდილოეთ იემენი, ეგვიპტე-სირია-ლიბია, ლიბია-ტუნისი და სხვა). პრაქტიკულად ყველა ამ შემთხვევაში, ეროვნული ინტერესები და განსხვავებანი რელიგიურ ერთიანობაზე მაღლა აღმოჩნდნენ.

ამასთან ერთად, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ისლამის მეომრულ განწყობილებას. ისლამისა და მუსლიმანური ქვეყნების ამბიციური გეგმების გაფართოება იქნებ მიზნით, რომ მათ მეტი გავლენა მოახდინონ საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე მიუთითებს იმაზე, რომ საუდის არაბეთსა და სხვა მუსლიმანურ ქვეყნებს ფარ-მხალი ჯერ კიდევ არ დაუფიათ.

მუსლიმანური რეაქცია მრავალი საერთაშორისო და რეგიონალური ისლამური ღონისძიებების დაფინანსებას იუნებს ინსპათვის, რათა ამ ღონისძიებებზე მიღებული იქნეს ანტიკომუნისტური რეზოლუციები, სადაც უარაუოფალი იქნება კლასობრივი ბრძოლის პრაკტიკა და სოციალური პრობლემების რევოლუციური გზით გადაჭრის აუცილებლობა. ასეთ ამოცანებს უუნებს მუსლიმანური რეაქცია ორ საერთაშორისო ისლამის ცენტრს: ისლამის მსოფლიო ორგანიზაციასა და ისლამის კონფერენციის ორგანიზაციას.

პირველი შეიქმნა 1970 წელს მუსლიმანი ღვთისმეტყველების მიერ აფრიკა-აზიის ისლამის ორგანიზაციის საფუძველზე და ეწევა აქტიურ პანისლამურ პროპაგანდას, მოუწოდებს მუსლიმანური ქვეყნების თანამეგობრობის შექმნისა და მუსლიმანური სახელმწიფოების გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან გამოსვლისაკენ. იგი ასევე ვარაუდობს შეიქმნას გაერთიანებული მუსლიმანური ერების ორგანიზაცია თავისი უშიშროების საბჭოთი, მუს-

ლიმპური „საერთო ბაზარი“, მუსლიმანური შეიარაღებული ძალების გაერთიანებანი თავინი სარდლობით. ეს ბლოკი, მათი აზრით, „მსოფლიოს მესამე ძალად“ უნდა იქცეს.

ისლამის კონფერენციის ორგანიზაცია (იკო) შეიქმნა 1969 წელს და მოქმედებს მთავრობის დონეზე. 1972 წლის მარტში ქალაქ ჯიდაში მიიღეს ამ ორგანიზაციის წესდება, ხოლო 1978 წლის მარტში ქალაქ ბენღაზში იგი რატიფიცირებული იქნა და ძალაში შევიდა. აღნიშნული ორგანიზაცია აერთიანებს 42 კვეყანას, მათ შორის 21 არაბულ კვეყანას, 14 — აფრიკულსა და 7 აზიურ კვეყნებს. ეს ყველაზე რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ორგანიზაციაა. მისი შემადგენლობა არ არის ერთგვაროვანი, აქ შედიან ყველაზე ჩამორჩენილი სახელმწიფოებრივი ფორმირებანი და ასევე სახელმწიფოები განვითარებული ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემებით; იგი აერთიანებს რეაქციულ კვეყნებს მონარქიული რეჟიმებით, რომლებიც დასავლურ საგარეო პოლიტიკას ატარებენ და აგრეთვე რესპუბლიკებს, რომლებიც პროგრესული განვითარების გზას დაადგნენ და სსრკ მჭიდრო თანამშრომლობის პოლიტიკას ატარებენ. ისლამის კონფერენციის ორგანიზაციის შექმნის პირველსავე დღეებიდან ამ ორგანიზაციის შიგნით მიმდინარეობს ბრძოლა პროგრესულ უმცირესობასა და მუსლიმანური სახელმწიფოების კონსერვატორულ უმრავლესობას შორის. პირველი ცდილობენ ამ ორგანიზაციის მოღვაწეობას ანტიიმპერიალისტური და ანტიისრაელისტური მიმართულება მისცენ. მათ უპირისპირდებიან რეაქციული რეჟიმები და ის ანინდოლიური ეკსტრემისტული წრეები, რომლებიც შემორჩნენ პროგრესულ სახელმწიფოებში და რომლებიც ცდილობენ ისლამის სიწმინდის დაცვის ლოზუნგით ამ ორგანიზაციის მოღვაწეობას ანტიკომუნისტური ხასიათი მიეცეს, დაუპირისპირდეს ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას.

ამასთან ერთად, იკო-ს დიდი პოლიტიკური პატენცია გააჩნია, ვინაიდან იგი აერთიანებს ნაკვთობის ექსპორტიორ არაბულ კვეყნებს, აფრიკული ერთიანობის ორგანიზაციის წევრ 20 კვეყანას და ყველა ისინი მიუმხრობლობის მოძრაობის შინაწევნენ არიან, 11 მათგანი კი შედის მიუმხრობელი კვეყნების საკოორდინაციო ბიუროს შემადგენლობაში. ეს მიუთითებს იმაზე, რომ იკო-ს შეუძლია გარკვეული როლი ითამაშოს საერთაშორისო სარბიელზე.

იკო-ს მოღვაწეობისათვის დამახასიათებელია ,როგორც ანტიიმპერიალისტური, ასევე ანტიკომუნისტური მიმართულებანი. ანტიიმპერიალისტური ტენდენციები განპირობებულია იმით, რომ მუსლიმანური კვეყნები გრძნობენ თავიანთ წინააღმდეგობას იმპერიალიზმთან ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ცხოვრების ყოველ უბანზე. იმპერიალისტური კვეყნების პოლიტიკა ისლამის ოთხივე ბანის მიერ, არცთუ ისე იშვიათად, „ბოროტად“ აღიქმება, როგორც მთავარი წინააღმდეგობა „ბუნებრივ საბუარო“ კვეყნების განვითარების, საერთაშორისო დაძაბულობისა და განიარაღების გზაზე. იდეოლოგიის სფეროში ანტიკომუნისტური ტენდენციების საფუძველად ისინი აცხადებენ კომუნისტების ათეიზმს, თუმცა ეს ტენდენციები ყოველთვის უარყოფითად როდი მოქმედებენ მუსლიმანური კვეყნების საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ ზემოაღნიშნულ მუსლიმანურ საერთაშორისო ორგანიზაციას შორის თავიდანვე დამყარდა მჭიდრო კონტაქტები ისლამის პრობლემების შესწავლის მიზნით. ორივე ორგანიზაციის მოქმედებას კოორდინაცია უკეთდება, ერთმანეთში წინასწარ თანხმდება კონფერენციების მოწვევის საკითხები და ასევე ერთობლივი ძალებით მზადდება რეკომენდაციები კონფერენციებისათვის. თეოლოგიური ჩახაიათის აღნიშნული ორგანიზაციების მოქმედება პირდაპირ მიმართულია სასულიერო მოღვაწეების პოლიტიკური პოზიციების განმტკიცების, ცალკეული კვეყნების სასულიერო წრეებს შორის კონტაქტების გფფრთხილებისა და მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების საერთო თეოლოგიური დასაბუთებისაკენ. პოლიტიკური საკითხებიდან ისინი ამუშავებენ საერთაშორისო „ისლამური სოლიდარობის“ პრინციპებს, თეოლოგიურ დასაბუთებას აძლევენ ისლამური სამყაროს დასავლური სამყაროსგან განკერძოებულობის პოლიტიკას.

„ისლამური სოლიდარობის“ მოძრაობა, საერთოდ, მიმართულია იქითკენ, რომ ერთმანეთს შეუერთდეს მუსლიმანური სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცება და ეროვნული ელიტის — ბურჟუაზიული, მემამულური (ერთ კვეყნებში), ბიუროკრატიული, ფინანსიური და ფეოდალური (სხვა კვეყნებში) — ინტერესების დაცვა.

საერთაშორისო ისლამის ყველა კონფერენციაზე პირველ რიგში განიხილება არა რელიგიური, არამედ აქტუალური პოლიტიკური ან ეკონომიკური პრობლემები: ახლო აღმოსავლეთის კრიზისის საკითხები, „ისლამური სოლიდარობის“ განმტკიცება, საერთო ბაზრის საკითხები, სიღარიბისა და შიმშილის წინააღ-

ომარ ქაჯაია
არაბთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე ეტაპის ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ

მდეგ ბრძოლა განვითარებად ქვეყნებში, არაბთა ერთიანობის პრობლემა და სხვა.

„ისლამური სოლიდარობის“ მოძრაობა პროპაგანდას უწევს ისლამს — როგორც „განვითარების მესამე გზის“ ყველაზე საუკეთესო მოდელს, რომელსაც თითქოსდა ძალუძს უზრუნველყოს იმპერიალიზმზე დამოუკიდებლობა და ამავე დროს შეკმნას ბარიერი კომუნიზმის წინააღმდეგ. ამ მიზნით ზშირად აწყობს საერთაშორისო კონფერენციებს.

საერთაშორისო მუსლიმანური ორგანიზაციების ეკონომიკური კონფერენციები იმას ემყარება, რომ ისლამს გააჩნია პრინციპები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება შემუშავდეს მუსლიმანური სამყაროს თანამედროვე ეკონომიკური განვითარების კანონები და რომ ამ სამყაროს საკმარისად გააჩნია ნედლეულის ბაზაც (ნავთობი, გაზი, და ა. შ.) „ისლამური სოლიდარობის“ მოძრაობის ეკონომიკური პროგრამა ითვალისწინებს: უპრიცენტო ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების, ისლამის ვალუტის ფონდის, საერთაშორისო ისლამური საკალენტო ზონისა და მუსლიმანური საერთო ბაზრის შექმნას. ასეთი ეკონომიკური გეგმის ცხოვრებაში გატარება, რა თქმა უნდა, რეალობას მოკლებულია, ვინაიდან სამეურნეო ერთიანობისთვის აუცილებელია პოლიტიკური ერთიანობაც, და ამ პირობის შესრულება დღეს მუსლიმანურ სამყაროში გარკვეული პოლიტიკური სიტუაციის გამო შეუძლებელია.

„ისლამური სოლიდარობის“ მოძრაობის პოლიტიკაში არსებული ანტიკომუნისტური ტენდენციები იმპერიალისტურ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევენ თავიანთი აგრესიული ზრახვების განხორციელების მიზნით ზეგავლენა მოახდინონ საერთაშორისო მუსლიმანურ ორგანიზაციებზე. ამასთან ერთად, ამ მოძრაობის ანტიიმპერიალისტური ტენდენციები იმის საშუალებასაც იძლევიან, რომ მუსლიმანური ქვეყნების პროგრესულმა ძალებმა წინააღმდეგობა გაუწიონ საერთაშორისო მუსლიმანური ორგანიზაციების იმპერიალისტური პოლიტიკის იარაღად გამოყენებას. ეს მოძრაობა ისრაელის აგრესიის, სპარსეთის ყურეში აშშ სამხედრო ბეგმების, იმპერიალისტური ეკონომიკური ექსპანსიის წინააღმდეგაც გამოდის.

ისლამური სოლიდარობის მოძრაობა მთლიანად, არაბი მუსლიმანი ხალხების საერთოდ, რეაქცია არის იმპერიალისტთა ექსპანსიიდან ეკონომიკაზე. აშშ პოლიტიკური კურსის განსაზღვრასა და მთელი რიგი იმპერიალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაზე სოციალისტური წრეების დიდმა როლმა, ამ წრეების ღრმა გაფილნამ განაპირობა სოციალიზმის ექსპანსია ახლო აღმოსავლეთში და არაბული აღმოსავლეთის მიმართ პირველ რიგში. ამიტომ არაბული სამყარო (მნიშვნელოვანი ნაწილი მუსლიმანური სამყაროსი) გაერთიანებული ძალებისა, რომელთაც აშშ მოსოციალისტური მანქანა, მისი დამქაშები და საერთაშორისო სოციალისტური მარცხენა, ძლიერ დაწოლას ...

ამგვარმა პოლიტიკურმა სიტუაციამ განაპირობა არაბთა უკუაქსუნი: შემუშავდეს პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემს მათ თავიდან აიცილონ იმპერიალისტთა ნეოკოლონიური შემოსევა. ასეთი პოლიტიკის კონკრეტულ ფორმად არაბულ აღმოსავლეთში „ისლამური სოლიდარობის“ მოძრაობა ჩამოყალიბდა.

დღეს არსებული სოლიდარობის ეს ფორმა, ადრე არსებული არაბული სოლიდარობის კლერიკალურ ნაირსახეობას წარმოადგენს. თვით ამ მოძრაობის შინაარსი გამოხატავს თანამედროვე მუსლიმანური მოძრაობის არაერთგვაროვნებას, რამდენიმე მიმართულების არსებობას „ისლამურ სოლიდარობაში“: ბურჟუაზიულ-შემამფულურ კონსერვატორულიდან წვრილბურჟუაზიულ რევოლუციურამდე. ეს განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ამ მოძრაობას შეიძლება გააჩნდეს, როგორც აშკარად გამოკვეთილი ანტიიმპერიალისტური, ასევე, რიგ შემთხვევაში, ანტიკომუნისტური ხასიათი. ამ ხასიათების გამოვლინება ან ერთერთი მათგანის პირველ პლანზე გამოსვლა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი მიმდინარეობა წამოაყენებს ამ ლოზუნგს.

აღნიშნული მოძრაობა, მიუხედავად მასზე ისლამის ტრადიციონისტული დოგმების გავლენისა, მაინც რჩება თანამედროვე მოდერნისტული შინაარსის კლერიკალურ-პოლიტიკურ მოძრაობად, რომელიც ისწრაფვის იმ მიმართულებით, რომ ისლამი თავისი სოციალური და ინტელექტუალური მოთხოვნებით ფეოდალიზმ მიჰყვეს თანამედროვეობას. ერთი სიტყვით, ეს მოძრაობა ისლამის ტრადიციონისტულ დოგმატურ დებულებებთან შედარებით უპირატესობას პრაგმატიზმს ანიჭებს. აქედან გამომდინარე, იგი ასეთი არარელიგიური ხასიათის ამოცანებს აყენებს საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში: საღვთო ბრძოლას ისრაელისა და აშშ წინააღმდეგ ყველა მუსლიმანურმა ქვეყანამ უნდა დაუჭიროს მხარი; თავიდან აცილებული იქნეს ახალი მსოფლიო ომი და განმტკიცდეს მშვიდობიანი თანაარსებობა. მომდევნ დაძაბულობის შენელება; დიდი ყურადღება დაეთმოს ბირთვული იარაღის აკრძალვასა და ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნას; მტკიცე კონტაქტები დამყარდეს არამუსლიმანურ განვითარებად ქვეყნებთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა სფეროში.

აშკარად რელიგიურ ხასიათს ატარებს მისი ამოცანები მსოფლიო პროგრესისა, იმპერიალიზმისა და კომუნიზმის საკითხებში. მსოფლიო

პროგრესის შეფასებისას „ისლამური სოლიდარობის“ კონცეფცია უპირატესობას „ისლამის მეცნიერულ არსს“ ანიჭებს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციასთან შედარებით. ამ მოძრაობის იდეოლოგთა აზრით, ისლამს ძალუძს დააქმაყოფილოს კაცობრიობის სულიერი და მატერიალური მოთხოვნები, მაშინ, როდესაც, მათი აზრით, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია ანვითარებს მეტისმეტ რაციონალიზმს და საბოლოოდ კაცობრიობა დაღუპვამდე მიმყავს.

იმპერიალიზმისა და კომუნიზმის შეფასებისას ამ მოძრაობის კონცეფცია ანგიიმპერიალისტურია და ანტიკომუნისტურიც არის. ანტიკომუნისტურის შინაარსს კომუნისტების ათეიზმი განსაზღვრავს, სხვა დებულება არ მოგაყავთ ამ შემთხვევაში.

არაბულ ადმოსავლეთს, როგორც მუსლიმანური სამყაროს ნაწილს, აშშ პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ სტრატეგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის, ვინაიდან ნავთობი ისეკ რჩება ამერიკის ახლოადმოსავლური პოლიტიკის ძირითად საკითხად და მისი ენერგეტიკული ბალანსის აკილეესის ქუსლად. აშშ განიდგის არაბეთის ქვეყნების ნავთობზე ძლიერ დამოკიდებულებას, ის ცდილობს ხელიდან არ გაუშვას არაბულ-ენერგეტიკულ რესურსებზე კონტროლი და ამიტომ იძულებულია შეეწყოს ახალ პირობებს. ეს გარემოება განსაზღვრავს მისი პოლიტიკის შინაარსს ამ რეგიონში. როგორც იყო აღნიშნული, ეს მისი პოლიტიკის ერთი მხარეა — მეორე მხარე იმაში მდგომარეობს, რომ აშშ ამჟამად მეტად დიდ ეუფრადღებას უთმობს არაბულ ქვეყნებში კაპიტალისტური ურთიერთობების განმტკიცებას, ცდილობს ამ ქვეყნების მმართველი კლასებისადმი ზოგიერთი დათმობებით, მათთან ურთიერთობის მოწესრიგების საშუალებით მიაღწიოს არაბული ქვეყნების პოლიტიკურ ლოიალობას, ასეთი გზით მიაღწიოს ამ ქვეყნების შენარჩუნებას კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ამასთან ერთად, აშშ პოლიტიკა სულ უფრო და უფრო დიფერენცირებული ხდება, ეუფრადღებს ცენტრში ის ქვეყნებია, რომელთა ინტერესებიც გადაბლაირთულია აშშ ინტერესებთან ამ რაიონში (საუდის არაბეთი, ეგვიპტე, არაბული ემირატები და სხვა).

ისიც საგულისხმოა, რომ აშშ ურთიერთობანი მთლიანად არაბულ ქვეყნებთან დაძაბული და ხშირად ანტაგონისტურიც არის. ასეთ პირობებში აშშ იძულებულია აირჩიოს საკუთარი პოლიტიკის მისთვის საინტერესო ქვეყნების მოთხოვნისადმი შეგუების მეთოდი და განსაზღვრულად უარი თქვას მათ აღრინდელ გეგმებზე, რომ არაბული ქვეყნები იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მხოლოდ ნედლეულის მიმწოდებელ დანამატებად დარჩნენ.

აშშ ისთმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ფეხ ლიმანური სამყაროს არაბული რეგიონის ამ მარი — ერთის მხრივ, და, მეორე მხრივ, 70-იანი წლების დამახასიათებელმა ნიშნებმა — კლასობრივი და იდეოლოგიური ბრძოლის როლისა და მნიშვნელობის ამაღლებამ, რომელიც გამოწვეულია სოციალ-ეკონომიკურ სფეროში ინტენსიური ცვლილებებით, განაპირობა ის, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი ეძებს გზებს მსოფლიოს ამ რეგიონის ხალხებზე იდეური გავლენის ფორმების მოდერნიზირების მიზნით. ამ შემთხვევაში იმპერიალისტური პოლიტიკა იქიდან გამოდის, რომ ეკონომიკური განვითარებით გამოწვეული სოციალური ძვრები — უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური ასპარეზიდან ძველი კლასების ჩამოცილება, ახალი ფორმაციის კლასებისა და სოციალური ფენების ფორმირება, ამ პროცესთან დაკავშირებული განათლებისა და კულტურის პროგრესი, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პოზიტიური ზეგავლენა. მშრომელთა ფართო მასების პოლიტიკური შეგნებულობის ზრდა და სხვა ზოგიერთი ფაქტორები, რომელთაც საზოგადოების აშკარა პოლიტიზაცია, პოლიტიკისა და იდეოლოგიის ურთიერთმოქმედების გაღრმავება მოაქვთ შედეგად, განვითარებადი ქვეყნების ხალხებზე იდეოლოგიური დაწოლის, იდეოლოგიური ექსპანსიის გაფართოებას იწვევენ.

ყოველივე ამან და ისლამის შეკრამ აღმოსავლეთის ხალხების პოლიტიკურ ცხოვრებაში განაპირობა ის, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმმა ამ ბოლო ხანებში ისლამი აირჩია არაბთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ძირგამოთხრილ იარაღად. მუსლიმანური ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობის სხვადასხვა ფენები გამოირჩევიან რელიგიური მგრძნობიარობით, ამასთან ერთად, ეს მგრძნობიარობა განპირობებულია არა მარტო იმით, რომ ისლამი მოიცავს ყველა ფენებს, არამედ თავიანთ მოწყვლადობითაც. მიაკვლიეს რა მორწმუნეთა ამ სუსტ მხარეს, იმპერიკული იმპერიალისტებები „რელიგიური გრძნობებისათვის საშიშროების“ თითქოს და არსებობის სპეკულაციითა და „ისლამის ინტერესების“ ფოწნე მოწყობილი ღონისძიებებით ცდილობენ დაიპყრონ მასობრივი და მგრძნობიარე აუდიტორიები, მასების დეზინფორმირება მოაწყონ. ამ მიზნებს ემსახურებოდა 1978 წ. აშშ კანცლერ სოლტ-ლეიკნი ჩატარებული ამერიკელი აღ-

ოგბარ ქაჯაია
არაბთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე ეტაპის ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ

მოსავლეთმცოდნეობის კონფერენცია, რომელზეც წაკითხული 107 მოხსენებიდან 40 თანამედროვე სამყაროში ისლამის როლს მიეძღვნა.

ისლამისა და ნაციონალიზმის მზარდმა როლმა აზიისა და აფრიკის განვითარებადი ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამ რელიგიის გამოუენებამ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხების ანტიიმპერიალისტური და ანტიმონარქიული ბრძოლის ფაქტორად, რომლებიც ასევე მიუთითებენ ისლამის პოლიტიზაციაზე, განაპირობა აშშ-ში ისლამის მეცნიერული კვლევისა და შესწავლის ფართოდ მოწყობა. ამჟამად ისლამმცოდნეობის სხვადასხვა ასპექტების შესწავლა პრაქტიკულად აშშ ყველა ინსტიტუტში და ახლო აღმოსავლეთის შემსწავლელ ცენტრებში მიმდინარეობს. უნივერსიტეტთა დიდი უმრავლესობაც სწავლობს ისლამურ პრობლემებს. ბარკლის უნივერსიტეტში შეისწავლება ისეთი პრობლემები, როგორიცაა: ისლამი და კოლონიალიზმი, ისლამური ფილოსოფია, კოლუმბიის უნივერსიტეტში — ისლამური სამართალი და სამართლებრივი ინსტიტუტები, შიიზმი და ისმაილიზმი ირანში; კალიფორნიის უნივერსიტეტში — ისლამის თეოლოგიური ინსტიტუტების ევოლუცია. აღმოსავლური და მათ შორის ისლამური გამოკვლევების კოორდინირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს 1946 წელს შექმნილი ვაშინგტონის შუაღმოსავლეთის ინსტიტუტი, რომელიც ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და სემინარებს, მიძღვნილს ამ რეგიონში ამერიკის საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის ცალკეული საკითხებისადმი. ასე, მაგალითად: ორგანიზებული იყო სემინარები: „პარტნიორობის შეცვლილი მოდელი: აშშ და შუა აღმოსავლეთი" (1978 წ.) „აშშ: რელიგია, პოლიტიკა და ბიზნესი საზღვარგარეთ" (19[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასული წლის ოქტომბერ[illegible] „[illegible]ყო ლექციათა შვიდი ციკლი რუბრიკით: „აშშ და შუა აღმოსავლეთი 80-იან წლებში", რომელიც სპეციალურად მიეძღვნა ისლამისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის პრობლემებს.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ისლამი და ნაციონალიზმი არაბულ ეროვნულ-გამგებითვისუფლებელ მოძრაობაში რთული მოვლენაა. ისინი კვლავ რჩებიან მუსლიმანურ სამყაროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად, რომელსაც ჯერ კიდევ მიჰყვებიან მასები. ეს გარემოება განაპირობებს იმას, რომ ეს ორი მიმდინარეობა უნდა განხილულ იქნეს კონკრეტულად, ისე რომ რევოლუციური პროცესის სასარგებლოდ გამოვლინდეს მათი ანტიიმპერიალისტური პოტენციალი. დღეს თუკი შეინიშნება ისლამსა და ბურჟუაზიულ-ნაციონალიზმში მათი რეაქციული ელემენტების მომძლავრება და ეს დადასტურებას პოულობს ცხოვრებაში, მაშინ მხედველობიდან არ უნდა იქნეს გამოტოვებული ისიც, რომ პოლიტიკურად დამონებული ან ეკონომიურად ექსპლოატირებული ფენების, კლასების, ერების ნაციონალიზმის - დემოკრატიული შინაარსი ნეოკოლონიური სისტემის თანამედროვე კრიზისის დროს ასევე რელიეფურად არის გამოკვეთილი და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მას შეუძლია დადებითი როლი ითამაშოს. ასეთია პოლიტიკურ ბრძოლაში ამ ორი მიმდენტის შეფასების ლოგიკა.

ანდრე კარბელაშვილი

კვალი სიკეთისა

(რა გაგვახსენა ერთმა ძეგლმა სოფიის ცენტრში)

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე, რომელიც სახალხო კრების შენობის წინ მდებარეობს, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სტუმარი მოდის. ისინი სოფიის ყველა კუთხიდან აქ მოეშურებიან, რათა დათვალიერონ გამანთავისუფლებელთა ძეგლი — ქალაქის ერთ-ერთი საინტერესო ღირსშესანიშნაობა.

ამ ძეგლთან ჩვენ მოვხვდით ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოს" სამხედრო განყოფილების გამგის პოლკოვნიკ ლაზარ გიორგიევთან ერთად, რომელიც ბულგარეთის სამხედრო ისტორიის კარგი მცოდნეა, ხშირად უხდება ჩვენს ქვეყანაში ყოფნა და ბევრი მეგობარი ჰყავს ოდესაში, კიევში, მოსკოვში.

გამანთავისუფლებელ[illegible] ძეგ[illegible] წინა მხარეს წარწერა აქვს ვაკეთებული. „მოძმე გამანთავისუფლებლებს — მადლიერი ბულგარეთისგან". ძეგლის გარშემო ბარელიეფებზე გამოსახულია 1877-78 წლების გამანთავისუფლებელ ომთან და ომის შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული ზოგიერთი ეპიზოდი.

ბრძოლები შიპკაზე, სახელგანთქმული რუსი გენერლები ოსსკე გურკო და მიხეილ სკობელევი. ბულგარელი მოხალისეები სტარა-ზაგორაში, მათ შორის პოფპოლკოვნიკი კალეტინი და პორუჩიკი კისოვი. სამშვიდობო ხელშეკრულების დადების ცერემონიალი. ბულგარეთის გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები და, რასაკვირველია, ივანე ვაზოვი, დამფუძნებელი კრება ტირნოვოში.

ძეგლის დადგმის ისტორია სოფიაში ორი დღით ადრე შევიტყვე.

გამანთავისუფლებელთა ძეგლის პროექტზე კონკურსი 1900 წელს გამოცხადდა ბულგარეთში. დაწესდა ჯილდოებიც. პირველი პრემია — 5000, მეორე — 4000, მესამე — 3000 და მეოთხე — 2000 ლევი, აგრეთვე, პირველი და მეორე კლასის სპასტიო სიგელები.

კონკურსმა ევროპის უურადღება მიიპყრო და სოფიაში მიიღეს 12 ქვეყნის 81 ავტორის პროექტი. რომელი ქვეყნებიდან იყვნენ კონკურსის მონაწილენი? საფრანგეთიდან 9, იტალიიდან — 5, ბულგარეთიდან — 3, ორ-ორი მონაწილე — ჩეხიდან, უნგრეთ-ავსტრიიდან, შვეიცარიიდან და რუსეთიდან, დანიის, პორტუგალიის, თურქეთის და ჰოლანდიის თითო არქიტექტორი.

სოფიაში მიღებული პროექტებიდან 9 გამოეგზავნათ პარიზიდან, სამ-სამი ფლორენციიდან და სოფიიდან, ორი პრაღიდან, ბოლო თითო-თითო პეტერბურგიდან, ბერლინიდან, რომიდან, ტორინოდან, ვენიდან, ბუდაპეშტიდან, კოპენჰაგენიდან, ლისაბონიდან, ციურიხიდან, ბუქსიდან, ხარონიდან, ჰაადიდან, ჰანოვერიდან და... თბილისიდან, დიახ, მაშინ ერთ თბილისელს „ბუუბედია" მონაწილეობა მიეღო ამ საინტერესო კონკურსში.

ვინ იყო გამანთავისუფლებელთა ძეგლის პროექტის თბილისელი ავტორი, ამაზე სამწუხაროდ არ არის ნათქვამი სოფიაში ეროვნულ სამხედრო-ისტორიული მუზეუმის მიერ ამასწინათ გამოცემულ კრებულში. მხოლოდ წერია, რომ ავტორი იყო „ტფილისიდან (თბილისი)".

სამაგიეროდ კრებულში მოცემულია საარქივო დოკუმენტების დასაბუთება, რომლებიც ეთაოდ შეიცავენ დაწვრილებით ცნობებს კონკურსის მონაწილეებზე და პროექტებზე. ეჭვი არ არის, თუ ამ დასაბუთებების მიხედვით ბულგარეთის ცენტრალურ სახელმწიფოო ისტორიულ არქივში მოინახება ეს დოკუმენტები. ადვილად დადგინდება კონკურსის მონაწილე თბილისელი

ავტორის გვარი, რას წარმოადგენდა მისი პროექტი, ხომ არ მიიღო მან რომელიმე პრემია, ან სიგელი კონკურსში მონაწილეობისათვის.

სოფიაში მიღებული პროექტები საუოველთაო დათვალიერებისთვის გამოფენილი იქნა 1900 წლის 1-დან 20 სექტემბრამდე. ეიორის შემადგენლობაში ბულგარელ წევრებთან ერთად შედიოდნენ ანტონენ მერსიე — პროფესორი, სიერანგეთის აკადემიის წევრი, ეტორე ფერარიი — რომის აკადემიის წევრი, რობერტ ბახი — პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის წევრი.

კონკურსის ეიურიმ მიიღო გადაწყვეტილება პირველი პრემია მიეკუთვნებინა გამოჩენილი იტალიელი მოჭანდაკე ალანდო ცოპისთვის, რომელმაც, უფრო ადრე, შექმნა ქრისტეფორე კოლუმბის და ბარიანდოს ძეგლები.

გამანთავისუფლებლების ძეგლი სოფიაში გახსნეს 1907 წლის 30 აგვისტოს. მოიდგანზე შედგა სამხედრო პარადი და მთელი დღე ზეიმობდა სოფიის მოსახლეობა. და აი, დღეს ეს ძეგლი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ სოფიის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ისტორიული და არქიტექტურული სანახაობაა.

ლაზარ გეორგიევთან ერთად ეურანდღემით ვთვალიერებთ ძეგლის პედესტალზე ბარელიეფებს და თან ერთმანეთს ვესაუბრებით.

— აი, ეს 1878 წლის 8 მარტს სან-სტეფანოში სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიალია. კარგად მოიანს რუსეთის ორი წარმომადგენელი — ცნობილი რუსი დიპლომატი, გენერალ-ადიუტანტი გრაფი ნიკოლაზ იგნატიევი და გენერალი, შემდეგში რუსეთის ელჩი კონსტანტინოპოლში ალექსანდრე ნელიდოვი — გვიუბნება ბულგარელი ეურნალისტი — მაგრამ ალბათ ადგილი არ დარჩა ავტორს, და იცით რატომ ვფიქრობ ამას?

ვერ მივუხვდით.

— სულ უბრალოდ, ცერემონიალის ხელმოწერის დროს მათთან ერთად ოთახში იმყოფებოდა ალექსი წერეთელიც — თქვენი თანამემამული.

გაგაგახსენდა ეს ისტორიული ფაქტი.

1878 წლის 20 იანვარს თურქეთის იმპერიამ თხოვნით მიმართა რუსეთს ზავის დადების შესახებ. სანამ მოლაპარაკება მიმდინარეობდა, რუსეთის ჯარები განაგრძობდნენ შეტევით ოპერაციებს, მიაღწიეს პატარა ქალაქ სან-სტეფანოს, რომელიც კონსტანტინოპოლიდან 10 კილომეტრზე იყო.

„სან-სტეფანოში, ზღვისპირა სახლში, მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ ორივე მხარის წარმომადგენლები: ისინი ამზადებდნენ სამშვიდობო ტრაქტატს — ახლად დამთავრებული მოლაპარაკების შედეგს. მთელი ღამე თავადი წერეთელიცა კარნახობდა თავის ამხანაგს შაბაშოვს. ორივე მდივანი, რომლებიც ძალზე გადაღლილი იყვნენ ხანგრძლივი მუშაობით, თუმც კი ამ მუშაობის მნიშვნელობა ეკონეკდათ მათ დაღლილობას, დროდ[illegible] ეურს უგდებდნენ მეზობელ წერაქანს, სადაც მოწინააღმდეგის მდივნები ამზადებდნენ ხელშეკრულების თავიანთ ეგზემპლარს.

მზოლოდ გათენებისას დამთავრდა მუშაობა და ამ მზრომელმა ადამიანებმა დაიძინეს უნდა-რიგოდ მიმოფანტული დოკუმენტების, გეოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ რუკებს შორის, ისევე გაუზდელად, როგორც ჯარისკაცებმა იცი-ან", — წერდა 1878 წელს თბილისში გამომავალი გაზეთი „კავკაზი".

და მეორე დღეს, 1878 წლის 8 მარტს რუსეთის მხრივ გრაფმა ნ. ე. იგნატიევმა და ა. ი. ნელიდოვმა, ხოლო მოწინააღმდეგის მხრივ — სავეტთ-ფაშამ და საადფულლა-ბეიმ ხელი მოაწერეს სან-სტეფანოს სამშვიდობო ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულებამ მიანება ბულგარელ ხალხს თავისუფლება და ერთიანან სახელმწიფოდ გაერთიანების საშუალება შეუქმნა.

— დიახ, ალექსი წერეთელს დიდი დამსახურება მიუძღვის სან-სტეფანოს ხელშეკრულების პროექტის მომზადებაში, იგი იგნატიევის დიდი მეგობარი იყო — ამბობს ლაზარი — საგულისხმოა, რომ პლოვდივის მახლობლად ორ ერთმანეთის მეზობელ სოფელს „წერეთელევკი" და „იგნატიევკი" ეწოდება.

და ბულგარელი ეურნალისტი ისმენენს ზოგიერთ მოგონებას („ზოგიერთი კი აჯ სოფიაში ამოვეკითხე ორი რუსი ეურნალისტის წიგნიდან).

დ. ზახოვსკის წიგნი — „ორი ლაშქრობა ბალკანეთის იქით" გამოცემულია. მოსკოვში 1889 წელს, ხოლო მ. ჩაკსიმოვის წიგნი — „ორი ომი, (1876-1878)" — პეტერბურგში 1889 წელს.

გულწრფელად უამბობენ მკითხველებს რუსი ავტორები ალექსი წერეთელის ყოველ მოქმედებას ბრძოლის ველზე, მის ურთიერთობას რუს მეთრძოლებთან, გენერლებთან, ბულგარელებთან და მკითხველი გრძნობს — წერეთელი ბრძოლის შეაჯულში ტრიალებს. მას არ აშინებს ტყვია, მაგრამ გონიერულად და სიფრთხილით მოქმედებს. არ ერიდება მტერთან ახლოს მისვლას, როცა ამას საჭიროება მოითხოვს. მისი სჯერათ, მის რჩევას იზიარებენ, იცინან — იგი ბულგარელი ხალხის დიდი მეგობარია.

ეურნალისტი დ. ზახოვსკი უშუალოდ ადევნებდა თვალს როგორ შემოარტყა გენერალმა ი. გურკომ ალეა მტრის ერთ დიდ ჯგუფს ტელიშენთან. მოერიდა ო შემგომ სისხლისღვრას, მან გადაწყვეტა ალეაში მოქცეული თურქებისათვის პარლამენტარებად თურქი ტყვეები გაეგზავნა. მათ თან ალექსი წერეთელი გააყოლა.

„თურქების გამგაგრებამდე პარლამენტარების მიუვანა გენერალმა გურკომ დაავალა თავის ორდინარიცს, თავად წერეთელო

თელლოვი წინ წავიდა ტუვე თურქებთან ერთად, წინასწარ კი გაკეკთა თავის ცხენისახლიდან დაახლოვებით პარლამენტარიების დროშის მსგავსი დროშა და გადასცა იგი ტუვე თურქებს... შემდეგ რადღიდან ზოსე გზაზე გამოვიდა ვიღაც თურქი და თეირი ნაჭერი რამდენჯერმე დაუქნია წერეთელოვს, რომელიც ვითარების გარკვევას მოელოდა ზოსეზე თურქთა გამაგრებების მახლობლად. თავადმა წერეთელმა როგორც კი დაინახა თურქი პარლამენტარი, მაშინვე ცხენი გაიჭენა მის შესახვედრად" — ასე აღწერს დ. ზახოსესი ერთ ეპიზოდს.

დიახ, ალექსი მარტოდ-მარტო წავიდა თურქთის გამაგრებისაკენ და მარტო ესაუბრა პარლამენტარიებს — მან ხომ ბრწყინვალედ იცოდა თურქული ენა. მოლაპარაკება დამთავრდა — თურქები ტუვედ დანებდნენ.

დ. ზახოსესი განაგრძობს: „მთავარი რადუტდან გამოჩნდა ტუვედ დანებებული თურქების კოლონა, ისინი ალაგებდნენ მიწაზე იარაღს და ბატალიონებად ეწყობოდნენ ზოსეზე. მათ გამაგრებებიდან გამოსულან და მოძრაობას თვალყურს ადევნებდა თავადი წერეთელოვი და გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი სტახროვსკი. ტუვეთა შორის აღმოჩნდა ერთი თათარი, რომელიც თუმცა ცუდად, მაგრამ მაინც ლაპარაკობდა რუსულად. „რუსი კარგია!" — მიმართა მან თავად წერეთელოვს — „თურქები ცუდები არიან, მე მინდა რუსებთან!"

„ეს ეხლა ასეც არის" — უპასუხა წერეთელმა".

ახალგაზრდა ალექსის გენერალი გურკო არაერთხელ გზავნიდა საპასუხისმგებლო დაზვერვაზე. ეს კარგად შეუნიშნავს რუს ეურნალისტს და ამიტომ პირდასპირ წერს თავის წიგნში: „როგორც კი ჩვენ იახლონიცაში მივედით, მაშინვე სადღაც გაერა, ისე რომ არავინ იცოდა, თავადი წერეთელოვი. უნდა გვეფიქრა, რომ ის გენერალმა გურკომ დელიკატიური დავალებით გაგზავნა, რომელიც სხვა რამ არ უნდა ყოფილიყო, რაც გზის მოძებნა შემოელითი მოძრაობისთვის ბალკანებზე. ეს წინასწარმეტყველება გამართლდა, როცა თავადი წერეთელოვი დაბრუნდა, გამოიჩაკვა, რომ ბულგარელები მართლაც სწორედ მიუთითებდნენ თურქეთის პოზიციების შესახებო შემოელაზე და ასახელებენენ ირტილერიისათვის გზას შავი ლამას ხეობაზე გავლით".

არაერთხელ მოუხდა კიდევ ა. წერეთელს თურქებთან უშუალო მოლაპარაკება. ასე იყო არაბა-ეომაკის იერიშის წინაც. რუსეთის არმიის სარდლობამ გადაწყვიტა გამაგრებული თურქებისათვის დანებება შეეთავაზებინათ.

ადვილი მისახვედრია, დაფნის გვირგვინებსა და გუნდრუკის ქმეკის მიჩვეული ნიკო მარის რა გულისხწყრომას გამოიწვევდა ივანე ჯავახიშვილის ეს პასუხი. დიდმა მეცნიერმა 1928 წლის 27 დეკემბერის წერილი გამოუგზავნა პაველ ინგოროყვას, სხვა ამბებთან ერთად აუწყა, რას უბედავდა მისი „ეოფილი შეგარდი" და მოითხოვდა, ეს წერილი მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე წაეკითხთ. 1924 წლის 27 ივნვარს პრეზიდიუმმა, რომელსაც მოგაონების ავტორი ეოტე მაკაშვილი თავმჯდომარეობდა, განიხილა განაწყენებული მარის წერილი. ცოტათი დაბეზღებასაც რომ მიაგავდა, და მას კონსტანტინე მაკაშვილისა და პაველ ინგოროყვას ხელმოწერით პასუხიც გაუგზავნა.

ძნელია, სძლიო ცთუნებას და ს. ჯორბენაძის მიერ მოტანილი ამონაწერი ისტორიული წერილიდან აქ განმეორებით არ მოიტანო:

„...ქართული მწერლობა დიდად აფასებს იმ ღვაწლს, რომელიც თქვენ დასდეეთი ქართულ მეცნიერებას თქვენი 35 წლოვანი მეცნიერული მუშაობით.

ქართული ლიტერატურა ამაყობს იმით, რომ ავტორი მსოფლიო მნიშვნელობის იფიტეური თეორიისა — არის ქართველი და მასთან ქართველი მწერალი, რომლის პირველი გამოსვლები ქართულ ენაზე იყო [illegible]

...ხოლო რაც შეეხება თქვენს [illegible] უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიას მორის მომხდარ ინციდენტს, მწერალთა კავშირი ადრევე იყო გაცნობილი თქვენს აზრს ქართული უნივერსიტეტის შესახებ, რომელიც მას, რა თქმა უნდა, სრულიად შეუწყნარებლად მიაჩნდა და ფიქრობს, რომ თქვენი ესოდენ შეიცდარი შეხედულება საქართველოს ეროვნულ კულტურის ეოფის ამ მთავარ საკითხებზე გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ თქვენ მოწუყეტილი იყავით საქართველოს უკანასკნელი წლების ცხოვრების.

პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ ახლო მომავალში საქართველოს კულტურულ ცხოვრებასთან უფრო მეტად დაახლოება თქვენც დაგაჯერებენ იმ გზაზე, რომელზედაც მტკიცედ და შეურეველად დგას მთელი ქართველი ერი.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი, გამოთქვამს რა თავის მწუხარებას ამ კონფლიკტის გამო, იმედოვნებს, რომ თქვენსა და ქართულ უნივერსიტეტს შორის მალე დამყარდება მეგობრული ურთიერთობა, რაც ახე საჭიროა ქართული ახლად აღორძინებული მეცნიერებისათვის".

„ეს ჩარეგა მეტად დროული და სასარგებლო იყო, — ამთავრებს ს. ჯორბენაძე. — შემდგომ ნიკო მარმა კიდევ ბევრი გააკეთა ქართული კულტურის წარჩინებისათვის."

მშობლიური ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფურცელს გადაგვიშლის ს. ჯორბენაძის კიდევ ერთი პუბლიკაცია — „ივერიის" უკანასკნელი რედაქტორის გულისტკივილი".

ვინ იყო ეს რედაქტორი? — ფილიპე გოგიჩაიშვილი, რომელიც სულ ცოტა ხანს, 1905 წლის თებერვლიდან 1906 წლის აპრილამდე, ედგა სათავეში ილიასეულ „ივერიას".

ავტორი ღრმა მოკრძალებით არის განმსჭვალული „ივერიის" უკანასკნელი რედაქტორის საზოგადოებრივი და მეცნიერული დამსახურების მიმართ და მკითხველს აუწყებს, რომ ფილიპე გოგიჩაიშვილიც მუდამ პატივისმცემელი იყო ილია ჭავჭავაძისა და იმ ღვაწლისა, რომელიც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში მან საბშობლოს დასდო.

რად წამოიჭრა ეს საკითხი?

1905 წლის 10 აპრილის გაზეთ „მოგზაურში" დაიბეჭდა ვინმე ვასილ ნაცვლიშვილის პასუხული ილიას წინააღმდეგ. გარდა იმისა, რომ პასკვილი გაუგონარ სიცოფესა და ცილისწამებაზე იყო აგებული, იგი შეურაცხყოფდა პოეტის ადამიანურ ღირსებას და ერის სათაყვანებელ მოღვაწეს ტალახში სვრიდა.

რაღა თქმა უნდა, გაზეთი „მოგზაურის" უარეცეფენტო გამოხდომა დიდ მოთქმა-მოთქმას გა-

მოიწვევდა, მაგრამ ეს მითქმა-მოთქმა მაშინ უფრო გაძლიერდა და გამძაფრდა, როდესაც ნაცვლიშვილის ხელით შეითხზნილი პასკვილი სათაურით „ნუთუ?“ ფ. გოგიჩაიშვილის „ივერიამ“ უცვლელად გადმობეჭდა და იქვე გაუკეთა მინაწერი, თავ. ი. ჭავჭავაძეს ამით ხაშუალება ეძლევა, თავი იმართლოს, წაყენებული ბრალდებები გააბათილოს.

დღეკვანდელი მკითხველი უყოყმანოდ დამეთანხმება და ვგონებ, არც მაშინდელი მკითხველი იქნებოდა სხვა აზრისა, რომ ეს „თავის მართლება“ და გაბათილება, თუ მას შეურაცხყოფილი პოეტი იკადრებდა და მოიწვევინებდა, „ივერიის“ ფურცლებზე პასკვილის გადმოუბეჭდავდაც შესაძლებელი იყო.

მე აქ ვცილდები პუბლიკაციის ავტორის, ბ-ნ ს. ჯორბენაძის თვალსაზრისს, რომელიც მომხდარ ხმეწუხარო ფაქტს ილიასადმი ფ. გოგიჩაიშვილის უაღრესი მოწიწებითა და კეთილგანწყობილებით ხსნის. სწორედ ისეა, რომგორც ანდაზაში: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

როდია გასაკვირი, თუ „ივერიის“ დაუფიქრებელმა ნაბიჯმა დაუფარავი უკმაყოფილება გამოიწვია იმათ შორის, ვინც ილიას ღრმა ჰუმანიზმს, დემოკრატიზმს, ხალხისადმი მამაშვილურ დამოკიდებულებას, ერის წინაშე გაწეულ გამორჩეულ ამაგს და უმწიკვლო მამულიშვილობას შეუვალ ეროვნულებად თვლიდა. ამის დასადასტურებლად ს. ჯორბენაძეს მოჰყავს ეკატერინე გაბაშვილის პირადი წერილი რედაქტორისადმი, რომელიც აქამდე გამოქვეყნებული არ იყო და პუბლიკაციის ავტორისათვის ფ. გოგიჩაიშვილის მემკვიდრეებს გადმოუცია.

აი, ეს წერილიც:

„ბატონო რედაქტორო!

ეს არის ეხლა წაიკითხე „ივერიაში“ ცნობა ილია ჭავჭავაძეზედ და ისე აღაშფოთები, რომ არ შეიძლიან ჩემი გულითადი წყრომა არ გამოგიცხადოთ!

ნუთუ ილია ჭავჭავაძე, ის ილია, რომელიც მთელი ორმოცდა ათი წელიწადი ქართველი ხალხის სამკაული ითვლებოდა, ღირსი არ იყო თქვენგნით პირადად გენახათ, შეგებეკოთ ყოველივე და შემდეგ გენებებინათ თავზე ლაფის დასხმა.

ავტორიტეტების დასამხობად განა უმადურობა უნდა ვიხმაროთ? განა წასულ ‘ ღვაწლს იმდენი ფასი არა აქვს, რომ ეურნალისტის სისასტიკე ოდნავათ მაინც შეასუსტოს და ავადმყოფს მგზანსნს თავზარი არ დასცეს? არ შელახოს ის სიწმინდე, რომელიც ხელშეუხებელი უნდა იყვეს, მეტადრე ახლა, როდესაც ერთი კაცი კი ვგვაჯს, რომ ხმა ამოიღოს... მაგრამ დღე თვით თქვენმა საქციელმა და მისმა შედეგმა გაგაცეთ პასუხი.“

ეკატერინე გაბაშვილის პატიოსან, ძუძუს დიდების შარავანდედით ამკობს ეს პირუთვნელი წერილი. მისი მიღებით რედაქტორს, ანუ მწერალსაც გამოუსწორებელი შეცდომა მოუვიდა, თავს მეჩი უნდა დასცემოდა და ახლა მაინც ეკადა. უნებლიე, თუ ბოროტა ენების წასანინებელთ ჩადენილი ავკაცობა რიგიანე გამოესწორებინა, მაგრამ ფილიპე გოგიჩაიშვილი ასე რიგი მოიქცა, დამწვარს მდუღარე გადაასხა და დამბუქსავი წერილი გაუგზავნა ეკატერინე გაბაშვილს:

„თქვენს „გულითად წყრომას“ ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ვერც თქვენს „დარიგებას“ გამოვიყენებთ რამეში.

ეტყობა, ალელვებს ნება არ მოუცია თქვენთვის, დაბეჭდილი ნერიროანად წაგეკითხთა, თორემ გაიგებდით, რომ ის წერილი თავ. ი. ჭავჭავაძის შესახებ სხვა გაზეთიდან არის ამოღებული და ჩვენ ჩვენი მხრით დაუჯერებლად ვთვლით და ილიასაგან პასუხსა და განმარტებას ველით.

უფაქვერდაც ვიცით, რომ „ჩვენს საქციელზე“ პასუხს ჩვენვე ვაგებთ, ისიც ვიცით, რომ ილია ჭავჭავაძეს თქვენი ადვოკატობა არ ესაჭიროება...

ეს იქმარეთ თქვენი წერილის პასუხად და შემდეგშიაც გაგვთავისუფლეთ თქვენი „ნატაციებისაგან“.

ეკატერინე გაბაშვილისადმი გაგზავნილი პასუხის ტექსტი და ქვეტექსტი, მისი ტონი, თავის სათქმელს თავადვე ამბობს და ვფიქრობ, რომ მან ჩვენი ფსიქოლოგიურ-ლოგიკური ანალიზი აღარ სჭირდება.

აქ, როგორც დავნახეთ, არც სინანული ჩანს, არც გულისტკივილი და არც ის, რომ ზედმეტი რედაქტორული თვითდაჯერებულობა და ქედმაღლობა, მეთოხველის, ისიც ცნობილი მწერლის „მაგდანის ლაჯანა“ და „ღვინია გადაინეხა“ ავტორის, არად ჩაგდება, მეცამეტე გოჯად მისი გამოცხადება ვერაფერი საქებარი და თავმოსაწონებელი საქციელია.

ს. ჯორბენაძე თანმიმდევრულად გადმოგვცემს საქმის ვითარებას და ჩვენც მას მივყვეთ.

სულით ხორცამდე შეურაცხყოფილმა პოეტმა დაწერა პასუხი და მას სათაურად აგრეთვე „ნუთუ?“ უწოდა.

„ყველაფერადან ჩანს, — წერს ს. ჯორბენაძე. — რომ ილია განაწყენებული დარჩა იმით, რომ „ივერიამ“ ღირსების შემლახველი კორესპონდენცია მოელიანად გადმობეჭდა და ამით ხელი მოუმართა ავტორს გაეკრცელებინა საძაგელი მოთხრობა“.

გარდა ამისა, ილია უკმაყოფილო დარჩენილა თავისი ტექსტის რამდენიმე რედაქტორული ცვლილებით და იქვე დართული სარედაქციო შენიშვნით. ფ. გოგიჩაიშვილმა არ შეასრულა ზეპირი შეთანხმება, პოეტის პასუხის

ტექსტისათვის ხელი არ ეხლო და იგი ყოველგვარი ცვლილების ჯარეშე დაბეჭდა.

რა ხასიათის ცვლილებები მოხდა?

„ჩემს წერილში წაგიშალეს მხოლოდ სამი სიტყვა, — ეკითხულობთ ფ. გოგიჩაიშვილის ოჯახშულებებში. — ერთი პატიცემული პირის სახელი და ჯვარი. ერთიც მიწინააღმდეგის ნიმართ მკვახე სიტყვა, რომელიც გაკვიცებულ ილიას კალმიდან მოსხლეტოდა და მის კალამს კი არ შეეფერებოდა. და ორ ადგილას მძიმე ნიშნები ჩაუსვი, რომელიც ავტორს გამორჩენოდა".

ხანმა რომ გაიარა, გადმოგვცემს ს. ჯორბენაძე, ფ. გოგიჩაიშვილი წუხდა, ნეტავი ილიას ტექსტი რად შეეცვლერიო. მაგრამ ამავე დროს მიიჩნდა, რომ ამ საქმეში არსებითად უცოდველი იყო. დაუწერია კიდევ 1937 წელს, ინციდენტიდან 32 წლის გასვლის შემდეგ:

„ეული მტკიოდა ყოველთვის, როცა კი ამას მოვიგონებდი და დღესაც ეული მტკივა. როგორც კი გამახსენდება, მაგრამ ეს გასდავთ „ეულის საქმე" და „ეული" ვერ ვაადწევეტს საკითხს. საქმე ის არის, რომ ილია პასუხის გაცემას არ აპირებდა, და კითხვა ეხსა: ემკობინებოდა, რომ მრავლები უასუხოდ დარჩენილიყო, თუ ის სჯობს, რომ ილიამ დასწერა ეს პასუხი და იგი ისტორიას აქუს გადაცემული?.. ჩემს ნაბიჯს ისტორიის ინტერესი ამართლებს."

ვითომ? არა ვგგონია. საით მიეუეგართ ფ. გოგიჩაიშვილის ლოგიკას? თუ ილია ასაკთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან შეუთავსებელ სიმაჯეეს გამოიჩენდა და წერეამურის ბოლოზე ნასროლ ტკვიის ტკვიითვე უასუხებდა, მის მკვლელებსაც შეეძლოთ ეთქვათ: ჩვენ რომ არა, როგორ გავიგებდით. პოეტი რა საარაკო მსროლელი იყოო.

ნურავინ გაიოცებს, თუ მკითხველს ეს სამარცხვინო, ქართველობის თავლაფდამსხმელი ფაქტი გავახსენე და გავახსენე სწორედ ამ კონტექსტში. ნაცვლიშვილის ხელით შეთითხნილი უსინდისო ცილისწამება, როგორც ზემოთაც ითქვა, 1905 წლის 10 აპრილს დაიბეჭდა. რა მიზანი ჰქონდა მას? მზადდებოდა ნიადაგი დიდი მამულიშვილის მოსაკლავად. მზადდებოდა საზოგადოებრივი აზრი. საჭირო იყო, იგი შუაზე გაებლიჩით და ერის მთლიანობისა თვის თავგანწირვით მებრძოლი გმირი თავდაზნაურობის ინტერესების. დამცველად და მის იდეოლოგად გამოეცვანათ.

1905 წლიდან საბედნიეროო 1907 წლამდეს სულ ორი წელია...

მაშინ იქნება ვერავის წარმოედგინა, თუ ვინმე „ხაუკუნის მკვლელობას" გაბედავდა. ილიას წინააღმდეგ ხელს აღმართავდა, მაგრამ ვაბედეს და საშობნოთ ძაღებით შემოსეს.

სხვისი სხვამ ბრძანოს, მაგრამ პირადად მე ვერ შეეგისმენ და ვერ შეეფუნჯრეგ „ეულიანი" უკანასკნელი რედაქტორის [illegible] ვერ დავიჯერებ მის სიმართლეს [illegible] ლობას. აკი ილია თვით წერია თავის პასუხში: „ჯერ ბრალდებელს უნდა დაასაბუთებინოთ ბრალდება იმოდენად, რომ დასაჯერი მაინც იყოს, და მას მერმეთ, დიად, მხოლოდ და მხოლოდ მას მერმეთ მოეკითხოს ბრალდებულს პასუხი. უკანასკნელ ბრალდებულთა სკამზე დასმა ადამიანისა პასუხის საგებლად წაუწმედეა, მიწასთან განსერიტნაა... თუ მართალი ხარ, თავი იმპრანელ ბეკდვითო, ეს ადვილი ხალმეელია და ზოგჯერ შეუძლებელიც ახასრულებლად...

ნუთუ ეს ყოველად უსაბუთო, ყოველად უნდაში ბრალდება უნდა დაბეჭდოს ან გაზეთმა, ან ეურნალმა იმ იმედით, რომ ეს ამბავი თუ ტუნელია, ბრალდებული ამ ტუელს დაამტკიცებსო.

...ან ვისა აკეს იგი ადამიანის ღირსებისათვის უკადრისი მართლა-და უფლება, იგი ყოველად შეუწუნარებელი და ადამიანის შემაგინებელი ბატონობა, რომ კაცი პასუხისმგებლად მოედაწუ გამოსაკითხოს, ვიდრე ბრალდებეს თავისი არ დაუსაბუთებია იმოდენად მაინც, რომ პირველი შეხედვით საბუთი — საბუთს მგავდეს და არა ტუეილების გუდას."

ვგგონებ, არ იყო საჭირო, ეს სიტყვები ნაგვეკითხა და შემდეგ ვისიმე ეულისტკივილზე, რა სახელგანაქმეული მეცნიერი და მოღვაწეეც არ უნდა გამდარიეო ის ეულიტკივებული, კრნტი დაგვეძრა.

ვიტუან, მეტისმეტად შორს შეეტოპე და წერილიც განზრახეულად ბევრად უფრო ვრცელი გამოვიდა, სათქმელი კი უაბრავი დარჩა. თუ წერილის ფორმა და ეურნალის მიერ დათმობილი ადგილი მოითმენდა, მინდოდა ორიოდე სიტეეთი შეეხებოდი ამ საინტერესო ეურნალის ფურცლებზე გაჭდილ თეორიულ დისკუსიებს — საფიზეზოებს, სადაც მრავალი აკტუალური საკითხია დასმული და გადაწეეტილი. ხელმოწერილ მეთაურ წერილებსაც კი, რომლებიც ასე გადაუკრანტავი მადლიანი ქართულით, ასე ადამიანურად, საკმის ახე ღრმა ცოდნით არის დაწერილი, მაგრამ მომიტეევონ თუ ეგზომ დიდი და მრავალფეროვანი მასალის ავ-კარგის ანლუსხვა ერთ წერილში ვერ დავტიე და მხოლოდ რამდენიმე, ჩემის აზრით, საკვანძო საკითხის განსკა-განხილვით დაკვმაყოფილდი.

ეუფსაკი — „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" დღეს ერთ-ერთი იმედის მომცემი, უადრესად საუურადღებო ლიტერატურულ-პედაგოგიური ბეკდვითი ორგანოა, რომელიც დაუფასებელ სამსახურს უწევს საშეალოში საკმეს — ენისა და ლიტერატურის ანალიტიკური ცოდნით მოსწავლე ახალგაზრდობის შეიარაღებას.

ეთერ მგალობლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექსპირი ქართულ ლიტერატურასა და თეატრში (1900—1925 წწ.)

დიდი ინგლისელი დრამატურგის შექსპირის (1564-1616) შემოქმედებისადმი ინტერესს საქართველოში ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში იჩენენ. XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან გვგზავნება შექსპირის ნაწარმოებების პირველი ქართული თარგმანი, რომელიც დაკავშირებულია ცნობილი მწერლისა და ხაზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის სახელთან. შექსპირის პიესები უთარგმნიათ აგრეთვე ილ.ჭ. ორდაზიანს, მიხ. ყიფიანს. 1878 წელს კი ილია ჭავჭავაძემ და ივანე მაჩაბელმა თარგმნეს „მეფე ლირი", რომელთაც ახალი ეტაპი იწყება შექსპირის ქართულად თარგმნის ისტორიაში.

„მეფე ლირის" თარგმანს მოძღვა ივანე მაჩაბლის მიერ დამოუკიდებლად შესრულებული შექსპირის ტრაგედიები: „ჰამლეტის", „ოტელოს", „იულიოს კეისარის". „ანტონიოს და კლეოპატრას", „მაკბეტის", „რიჩარდ მესამის" და „კორიოლანოსის" თარგმანები.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ სცენაზე დაიდგა შექსპირის პიესები. ამავე პერიოდში გამოქვეყნდა რამდენიმე ხელიტა შექსპირის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ამგვარად, XIX საუკუნეში შესრულებული შექსპირის ნაწარმოებთა თარგმანები, დადგმები თუ მათ შესახებ დაწერილი კრიტიკული წერილები მყარ ნიადაგს ამზადებენ ქართული შექსპირიანის შემდგომი განვითარებისათვის.

XX საუკუნის დასაწყისიდან შექსპირის შემოქმედებისადმი ინტერესი კიდევ უფრო ღრმავდება და, შეიძლება ითქვას, ახალ შინაარსსაც იძენს.

მიუხედავად ამისა, თვალი XIX საუკუნის ბანძლზე საქართველოში დიდ ყურადღებას იჩენდნენ შექსპირის შემოქმედებისადმი, ამ პერიოდში, ერთი გამონაკლისის გარდა, შექსპირის სონეტები არ უთარგმნიათ. XX საუკუნის დასაწყისში შექსპირის სონეტებით ინტერესდება ახალგაზრდა პოეტი ს. შანშიაშვილი. მან თარგმნა ოთხი სონეტი.

ს. შანშიაშვილს ეს სონეტები გადმოქართულებული აქვს რუსული თარგმანებიდან და ვერ აკმაყოფილებენ რეალისტური თარგმანის მოთხოვნილებებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ რადგან შანშიაშვილის თარგმანებით საფუძველი ეყრება შექსპირის სონეტებისადმი დიდ ინტერესს XX საუკუნეში.

საკურადღებოა ის, რომ XX საუკუნის პირველ მეოთხედში არც ერთ მწერალსა და მთარგმნელს არ უცდია შექსპირის ტრაგედიების გადმოკართულება. ეს ფაქტი სავსებით ბუნებრივად შეიძლება ჩაითვალოს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ პერიოდისათვის ქართველ საზოგადოებას უკვე მოეკოვებოდა შექსპირის თითქმის ყველა ტრაგედიის ბრწყინვალე მაჩაბლისეული თარგმანები, რომელთა ხელმეორედ თარგმნა ვერაფერს შეტანტებდა ქართულ თარგმნილ ლიტერატურას, თვით მთარგმნელს კი ალბათ კაღნიერებადაც კი ჩაეთვლებოდა.

აღნიშნულ პერიოდში ჩვენ ვხვდებით შექსპირის მხოლოდ თხრობით გადმაკეთებულ დრამებს, რომლებიც შესრულებულია იმ მიზნით, რათა ბავშვებისათვის ინტერესი გაეღვიძებინათ შექსპირის შემოქმედებისადმი. ასე მაგალითად, თ. კანდელაკის მოზრდილთათვის მოლდად გადმოუკართულებია „ვენეციელი ვაჭარი". ასევე თხრობით გადმოუკეთებია ან. წერეთელს „მეფე ლირი".

თუ XIX საუკუნეში შექსპირის ნაწარმოებების თარგმნას ეწევა მეტი ყურადღება, XX საუკუნის დასაწყისიდან ქართული საზოგადოება განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისა და მისი ნაწარმოებების კრიტიკული გაშუქებისადმი.

1902 წელს ჟურნალი „მოამბე" ბეჭდავს XIX საუკუნის ცნობილი გერმანელი ისტორიკოსისა და ლიტერატურათმცოდნის გერვინუსის გარჩევას შექსპირის დრამებისა: „მეფე ლირი", „ჰამლეტი", „მაკბეტი", სადაც განხილულია აღნიშნული დრამების დაწერის ისტორიული პირობები, გადმოცემულია მათი მოკლე შინაარსი და დახასიათებულია მთავარი მოქმედი გმირები.

ინგლისელი დრამატურგის შემოქმედების კრიტიკულ შეფასებას ვხვდებით ეკა-ფაშვაელის წერილებში. წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი" აწყარად ჩანს ქართველი პოეტის დიდი პატივისცემა და სიყვარული შექსპირის შემოქმედებისადმი. კოსმოპოლიტიზმსა და პატრიოტიზმზე მსჯელობის დროს თავლინ დებულებების (რომ „ყოველი ნამდვილი პატრიოტი კო-

სმოპოლიტია, ისევე როგორც ყოველი გონიერი ნამდვილი პატრიოტი"). დასასაბუთებლად ვაჟა შეუსპირს მიმართავს: „შეუსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრობა სტკბება დღესაც". ამავე წერილში შეუსპირს ვაჟა ახასიათებს როგორც დიდ გენიოსს, რომელიც ეროვნულმა ნიადაგმა „აღზარდა" და ისე „განადიდა", რომ მთელმა კაცობრობიამ ღვაწლ შეიღალა აღიარა.

ვაჟა-ფშაველას მიერ შეუსპირის შემოქმედების ღრმა ცოდნა და მისი მაღალი შეფასება მეფლვნდება აგრეთვე ის. ვართაგავას კრიტიკაზე ვაჟა-ფშაველას ხასიათები წერილში. სადაც პოეტი განმარტავს, თუ რა არის „სტუმარ-მასპინძელში" და „ბეგლის მკვლელში" ხალხური და რა ინდივიდუალური. თავისი პოეტების ხალხურობის „გასამართლებლად" მგზავსი ისევ შეუსპირის იშველიებს: „ყოველი დიდებული ნაწარმოები შეუსპირისა, გიოტესი ხალხურ თქმულებებზეა აშენებული", მაგრამ ვაჟამ კარგად იცის, რომ შეუსპირის ნაწარმოებთა სიდიადე მხოლოდ ხალხურობით არ ამოიწურება, რადგან რაგინდ მდიდარი შინაარსის არ უნდა იყოს ხალხური თქმულება, თუ პოეტმა მასში რაიმე ინდივიდუალური არ შეიტანა, არ გარდაქმნა, „საკუთარ სულიერ ტრაბში არ გადაადნო", მაშინ ასეთი ნაწარმოები კარგ ნაწარმოებად არ ჩაითვლება: „ავტორება „ფაუსტს" გიოტეს გარდა ასობითა მეავდა, მაგრამ გიოტეს მეტმა ნამდვილი „ფაუსტის" დაწერა ვერავინ შესძლო, რადგან საკუთარმა ტრაბ ვერამ სხვა მწერალთა ვერ შესძლო გადადუღება ხალხისგან მოცემული მასალისა და მის საკუთრებად გარდაქმნა. ესეგე დაემართათ შეუსპირის „მაბეთს", „მეფე ლირს", „რომეო და ჯულიეტას" და სხვ."

ვაჟა-ფშაველა არა მარტო კარგად იცნობდა და დიდ პატივს სცემდა შეუსპირის შემოქმედებას, არამედ გრძნობდა მის სიიაფოვეს და მსგავსებას საკუთარ შემოქმედებასთან, რომელიც დიდმა მგზავსმა თავის ნაწარმოებებზე საუბრის დროს მისთვის სათაყვანებელი ხალელის: შეუსპირის, გოეთეს, რუსთაველის ჩაზოთელის შემდეგ მეტად მოკრძალებულად აღნიშნა: „მე, თქვენი უმორჩილესი მონა, არ ხახსენებელი ვარ ამ გოლიათებთან, მაგრამ ერთი გარემოება მაძლევს უფლებას ჩემი თავიც იმათთან ერთად ვახსენო — ეს გახლავთ მსგავსება ქმნისა, შემოქმედობისა".

შეუსპირის შემოქმედების კრიტიკული გაშუქების დროს ქართული ლიტერატურა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ის ნაწარმოებების მიმართ, რომლებიც XX საუკუნის პირველ მეოთხედში ქართული თეატრის რეპერტუარის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

1912 წელს „სახალხო გაზეთის" ფურცლებზე იბეჭდება დ. კარჩაძის რეცენზია „იულიოს კეისარის" ქართულ სცენაზე დადგმის გამო. წერილის ავტორი იძლევა ნაწარმოების ანალიზს, გაანიხილავს კეისრის, ბრუტოსის, პორციას და სხვა გმირების სახეებს.

1913 წელს კი ეურნალ „ცისფერ ყაყაჩოს" ფსევდონიმით ვხვდებით ... კრიტიკულ ანალიზს, რომელშიც განხილულია ნაწარმოები, წარმოდგენილია მთავარი გმირები და მათი განწყობილება. ავტორი ერთმანეთს ადარებს ოტელოს და დეზდემონას და ამ შედარებით ბაზს უსვამს მათ კონტრასტულ სახეებს. კრიტიკოსი მთელი ტრაგედიის პომბიბელელობას სწორედ ამ კონტრასტული გარეგნობის მჭონე ადამიანების სიყვარულში ხედავს.

შეუსპირის შემოქმედებისადმი დიდი ინტერესისა და სიყვარულის გამოხატვაა ქართველი ხაზოგადოების ერთსულოვანი გამოხმაურება მისი დაბადებიდან 350 წლისთავისადმი. ამ თარიღთან დაკავშირებით ხუთადასხვა ქართულ ეურნალ-გაზეთებში ვხვდებით სალიტერატურო მასალებსა და კრიტიკულ წერილებს შეუსპირის შესახებ. ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გ. ქიქოძე შეუსპირის იუბილეასადმი მიძღვნილ წერილში აღნიშნავს: „მან შექმნა უკვდავი მხატვრული ტიპები და სახეები, ის შეეხო ყველა დიდ პრობლემას, რომელიც აღელვებენ კაცობრობას. მისი აზრები სიცოცხლის, სიკვდილის, სიყვარულის, ბედისწერის ღა სხვათა შესახებ მუდამ დარჩება კაცობრობის ხსოვნაში, როგორც დაუშრეტელი წყარო სიბრძნისა და დაკვირვებისა". ქიქოძის აღფრთოვანებას იწვევს დიდი დრამატურგის მხატვრული ინტუიცია, „რომლის წყალობითაც მან აღმოაჩინა უიდუმალესი კუთხეები ადამიანის სულისა, გააცოცხალა წარსული და აღადგინა შორეული ეპოქების ისტორიულ გმირთა სახეები".

შეუსპირის დაბადებიდან 350 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილებს შორის ყურადღებას იქცევს ილოს იმედაშვილის (ი. ანიმპოიელის ფსევდონიმით) წერილი, იმით, რომ შეუსპირის ავტორობის საკითხი ქართულ პრესაში პირველად სწორედ ამ სტატიაშია საეკვოდ მიჩნეული.

ი. იმედაშვილი წერილის დასაწყისში დიდი პატივისცემით ახსენებს შეუსპირს, ხოტბას ასხამს მას, როგორც გენიოსს, „ყველა დროისა და ხალხის დიდ დრამატურგს". წერილის ავტორი სიამაყის გრძნობით აღნიშნავს, რომ სხვა ერებს შორის ქართველებსაც მოეპოვება ნაწარმოებნი „მაბეთი", „ოტელო", „მეფე ლირი", „ეროლანთს", „ანტონიოს და კლეოპატრა", „რიჩარდ მესამე" და სხვ. „იე მაჰაბლისაგან ხაუცხოოდ ნათარგმნი". წერილის ბოლოს კი იმედაშვილი მეოთხეულ ცნობას აწყვდის, რომ შეუსპირის ავტორობა სადავოა: „დღესაც, ხამნახევარი ხაუკუნის შემდეგ, სადაოდაა გამხდარი. შეუსპირის ხახელით ცნობილ მაღალ ქმნილებათა ავტორი თვით შეუსპირია თუ სხვაო (ზოგნი სხვას ახასენებენ)". ამ ცნობის არსებობამ, ალბათ, ჩანს, თვით წერილის ავტორიც დააფიქრ... ამიტომ ... ის

რომელიმე მოსაზრებას კი არ ემბრძოლა, არამედ უბრალოდ დასძინეს: „მაგრამ ვინც უნდა იყოს ნამდვილი ავტორი სულ ერთია, ვინაიდან დღეს კაცობრიობა შექსპირის სახით თაყვანსა სცემს იმ პიროვნებას, რომელმაც კულტურულ კაცობრიობას მიანება მშვენიერების, მაღალმიზნობისათვა, უკეთურების დათრგუნვისა და მარად სიკეთის ძიების უშრეტი წყარო!..."

შექსპირის დრამებს შორის ქართული ლიტერატურა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს „ჰამლეტის" კრიტიკული გაშუქებისადმი. ამ პერიოდის ქართულ პრესაში შექსპირის ნაწარმოებების არცერთი გმირის სახე იხე სრულფოფილად არ არის გაგებული და გამოკვეთილი, როგორც ჰამლეტისა. ჰამლეტის ახეთი „მიეკრძობა" შეიძლება ბუნებრივად ჩავთვალოთ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართველი საზოგადოებისათვის „სეფდანი" დანიის პრინცი საეკვარელი და ახლობელი იმდენად, რამდენადაც ამ პერიოდის ინტელიგენციია ჰამლეტში ხედავს საკუთარი სულის ნაწილს.

შექსპირის შემოქმედების დიდი დაფასების დადასტურებაა ახეთი ის ფაქტი, რომ მისი გარდაცვალებიდან 300 წლისთავად დაკავშირებით ეურნალ „თეატრი და ცხოვრების" რედაქციას განუზრახავს საგანგებო ნომრის გამოცემა. ამ მიზნით რუსეთში შეუკეთავთ შექსპირზე საეკლესიური მასალების მოძზდება, მაგრამ როგორც ეურნალი იტყობინება, ყველა საჭირო მასალა დროზე ვერ მიუღიათ და ამიტომ რედაქციას გადაუწყვეტია უკვე მიღებული ცნობების დროგამოშვებით გამოქვეყნება.

ეურადღებას იქცევს ზალვა დადიანის წერილი „ხანი საოკუნის წინეთ", რომელიც ამოკრეფილია რუსეთიდან მიღებული მასალებიდან.

როგორც უკვე ალვნიშნეთ, ეჰვი შექსპირის ავტორობის შესახებ ქართულ პრესაში პირველად 1914 წელს გამოთქვა, მაგრამ ეს იყო მეტად მოკრძალებული, ყოველგვარ დასაბუთებებს მოკლებული ცნობა. ზალვა დადიანის ეს წერილი კი მიზნად ისახავს „გაარკვიოს" შექსპირის ვინაობა, რომელიც სამი საუკუნის მანძილზე „ბურუსით იყო მოცული". ის მკითხველს გადაჭრით ამცნობს, რომ დიდებული ტრაგედიებისა და კომედიების ავტორი არის არა შექსპირი, არამედ რეტლენდი. ამ დებულების დასასაბუთებლად წერილში მოტანილია ბელგიელი პროფესორის დანმბლონის მოსაზრება, რომელსაც დაკვირვებით შეუსწავლია რეტლენდის ცხოვრება და აღმოუჩენია, რომ ნაწარმოებთა ქრონოლოგიური რიგი სრულიად შეესაბამება რეტლენდის ცხოვრებას. ავტორს კარგად ესმის, რომ ქართველი მკითხველისათვის ამ ახალი თეორიის მიღება არც იხე ადვილია. ამიტომ წერილის ბოლოს ის დასძენს: „თუმცა ამ სტრიქონების წერის დროს მომდის ფიქრად: რა ძნელი უნდა იყოს მკითხველისათვის შექსპირის სახელის დათმობა. ისეთი შარავანდედიდან არის ეს სახელი მოსილი. მაგრამ მეცნიერულ სიმართლეს რათ უნდა გავექეცით და ეს სიმართლე რატომ ... უნდა ვიცოდეთ ქართველებმაც". როგორც ჩანს, შალვა დადიანი უკრძალოდ ეზიარება „ბანდლერ-ნის თეორიას და ამავე დროს მის პოპულარიზაციას ეწევა.

უნდა ითქვას, რომ შალვა დადიანის ამ წერილს ქართულ პრესაში არავითარი დისკუსია არ გამოუწვევია. მაგრამ ამ ახალმა თეორიამ ამ პერიოდის ქართულ ინტელიგენციაში ფესვი რომ ვერ მოიკიდა, ეს ჩანს შექსპირზე ამ წერილის შემდგომ გამოქვეყნებული სხვადასხვა კრიტიკული წერილებიდან და თეატრალური რეცენზიებიდან.

1900-1925 წლებში ქართულ ლიტერატურაში შექსპირის შემოქმედების კრიტიკულ გაშუქებასთან ერთად ვხვდებით მისი ტრაგედიების შთაგონებით შექმნილ ქართულ ორიგინალურ ლექსებს. ამის ნათელი მაგალითია გ. ტაბიძის ლექსი „ჰამლეტის ქნარით":

ამაოა მთლად ცხოვრება, დრტვინვის
წუთისოფელია,
წყდი... წყდი მონასტერში, მონასტერში
ოფელია!
ტკბილი ნანა სულს უთხარი, უბედობა ხატს
ჰბეენე,
დამაშვრალი სული, გული მონასტერში
მოსასვენე!
მაშ, შორს მტვერი, შორს, შორს მიწა! — ის
ცის უარმყოფელია,
წყდი... წყდი მონასტერში! მონასტერში,
ოფელია!

ლექსში აშკარად იგრძნობა შექსპირის დრამის „ჰამლეტის" გამოძახილი, რომელშიც ახასხელი წინაალმდეგობებით სავსე ცხოვრება, იმედის გაცრუება და სასოწარკვეთილება.

ახეთე პოეტს ლექსში „მერი", თავისი სათაყვანებელი არსების დაკარგვის გამო გამოწვეული უსაზღვრო სევდა უკიდურეს სიმძაფრემდე ამაყავს შემდეგი სტროფებით:

და მე ავტორი — ვით მეფე ლირი,
ლირი, ყველასგან მიტოვებული.

შექსპირის ტრაგიკულ გმირს ადარებს თავს ბგრეთვე ქართველი პოეტი ი. გრიშაშვილი ლექსში „ვამოიხოვება ძველ თბილისთან" ანუ დუდუკის საარი ქარს ალარ მოაქს":

ვრჩები ოტელო უდეზდემონოდ
მე სხვა ცხოვრების წინამორბედი...

„ოტელოს" გამოძახილი იგრძნობა ი. გრიშაშვილის ლექსში „ჩემს დეზდემონას".

„მეფე ლირის" აზკარა გავლენა ემჩნევა ქართველი ეუონალისტისა და ლიტერატურის ვეფხო-ფშაველის (აკობაშვილი) ლექსს „მეფე ვარ ლირი", რომელშიც ავტორი თავის ბედს უსაბოკაროდ და უკაცრონოდ მიტოვებული ლირის ბედს ადარებს:

მეფე ვარ, მეფე, მეფე ვარ ლირი
დღეს უსახლკარო და უბინაო

დაკარგნი, დაკვეძე მუდამ სავანენ,
რომ სული სადმე დავანახონო!...
თუმც დღეს ის არ ვარ რაც გუშინ ვიყავ
და დღეს ისეა ვარ არც ის ვიქნები,
ხელ. ზეგ, შემოეგზნი არარად ქმნილი
არარობად გარდავიკმნები.

. . . . . .

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში შექსპირის შემოქმედება ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში გაჩდა ცნობილი, მაგრამ მისი პოპულარობა უშუალოდ უკავშირდება ქართული თეატრის ისტორიას.

ვინაიდან ქართული თეატრი დაარსების პირველ ხანებში მეზვაედ განიცდიდა ორგანიზაციერი რეპერტუარის სიღარიბეს, სავსებით ბუნებრივი იყო, რომ სცენისმოყვარეები ბშირად უცხოელ დრამატურგებს მიმართავდნენ. უცხოური რეპერტუარიდან კი ყველაზე მეტი პოპულარობით შექსპირის ტრაგედიები სარგებლობდა, რადგან მისი გმირები თავიანი მისწრაფებებითა და ზოგადსაკაცობრიო იდეალებით ორგანელი იყო ქართველი ხაზოგადოებისათვის.

ქართული თეატრისათვის შექსპირი იმდენად ახლობელია, რომ 1873 წლიდან მის პიესას „ვენეციელი ვაჭარი" დიდი მონდომებით ანსახიერებენ როგორც პროფესიული მსახიობები, ასევე სცენისმოყვარეები. მუდმივი თეატრალური დასის დაარსებიდან კი ქართულ სცენაზე განსაკუთრებული ინტერესით იდგმება შექსპირის სხვა პიესებიც.

ხოლო XX საუკუნის დასაწყისში, როცა ქართული თეატრის დანიშნულება ერთიორად გაიზარდა, როდესაც ქართველი ხაზოგადოება თეატრისგან მოითხოვდა, რომ მას „გამოეხატა მთელი ერის ხელისკვეთება", ინტერესი შექსპირის დრამატურგიისადმი კიდევ უფრო გაძლიერდა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ 1900 წლიდან ქართული თეატრის სცენაზე სისტემატურად იდგმებოდა შექსპირის უკვდავი პიესები: „ოტელო", „ჰამლეტი", „ვენეციელი ვაჭარი", „იულიოს კეისარი", „მეფე ლირი", „მაკბეტი", „ჯერეველი ცოლის მორჩულება".

1902 წლის 26 იანვარს ქართულ სცენაზე „ჰამლეტის" დადგმის შემდეგ ყურნალ „ცვალში" დაიბეჭდა რეცენზია, რომელშიც ნაკვეკვი, რომ შექსპირის „ჰამლეტი" ცოდად წარმოუდგენიათ. ეი რას ეკითხლობთ ამ დადგმაზე: „სამწუხაროა ანნიარად შექსპირის პიესების წარმოდგენა და თუ ძალები არა ყვავეს, ჯობს ისევ თავი დავანებინთ დიდ პრტეენზიებს და კარიკატურამდი ნუ მივიყვანთ საქმეს, ნუ შეურაცხეყოფთ დიდებული მწერლის ხსოვნას".

უარყოფითი რეცენზიები დაიბეჭდა აგრეთვე 1911 წ. „ოტელოს", „იულიოს კეისარის" და სხვ. დრამების დადგმის შესახებ.

როგორც ჩანს, ქართული თეატრისათვის შექსპირი უძლეველი აღმოჩნდა, რადგან მისი დრამები, თავისი ტექნიკით გაცილებით მაღლა იდგა ამ პერიოდის თეატრზე. ქართულ სცენაზე შექსპირის წარმოგენილობა შეიძლება ამითაც ავხსნათ, რომ ქართულ თეატრს [illegible] რითაც შეიძრნეოდა ბენეფ[illegible] ხაბენეფისოდ, როგორც წესი, ყველა მსახიობი ცდილობდა შექსპირის რომელიმე გმირი განეხორციელებინა, როგორც სულ ზაღაც 2-3 დღეში სწავლობდნენ. ცხადია, ასე ხან�deველი მომზადებით ისინი მიზანს ვერ აღწევდნენ. მაყურებელს ვერ წაროდგენდნენ შექსპირის გმირების სრულ სახეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველი მაყურებელი მუდამ დიდი სიხარულით მიელოდა შექსპირის ყოველი პიესის ქართულ სცენაზე წარმოდგენას, რადგან ის თავიანი ღრმა შინაარსით, ემოციურობით, გმირების კონფლიქტებით, ნებისყოფითა და მისწრაფებებით აღფრთოვანებდა მაყურებელს.

ჩვენ არ შევუდგებით ცალკეული მსახიობების მიერ განსახიერებული როლების შეფასებასა და შეფასებას შექსპირის გმირებისა. რადგან ეს ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს, მაგრამ ვგულის ვავეფლით ლ. მეხეზოვლსა და ალ. იმედაშვილს, განსაკუთრებით დიდი ვფ. ალექსიმეხეზოვლის ღვაწლი, როგორც შექსპირის გმირის ჰამლეტის პიესული და ამავე დროს ხაუკეთესო შემსრულებლისა. აღნიშნეულ პერიოდში ვფ. მეხეზოვლმა ჰამლეტის გარდა განსახიერა ედგარი, იულიოს კეისარი, ოტელო. ალ. იმედაშვილმა კი შექმნა იაგოს, მაკბეტის, ჰამლეტისა და ოტელოს მოამბეჭდავი სახეები.

ამის წარმოსადგენად, თუ მაი როგორ შეძლეს შექსპირის გმირების განსახიერება, მოგვაქვს რამდენიმე ციტატა იმ თეატრალური რეცენზიებიდან, რომელთა ავტორებსაც ნილად ხვდათ ბედნიერება სცენაზე ეხილათ ვფ. ალექსი-მეხეზოვლი და ალ. იმედაშვილი.

1901 წელს ვფ. მეხეზოვლის მიერ წარმოდგენილ ჰამლეტზე. „ცნობის ფურცელში" ვკითხულობთ: „ლ. მეხეზოვლი ბეკრერ ვვინახავს ჰამლეტის როლში და ეოველთვის ხაზოგადოება ალტაკეაში მოუყვანია. 15 მარტის წარმოდგენამ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ მეხეზოვლი სხვა ერის სცენასაც დაამშვენებდა".

ასევე კარგად შეუხსოლებია ფ. მეხეზოვლს კეისრის როლი. 1912 წელს დ. კარაძე „იულიოს კეისრის" დადგმისადმი მიძღვნილ რეცენზიაში აღნიშნავს, რომ მთელი დასიდან მხოლოდ მეხეზოვლი მოსწონს.

1915 წელს კი ალ. იმედაშვილის მიერ განსახიერებულ ოტელოზე იგივე თეატრალური რეცენზენტი წერს: „მთელი სპექტაკლის განმავლობაში იგი გადმოგვცემდა თავისი გმირის სიცოცხლეს, მის ღრმა ეჭვიანობას, თავაზე მისი შეწონილი იყო მის ხელიერ განცდასთან, ეპოოსი ხავსე, ზომიერი ფერადებით, დინამიური ფეთქვა და ერთ ბეწვადაც არ მისცემია ბაბოლის, არ გაუმეორებია დრამატიული რუთინა, ეერეთ წოდებული თეატრალური ტრაფარეტი".

ზემოთ მოტანილი ციტატებიდან აშკარად ჩანს, რომ ამ პერიოდში ქართულ თეატრს ბუჯე შუქსპირის გმირების ბრწყინვალე შემსრულებლები ეყო. ალექსი-მესხიშვილისა და ალ. იმედაშვილის სახით. მაგრამ, როგორც ირკვევა, მხოლოდ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ შუქსპირის პიესები თავიდან ბოლომდე კარგად დადგად. შუქსპირის პიესების მთლიანად დასაძალვად კარგ მსახიობებთან ერთად საჭირო იყო კარგი რეჟისორი და ცოდნით აღჭურვილი მთელი თეატრალური დასი, რაც ამ პერიოდის ქართულ თეატრს არ გააჩნდა. ეს ნაკლი კარგად ჭვრნდა შეგნებული ქართველი საზოგადოებას და ის ყოველნაირად ცდილობდა მის შეგსებას. თეატრის მეცხეურნების დამბარებით რუსთაველ და საზღვარგარეთ იგზავნებოდა ცალკეული პირები სასცენო ხელოვნების შესასწავლად.

1918 წელს გიორგი ჯაბადარის მიერ ჩამოყალიბებულმა სტუდიამ, მიუხედავად თავისი ხანმოკლე არსებობისა, დიდი როლი შეასრულა ახალგაზრდა მსახიობების დოსტატებაში.

ამრიგად, ქართულ თეატრში თანდათანობით იქმნებოდა იმის პირობები, რომ რეჟისორებს უფრო გაეუმჯობესებინათ მიზანსცენები, მსახიობებს უფრო სრულყოფილად წარმოედგინათ შექსპირის გმირები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი მაყურებლის კრიტიკულმა რეცეპშენებმა დიდად შეუწყო ხელი ქართული თეატრის სცენაზე შექსპირის დრამების შემდგომ წარმატებებს. ხოლო შექსპირის დრამებს ქართულ სცენაზე თანდათანობით მეტი წარმატებები რომ ჰქონდა, ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს 1922 წელს ვახტანგ გარიკის (ჯაჩვაძე) მიერ ხახალო სახლის სცენაზე ახალი ინტერპრეტაციით დადგმული „ჰამლეტი“ („ჰამლეტის როლს თვითონ გარიკი ასრულებდა), რომელმაც ქართველი საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. ახევე წარმატებები ხვდა წილად 1923 წელს ა. ფალავას მიერ დადგმულ „ჰამლეტს“ („ჰამლეტის როლი გიორგი დავითაშვილმა შეასრულა). ამავე წელს წარმოდგენილ „ოტელოს“ კი ქართველი მაყურებელი ერთ-ერთ საუკეთესო სპექტაკლად მიიჩნევდა მთელი სეზონის მანძილზე (ოტელო განასახიერა ალ. იმედაშვილმა, იაგო — ა. ვასაძემ, დეზდემონა — ვ. ანჯაფარიძემ).

1925 წელს კოტე მარჯანიშვილმა და სანდრო ამბარცუმანმა სრულიად ახალი მიზანსცენებით, ფორმის ახალი გაგებით და გამოსახვით დადგეს შექსპირის უკვდავი ტრაგედია „ჰამლეტი“, რომელშაც ლიტე და ვეგა „ფუენტე ოვეხუნასთან“ ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართული საბჭოთა თეატრის დაარსებას.

თუ აქამდე ქართულ სცენაზე „ჰამლეტი“ მთლიანად არ იყო დაძლეული, არ იყო გადაწყვეტილი ის დიდი პრობლემები, რომლებიც ინგლისელმა დრამატურგმა წამოაყენა თეატრის ხელოვნებაში, 1925 წელს კ. მარჯანიშვილმა „ჰამლეტის“ სრულყოფილად წარმოდგენით შექსპირს ხორცი შეასხა. სწორედ ამიტომ ეროვნული ... ...

„დრუჭბა ნაროდოვის“ ფურცლებზე

ლეონ მარტჩიანი

ცხოვრობდა კაცი და უყვარდა ადამიანები

ყველაზე კარგი წიგნები კარგ ადამიანებზე დაწერილი წიგნებია. თუ შესძელით და კარგ ადამიანზე რაიმე დაწერეთ, ეხე იგი ყველაფერი კარგადაა. ამაზე მაშინ ვიფიქრე, როცა ნოდარ დუმბაძის ახალი მოთხრობა „კუკარაჩა“ წავიკითხე. მოთხრობის გმირი, უბნის რწმუნებული, ლეიტენანტი გიორგი თუშურაშვილი ხაოცარი, ახე ვთქვათ, საჭირო ადამიანია.

კუკარაჩა ლეიტენანტის მეტახელია. მეტახელით კი ყოველთვის შეიძლება ეკიდო, რა თვალით უყურებენ ადამიანს ნაცნობებისა და მეგობრების წრეში. მეტახელით ან სიძულვილს გამოხატავენ, ან სიყვარულს. ომამდელი პოპულარული სიმღერის ამ უცნაური სიტყვით რომ არ იყოს გამოხატული კეთილგანწყობა მილიციის ლეიტენანტისადმი, დუმბაძე თავის მოთხრობას ალბათ რაღაც სხვაგვარად, არა მეტახელით, არამედ, ახე ვთქვათ, გმირის სახელით დაახათაურებდა, სათაური, ისევე, როგორც მოთხრობის ენა, სტილისტურად შეფერადებულია. მე, დუმბაძის თანატოლს, დამამახსოვრდა რამდენიმე სტრიქონი (მეხსიერება თუ არ მღალატობს) სიმღერადან, რომლის მიხედვით დასათაურებულია მოთხრობა.

კუკარაჩასთვის, კუკარაჩასთვის
ვიძიებთ შურს,
ცრემლსაც არ დავღვრით, ცრემლსაც არ
დავღვრით,
გულისტკივილის სამგვეროდ
ვიძიებთ შურს.

და ბოელი ეს წლები დუმბაძეს, ეტყობა, მარილა აწუხებდა გულისტკივილი და ხსოვნა. თუ-შურაშვილი 1941 წლის მაისში მოკლეს. თოთქმის ომამდელი წლის შემდეგ, თავისი სიცოცხლის ხაბედნიერერო ღამეს, მეორე ინფარქტამდე ნახევარი საათით ადრე ნოდარ დუმბაძეს უბნის რწმუნებული დაესიზმრა: „კუკარაჩა კვლავ 21 თუ 22 წლისა იყო. მე ორმოცდაათს გადაცილებული, ის კი კვლავ მარიგებდა და ჭკუას მასწავლიდა“.

როგორც წინათ... ძველი ხალხიც ხომ ახე კითხულობდა: „რიცა ადამიანი მოკვდება, კვლავ იცოცხლებს?“ კუკარაჩა ცხოვრობდა და იბრძოდა სიცოცხლისათვის. იგი საჭირო იყო ადამიანებისათვის, ბავშვებისათვის. და როგორც ჩანს, იგი საჭიროა ჩვენთვისაც ახლა — მისი ცხოვრების მოთხრობა დამრიგებლური და საჭირბოროტოა.

მილიციის ლეიტენანტი, ისეთად რომ დაგვიხატა, როგორიც იყო, დუმბაძემ თოქმის შური იძია მისთვის — კუკარაჩა ისევ ცოცხლობს... ცოცხლობს დუმბაძის მოთხრობაში, რათა ჩვენი ცხოვრების ჭანსაღი ზნეობრივი საწყისები განამტკიცოს.

ზნეობრივი ჭეშმარიტების ძიებანი, ის, რასაც შეიძლება შინაგანად დაეყრდნოს ადამიანი, საერთოდ დამახასიათებელია დუმბაძე-მთხრობელისათვის და განსაკუთრებით მრავ ამ მოთხრობისათვის.

თავისი მეურვეობის ქვეშ მყოფი ერთ-ერთი მოზარდის სახლში (აქ უბნის რწმუნებულს სიმპათიით ხვდებიან, მისთვისაც მეტად ძვირფასია ეს სახლი და ისე მიდის იქ, როგორც გამოცდაზე) კუკარაჩა ეცნობა სახლების ზოგიერთ მცენებას (რასაკვირველია, არა რელიგიურს, არამედ მორალურს) და დასახლისს სახლოვს. ორიოდე დღით ათხოვონ ეს „შავყდიანი წიგნი“. ხურს თავადაც წაიკითხოს და სხვებსაც წააკითხოს მილიციაში. იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ზნეობრივად წმინდა ცხოვრების მკაცრ მცენებებს აზიარის „ბავშვები სკოლასა და სახლში“.

ყველა ეს უკიდურესობანი, ეს „არათანადროული“ და „არათვისებრიობა“ ჯროვნება იქიდან გამომდინარეობს, რომ უნნის რწმენებულ დიდი სურვილი აქვს ჩაუნერგოს ბავშვებს მორალის გრძნობა, რაც შემდგომში მათ მცდარი, დამღუპველი ნაბიჯებისგან დაიცავს.

მაგრამ ჭერ კიდევ დოსტოევსკი ამბობდა, რომ ადამიანად უნდა ჩამოყალიბდე, რომ არ შეიძლება კარგი ადამიანი გახდე უცებ, მხოლოდ კარგი მცნებისა და ლოზუნგების შესწავლით.

ზნეობა — ეს არაა ჯროვნებაც კი (ფეოროზმი, მცნება, ლოზუნგი), ესაა სიცოცხლისა და ადამიანების დიდი სიყვარული.

მოთხრობაში მილილინი ამბის გასაღებია: კუკარაჩას ეკითხებიან, როგორ ესმის მას, როგორც მილილიის თანამშრომელს, იდეური ალზრდა, სულიერი ცხოვრების სწორი მიმართულება და რა იცის მან სულიერ ცხოვრებაზე ან სულზე საერთოდ. „სული სულია, სულიერი ცხოვრება კი, — ცოცხა არ იყოს გულუბრყვილოდ ხსნის უნნის რწმენებული, — კინო, თეატრი, მხატვრობა, მუსიკაა... კიდევ ყველაფერი ამის სიყვარულით და საერთოდ, სიყვარულის!“

ამ ალალმართალ სიტყვებში მოთხრობის ყველაზე მთავარი აზრი: უსიყვარულოდ, უგულოდ (ამ სიტყვის ფართო გაგებით) არ არსებობს ზნეობა. მაშასადამე, სულიერებაც არ იქნება. უნნის რწმენებული პირთამდე სავსე სიყვარულითა და სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდა, როგორც ამბობდნენ ძველად: — ახეთი სიცოცხლე ბრმისთვის თვალებია და კოჭლისათვის ფეხებია. „უნნაში ვინმესთვის რწყალს რომ ეკინა, კუკარაჩას შესჩივლებდა, სხვა უფრო დიდი საქმე ხომ უკეკარაჩოდ ვერა და ვერ გადაწყდებოდა“. ხაკეთემ და ადამიანებისადმი ეთილგანწყობამ მაშინაც არ უღალატა კუკარაჩას, როცა ის, როგორც უნნის რწმენებული, შაფთოშვილების უბედურ და ირეულ-დარეულ ოჯახს გადაეწყვა.

იყო კაცი და უყვარდა ადამიანები. თითქოს არაფერია უჩვეულო. კუკარაჩამ ობშია თითქოს შემთხვევით გამოიჩინა თავი. მე საკართველოში ვარ გაჯრდილი და მახსოვს კუკარაჩას ერთი პროკლოტაში. ბათუმელი ბიჭი იყო. ზნორი, წეოური თმაწეური ჰკრნნა. მისი გვარიც კი მახსოვს — სულაბერიძე. ფინეთია ომიდან გმირი დაბრუნდა. თურმე თავის ტანკიანად თხრილში ჩავარდნილა, ხოლო რაცა მტარს ერთერთმა ტანკმა იგი „ბუქსირზე“ აიყვანა, სულაბერიძემ ამოუშვია თავისი მძლავრი ტანკი და ბოლოსაალმდეგე, საპირისპირო მხარეს, თავისიანებისაკენ წამოათრია.

მთელი ჩვენი ქალაქი აღტაცებული იყო სულაბერიძის გმირობით. ჩვენ კი, პაპანა ბიჭები, როცა თვალს მოეკრავდით მას, კოხტად ამბედრეზულს თავის ბოტოციკლეტზე, უკან „ვაშას“ ძახილით მივდევდით.

კეთილი, რაღაცნაირი ღიმილიანი იუმორით გვიყვება დუმბაძე კუკარაჩას ანალოგიურ ამბორობაზე, რომელმაც მტრის ერთი კი არა, ორი ტანკი ჩაიგდო ხელთ.

უნნის რწმენებულის გმირობაზე გავიგებ[illegible]ნ ... ბა რასაკვირველია ხელს უწყობს ბეჭ[illegible] ... რაიონის ბიჭებთან კეთილ ურთიერთობაში, მაგრამ როგორც მილიციის ლეიტენანტი, კუკარაჩა არა ცდილობს გმირის რეპუტაციის განმტკიცებას. მთელი დღეები ბავშვებთანაა, თითქმის თავს ეკლება მათ. ხან ბავშვების მიერ მდინარეში მოწამლული თევზნის ამბითაა დაკავებული, ხან ბიბეში პაპაროსს ეწევიან, ეს კი სტატიებს უკეთხავს ენციკლოპედიიდან ნიკოტინის ბავშვებლობაზე, ხან ბავშვები მდინარეში იხრჩობიან, კუკარაჩა კი ერთ მათგანს გადაარჩენს, მერე ეხვეწება მათ, არავის მოუყვეთ, კუკარაჩამ ცურვა არ იცისო...

მილილიაში მუშაობის დროს მხოლოდ ერთხელ მოუწია სასწაული ქურდი-რეციდივისტის დაჭერა, ისიც გაანთავისუფლა, რაკი ქალმა თხოვა, გაუშვითო. კუკარაჩამ გადაწყვიტა — ქალის გადარჩენა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დაწნაშავის დაჭერაო. რასაკვირველია, შეიძლება ამაზე შედავება, მაგრამ მისი ეს აზრი კუკარაჩას აქტიური (არა ყოველის მომტევებელი, არამედ აქტიური) სიკეთის დამახასიათებელია.

არა განსაკუთრებულმა შემთხვევებმა განსაკუთრებულ გარემოებებში (მოთხრობის სიუჟეტში არაფერია დეტექტური), არამედ თავისთავად ნაგულისხმევმა სიყვარულის გრძნობამ მოუკახსადმი აქვთ კუკარაჩა გმირად. „რაღაც არ გამიგია, კუკარაჩამ ბანდიტი დიპერარო“ — დასცინიან კუკარაჩას. აი, ეს ირონიისა და იუმორის მხუბეკი წამოკრულება ამრავალფერეტს და ამარნელებს დუმბაძის პაოეტიკურ ნაწერს. ნაწერის პაოეტიკურობა ცხოვრებისეულია და შეეხამება მწერლის მიერ დასმულ ამოცანას. — ვვიჩენთს ჩვეულებრივი, იქნება ცოტა უცნაურიც და ამახთანავე დიდი პიროვნებაც.

რაღაცნაირ რომანტიულ გამორჩეულობას იჩენებს თავიდან მურტალი — კუკარაჩას ანტიპოდი, ქურდი და ნაძირალა. ის კითხულობს ეხენინს, გუმილიოვსა და გალაკტიონ ტაბიძეს, რაღაც თავისებური პრინციპებიც გააჩნია, ხაკეთველოს ტერიტორიაზე არ ქურდობს (პატრიოტიზმით ხომ არა?), ლამაზად ეარშეიყება ინგახ — ყოველდღე უგზავნის ვარდებს. მაგრამ მოგონა შემდეგ გამოიჩკვევა, ეს ქურდული რომანტიკის თამაშია, ოდესღაც ჩვენ. მოზარდებს რომ ვკაზვევდა თავბრეს და ახლა ასე ოსტატურად აქვს ადგენილი და გამომზეურებული ნოდარ დუმბაძეს.

„ერთი რამისა მეშინოდა, — ეუბნება მურ-

ტალო ლამაზ ინგას, — მეშინოდა იმის, რომ უსიყვარულოდ წავიდოდა ამ ქვეყნიდან..." იგივეს ეუბნება კუკარაჩა ინგას: „და უბედურია ის კაცი, ვინც ამ ნიჭის განცდის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან".

სიყვარული — სასინჯ ქვასავითაა. მურტალოს ვერ უშველა სიყვარულმა ამიტომ, რომ მას მარტო თავისი თავი უყვარს, დ ა არ გააჩნია კეთილშობილება, სურვილი — მოუზღოს სიკეთე სიკეთისა წილ. იგი ვერაგია, ვერაგობა კი — უდიდესი მანკია. სწორედ ამიტომ, როცა მურტალომ მუხანათურად მოკლა კუკარაჩა, „ვერცერთმა თბილისელმა ვეკელმა ვერ გაბედა მურტალოს დაცვა". ინგამ კი, რომელსაც საუბედუროდ უყვარდა მურტალო, სახალხოლოს მსხვილლობისას რევოლვერი ამოიღო და შვიდი ტყვია დაახალა მურტალოს:

„— მერე?

— შვიდივე ტყვია აიცილა!

— შვიდივე?

— შვიდივე!

— წარმოუდგენელია!"

ასე მთავრდება მოთხრობა. აქ არაა მელოდრამა, ესაა ხალხური, თითქმის ფოლკლორული ენებანი: სიმდაბლე უნდა დაიხაჯოს იმავ წუთს, იმავ წამს... მურტალოზე დამიზნებული შვიდი ტყვია ესაა შვიდი ტყვია სამართლიანობისა, და სამწუხაროდ, შვიდივე ტყვია აცდენილია: სამართლიანობა ტყვიასავით სწრაფი არაა. ადამიანები მწვავედ ელიან სამართალს და გაჰყვიროან: „მეში დაგეცეს!" მაგრამ მეში არ ეცემა, ხოლო ბოროტება ზეიმობს და მურტალოსავით გამძლეა...

უბნის რწმუნებულის სიცოცხლე ოთხმოცდ ერთი თვით ადრე შეწყდა. დაიწყო ომამდელი ომი ამ მთელი თბილისის „საფეხრაკეველი" — კუკარაჩის სიცოცხლისა და სიკვდილის თემა თითქოს სამუდამო დავიწყებას მიეცა.

მაგრამ ამ მხიფლიო სახალხო ომშიც კი არ გაჰქრალა უბნის რწმუნებულის ხსოვნა. ერთადერთი ადამიანი და მილიონობით მსხვერპლი.

ადამიანი ხომ მარად ერთადერთია.

როგორც კუკარაჩა.

ადამიანი ხომ მარად განუმეორებელია.

როგორც კუკარაჩა.

სწორედ ამაზეა ნოდარ დუმბაძის მოთხრობის ერთი გაკვეთილი. ომი და ომის დაწყების წინ დალუპული უბნის რწმუნებული — ეს ჩანაფიქრი თან ახლავს მოთხრობას. დუმბაძემ იგი ფინალში გაუშვა და მისგან, როგორც წყალში ნახროლი ქვისაგან, ირგვლივ წრეები იშლება...

მეტად სახარგებლოდ და თანაგროლად მიმაჩნია ჩინგიზ აიტმატოვის აზრი იმაზე, რომ „ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლიტერატურის უნარი, ასწავლოს ყოველ ჩვენთაგანს ფიქროს სხვაზე ისეე როგორც საკუთარ თავზე". სწორედ ამიტომაა მილიციის ლეიტენანტი გიორგი თუშურაშვილი, კუკარაჩა, დიდებული ადამიანი, იგი არა მხოლოდ ფიქრობს სხვაზე, როგორც საკუთარ თავზე, არამედ კვდება კადეც სხვისთვის, სხვებისთვის...

თარგმნა **დოდო სანიკიძემ**

გარეკანის მე-2 გვერდზე — **გალაკტიონ ტაბიძე.** მხატვარი **ვლადიმერ რამიშვილი.**

რედაქციაში შემოსული მასალები ერთ საავტორო თაბახამდე ავტორებს არ უბრუნდებათ

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-30. მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 17. 3. 81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 5. 81 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ.-საგ. თაბახი 15.85 შეკვ. № 816 უე 00688 ტირაჟი 48.200

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲛᲝ ᲙᲐᲠᲘ
6 66/50

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ